

ქ ა ნ თ რ ლ რ ბ ი ა

ტომი I.

(V—XII სსსს.)

ბუნებრივი ია ე.ა. ზაძე.

გამოცემის ხელმძღვანელი: { გიორგი ბურჯულაძე
მელიტონ თევდორაძე
ანდრე უილაკაძე.

ს ა რ ჩ ე მ ი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ია ეკალაძე—„ანთოლოგიის“ რაობა .	83.
იუსტინე აბულაძე—ქართული მწერლობა V—XIII საუკუნეებდე	III.
ია ეკალაძე—ცოტა რამ ჩვენ ძველ მწერლობაზე	IV. V.
1. იაკობ ხუცესი—წამება შუშანიკისი	3.
2. იოანე საბანის-ძე—საკითხავნი ჰაბოისნი	7.
3. გიორგი მერჩული—გრ. ხანძთელის ცხოვრებიდან	9.
4. იოანე—ზოხიძე --ქება ქართულისა ენისა	12.
5. მისივე—იაშბიკო „გეორგი“	12
6. იოანე მინჩხი—შესხმა მეფის თევდოსი	13.
7. იოანე მტბევაძი—საგალობელნი	14.
8. მიქელ მოდრეკილი—საგალობელნი	15.
9. სტეფანე ჭუნდიდელი—შესხმა სტეფანე პირველ მოწამისა	16.
10. ფილიპე ბეთლემი -აკროსტიხი	17.
11. გიორგი მთაწმინდელი—მწუხრისა ზარი	17.
12. გიორგი ხუცეს-მონაზონი—გლოვა გიორგი მთაწმინდელისა	18.
13. დავით აღმაშენებელი—გალობა სინანულისა	21.
14. არსენ ბერი—მეფესა დავითს (ხოტბა)	24.
15. დიმიტრი მეფე—იაშბიკონი	25.
16. მოსე ხონელი—ამირან დარეჯანიანი .	29.
17. სარგის თმოგველი—ვისრამიანი	77
18. იოანე შავთელი—აბდულ მესია	112.
19. ჩახრუხაძე—თამარიანი	113.
20. შოთა რუსთველი—ვეფხისტყაოსანი .	115.

21. ბიბლიოგრაფიები	187.
22. „ანთოლოგიის“ ლექსიკონი	192.
23. რედაქციისაგან	200

„ანთოლოგიის“ ჩამოება.

ანთოლოგია — ბერძნულია და წარმოდგება ორი სიტყვიდან: „ანთოს“ — ეკავილი და ლეგო — ანიჭება, შეკრება, აქედან ანთოლოგიის არა ჰეროდოტის მნიშვნელობით იქნება: ეკავილითა კრებულია, ანუ ჩვენებურად. თაგულობა რომელი სიტყვი უნდა დაკვირვება ამ ჩვენი შრომისათვის, მაგრამ რადგანაც ეოველი დაწინაურებული უნდა ასეთ კრებულს, ე. ი. სიტყვა-კაზმულ წარმოებითა სიტყვითა ნამუშაის კონას, ანთოლოგიის უწოდებს, ჩვენც ეს საერთაშორისო სახელი გამოვიყენებთ.

რა განსრახვა გვქონდა, როდესაც შეუდევით ქართული „ანთოლოგიის“ შედგენას?

ა. ჩვენი მიზანი იყო მაგვეწოდებისა ქაველი მკითხველებისათვის ისეთი წიგნა, რომელიც თვალწინ გადაუშლიდა მათ ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობის მთელ სიგრი-საგანს და სადარქს და უჩვენებდა იმ შემოქმედებით ძალას და კეთილ ზრახვა-იდეალების მარადიულობას, რომლებიც ჩამარხულია ჩვენი მწერლობის წიაღში და რომლებიც უნდა გადაიფრქვინოს და გამოამყავნოს ძველას ნანგრევებზე აღმოჩენილად ასევე გულისთქმამა და მასწავლებელ ქართველი ერისამ.

ბ. ჩვენი მიზანი იყო, შეგვედგინა ისეთი კრებული რეული ნამუშაისა ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობიდან, რომელი კრებულიც კვლავ მარაგნი-დელით შემოსავდა ძველთა ძველისა, თუ არც ისე ძველი სათბის მწერლებს და დაგვანახებდა მათ მათ გავრდილ მარ-გუნს, თუ დაქსელიდ ბილაგების სმწერლობა ასმარქსზე. რაც ასე უჩინობით ჩვენთვის სათანადო გამოცემას უქონლობისა გამო და რაც უდავო რამეს ქართულ ლიტერატურაში დაუსრულებელ სადავო სტენათა სდის ხოლმე უმცდართა ხელმა.

გ. ჩვენ ასრათა გვექონდა „ანთოლოგიის“ სახით მაგვექმნა მოზარდი თაობისათვის ისეთი ეუხწყუდა, ან ისეთი თაგული ჩვენი ძველი თუ ახალი სიტყვა-კაზმული მწერლობიდან ამოკრებულ ეკავილებისა, რომელიც შეკრულ-შეკონილი უთავილით ამ ეკავილების დამსახურებლთა სახე-სურათების ძეგვით, რომ წასაკითხთ ამკრებული გული და დაადა განდით აზრადიებული თვალებები ახლგანდობისა უნებურად მიზართულით ქართული ხელაგვების ხერათ-მოძღვართა და ქართული სიტყვის მოქმედაკეთა სახე-ზორტებისაგენ.

გარდა ამ, ასე ვსთქვამთ. წმინდა „ანთოლოგიური“ მიზნებისა ქართული „ანთოლოგიის“ შედგენის დროს ჩვენ ხელაგვანდობით შედგომური მოსაზრებითაც — (ქართული ენას ზრტვამებით ჩვენი სკოლებისათვის). რამდენად მიღწეულია ეს მიზანი, ამას, აღბად, მსჯავრს დასდებენ ჩვენი სკოლის ხელმძღვანელები.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენი ანთოლოგია, როგორც ეოველი ახალი და იშვიათი საქმე, უსაკლელი არ იქნება. ამიტომ ეოველი სმართლიანი შენიშვნა, თუ კრიტიკადილის მადლობით იქნება მიღებული ცნობად და სახელმძღვანელოდ შექმევისათვის.

ქართული მწერლობა მხუთიდან მცამეხმ საუკუნეებამ.

(მოკლე მიმოხილვა)

საეკლესიო მწერლობის გულმოდგინეთ გადაკითხვის შემდეგ დაკვირვებულ ადამიანს ალბად დაინტერესებს ის გარემოება, თუ როგორ მოხდა სასულიერო კწერლობიდან საეროზე გადასვლა, ან როგორ აღმოცენდა სასულიერო პოეზიიდან და როგორ განვითარდა ქართული საერო პოეზია იმ დონემდე, რომელზედაც იგი დადგა მეთორმეტე საუკუნისა და მეცამეტე საუკუნის 1-ლ მეოთხედში? როგორ ჰქონდა თავისი ქვეშაირიტი გამოხატულება უმაღლესს წერტილამდე განვითარებულმა რომანიულმა სიყვარულმა ქალ-ვაიკმა; და დასასრულს, სად ჰქონდა სათავე იმ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც იძლევა ასეთ მდიდარ ნაშრომს, შოთას ქინარის ანუ უკეთ მისი პოეტური შემოქმედების სახით?

ეს საკითხი დღემდე საიდუმლოებით არის მოცული. .

ერთადერთ გამოსავალად იმ ბნელი მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება ეკლესიური აზგვარ საკითხთა გადაწყვეტის დროს, ჩვენ მიგვაჩინა შეტოლება, ანუ შეფარდება იმ ნაწარმოებთა, რომლებსაც იძლევა, თავის შედეგად, ერთის ნხოივ, ძველი სასულიერო პოეზია თავისი ფორმითა და შინაარსით და, მეორეს ნხოივ, ოქროს ეპოქის საერო მწერლობა. როგორც ასეთი, მე-XII საუკუნესა და მე-XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

აქ ყოველ ეჭვს გარეშე ერთი რამ: ქართული საქრისტიანო მწერლობის გასაზვისათახავე, ანუ, უკეთ მე-V საუკუნიდგანვე ჩნდება და ვითარდება ის ქართული საერო მწერლობა, რომელიც თავის უმაღლეს ხარისხს აღწევს მე-XII საუკუნის და მე-XIII საუკუნის 1-ლ მეოთხედში ამას აშკარად გვიჩვენებს დაპირისპირება ერთმეორესთან და შედარება ნიმუშებისა, რომლებსაც იძლევა ჩვენი მწერლობა მე-V საუკუნიდგან დაწყებული მე-XII-მდე, ე. ი. მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში, იმ ნიმუშებთან, რომლებიც ოქროს ეპოქის სამკაულს წეაღებენ.

დავიწყეთ მე-V-ე საუკუნის ძეგლიდან, სახელდობრ, იაკობ ხუცესის აგიოგრაფიულ ნიმუშიდან: „წამება წმინდისა შუშანიკისი“ (იხ აქვე გვ. 3-7). საქნაოა, ერთხელ გადაიკითხოს ადამიანმა ეს ძეგლი და შეადაროს იგი ვისრამიანსა და ანირან-დარეჯანიანს, რომ ნათლად წარმოიდგინოს ის ძლიერი მსგავსება, რომელიც არსებობს, გარეგანი ფორმის მხრივ, ამნაწარმოებსა წ. დასახლებულ ნიმუშებს შორის. აქ განსხვავება მხოლოდ სიუჟეტსა და ლიტერატურულ მიზნებშია, დანარჩენში კი - იგივე წერის მანერა, იგივე ლექსიური მასალა, თითქმის სრულიად იგივე ტერმინები და ცნებებია. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ, იაკობ ხუცესის ნაშრომში, უფრო ძლიერია და ურყევი ძველი ქართული ემფატიური ფორმები და საერთოდ ენის აღნაგობა, რომელიც მე-XI და მე-XII საუკუნეების სივრცეზე, თანდათან იცვლება, როგორც ეს აშკარად აღინიშნება ქართლის ცხოვრების კრებულთა ენაში. ავიღოთ ეხლა შემდეგი დროის ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი აგიოგრაფიული ნაწარმოები, სახელდობრ, გიორგი მერჩულის ნაწარმი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება-მოქალაქეობის“ შესახებ. (იხ. აქვე გვ. 9-11, სადაც ეპოულობთ ისეთ წმინდა რომანტიულ ელემენტებს, როგორიცაა კბიზოდები: „ზენონ სამცხელისა და დისა მისისა მიჯნურობა“ (იხ. აქვე გვ. მე-1(1-ე) და „აშაბი აშორ კურაპალატისა და დედაკაცისა მეძავისა“, რომელშიც ჩვენ გავდაგვიწლიან რომანიული სიყვარულის ნიდაგზე სოფლის უარისყოფას და ბერად აღკვეცას, ანუ, უკეთ, უდაბნოში გაქრას.

ზენონ სამცხელს მშობლები დაეხოცა და დაობლდა თავის დასთან ერთად. ამ უკანასკნელს შეუწოდა ერთი უკეთური ადამიანი და აცთუნა იგი. ზენონმა გადასწყვიტა იმისი ზოკლა, შეიარაღებული შეგდა ცხენზე და გაემგზავრა შურის საძიებლად, მაგრამ გულში თქვა: ან მე უნდა მოველა ან მან უნდა მომკლას, ეს კი შეუფერებელი საქმე იქნებაო და ამიტომ აირჩია ბერად შედგომა.

მეორე ეპიზოდი შეეხება აშოტ კურაპალატს, რომელმაც თავის აშენებულ ციხეში, თავის კანონიერ ცოლთან ერთად, ხასად დაისვა მეძავე ქალი. გრიგოლ ხანძთელმა ბევრჯერ ამხილა იგი, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყუო, გაეშურა არტანუჯს, აშოტის სხვაგან ყოფნის დროს, ამხილა მეძავე დედაკაცი და არწმუნა შედგამოდა მას. ქალი დაუკონებლივ გაჰყვა ბერს ქალთა მონასტერში, და შესდგა მონაზვნად. აშოტი რომ შინ დაბრუნდა და გაიგო ეს ამბავი, გაეშურა ბერს წინამძღვარ თებრონიასთან და სთხოვა გაეტანებინა დროებით მისთვის ის ქალი რომ ჩაებარებინა მისგან კლიტეები და საფასეები. თებრონიამ ისე შეირისხა და ამხილა მას, რომ იძულებული გახდა სირცხვილისაგან ეთქვა: „ნეტავი ინას, ვინც ცოცხალი აღარ არისო“ და უკანვე გამობრუნდა. (იხ. აქვე, გვ. 11).

ამნაირად, მე X საუკუნის სასულიერო მწერლობაში უკვე აშკარად შეიქრა წმინდა რომანტიული სიუჟეტები და ზომავდა ჩარჩოები სპარსული მწერლობიდან შემოსული ეპიურ-რომანტიული სიუჟეტების გასავითარებლად. რასაკვირველია, ამ წმინდა საერო მოტივების შექმნას, აგიოგრაფიულ ნიმუშებთან ერთად, ხელი შეუწყო ისეთმა ნიმუშებმა როგორც იყო ჯერ კიდევ მე-XIII საუკ. „სახის მეტყველისა“ (ფიზოლოგიის) და „სიბრძნე ბალავარის“, თარგმანი რომელიც ითარგმნა მე-XV-ე მე-X-ე საუკუნის საზღვარზე სირულიდან ქართულად, როგორც ეს განსაკუთრებით ნათელუკის აკ. ნიკ. მარმა და სასულიერო მწერლობის ისტორიკოსმა კორნელი კეკელიძემ.

მაგრამ არა ნაკლები ნიშნენლობა ჰქონდა ამავე სასულიერო პოეზიას მე-XII საუკუნის იმ საერო ხოტიითის, ანუ წმინდა საკარო პოეზიისთვის, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი არიან შავთელი და ჩაბრუხაძეები.

ამისთვის საკმაოა შეუდაროთ ამ უკანასკნელებს ისეთი ზეალმტაცი, ექსტაზით დაწერილი სასულიერო ჰიმნები. ანუ საგალობლები, როგორცაა: მე-XIII ს. მწერლის იოანე საბანისძის „ქება წმინდისა აბოისა“, (გვ. 7-8) იოანე ზოსიმეს იამპიკოები, (12 გვ.) იოანე მინჩის „შესხმა მეფის თევდოსი“, (13 გვ.) მე-X ს. მწერლის მიქელ მოდრეკილის (15 გვ.) საგალობლები, გინა იამბიკონი, სტეფანე კუონდიდელის „შესხმა სტეფანე პარველმოწამისა, (16 გვ.) და ფილიპე—ბეთლემის შესხმა ლეთისმშობლისა, (17 გვ.). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას იმ ნიშნით, რომ მასში ჰირველად გვაქვს მოცემული რუსთაველისებური რითმიანი ტაქების საკმაოდ მოხერხებული ნიმუში, რაც ყველაზე ადრე აღნიშნა ბენეტი დეგლის აღმოჩენმა, აკადემიკოსმა ნიკო მარმა.

მეტია იმის თქმა, რომ აქ ჩამოთვლილი სასულიერო პოეზიის ყველა ნიმუშები თითქმის ერთად ერთი მასალა იყო, რომლისგანაც ისახებოდა, იკვებებოდა და ვითარდებოდა ოქროს ეპოქის ქართული საერო პოეზია. ხოლო აქ აშკარად აღინიშნება ორი მთავარი მხარე, ანუ, უკეთ, ორი მთავარი ელემენტი, რომელნიც ქმნიან ჩვენში ძველ ქართულ საერო პოეზიას

ასეთია ფილოსოფიური ქრისტიანიზმი მისი იდეალური მისწრაფებით და იმ განუსაზღვრელი ნეოპლატონისტური სიყვარულით, რომელიც სამარის იქითაც

კი ეძებს სიტკობებას ნეტარებას სარტფოსთან შეერთებაში (მოვიგონოთ ნესტან-დარეჯნის სასოწარკვეთილებით სავსე უკანასკნელი წერილი ქაჯეთის ციხიდან ტარიელის მიმართ) და ამისთვის შესაფერი ფორმა. ყველა ამას კი იძლეოდა ზემოთ მოტანილი სასულიერო პოეზია. აი სწორედ ამ ნიადაგზე ხდება სიყვარულის ფაღარებად გადაიადება, რომელსაც ვხვდებით რუსთველის შემოქმედებაში, და მეორეც—უფრო რეალური მხარე, წმინდა აღმოსავლური სპარსიზმი, ანუ ავით შინაარსი — ხორცი — ეს არის ეპიკო-რომანტიული, წმინდა რეალურ-ფიზიკური სიყვარული. მის ზღაპრულ ფანტასტიურ, განსაკუთრებით სადევეგმბრო საქმეებით ალასყე სიყვებებში გამოქარგული.

აი. ის ორი მთავარი ელემენტი, რომლისგანაც შეზავდა და შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერების ხანაში, მე-XII-ე საუკუნეში, უმაღლეს შეუტილაძე განვივარდა საკარო მწერლობასთან ერთად, ქართული ეპიურ-რომანტიული შინაარსის პოეზია, რომლის უეცარი მოვლინებაც ჩვენ მიგვაჩნია ორი ძალიან ძველი მიმართულიან სასულიერო-ქრისტიანულის და საერო სპარსულ-აღმოსავლურის შეხვედრის მთავარ წერტილად.

იუსტინე აბულაძე.

ცოტა რამ ჩვენს ძველ მწერლობაზე.

„ხეს რომ ფესვები გამოვაცალოთ,
ნაყოფს როგორღა გამოიღებს?“

გ. წერეთელი.

„ამ წამად ჩვენსა ძვარად მოიბოვება იმისთანა კაცი, რომ საფუძვლიანია ვაღანს ჭქონდეს ჩვენა ძველი მწერლობისა. სულ რომ ბუკრი სთქვას, თითო არიოდა ნაწევრი() ამასვე იტყვიის დიდებულ თამარ მეფის დროსუ და აქვე წარმოადგენს სასულავან მ რუსთველს მისი ჰვეფხის-ტყაოსნით“; იმასვე იმიტომ, რომ ეს ზოგა საქართველოს ერს სიბრძნის ჯურჯლად მიაჩნია, საიდგანაც მოხუცა და ანაღვასრდა თანსწორად იღებენ მეცნიერებას. ამას გარდა, ერთი-ორი მწერლის სახელად რომ გათხრას, მეტს ველარას გეტყვიისა. აი, ამით გათავადეა იმისი ცოდნა ჩვენ ძველ მწერლობაზე“-ო.

ასე სწერდა აქ უკვე განსვენებული გიორგი წერეთელი ოთხმოცდაათიან წლებში¹.

დაი! სწორედ ასე იყო გუშინ და გუშინწინ, შეიძლება ნაწილობრივად ასე აქოს დღესაც. ვანაიღვან უმეტარი უცბად მეცნიერი ვერ გახდება, მაგრამ ასე აღარ იქნება ხელა, ზეგ... ძლიან ახლო მომავალში.

1877 წ. რუსეთის დაღმა რევოლუციამ, რომლის სამზადისსაც უამრავი მსხვერ-ღლი შესწირა ზატარა საქართველომ, თვალის დახამსამებაზე მიღეწ-მოღეწა სულ-სამხრეთაჲ მისთვის ტანტი, ტანადჯურა ადამ-წესები ძველი ცხოვრებისა, დაამსხვ-რია ბორკალები მისიანისა და თვითგამორევევის ნიადაგზე უკვდა დაჩაგრულ ერს გ'სა გაუხსნა სწავლისა. ცოდნისა, მობა-ერთობისა და საზოგადოებრივ აქმენებლობასაკენ!

¹) „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები“. დავითიანი, მესამე გამოცემა ზ. კვიციანი-ანი, ტფილისი 1894 წ. წინ.სიტყვაობა.

დღეს ჩვენ უნდა გვაქვს ათეული და ასეული დაბალი, თუ საშუალო განათლების მამცემი სკოლა, სადაც მშობლიურა ენა და ლიტერატურა ისწავლება ფართო პროგრამით.

დღეს ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტი, ეს ფასდაუდებელი და უადრესად მნიშვნელოვანი მონაპოვარი დიადი რეფორმებისა.

დღეს ჩვენ გვაქვს შეცნობების ყოველი დარგის, გამაჩინებელი, და არა მარტო ქართველთათვის, საამაყო პროფესორები.

დღეს ათობითა და ოცობით მოგვეპოვეს ჯერედ უნინარი მკვლევარი და მსწრეები ძველი ქართული სალიტერატურო განძისა, რომლებიც ფუტკრებთან მოსდებიან ჩვენ სიძულეთა-საცავებს და მადლიანა სულით ჭფურცლავს დასავსეულ სიგელ-გუჯარებს, დათბებულ ფოლიანტებს, და თქალსაჩინოთა და საგრძნობლად ხლიან საუკუნეებისკან ფერფლ-წაყრილ ამბებისა და განცდებს. ჩვენსა კვლავა ჭარბიუფალაა. (რამდენ რამეს გვეუბნება, თუნდა, ერთი რუსთაველიანა ჰ. ინგოროვასი!).

მართლაც, სოც მათგანს უდრო-უდროოდ დაუშურა მარჯვენა (ტახისუნთ პროფ. ეიფიძე და დ. კარიჭაშვილი); სოცა მოსუცდა და ძველებურა შედგობით კვლარ მოღვაწეობის (მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე) მატრამ სუ დაჯეიწებით, რომ მას სურვს უკან სდგას ასი და ათასი ახალგაზრდა, ჯან-ღონითი სუსე სტუდენტა. ქართველი სტუდენტა, რომლებიც ჯარის-კაცობით ჩარსმულან ქართული კულტურას ფორსტზე და დარჯად დასდგამიან ქართველი მშრომელი მასისის განათლებისა და გამოცხინებისა საქმეს! თითოეულმა მათგანმა თითოეული ნათქვამი სიტყვად რომ თქვას, თითოეულმა მათგანმა ერთი ბეწა ფერფლიც რომ გადაცალის ჩვენს უმცრებს, შინც მალე დადგება ის დრო, როცა არც ერთი ერუ-კუთსე ჩენი ქვეყნისა უჩინარდ არ დარჩება და მართლაც. მალე ამოკის მსე, რომელმაც უნდა „განათლის ქვეყანა ისელი“, გააღოს გართობილი სამართო, კათობის დამხრალი გული და გასება დღევანდლამდე აღმომრეობასკან შეგწრთებულ მამრალთა და ტვართმძიმეთა და სმულამოდ ამოსწვას, რაც ქვეყანასე ბოროტებია გამუფრული“.

ამის ნიშნები დიდა ხანა ხანდა, ხოლო დღეს ამას თავმდებია მონიხალი უდღადგან განთავისუფლებული მშრომელი სალხა ჩენი ქვეყნისა, რომლებიც მთითხევენ ჩვენგან ახალი ცხოვრების აღმშენებლობითი მუშაობისა ჩამის.

— რის გვეოება შეგვეძლო ჩვენ?

რასაკარგვლია, ჩვენ უნდა შევსდგამოდით ისეთ საქმეს, რომელსაც ცოტათ, თუ ბევრად ვინცნობდით, და რომელსაც აქამდეც შეგწირეთ ჩენი სუსტა ძალ-ღონე! და გადავწყვიტათ, შეგვედგინო და გამოგვეტა ქართული სიტყვაწამული მწერლობის „ანთოლოგია“, რომლის შესახებაც ვიცოდოდ სემოდ არას ნათქვამა.

შეიძლება, — გგულს მოდგინე ვიქმენ უძლიერესს ჩემსა აღებად — მატრამ არა იმ განსრახებით, რომ გამომეკვლია სადაო საგითხები ამა თუ იმ ნაწარმოების, თუ

ავტორის ვინაობის შესახებ, — ეს მართლაც დიდი შეცნობებისა და სწავლების საჭიროება — არამედ „ანთოლოგიის“ შედგენას ჩვენ მიგულისხმობს როგორც უბინო მოქალაქეა ჩვენს მწერლობისა, როგორც საშუალო სასწავლებლის ქართულა უნარს მდებარე მასწავლებელი, რომლის დიდი ხნის იტყვისა იყო რამ მის მასწავლებლის. მოხარულ თაობას, მომავალ მწერლების და, სახელგანთქ, წიგნის მოქალაქე კაცს, ხელში ქონსოდა საკმაო და ერთად თავმოყრილი მასალა არა მარტო ქართული ძველი, თუ ასევე მწერლობის შესასწავლად არამედ ამას დასამტკიცებლათა და ნათელ-საყოფადაც, რომ „ჩვენს ვერ გავაჭრავთ“ ხე ნათელ ვერ გამოადგინს“¹⁾ და... „შეუძლებელია, რომ ქართული ევლტურის მკვლევარმა. — გვერდი აუაროს ძველ ევლტურ მწერლობას, რომელიც სულაურად ასობრდა ქართულ ენს საუკუნეოა განმავლობაში... სხვა არა იქონ-რა. ევლტურმა მწერლობამ მოამზადა ის ნიადაგი, რომელსეც ადმონ-ცინდა საერო მწერლობა. ევლტურმა მწერლობამ შექმნა ის მდიდარი, ყოველ მხრად ჩამოყალიბებული და მოხდენილი სამწერლო ენა, რომელსეც დაიწერა ვეფხვის ტუთასანი და მისი მომდევნო ბრილიანტები მსატურული მწერლობისა.

სრულ შემართების ბრძანების ზატვიცნული პროფესორი კორნელი კეკელიძე²⁾.

ვინც არ იცის „ანი“, ის ვერ იტყვის „ბისს“ და ამიტომაც არის რამ დევსადელი ჩვენი უახლესი მწერლობა, სამწერლოდ, მანც და მანც ვერადგას სათანადო სიმღერსე და ვერც დადგება. ვიდრე თითოეული ჩვენთაცანი და უფრო კი ქართული მწერლები არ დაეუწყებენ შეინ-ხემობას არ განამარცხებინან ქვენ-გონობასაცან და არ შეიმოსებინან სელვრთქობით, რომელს მოკვარობათა და საკცობრით მალა იღიალებით, რითაც ასე სავსეა ჩვენი ძველი მწერლობა და ამ ჩვენ ზირველ წიგნში შეკრებილი სალიტერატურა მასალა³⁾.

1927 წლის დეკემბრის 10

ქ. ტფილისი

ი. ეკალაძე.

¹⁾ ანაზე ჯერ კიდევ 1912 წელს იყო აღძრული ლაპარაკი. იხ. გაზეთი „თემი“ 1912 წლის, 2 ივლისის თარიღით, № 69. წერილი ლ. ბუხანელისა, „საყურადღებო კრებულში“. ასე რომ მტკიცება ერთ-ერთი ჩემი ყოფილი „ამზანავისა“, იმის შესახებ, რომ ვითომც მას ევლტურ-ნოდეს ზირველი არა ანთოლოგიის გამოცემისა, მტყნარი სიტყუვა

²⁾ პროფ. ქ. კეკელიძე. ართ. ლიტ. ისტ. ტომი I გვ. 4.

³⁾ სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადო: რომ მასალების არჩევანში მარტო ჩემ თავს არ ვენდებ. ეს მასალები ამოკრებილი და განხილულია ონოდრე შემანინავანაც, რომელიც ზედ მიწევნით იცნობს ჩვენა ძველსა და ახალ მწერლობას და რომელთანაც ერთად სიამოვნებით გაუხიარებ ამ წიგნის მომავალ ბედსა და სეგს.

უკველესი ხანა

საქმისი მხარეობა

V-XI სსს.

ი ა კ ო ზ ხ უ ც ე ს ი

მე-V საუკუნე

✓ წამება წმიდისა შუშანიკის

იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფე-
ნასა კარად სამეფოდ წარემართა ვარ-
სკენ პიტიაში, ძე არშუშისი. ცოლად
შისა იყო ასული ვარდანისი სომეხთა
სპასპეტისაი, რომლისათვის ესე მიეწერე
თქვენდა, მამისაგან სახელით ვარდან და
სიყვარულით სახელი მისი შუშანიკ...

რამეს წარდგა იგი წინაშე სპარსთა
მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათვის,
არამედ ძღვნად თავსა თვისსა შესწირ-
ვიდა მეფისა მის მიმართ უვარისყოფითა
ქეშმარიტისა ღმრთისათა და თავყვანის
სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერ-
ძოვე თავი თვისი ქრისტესგან განაგდო.

საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვედა
სპარსთა მეფისაგან, რათამცა სათნო იყო
მეფესა და ესრეთ ეტყოდა, ვითარმედ
„რომელი იგი ბუნებითი ცოლი არს და
შვილნი, ივინიცა ესრევე მოვაქციენ შენსა
შჯულსა, ვითარცა ესე მე“. ამას უქადებ-
და, რომელი იგი არა აქენდა ხელთა შუ-
შანიკისგან.

მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა
ცოლად მისა ასული მეფისა.

და იჯმნა მეფისაგან სპარსთასა პი-
ტიაშმან. და, ვითარცა მოიწია იგი საზ-
ღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას
ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რათა აუწყოს
და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და
მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რათა

მათ გამო ვითარცა გველი სოფლად შე-
ვიდეს; და წარმომართა სადიასპანოითა
ტხენითა მონა თვისი.

ვითარცა ესმა ესე ნეტარსა შუშანიკს,
დავარდა იგი ქვეყანასა ზედა და თავსა
დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა
იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი
ვარსკენ, რამეთუ უვარყო ქეშმარიტი
ღმერთი და აღიარა არტოშანი და შე-
ერთო იგი ჟღმრთოთა“.

და აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი
და ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შე-
ვიდა...

და ვითარცა მწუხრისა ეამი აღასრუ-
ლეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახ-
ლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ-
შინა სიმწარითა საესე და მიეყრდნა ყუ-
რესა ერთსა და მწართა ცრემლითა
ტიროდა.

და ხვალისა დღე, ვითარ აღდგა პი-
ტიაში, გვიწოდა ჩვენ ხუცესთა და მი-
ვედით; და სიხარულით შეგვიმთხვინა და
გვრქვა ჩვენ: „აწ ნურას მერიდებით მე
და ნუცალა გძაგ!“ და ჩვენ მიუგეთ და
ვარქეთ: „წარწყმიდე თავი შენი და ჩვენ-
ცა წარგვეწყმიდენ!“

მაშინლა იწყოს სიტყვად და თქვა: „რა-
სა ხელიწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან
ესე ვითარისა საქმედ! აწ მივედით და
არქეთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამხე

და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი დაგიტეუებიეს და სხვად წარსულ ხარ!“

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქვა: „არათუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავაშვ. ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყენენ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ. მან ღმერთი ცათა და ქვეყანისა აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ქეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც. და, ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ. და თუ მრავალი ტანჯვა მოაწიო ჩემზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!“

ხოლო ჩვენ ესე ყოველი მიუთხარო პიტიაშხსა. ხოლო მან განიწყო გული და იბრდღვენდა მისთვის.

მერმე მიავლინა პიტიაშხმან ჯოჯიკ ძმა თვისი და ცოლი ჯოჯიკისი, ძმისცოლი თვისი, და ეპისკოპოსი სახლისა თვისისა და ჰრქვა მათ: „ესრეთ არქეთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თვისსა და ნუ ეგე ვითარი გონება გიპყრიეს! უკეთუ არა—თრევეთ მოგიტორიო!“

და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაში დედოფლისა და მრავალსა დასაჯგურებელსა სიტყვისა იტყოდეს მას.

მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქვა მათ: „კაცნო ბრძენნო! თქვენ კეთილად იტყვით, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადლა ვიყავ. მგონა, მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ქეშმარიტი აღიაროს. და აწ მე მიიძღულებთ ამას ყოფად! ნუ იყოფინ ესე ჩემდა!“

და ვითარცა ფრიად აურევბდეს მას, აღდგა წმიდა და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანე ევანგელე თვისი და ტირილით ესრე იტყოდა: „უფალო ღმერ-

თო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკვილილ მივალ!“

და რაეამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა. და აღიპყრნა ხელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქვა:

„უფალო ღმერთო! არცა მღდელობანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა. კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკვილილ შიმითვისა მტერსა ღმრთისასა ვარსქენს.“

და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქვა მსახურთა თვისთა: „ღღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ექამოთ, ხოლო სხვასა ნუ ვის უფლიედ ჩვენ თანა შემოსულად!“

და, რაეამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისასა და ინებეს ერთად პურისა ქამა, რათამცა მოიყვანეს წმიდა შუშანიკცა.

და ვითარცა მოიწია ქამი პურისა, წევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაში წმიდისა შუშანიკისა რათამცა მასცა აქამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევდნეს.

და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემო არარასა იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართვა ღვინო კიქითა და აიძულებდა მას, რათამცა იგი ხოლო შესევა.

ჰრქვა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოღეს ყოფილ არს აქამომდე თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა პური?—და განყარა ხელი და კიქა იგი პირსა შეაღწეა და ღვინო იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ეარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჯილითა სცემდა პირსამისსა უწყალოდ და თნითა მიმოითრგედა:

ვითარცა მხეცი მძინვარე ყოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი.

მაშინ შევლად აღდგა ჯოჯიკ ძმა მისი და იბრძოდეს, ვიდრემდის გვემა იგიცა და თავსა მისსა მოხეტქა და კი-რით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელთა მისთა.

და ვითარცა მკვდარი იდეა წმიდა შუ-შანიკ ქვეყანასა ზედა.

და აგინებდა ვარსკენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მათხრებელად სახელსდებდა მას; და უბრძანა შეკრვა მისი და ბორკილთა შესხმა ფერხთა მისთა...

და ვითარ მოიწია აღესებისა ორშა-ბათი და მოვიდა პიტიაშხი ბრძოლისა მისგან ჰონთასა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა; და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფუტას: „გამომეც ცოლი ჩემი! რად განმავორებ ჩემგან?“ და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად.

ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქვა მას: „უფალო, რასა ეგრე იქმ და იტყვი ეგრეთ ბოროტსა, აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი?“

ხოლო მან უხეტქა კვერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერლარა იკადრა სიტყვად.

და ეგრეთ წმიდა შუშანიკ თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკვდარი მოეორია. და ადგილდ-ადგილდ ქვე ძეძვი დაფინდა და თვით ფერხნი და-იღვნისა ჰეძვისა მას ზედა და კუბასტნი შუშანიკისნი და ხორცნი წვლილ-წვლილად დაებძარნეს ძეძვისა მას და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად.

და უბრძანა შეკრვა მისი და ცემა, ბოროტებდა და იტყოდა: „აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლესია შენი და არცა ზურ-გნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი!“

და ვითარცა სცეს კვერთხითა სამას ოდენ, არა რა აღმოხდა პირსა მისსა ვაიება, არცა კენესა.

მაშინლა ჰრქვა წმიდამან შუშანიკ ურ-ჩულოსა ვარსკენს: „უბადლო, შენლა თავი თვისი არა შეიწყალებ და განსდევ ღმრთი-საგან, შენ მემცა შემიწყალება?“

და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ გამოსდრიდა ჩჩვილთა მათ ხორცთა მისთა, მაშინ უბრძანა და-დებად ჯაჭვი ქედსა მისსა და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რათა წარიყვანონ წმიდა შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკედეს.

მაშინ წარმოიყვანეს და მოკვეანდა წმი-და შუშანიკ უხამური და თმაგარდატე-ვებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხ-თავანი და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიაშხი იგი მხედრ შეუღდა უკანა კვალსა მისსა და აგი-ნებდა მას შრავლთა გინებითა.

და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამ-ბოხი მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლე ურიცხვი, რამეთუ უკანა შე-უდგეს, ხმა აღემაღლა და ტიროდეს და იზახდეს ლაწვთა მათთა და საწყალობე-ლად დასთხედეს ცრემლთა მათთა წმი-დისა შუშანიკისთვის...

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილით კერძო მცირე და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდა იგი. და ჯაჭვი იგი, რომელ ედგა ქედსა მისსა, ეგრეთვე ედგა; და დაპებდა ურჩულო-მან ვარსკენ ბექვლითა თვისითა...

ხოლო პიტიაშხი ჩორდ წარემართა. და ჯოჯიკ ძმა მისი არა დახვდა, ოდეს საქმე ესე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უკანა სდევდა პიტიაშხსა და მიეწია მას საზღვართა ჰერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიად, რათამცა ბრძანა საკრველთა მათგან გან-ტყეება მისი.

და ვითარ ფრიად აწყინა, ბრძანა განტევება საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკი, აღჰხადა ჯაჭვი იგი ქედსა მისსა. ხოლო ბორკილთა არა თავს იღვა წმიდამან შუშანიკ ვიღრე აღსასრულამდე ნითურთ.

რამეთუ ექვსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოითა ყვაოდა: მარხვითა მარადის, პღვიძარებითა, ზედგომითა, თაყვანის ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთათა მოუწყინებულად; განაბარწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა ნით ქნართა.

და მიერთგან განითქვა ყოველსა ქართლსა საქმე მისი...

ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალემა მხისა, ქარნი ხორმაქნი და წყალნი მავნებელნი; რომლისა მკვიდრნიცა მის აღგილისანი საესენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამშრალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქვეყნათა.

და ესეთსა მას ქვეყანასა და ციხესა შინა ექვს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა აღიდებდა ღმერთსა.

და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულება ხორცთა მისთა.

და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდა შუშანიკი სიკვდილდ, წარვიდა და თანა წარიყვანა ცოლი და შვილნი და მონა-მხვეალნი მისნი და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკი მარტვილისა.

და ვითარცა მიიწია, მძღოლ შუხოლოვიდა და თაყვანის სცა პატრიოსანსა ჯვარსა და მოიკითხა წმიდა შუშანიკი, თანა დაუჯდა და ჰკითხვიდა საღმობათა მათთვის.

მაშინ ჰრქვა წმიდამან შუშანიკი: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიაშხი მუნ, სადა იგი არა არს თვალთღება, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა და მეუფისა მის მეუფეთასა! სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყვა ვთქვათ წინაშე ღმრთისა ჩვენისა იესუ ქრისტესა მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უფამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვაილი ჩემი დააქნა და შეენიერება სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდება ჩემი დაამდაბლა! და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის! ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ღვინება ვპოვო და გვემათა და თრევათა მისთათვის მე განსენებასა მივემძივო და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათვის, მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩემისა!...“

მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთა სამოველ და იოვანე ეპისკოპოსი, მისივე მოყვასი, რომელ იყვნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშვრალ, სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს მონა და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა.

მსგავსად მისევე სახისა აზნაურნი დიდდინი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს. ეგრეთვე, რომელნი იგი გულისმოდგინებით მონაწილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მხენსა მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და მოიწია დღე იგი წოდებისა მისისა. შეჰვედრა სული თვისი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა.

და დაეპყრიაღმერთი წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი ნაწილნი

წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას აღვილსა. და მას ლამესა ანგელოზთა სახედ ლამე იგი განვათიეთ და დავეითის ქნართა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით...

და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათა თთვესა აპნისისასა, მერვესა თთვისასა და დღესა ოთხშაბათსა. და მეორედ გვემა მისი შემდგომად აღესებისა ზატიკსა, დღესა ორშაბათსა.

და აკვალად ტანჯვა ვარდობისა თთვესა ათცხრაშემტსა. და აღსრულება მისი—თთვესა ოკდონბერსა ათშვიდშემტსა, სახსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანესთა.

და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ სახსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმერთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისა შევინს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

იოანე საზანის-ქმ

მე-VIII საუკუნე

საკითხავნი წმიდისა ჰაბოისნი

„...უდარესსა შენსა ნუ გამოვიძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო. ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონება ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან... არამედ ვისწავეცა ბრძენთ მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული, „ვითარმედ ბაძვედ ჯინკველსა, მედგარო, და იკმენ მუშაჲ მსგავსი მისა, ვითარცა იგი მან თვისსა უდიდესსა მარცვალსა მას იფქლისასა შებმა უყვის გულს მოდგინედ, ვიდრემდის აღილის და წარილის საზარდელად თვისა“.

მეცა გულს მოდგინე ვიკმენ უძლიერესსა ჩემსა აღებად და აღვეწრე უღირსისა გონებისა ჩემისა შეკრებული მარტივლობა ქვეშარტი და უტყუველი წმიდისა მოწამისა... აწ გლოცავ თქვენ ქრისტეს მიმართ სურვილითა—გულითა მომიპყრენით საჩინონი სასმენელნი თქვენნი და უფროსლა საცნობელნი ყურნი გულისა თქვენისა და გონებათა თქვენთანი განმარტენით სმენად და მასპინძელ ეკმენით სიტყვათა ამათ ჩემთა, შეიწყნარეთ კარავსა გვამისა თქვენისასა და სათანე განმზადეთ!...

მოციქული პავლე მისწერს ტიზოთესა, ვითარმედ „მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა არა თავს იღებდენ, არამედ გულის თქმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღვრებასა ქავილითა ყურთათა და ქვეშარტივებისაგან სასმენელნი გარე მიიქციენ და ზღაპრებას მიექცენ“. რომელიცა ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩვენ შორის, რამეთუ რომელ ესე ვართ ყურესა ამას ქვეყანისასა სასტიკებისაგან და სიყვარვისა მანქანებითა მით საცთურებისათა ზედა მგლომელთა ამათ ჩვენთა, მულღობელთა ამის ჟამისათა ზაკულებითა მოძღვრებისა მრავალნი შევაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა, გარდაგვლარძნეს — რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუველით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით და სხვანი, რომელ ესე ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკულევეანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ზარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯინილი ძვირ-ძვირად ზღვეულნი შიშითა განიღვივანი და ირყვიანი, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა.

ესე ვითარსა ეამსა შინა ჭაბოჩნდა ახოვნად წადა ესე მოწამე. უცხო უცხოთა შჯულთთა მოვიდა და ქრისტესა ლმერთსა ჩვენსა შეემეცნა... ქრისტეანთა სარწმუნოება დიდ მოძღვრება არს! ამით ამაღლითა თაყვანის გცემენ შენ მართალნი. გაკურთხევენ შენ წმიდანი, აღგაიარებენ შენ პარტიკლინი, რომელმან იფენ ჩვენთვის, ქრისტე ლმერთსა... რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ლეთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა შორიელთა ამით მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვის: „მოვიდოდინ აღბო-სავალით და დასავალით და ინახიდგიდენ წი-ალთა აბრაამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“— აჰა ესე რა ქართლისცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოება და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთაზეთ თვით აქა მკვიდრთა და რომელთაზე უცხოთა სხვით მსრულთა ჩვენ შორის ეამად-ეამად მოწამედ გამოჩინებიათა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება უცნი უკუნისამდე ამენ.

ქება წმიდისა მოწამისა ჰაბოსი

მოვედით, ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღე-სასწაულობდეთ ხსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩვენსა ქართლისასა მეთხად ჩვენდა ქრისტემან მო-გვანაჲ და სხაარულთა მოველითა განვეხანეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩვენთანი და მხარულთა პირითა და განმარტებულთა ენითა ეაჳბდეთ 'ყთილად მოღვაწეებასა მისსა და ვი-ტლადით:

გიხაროდენ სანატრელო მოწამეო უფლისა მიერ, რამეთუ შენ უკანასკნელი ესე მუშაკი მა-ცხოვროვის ჩვენისა მეორეთმეტისა ეამისა მდღეე-რითა მათ თანა აღმთობილთა მიეყივე და მათ თანა სასყიდელსა არა დააკლდი! გიხაროდენ, მოწამეო უფლისა მიერ! შენ მიემსგავსე უკანა-კნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შრულთა და მოძღვრებათა განვადებითა და ქრისტეს ძისა ღვთისა აღსარებითა, მსგავსადვე მისა თავი მოგვეყვით! აწ ვინმე ღირსად გაქებ-დეს შენ, კეშმარტად საქებელსა!

მნებაეს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვითადრებ, რა-ნეთუ უფროს გონებისა ჩემისა აღმალდა ჩება ათარებათა შენთა! და ეკლად მეშინის მე და-დუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტეს ღიერთა სიყვარულითა შემოყვარე მე, ვიდრამ იყავლა სოფელსა ანას შინა ჩვენსა!...

შენთვის ფრიად დამიკვირდების ჩვენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ეამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაილელთასა დიდებასა შენ ნუფსით სიმდაბლე ქრისტესთვის აღირჩიე და მახვილთა პერობილი იგი შჯული განაგდე და კეშმარტი იგი აღიარე და ჯვარტმულსა მას თაყვანისცე უფლად და ღვთად.

ვინა, ანუ ვისგან ისწავე ქრისტესთვის ესოდენი ცნობა? რომელმან საკვირველებამან აღგვიყვანა შენ დიდებასა სასუფეველისასა? შენ კეშმარტად მარჯვენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე, რამეთუ გა-კენდა შენცა ერთი შენთანა პერობილთაგანი, ნაშობი ქრისტეიანეთა, რომელი განდრევილ იყო ქრისტესგან და მიდევნებულ შჯულსა უცხოსა. ხოლო ეკლად ქრისტეს აღსარებისათვის შენ თანა განიკითხვოდა, არამედ საწყალობელსა მას ეკლადცა უბრკვამა და დეცე, რამეთუ შიშისა-გან სიკვდილისა საწუთრო ესე შეიყვარა და სა-უყუნო იგი წარწყმიდა, მტერმან ბოროტმან აღი-ტაცა და ცხოვარი იგი ქრისტესი ნამგლევე რქნა. რამეთუ სწყენსა მას ყთილსა განვშორა და არგანი იგი ქრისტეს ძლიერებისა განაგდო ხელ-თაგან თვისთა. ამისთვისცა იძლია და განვარდა სამწყსოსაგან პირმეტყველთა ცხოვართასა, ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, ყვერთობითა მით—ჯვა-რითა თვისითა დაგიცა მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოებისა შენისა მისა მიმართ...

შენ-გამო, წმიდაო მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტესი ჩვენდამო და სარწმუნოება ჩვენი მისა მიმართ ეკლად განახლდა, რამეთუ აღვერიეთი ვერსა უცხოთა, შჯულითა განდგომილსა ქრისტეს-გან, ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა, სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა, რომელ-თაგან თქმსავენითა საქმენი მათნი და ემონებდით გულისთქმისა გულთა ჩვენთასა მიბაძვებითა მათ-ითა, ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამ-ვიწყებელნი საუყუნოსა ცხოვრებისანი...

შენ ნათესავთა შენთა უცხო და განვადებულ გვეყვ, ხოლო ქრისტემან ისმაილელთა შორის, ვითარცა ვარდენ ეკლთაგან განმოგარჩია და მი-გვიყრა თვისსა მას ეკლესიასა! შენ ველური გვე ზეთის ხილი მოგილო ქრისტემან და მტილსა მას შინა თვისსა სამკვიდრებელსა ნაყოფად კუ-რთხებვისად დაგნერვა და ნაყოფითა მით სარწმუ-ნობისა შენისათა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშვებენ ქრისტეს მორწმუნენი და ნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღვაწე-ბასა, შენსა მას სიმბნესა. შენსა მას მარტილო-ბასა, შენსა მას გვირგვინონებნასა...

ბიოგრაფიული

მე-X საუკუნე

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან

თავი ა.

მოცემულ არს სობრძნისა ძირი კეთილისა მიხეზისა ქრისტეს მიერ ბუნებასა კემარითა ბრძენთასა; ვინაცა ითხოვე ბრძენთაგან სრულთა კრძალულებით სობრძნის-მეტყველებასა და სულელთაგან დუმლით ბრძენთა სმენასა. აწ სულელნი სობრძნის-მეტყველებენ ხოლო თვისსა და ბრძენთა (შექმნეს) დღილი. მათ ვერ გულისხმეაჲყენ, ვითარმედ სობრძნად მეტყველება ვერცხლი არს წმიდა, ხოლო დუმლით ოქრო რქელი. ვითარცა რქვა სოლომონ.

რამეთუ რაჲმს ბრძენთა დუმლით ჰმაცხ, მაშინ სობრძნე მათი გამოსავალთა ზედა იქებინა, რამეთუ ენა მათი მეტყველებისაგან ცუდისა უტყვი არნ და ძვირის სიტყვისა უქმ. რამეთუ ძიება რაი სასყიდლისა საქმედ უპყრიედ მათ და ყოვლადვე ბრძობედ სიწმიდესა სიმართლით ღირსებასა თანა და სიუარულითა ღვთისათა გალობედ მეცნიერებით მარადის ღოცვისა შეწირვითა, ვითარცა იტყვის მოციქული „მოუკლებლად ილოცედი“-ო.

არამედ აწ მე ვინითგან ვერ ძალმიც მოუკლებლად ღოცვა და სულელთა ყოველთა უდარეს ვაო, ნაკულუევაწება ჩემი არა მიფლობს დუმლიად და ზოგს რაიმე უმჯობესად შემარაცხის, რათა ვიტყოდი ღირსად — ცხოვრებასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისა და მოყვასთა და მოწაფეთა მისთასა მადლითა და შეწენითა ღმრთისათა, რაოდენცა ნუძლო უწყებად მსმენელთა კემარითად თხოობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმინდისათა და ნეტარისა მათ ოხითა ვაოვო ორკერძვე ლხინება ჯძღურებათა ჩემთა ვსრეთ სიტყუათა ამთ წერითა.

ვითარმედ არსება დაუბადებლისა კაცთმოყვარისა სამებისა წმინდისა მადლითა მიუზღომელად ჩვენგან დაწერილთა საუკუნოდ ზეცათა შინა აწველობთა თანა წიგნსა მას ცხოველთასა და ჯუარითა წმიდითა მოქედულთა, დიდთა მათ მეუღაბნოეთა კლარჯეთისა, დიდებულთა

უდაბნოთა შინა პირველად დაწვიდრებულთა მათ წმიდათა მამათა, ღირსად ცხოვრებულთა, სიმბნე მოთმინებისა და სიწმიდით შრომა უფლისა სათნო და სასწაულთა მათთა სიმრავლენი ქვეყანასა მას ქართლისასა აღუწერელობითა დასკირდეს, მისთვის რომელ პირველ ვახსენე, რომელთა ჯერ იყო დაწერა, ვიდრე ნათესავით ნათესავედმედ უყვინსაზდე მითხოვრად ყოველთა, რათამცა ვრი დაბადებადი აქებდა უფალსა ხსენებისა მათისა დღესასწაულსა.

არამედ აწ სასწაულნი მათნი ესთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწუებისასა ყოვლად-სახსენებელთა მათ განსაკირებულთა ნეტართა კაცთა საქმენი კეთილნი და ცხოვრება უბიწო, რომელნიცა იგი ბრწყინვიდეს, ვითარცა მთიებნი ზეცისა საწყაროსა ხილულსა ამას და განკარგებადსა მხესა ქვეშე და აწ სულითა ბრწყინვალენი იხარებენ დაუსრულებულსა ნათელსა შინა და მარადის ჩვენთვის მეოხებასა ჰყოვენ, განმზიარებულენი ქრისტეს აღოქმულთა მოღებითა, რამეთუ შრომათა მათთა წილ, მიუღებეს სიხარული და მზარულება ჯოხვნო, მოუკლებელი და გამოუთქმელი ცათა შინა. ამთ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავე, განსრულებულო სობრძნითა, დიდი მღვდელი და კეთილად განმგებელი მოღვაჭე და უდაბნოთა ქალაქ მყოფელი, ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამა და წინამძღვარი და მამულებელი ხანძთისა და შატბერდისა, რომელი ექმნა სამე კეთილის ყოველთა მის ქაზისა მეუდაბნოეთა მამათა.

ესა იყო შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლ-მორწმუნეთა მამა-დედათა და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთვისასა აღზრდილ იყო.

გულისხმიერობა სწავლისა განსაკირებელი იყო ფრიად, რამეთუ სწრაფლ ხოლო დაისწავლა დაითო. და ხმითა სასწავლელი სწავლა საეკლესიო, სამოძღვრო ქართულსა ენასა შინა ყოველ დაისწავლა და მწიგნობრობაცა ისწავა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწ-

ვართან, ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა ისწავა კეთილად.

სიტყვა მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისათა. რაკამს იტყვიან, ბრძნად აღადის პირი თვისი და წესი განუჩინის ენას თვისსა და ჰასაკისა ზრდასა თანა, სათნოებაცა კეთილი იხარდებოდა, რამეთუ არა იყო ვითარცა კაბუჯი მხვაობარ და კამადთა გულის-სათქმელთა მოკვარე და ესრეთ მიიღის სახრდელი საგლახაკო ხორცთა თვისთა განსამტკიცებულად ნეტარმან გოიგოლ—მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისა მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმოემენარე ჯგჯლსა ღმრთის-მსახურებისასა და ნერგი კემშარტისა სარწმუნოებისა აღორძინდა სულსა მისსა და ნაყოფი ღმრთისა სიყვარულისა გარდამატა მის შორის, და ესე ვითართა მრავალ ფერითა კეთილად განგებითა ცხოვნდებოდა კაბუჯი ესე სათნოდ უფლისა. ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორციითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოველად კეთილ, სრულიად გვაპითა მრთელ და სულითა უძიწო... და აქენდა ხმისა ნეძიერობა და ტკბილობისა შეენიეუება, სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველი უდაბნონი კლარჯეთისანი. მცენარენი სულნელნი, ვარდნი მშვენიერნი, ფინიქნი კეთილნი და ზეთის ხილნი ნაყოფ-საესენი ზეთითა მით სიწმიდისათა ჰოხილნი...

თ ა ვ ი ბ

სახე კლარჯეთისა უდაბნოთა

ბუნებით ერთგვან არს ქვეყანა უდაბნოთა მათ. ყთოლად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიციხე შესწავას მის და არცა გარდარეული სიციხე შეაურევებს მყოფთა მისთა, არამედ განწესებოი დგას თვისსა საზღვარსა: უნოტო, უხორმაკო, უძიწო, მზუარე, რამეთუ კაცთა ნახჳნი ფერხთასა არაოდეს თიხიან ექმნებიან სლვასა მათსა.

ხოლო წყალი კეთილი და შუშა ნებისაებრ უნაკლულად აქვს, აღმოცენებული ქვიშათა მათ შინ. ურიცხვი მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰაპოთა. ბუნებით მთიარულება მიცემული არს ღმრთისაგან, და არს იგი უგზო და მიუვალ რაით-ურთით სოფლისა წყისთა მცხოვრებულთაგან, რამეთუ ლადოთა მათთა შინა მალალთა არს მკვიდრობა მათ და მორტყმულ არს ერთ კერძო მთა იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შერებებისა გარემოსლვა გარემოადგს

ხელდის სახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათთა მიერ და ხვევნებისა და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთასა. ხოლო სათესავი ყანა—და სათიბელი ქვეყანა რაით-ურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწვერვალთა მათ ლადოთასა. არამედ დიდითა შრომითა როკიკისა მისლვა აქვს კარაულისა ზურგიითა და მცირედ ვენახნი ჰირით და ურვით დაუნერგვიან და ვგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათა არს სიმრავლე ურიცხვი—და ამას ყოველსა თანა უშუშ არს გული მათი ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძრვისა ყანსა ხელმწიფეთა მტერობისასა და ესრეთ მრავლითა მშვიდობითა მყუდროებით არიან.

თ ა ვ ი ბ

ზენონ სამცხელი და დისა მიხისა მიჯნურობა

ზენონ შვილი იყო საჩინოსა ვისიმე კაცისა სამცხეს და ღმრთის მსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა, რამეთუ საღმრთო შიში მკვიდრ იყო მის შორის და სწავდოდა მონაზონება... და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი იყო ტრევეს ზენონსა და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მისთანა და ზენონ გულს ეტყოდა, რათამცა მამული და დედული მონაგები დასა თვისსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თვითმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაი იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეატუნა ვინმე უყეთურმან კაცმან და ლამე ყოველ წარვიდის შევეთს—ხოლო ზენონ ვითარცა ცნა, შეიკურა საჭურველითა მართოდ და ამხედრდა ცხენსა და დევნა უყო. და ვითარ დიდი ქვეყანა ვლო, თქვა გულსა თვისსა, ვითარმედ, ვერ მე კაბუჯ სახელოვან და რომელსა ვსდევ ფდ შეუროაც არს, დაღაცათუ ვეწო და მოვეკა, საბრზე არს სულისა ჩემისა და უკეთუ ცუდად უკუნ ვიქვე სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა, ად აღთქმა მონაზონებისა აწ აღსურული უფალსა“ და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებითა დაღაცება, სისხლთა დათხევასა ემზავსების და დაიწერა ჯვარი ხორცთა თვისთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა... ხანძთად, ადგილსა მას მწვენიელსა ღმრთისა მადლისასა და წყალთა ზედა განასვენებულთა სულისა წმინდისათა... ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და, ვიდრე აღსასრულამდე, არა განემორა ხანძთასა,

ქვემარტად სულიერი შეილი, მზგავსი მამისა, კეთილი მოწაფე, ნაცვალი მოძღვრისა, ნეტარი. სათნოებათა საუნჯე, მონაზონებისა წესი წმიდა. ელარჯეთისა უდაბნოთა ზღუდე .

თ ა ვ ი ლ

ამბავი აშოტ კურაპალატისა და დედა-
კაცისა მეძავისა

ხელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქვეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისა საცხოვრებლად დედუფლისა, მეუღლისა თვისისა და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელიწადთა. ხოლო აცთუნა მტერმან ხელმწიფე იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისა ციხესა მას შინა, რომლისათანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისა ფდ აზრუნდა, რომელსა პირველ არა აქენდა ეგე ვითარი ჩვეულება, ად ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმბრუნელი, შეწუნხა ფდ და აუწყა წმიდასა გრიგოლს დიდსა მას მოხუცებულსა, რომელი მკვიდრ იყო ეკლესიათა, რამეთუ იყო იგი ისწაულთა მოქმედ და პატრიკემულ ღვთისა და კაცთაგან და განზრახვითა მისითა ამხილა პირისპირ ხელმწიფესა მას, ხოლო მან აღუთქვა ცოდვისა მის განტყვება და დედაკაცისა მის წარგზავნა, ვინაცა მოეყვანა იგი და ვერ დაამტკიცა თვისი ბრძანება, რამეთუ დაეძინა გულისთქმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ეამი მარჯვე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო,—არტანუჯსა. დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისა და კაცი მიუვლინა დედაკაცსა მას ქამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიხეზი შეუთვალა, ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და მრავალღვრი სანოვავე წარსცა წმიდისა მისთვისა და მოწაფეთა მისთა და ვითარცა განთენა, ეკლად მიუვლინა კაცი რათა მთვიდეს ხილვად მისსა. მაშინ უფროისად განმზარალებული მსწრაფელ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მხეველთა თვისთა—რაინთამცა ღირს იქმნა ჯვარსა ნეტარისა მის კაცი-სასა. ხოლო მან არა დასწერა ჯვარი, ად უბრძანა განბორბებულად დაჯდომა და მოწაფენი კიდრად განდგვს წამის ყოფითა მოძღვრისა თვისისათა და ეპერეთვე მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰრქვა მას ნეტარმან გრიგოლ: „პოი, საწყალობელი! რასათვის შორის ცოლ-

ქმართა შთაპრილხარ წარსაწყემდელად ზენდა, საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რათმე მიხეზითა საფრხე ქმნულ ხარ დიდისა ხელმწიფისა“. ხოლო მან ცრემლით ჰრქვა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალვარ, ვინაიდგან გარდარეული სიყვარული აქვს ჩემდა მომართ კურაპალატსა და აწ არა უწყი, თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყვათა შენთამან შემძარწუნა ფრიად. ხოლო წმიდამან მან ჰრქვა: შეილო! იქმენ სრულიად ბორჩოლ სიტყვათა ჩემ გლახაკისათა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენინ შეგინდუნეს. და მან ჰრქვა: „წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უშჯობე ი სულისა ჩემისა იხრუნე“. მაშინლა ჯვარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეპურა მადლითა და მისცა თვისთა ხამლთა საბელი, რაოა სარტყლად შეირტყას და მან ყო ვგრეთ. და წმიდამან მან ჰრქვა: „შეილო ჩემო, დღეს იქმნა ცხოვრება სულისა შენისა, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიას წინაშე მოიყვანებ შენ“. და მან განიხარა ფრიად, ხოლო ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მხეველთა მათ მისთა წარსლვა ციხედვე და დედაკაცსა მას ჰრქვა: „შეილო ჩემო. წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩენისა“. და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვა ნეტარისა დედისა თანა იყო და შექვედრა იგი მას და ჰრქვა: „ილვაწე ესე, ჯვარი-საებრ ილვაწე და რაეამს ძიება ჰყოს კურაპალატმან, რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შემტსრვილსა“. ხოლო მან თქვა: „ქრისტემან კეთილად იხრუნოს მხეველისა თვისისათვის, რამელიცა ჰპოვა შენ მიერ, ღირსო მამაო“..

ხოლო რაეამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი და ვიოარ :რა პოვა, ფდ შეიურვა გულსხმა ჰყო რა ყოველ ი იგი ყოფილი საქმე და რამეთუ არა ღირითა რათმე კაცობრივითა მახეთათა იყო ტრფიალ მისა მიმართ ხელმწიფე იგი, ად ეშმაკისა მძინებებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავბო-ნეობა დაავიწყდეს და მსწრაფელ მოვიდა მერცხა, ხოლო ნეტარმან ფებრონია დავალა დედაკაცი იგი და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთის მშობლისასა და მიილო-ლოცვა დედისა ფებრონიასი, მაშინ იწყო სიტყვად: „უწყია მე და დედაო, რასათვის მოვედა აწ“. ხოლო მან ჰრქვა: „უფალმან იცის, რასათვის ჰბრძანებ აქა“ და მან ჰრქვა: „ამის მიხეზისათვის იქმნა მოსლვა ჩემი, რამეთუ სახლისა ჩენისა მეტურტლე ქალი იყო და გოველი მონაგები ჩენი

ხელთა მისთა იყო და მამასა გრიგოლს აქა წარ-
მოუყვანებია და ფრიადი დაგვაკლდა საფასეთა
ჩვენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ცხედ
პოვიდეს და უოველი მოგივითვალოს და კვალად
ოქვედავე მოვიდეს. ვითარცა უნდეს“. ხოლო
ფებრონია ჰრქვა მას მკვეთრ: მიხეზებად მიხეზთა
ცოფუასათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უფუჯ-
ლოებასა. ესე რა ესმა კურაპალატსა, სირცხვი-

ლეულ იქმნა მართლ-მზილებისა მისგან კდემული
და მყოვარ ეამ დადუმნა, ვითარცა ძლეული,
რამეთუ ხორციულად ძლიერსა ხელმწიფესა სუ-
ლითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეკურვილთა მათ
საღმბრთთა შურითა. ხოლო შეკურვებულმან
კურაპალატმან გულისა შეკირვებისაგან თქვა:
„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“-
ო და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა.

იოანე — ზოსიმე

ქება ქართულისა ენისა

დამარბული არს ენა ქართული დღემდემე მე-
ორედ მოსლისა მისისა (ქრისტესი) საწამებე-
ლად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ანბილოს
ამოთ ენათა. და ესე ენა მძინარი არს დღესა-
წამდე; სახარებასა შინა ამის ენასა ღაზარი
ჰქვიან; და ახალმან ნინო მოაქცია და ელინნი
დედუჯალმან ელენე—არიან ორნი დანი, ვითარცა
პარაა და მართა. და მეგობრობა ამისთვის თქვა,
ვითარედ ყოველი საიდუმლო ამის ენასა შინა
დამარბულ არს და ოთხისა დღისა მკვდარი;
ანისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რა-
ნეთუ .წველი ათასი. ვითარცა ერთი დღე, და

სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მა-
თესსა წერილი ზის, რომელ ასო არს და იტყვის
ოთხთასსა მარაგსა და ესე არს ოთხი დღე, და
ოთხისა დღისა მკვდარი,—ამისთვის ზისთანა დაფ-
ლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისათა,
და ესე ენა შერეული და კურთხეული სახელითა
უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოეღის
დღესა მას მეორედ მოსლევასა უფლისასა და
სასწაულად ესე აქვს ოთხმეოც და ათოთხმეტი
წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსლვიდ-
გან დღესამომდემე და ესე ყოველი წერილ არს
მოწამედ, წამოგითხრას ესე წილი ანბანისა.

ი ა მ ბ ი კ ო

აკროსტიხი „გ ე ო რ გ ი“

გუნდნი იგი ზეკისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ. მე უღირსი
შეგივრდები,
რათა ვიყო მათთანე შენგან უძაბ.
ესე შესხმა სულიერი, შენ მიერე მოცემული კაცთა მიერ მოღვაწეთა,
ფრიად სიბრძნით
გამოთქმით შეიწიოე ჩემ მიერცა კაცთმოყვარე.
ორთა მიერ ბრწყინვალეთა, ღმრთისა კაცთა სასურველთა, სიღრმითა მით
გულისათა
სათნოდ ღმრთისა შეკრებულნი, ვითარცა რა მარგალიტი ურიცხვისა
სასყიდლისა ჩვენ მოგვეცა, მორწმუნენო,
რათა ჩვენცა ვიხარებდეთ შეენიერად დატკობილნი ხნათა მათთა
სიმრავლითა,
გალობითა ბრწყინვალეთა, შესხმითა მით წმიდათათა,
რომლითაცა იდიდებ შენ, სახიერ.
გ:ნკვიმრავლე. ქველის მოქმედ, განძი ესე სულიერი, მოცემული შენ მიერი!
ბალსა მისსა მყვენ მიმწდომელ, რათა არა იყოს ჩვენდა აუბ.
იხარებდით მოძღვრებითა სულიერად შესხმისათა, ჰე კრებულო მსწავლულთაო!
ვწრთოდეთ რა სიტყვათა მათ გალობითა ხმენთა,
რომელთაგან იდიდების კაცთმოყვარე ღმერთი ჩვენნი.

იოანე მინჩხი

შესხმა მეფის თევდოსი

ქრისტეს მოყვარეო, თევდოსი!
ვერ შემძლებულ ვართ ჩვენ
შემხგავსებით ქებასა
საზნოვებათა შენთასა,
არამედ მაღლი შენი შემეწიენ
მგალობელთა და ვადიდოთ
ხსენება შენი!...

გვირგვინი სამეფუო
სალმრთოთაგან ყვეილთა,
როჰელი შეგიბხა
სიმდაბლემან შენმან,
ვერ დააქნო იგი
ამაღლებამან ხორციელებრმან,
რამეთუ უფროსათ მოიპოე
სრული სიმდაბლე,
ლირსო, თევდოსი!

ყოულადე
არა სადა შეაყრა თავი თვისი
თევდოსი
სამდიდრეთა მათ გარდარეულთა...
ყვავიან მარადის მართლმადიდებელთა მათ
ქრისტეს მოყვარეთა მეფეთანი
სალმრთონი სათნოებანი:
სიწმიდე, სიმშვიდე და სიმდაბლე
და გლანაქთ მოწყალება.

დაგამორჩილნა მდინარეიკა ქრისტემან,
ღმერთშემოსილო, დიდო თევდოსი!
მოუწერე შენ ნილოსსა
და მოუწოდე, რათა მორწყოს
ქვეყანა წყუროელი...

ეთარცა ეკლესიასტე,
იყავ შენ სიბრძნითა საესე,
მართლგანგებით მსაჯული,
ობოლთა მწყალობელი,
შემწე დაწუნებულთა
და მსაჯული ქვრივთა...

არა ხეილოდე მდიდართათანა,
არცა იქცეოდე უღირსთათანა,
თევდოსი!

არამედ დამდაბლი და აღგამალა ქრისტემან
საუდართა ზედა კალაქსა სამეფოსა...

დაღუა მდინარეთა ზედა
მარჯვენე შენი ქრისტემან,
თევდოსი!
და ყოველსა ქვეყანასა
განსცა ხმა შენი,
და ურიცხვსა იონთა ერსა
დასცა ხარი შენი
და შიშეულად გერჩუეს უოველნი.

აუროვნება პირისა შენისა
და სიმულე გემისა
წამებდა სულეერთა
სიბზნით შრომათა
შენთა, თევდოსი!
ხოლო სიმდაბლით ქცევა შენი
უბიწოებდასა შინაგანისა გონებისასა...

გარე წარხედ შენ
საწუთროსა საცდურთა,
დალათუ გაქენდა
სიმაღლე ხორციელი,
დიდებულო!
არამედ სულითა დამდაბლებულნი
მსახრებდი ღმერთსა.
არა შესცვალე
ტალანტი შენთა
სათნოებათა.
ღმერთმან მხოლომან
აღამალა რქა შენი...

ლირსო მეფეო,
სანატრელო თევდოსი,
მოგიგებს მეობად
მეფე ჩვენი, მადიდებელი შენი
და პატრიარქის დღესასწაულსა შენსა!
ითხოვე ქრისტესგან
და შენთანვე
გვირგვინოსან ყოს
სასუფეველსა!

იოანე მტკეპარი

ქრისტეს შობის საგალობელი

იხარებდით ცანი და იშვებდით ქვეყანა და ზღვა, მკვიდრთა თვისთა თანა დღეს ღირსად! ბეთლემე, განემზადე! და შეიმკვე, ქებაო! და შენ აწ, ბაგაო, შეიწყნარე ნათელი ზეცით! რამეთუ არღილი განქარდა, ღმერთი რა კაც იქმნა ჩვენთვის; ადამ ლალადებს ვეას თანა: „მოვიდა მსხველი მახოვრად ჩვენდა!“...

მოედით მორწმუნენო! აღმალლდეთ გონებთა და ვიხილოთ ქრისტე, ზეცით მოსრული! განვიწმიდნეთ საცნობელნი და შევიწირნეთ მისა სათნოებანი სულნელთა წილ და ხმა ვყოთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, სამებით დიდებულსა! მშვიდობა ქვეყანასა, რამეთუ დასცხრა წყევა პირველ...“

ისმინე შენ აწ, ცაო და ყურად იღე, ქვეყანაო! შიშით ძრწოდეთ საფუძველნი ქვესკნელიანი! რამეთუ ღმერთი უხილავი განხორციელდა

და რომელი ზის ზედა ქერობინთა, საშოსა ქალწულისასა დატენული, შობად მოვალს დღეს. პოი, სიღრმესა ღმრთისა სიბრძნისასა გამოუთქმელსა! რამეთუ ღმერთი განკაცნა უქცეველად, რათა განალმრთოს კაცება დაცემული...

ამისთვისკა იხარებდინ ცანი მაღალნი და გალობდით ქვეყანა! დაბერეთ ნესტესა საფუძველთა სოფლისათა და განსცხრებოდენ ზღვა ობრიტურთ და ყოველი რაი არს მას შინა! მწყემსნი ზეცისა მგალობელთა თანა ერთობით აქებდით და მოგვთა თანა სამეუფოსა ძლეუნსა შესწირვედით, წარმართთა ერნო მუუფისა! და ერთობით ყოველნი შესხმითა მით სულიერითა უღალადებდეთ ჩველად შობილსა ახალსა ყრმასა და ესრეთ ვიტყოდით: „გამოუთქმელო, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა!“

შობის საგალობელი

ი ა მ ბ ი კ ო

იხარებდით ცანი ქვეყნისათა თანა, რამეთუ დაზბადებელი იხილვა დღეს ქებასა შინა შეხვეული სახვეელითა, რათა შეკოდებათა ჩვენთა საკრველნი განსნენს წყალობით და წარმიძლევს ჩვენ ზეცად.

მზიარულ იყავ ქვეყანაო, რამეთუ ცამან ანგელოზნი წარმოადგინა დღეს ხარებად შენდა მშვიდობა, მოსრული მალლით, და დიდება ზეცისათა კაცთა შორის, აღმოფხვრად წყევა და დანერგვად კურთხევა.

უცხო არს სახე შობისა და საშინელ სომღიდრე შენისა სახიერებისა, რამეთუ რომელი ღმერთ ხარ ბუნებითა იქმენ კაც ნეფსით და შეიმოსე ხატი, რომელ დაბადე და აცხოვე მოწყალე!

აჰა მუცელი, რომელსა აქვს სიმაღლე და სიგრვე ყოვლად უზეშთაესი ცათა, რომლისაგან ადამეან იქმნა ღმერთი და აღმოყვანა ჩვენ მანისა თვისისა და განალმრთო კაცება, რომელ მიილო.

იხარებდ ბერწი ეგე, რომელი არა შობდ და აღყვავილდი უდაბნო კმნული ეგე, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა ხორციტ დღეს, რომელმანცა აღმავსო ნაშობითა და შეილთა თანა სიხარულით ადიდებდ.

შენ ღრუბელსა, ღმრთის დამტკვენელსა, გიგალობთ რომელსა ზედა უფალი გარდამოხდა საშოდ შენდა, ყოვლად უბიწოო სძალო, და განმანახლნა ჩვენ პირველსავე სახესა უხრწნელსა ნოწყავლებით, ვითარცა ღმერთ არს.

მიქელ მოღრეპილი

შესხმა მოწამისა აბოსი

... გიხაროდენ გამორჩეული მალისა მიერ, სულსა წმიდისა გაბრწყინებულს, ზეცას უხორცოთა გუნდსა თანა შეერთებულს, მოწამეთა და მართალთა შორის ქებულს, ეკლესიათა შენიერო სამკაულს, მარტილთა სიკადულს, მეფეთა სიხარულს, მორწმუნეთა შემწეოს, ახოვან მოღვაწეოს, აბო!

გამოჩნდი ვარსკვლავად მნათობად, განმანათლებლად ქართლისა, ნეტარო, და ღვაწლი შენი უფროს ნათელსა მზისასა ბრწყინვალედ გამოჩნდა სახედ ელვისა, ბრძენო, საცნაურად სამყაროთა ზესკნელისათა, სახილველად ყოველთა კიდეთა ცისათა...

მკვიდრად აღთქმისა გამობრწყინდი და ძედ ზეცისა ჩინებისად იწოდე. ნაშობად აბრაამისა იქმენ ნეტარო, ისაკ მეორე, ნეფსით მოკვირილი დაქვლად, შესაწირავად უფლისა. სულად სულნელად გიკნა, ღირსო, ეკლესიამან და ვინთა შეილთა თვისთათა ხმობს ღვაწლთა შენთა სიმხნესა, რომელიცა შეიგო სახედ ძოწეულისა და განშვენდა ბრწყინვალედ სისხლითა შენითა, მოწამეო...

მიერულა გონებისა სობრმითა აგარეანთა ერსა, რომელთაგან გამოჩნდა, ვითარცა რა ვარდი ეკალთაგან, დაუტევა შჯული უნდო და შეიყვარა სარწმუნოება, ქადაგებული მოციქულთა...

ბნელთა მათ აერთა, ღრუბელთაგან უნაყოფოთა, ვითარცა ვარსკვლავი გამობრწყინდა ქრისტეს

ტეს მოწამე და არეთა შინა ჩრდილოსათა მზეებერ გამობრწყინდა ნეტარი აბო და ჰნათობს ქართლისა მკვიდრთა.

ყვავილი სულნელი ძირთაგან უნაყოფოთა გამოჩნდა ფერთა მით მეწამულითა და სულმან წმინდამან აღოცა ზეცად გონებითა და მუნ უტყენა შეება წმიდათა ყვავილევანსა.

აღზნეს გულის წყრომითა უღმრთონი ისმაიტელნი აბოსთვის მოღვაწისა და ეტყოდეს მსაჯულსა: წარწყმიდე მაცთური ესე და მხდომი შჯულისა ჩვენისა!

მოყვანდა ვითარცა კრავი ნეფსით თვისით დაკლავად ქრისტესთვის. გზასა მას წამებისასა განსცხრებოდა სიხარულით, მოუდრიკა თავი მახვილსა და შევედრა სული უფალსა...

გამოჩნდა ზეცით ვარსკვლავი მოციქნარე, ღამესა ბნელსა მზეებერ ბრწინვალე გვამსა ზედა ქრისტეს მოწამისასა პატივად ღვაწლთა აბო მხნედ მოღვაწისათა.

შეკრიბნეს ძვალნი ახოვნისა აბოსნი და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, ხოლო იგინი ბრწყინავდეს წყალთა შინა, ვითარცა მთიებნი ყოვლად მნათობიერნი...

უძლეველო მოწამეო! სრბა კეთილად აღასრულე და აწ მკვიდრ ხარ ნათელსა გამოუთქმელსა, ევედრე ქრისტესსა, რათა დაამხენეს მტერნი ჩენნი აგარეანნი...

აღღგომის საგალობელი

ი ა მ მ ბ ი კ მ ნ ი

ყოველსა მუხლსა ა შეტყვება აქვს ე ჯერ იბ.

თქმულნი ორმოციისა, ათისა, ექვსასისა, ერთისა, ხუთისა და ოც-და-ათისანი

მხოლოდ შობილო ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო! რაუამს ხორციითა აღმაღლიდი ჯვარსა ზედა, უბიწოთა მით სისხლითა მოყოფდი და დაიწინდე ეკლესია წარმართთა, ვითარცა სძალი უკვდავან მეუფემან.

მხოლოდ შობილო ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო! რაუამს დაიდდე ნეფსით თვისით საფლავსა, საფლავით მკედარნი აღადგინენ ზელმწიფედ, რამეთუ მიხვედ სულთა საპყრობილესა და შეწყდომილნი მას შინა გამოიხსნენ.

მხოლოდ შობილო ქრისტე, ლეთის სიტყვაო!
რამეს უკედავი ლმერთი ასდგე საფლავით,
დახსენ სიკდილი, განაქარე ბრწინილება
და მორწმუნეთა მოგვამადლე უბრწინელება
და უკედავება მოკედავეთა მოგვანიკე.

მუცლად გილო შენ უძღებმან ჯოჯოხეთმან
ღებრთი ყოველთა. უმეკრებით, სახიერ,
და ვერ შეუძლო, უბრწინელო, გახრწნად შენდა,
ვერცა გეუფლა მთავრობა სიკედილისა.
უკედავებისა მფლობელო მეუფეო!

განუხოზელმან მოწყალეებამან შენმან
და უაღრესმან სიტკებოვებამან, ქრისტე,
აღგბრა, სახიერ, დაბადებულთა შენთა
წყალობისათვის. იშუე ხორციითა ვნებად,
მოხედე ჯვართითა და მიხსენ ვნებათაგან.

აკროე, ქრისტე, ცეარი ცხოველსყოფელი
უნაყოფოსა სულსა ჩემსა, სახიერ,
და დაპირტე აწ შემწველობა ცოდვისა
ნაკადულითა სისხლისა და წყლისათა,
რომელი გვერდით შენით გარდამოეცა.

სტეფანე ჭყონდიდელი, სანანოს კე

შესხმა სტეფანე პირველ მოწამისა

ტალავარნი ზეცისანი
განგებუნეს შენ ზესენელისანი,
სტეფანე. და იხილენ საყდარნი
და ერნი ნათლისანი,
ზეშთა კრებულისანი,
მაქებელნი მამისანი,
ძისა და სულისა წმიდისანი.

ეჭა სრული სათნოებითა,
საესე იგი სასოებითა —
სანატრელი სტეფანე სარწმუნოებითა,
მამისა აღსარებითა,
ძისა დიდებითა,
სულისა წმიდისა მადლითა,
სამებისა ქადაგებითა.

ფარისეველმან მოწერნემან
და შეზდგომად კურმან რჩელმან
სიკედილდ მისცა სტეფანე პაულე მოციქულმან,
ხოლო ერმან უწეჯლომან,
კრებულმან ამაჲმან
ქვა დაკრობა უწყალომან
და გეორგიონოსან ჭყო უფალმან.

ანგელოზნი აღიარებენ,
ადამეანნი ადიდებენ,
ლეწლსა შენსა, სტეფანე, აქებენ
მღუდელნი და დღესასწაულობენ,
მთავარნი უგალობენ,
მეფენი იხარებენ
და მეოხად აღიარებენ.

ნათლისა წარუელისამან
მოწამეთა მათ წინამძღვრისამან
წამა იე მარჯულ მამისა პირველ მოწამემან,
მასწაულელმან მარტიკილთამან,
მოლეაწემან მწირთამან
მომღეარმან მოლეაწეთამან
და მეოხმან მორწმუნეთამან.

ერი ბრალსა დასდებდა
და კრებული ქეასა დაკრებდა,
ხოლო წმიდა სტეფანე ქრისტესა აღიარებდა,
სიკედილსა მას იხარებდა,
სულსა შევედრებდა,
ერისათვის ევედრებოდა
და გეორგიონოსან იქმნებოდა.

ფილიპე

ფესეთა მათგან ოკროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,
 იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმრთის-მშობელო,
 ღამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეკებეთ, დედოფალო,
 ითხოვე შენ მოტევება ბრალთა ჩენთა, დიდებულო,
 პატიოსან და წმიდა არს სახლი შენი, სანატრელო,
 ეკლესია ბეთლემისა ცათა მზგავს არს, უბიწო.
 ღუნებათა შემოქმედი ვიკანთ შენგან ჰე, ბეთლემო,
 ემზგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა ჰე, წმიდაო,
 თაყვანის ვცემთ ქვაბსა მაგას დიდებულსა ჰე, უბრწელო,—
 ლოცვა ჩვენი შეიწირე ბაგასა მას მწოლარეო.
 ეც მოსავთა შენთა პოვნა წყალოზისა სახიერო,
 მადლი შენი მფარველ მეყავნ მე უღირსსა, მოწყალეო,
 ისმინე დღეს თხოვა ჩემი ცოდვილისა. მწყალობელო!

გიორგი მთაწმიდელი

მწუხრისა ზარი

დაწერილი ბერძნულად

(გარდათქმა კოზლოვისა, თარგმანი განდევილისა)

მწუხრისა ზარი, მწუხრისა ზარი!
 რაოდენ ზრახვით აღმძვრელი არი!
 იგი მაგონებს სიკვაბუკის დღეს,
 სამშობლო მხარეს, მშობელთ სავანეს.
 როს სამუდამო განშორების ჟამს,
 უკანასკნელად ვისმენდი ამ ზარს...

ველარ ვიხილო მე დღე ნათელი,
 სიყმაწვილისა ჩემის მხიბველი,
 და რამდენია აწ მიწად ქმნილი,

იმ დროინდელი ტურფა ყმაწვილი.
 მათ ღრმა ძილს ჰფარავს შავი სამარი,
 მათ არ ჩაესმით მწუხრისა ზარი!..

დაე, მეც ვიწვე ცივსა სამარეს!
 ჩემს საფლავზე თქმულს მწუხარე ჰანგებს,
 ხეობათ შორის გაჰფანტავს ქარი.
 იქ კი გაივლის სხვა მომღერალი
 და, მე-კი არა, იგი იმღერებს
 დაფიქრებული მწუხრის ზარის ხმებს.

გიორგი ხუცეს-მონაზონი

XI—XII საუკუნე

გლოფა გიორგი მთაწმიდელისა

აწ მინდეს ცრემლი იერემიას გოდებისანი და უკეთუ სხვაგანცა ვინმე სანატრელთა მათ კაცთაგანმან სიდიდე განსაცდელისა სადამე იგლოვა! აწ მოვედ ჩემდა, ჰოი, რაქაელ, დედაო ბენიამენისო, სტიროდე შეილთა შენთა და ნუგეშინისცეპასა ნუ მიიღებ, ნუ ვითარცა ბეთლემის ყრმათათვის, რამეთუ ივინი ღვთისა შეიწირნეს, არამედ ყრმათათვის, რომელნი ორსავე სიყვდილსა თვალით ხედიდენ—სულისა და ხორცთასა და არა აქვს ნუგეშინისცემელი, რამეთუ ერთი აქნდნა და იგიცა მიეფარა. ამისთვის სტიროდე, ჰოი, რაქაელ, ვითარცა არა არიან, ხოლო მე ესრეთ ვიტყოდენ ძმათა მიმართ ჩემთა და ყრმათა შოძღვრისა ჩემისათა:

„ვაიმე, ვაიმე, ძმანო ჩემო პატიოსანნო, აწ დაგვეხმა პირი იგი, რომელი გვაწვრთიდა დღე და ღამე სჯულსა უფლისასა, წარვიდა გონებისა განზრახვა კეშმარიტად ღვთისა მიერ აღძრული, დაწუნხა თვალი იგი მართლიად მხედველი და განმრჩეველი კეთილისა ბოროტისაგან და უმჯობესისა უღარესთაგან და დაღუმნეს ბაგენი იგი, მცველი სჯულისა უფლისასა; შეიკრა ენა იგი, ოქრო სიტყვა და საღმრთოთა ბრძანებათა ხმა მაღლად მაღლადგებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღვთივ სულიერთა წიგნთა; დაუდნა ხელი იგი შევნიერად მწერალი, რომელითა განანათლნა ეკლესიანი ჩვენნი; დადგეს ფერხნიცა იგი შევნიერნი, განკაჟულნი ღამის თევთა შინა ზედგომითა; დაუდნა გონება იგი, მხილველი და სიღრ-

მეთა სულისათა გამოძიებელი; დაიფარა მიწასა შინა გვაში წმიდა, მოღვაწებისა შრომითა განლელული! „ზედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩვენნი? მენება, უკეთუმა შესაძლებელ იყო, განძლიერებად უძღურება ჩემი და ამაღლებად სიმაღლესა მას თანა განსაცდელთასა და აღმტევებად ხმისა რაისამე, ვნებისა ამის შემსგავსებულისა, ვითარცა ყვეს ობოლთა მათ და ხშირთა მაღლითა განსაცდელსა მოძღვრისასა იგლოვდეს, არამედ რაიმე ვყო, გინა ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყვისა, რა იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმეთა რათამე საკრეულითა რკინისათა შეკრულ არს, ანუ ვითარ აღვლო პირი უტყვებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ხმა ვენებითა და გოდებითა ძალისა თვისისაგან დახსნილი, ვითარ აღვიხილნე თვალი სულისანი, განსაცდელისა ამის აღმურითა დაბნელებულნი! ვინმეა განმობნია უკუნი ესე და წყვედიადი მწუხარებისა ბნელი და მიჩვენამეცა სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მშვიდობისა! ანუ ვინ მოგვიწინოს ჩვენ შარავანდელი, ვინათგან დახვდნათობი ჩვენი! ეჰა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩვენი დახდა!

ეჰა, ვითარდა იქმნეს ჩვენდა ადგილსა ამას წინა უკმო სიტყვანი ჩვენნი და საქმენი, აწ და პირველ ამისსა, რამეთუ პირველ, ვითარცა მექორწინენი, განუცხებოდეთ, ხოლო აწ, ვითარცა საწყალობელნი, გლოვისა ამისთვის სულთ ვითქვამთ! ანუ თუ მცირე არსა ჩვენ ზედა მოწვეწული ესე ბოროტი? ანუ

ამოდ ნუ ვიტყვება და განვიწირვით!
ანუ თუ უფროსლა ვერ მივსწვდებით
თავსა ამის ვენებისასა, დალაცათუ უფროს
ავამალღნეთ სიტყვანი და ხმანი ჩვენნი!

გვეავსხენით უკვე, ძმანო, გვეავსხენით
კრემლნი წყალობისანი, რამეთუ ოდეს იგი
იხარებდით თქვენ, სიხარულსა თქვენსა
გეზიარენით ჩვენ! აწ უკვე მომაგეთ ჩვენ
ბოროტი ესე ნაცვალი, სიხარული მოხა-
რულთა თანა მოგვეცი თ ჩვენ, ტირილი
მტირალთა თანა მომიზღეთ ჩვენ!..

შვილნო და მოწაფენო ამის ტკბილისა
და საიხერისა მამისანო! აწ მწარედ და-
ობლემულნო, მცირედ ალყევებულნო,
ხოლო აწ მსწრაფლ დაქნობილნო, ბრწყინ-
ვალედ განათლებულნო და ბოროტად
დაბნელებულნო!

ამიერითგან მოუწოდოთ დედათა მტი-
რალთა, ვითარცა იტყვის იერემია, რა-
მეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა
მიერ შეპყრობილისა და აღესებულისა
გულისა სხვათა ოხითა ნუგეშინისცემა
შეუძლებელ არს, არა თუ კრემლთა მიერ
და სულთქმათა აღსუბუქნეს! უტევეთ
უკვე, ხუგეშინისმცემელნო, უტევეთ და
ნუ განამრავლებთ ნუგეშინისცემასა, რათა
წრტიალად და მწარედ იგლოვონ ობოლ-
თა ამათ და გულისხმაყონ დაქირვება
ესე, რომელი დაჰქირდა მათ!

მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაელნიცა,
რამამს იგი აღიტაცა ზეცად ელია, არა-
მედ ნუგეშინისცემად განშორებდას მისსა
ელის ზალღნთა მოძღვრისათა შემო-
ბილი, ხოლო აწ საღმობა ესე ზეშთა არს
კურნებასა, რამეთუ ელია ამაღლდა და
ელისე არა დაშთა! უწყი, რამეთუ არა უმე-
ცარ ხართ სიტყვათა მათ და ხმათა იერე-
მიასთა, რომელთა იგი იტყოდა გოდებით
მოოხრებისათვის იერუსალიმისა, რამეთუ
სხვათა მათთანა გლოვათა ესეცა შესძინა
და თქვა, ვითარმედ „გზანი სიონისანი იგ-
ლოვდითო“, და ესე სიტყვა მაშინ ითქვა
მის მიერ, ხოლო აწ ჩვენზედა აღესრულა.

რამეთუ რამამს განითქვის ამბავი ესე
საგლოველი, მაშინ აღივსნენ გზანი უდა-
ბნოსანი გოდებითა მგლოვართათა და
მოწაფენი მისნი, შეწუხებულნი მწუხარე-
ბითა, ხმასა მას ნინეველთასა აღუტეობ-
დენ, უფროსლა უმეტეს მათსა ტკივნეულ
იყვნენ და საწყალობელ, რამეთუ გოდე-
ბამან მათმან შიში იგი დაქცევისა და-
ხსნა, ხოლო ამათ ბოროტთა დახსნისა
არცა ერთი აქვს სასოება თვისთა ამათ
გოდებათა მიერ.

ვიცი სხვაცა რამე გოდება იერემიასი,
შემსგავსებული წიგნსა ფსალმუნთასა, რო-
მელი იგი წარტყვენისათვის ისრაელთასა
შემზადა, რამეთუ იტყვის, ვითარმედ
„ძეწნთა ზედა დავეკიდენით ორღანონი
ჩვენნი“, რამეთუ ღუმილისა მიერ თავთა
თვისთა და ორღანონიცა თვისნი დასაჯ-
ნეს. ამას უკვე გოდებასა მეცა განვი-
ჩემებ აწ და ვიგლოვ უფროს მათსა, რა-
მეთუ ვზი მდინარეთა ზედა ცოდვისათა,
და მათგან წიად მყვანებელი ჩვენი არა
მაქვს, და ორღანოთა წიგნთა საღმრთო-
თასა დავეკიდებ ღუმილისა ძეწნთა, რა-
მეთუ იტყვის მოციქული პავლე: „უკეთუ
თარგმანი არა იყოს, მკითხველი ღუმენო“,
რამეთუ ძეწნი ხე არს უნაყოფო და, ვი-
ნათგან დაცვივა ტკბილი იგი ცხოვრე-
ბისა ჩვენისა ნაყოფი, არა ძეწნი ვიქმნეთ
უნაყოფო, ჰე კეშმარიტად, და უქმად და
უძრავად ორღანონი იგი მეტყველებისა
ჩვენისანი ღუმილისა მიერ შეშთა ზედა
დაჰკიდენით!

ხოლო არავინ არს, რომელმანცა მი-
ილო ნაწვეთი ერთი წყლისა და განა-
გრილა ენა ჩემი საღმობიერი და შემ-
წვარი ცეცხლითა მწუხარებათათა! წარ-
ხდა შევნიერება იგი საწადელი და და-
ღუმნა ხმა იგი სავეს სიტკობებათა, დაიყ-
ნეს ბავენი იგი ღეთივ ბრწყინვალენი,
აღფრინდა მადლი იგი განმამრძნობელი
ჩემი. სადა არიან თეაღნი, ზეცისა საი-
ღუმლოთა მხედველნი! სადა არიან ყურნი

იგი საღმრთოსა მის ხმისა მსმენელნი! სადა არს ენა იგი წმიდა, ტკბილად მასწავლელი ცოდებათა სინანულსა! სადა არს ტკბილი იგი მყუდროება თვალთა მისთა! სადა არს წესიერი იგი ღმნილი ბაგჯათ მისთა! სადა არს საწადელი იგი მარჯვენე მისი, რომელი უკრთხვევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თვისთა ჯვარის წერითა დაბეჭდვითა!

არამედ აწ გვედრები, შემაშერენით მე ცრემლნი ჩინნი, დააცხვრეთ გონება ჩემი, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმპიძითა დედათა მივემგზავსები, არამედ მოვედით ამიერიდან და განუსვენოთ სასმენელთა თქვენთა გლოვისაგან და გოდებისა ობოლთასა, დამაშურალთა და საღმრთოთა თხრობათა და ნუგეშინისცემისა სიტყვათა მიმართ მივაქციო გონება თქვენი, დალცათუ რაქაელ ლალადებს, რომელ არს ეკლესია და ხმობს ძლიერად და გოდებს დაობლებინათვის შვილთა თერსთასა.

ვინაცა ჯერ არს, რათა ამიერიდან მოვაქციო აფრა სიტყვისა ჩემისა და საეკლესიონი სიტყვანი აღმოთქვენე.

რამეთუ არა მიგველო ჩვენ მოძღვარი ჩვენი, არცა წარვიდა ჩვენგან, არამედ შორის ჩვენსა მდგომარე არს, დალცათუ ჩვენ არა ვხედავთ მას და წმიდასა მას შიდა წმიდათასა შევიდა მამა ჩვენი და შინაგან კრეტ-საბმელისა, სადა იგი წინა-შორბელად ჩვენდა შევიდა ქრისტე, დ-ლცათუ დაუტევა კრეტ-საბმელი იგი ხორცთა მისთა, არამედ არღარა სახით და იგავით მსახურებს ზეცისათა მათ, არამედ თვით მას ხატსა საქმეთასა განიცდის, არღარა სარკითა და სახითა, არამედ პირსა ღვთისასა პირისპირ ხედავს და მეოხ არს ჩვენთვის წინაშე მისსა შვილთა და მოწაფეთა თვისთათვის.

განიძარცვა უკვე ტყავიჲ. სამოსელნი, და რამეთუ სამოთხისა მკვიდრთა არცა

თუ ეხმარებიან ესე ვითარნი სამოსელნი, არამედ იგი სამოსელნი ჰმოსიან მას, რომელნი იგი სიწმიდათა ცხოვრებისა თვისისათა უქსოვნა თავსა თვისსა და მოიხვენა ღვთისაგან. კეშმარიტად, ესე ვითარისა კაცისა სიკვდილი პატიოსან არს წინაშე ღვთისა და უფროსლა, აწცალა თუ სიკვდილი არს, არამედ განხეთქა საკრველთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «განხეთქენ საკრველნი ჩემნი», განტევებულ იქმნა სიმეონ და განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ხორცთასა, საბრხე შეიმუსრა და ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხოვრება ესე ნივთიერი და წიაღავლო არა თუ ზღვა იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყვდიადი ზღვა ამის საწუთროსა, შევიდა ქვეყანასა მას აღთქმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი, მათსა მას ზედა სიბრძნის მეტყველებს ღვთისა თანა, წარიხნა ხაზლი სულიერი და რათა საღმრთოთა მით ღვითა გონებისაჲ, წმიდასა მას ქვეყანასა შინა უნივთოდ იმოთხვიდეს, რომელსა იგი შინა იხილვების ღმერთი და თვისთა საკუთართა ხედავს და განუსვენებს...

ხოლო აწ მელნითა ოდენ ცხოველითა სიტყვანი იგი მომისახვან, ხოლო შენდა დამრტევებიეს (ამით გიორგი ზუცეს-მონიზონი მიმართავს გიორგის, შავი მთის მოღვაწეს) პოი, მოძღვართ წინამძღვარო, რათა შენ კეთილად შეამკო და განაღბადო ჩემ მიერ გამოსახული ესე და ნაკლულოვანება ყოველივე, ვითარცა აღმასრულებელმან სულიერთა ფიცართაგან, სრულჰყო. ოქრო სიღრმეთაგან ქვეყანისათა აღმოღებული, ბრწყინვალე ბრძმედისა მიერ გამოცდილი და განწმედილი კეთილად შეენიერ იქმნების და კონლიოსა სისხლი ღებავს, პორფირსა ღ მარგალიტსა იქმს ზამბიკი ზღვისა, ესრეთ იქმნების ქვა, და აბრეშუმსა გამოიღებს მატლი უნდო.

და პინა ზღვისა უცხო სახესა ნაყოფსა გამოიღებს, ესე მრავალ სასყიდლისა საფასენი უნდოთაგან ნიეთთა გამოვლენ! ხოლო ჩვენ შორის არა რა პატიოსანთაგანი იპოვა, რათამცა სულიერი ესე კარავი შეეშკო, გარნა მხოლო ბალანნი თიკანთ მზგავსისა ამის გონებისა ჩემისაგან მოპარსული. არამედ ძოწეულმან და პორფირმან თქვენმან განაშვენენ იაკინთისა თანა და ბისონისა, ოქრო შეთბ-

ზულმან და ზემო აღწერილთა მიერ ნიეთთაგან პატივემულმან და განბრწყინვებულმან, გულისხმის ყოფისა გამოცხადებისა და ქეშმარიტებისა მიერ განსვენებულმან, ბრძანებისამებრ ლეთისა, რომელსა შეენის დიდება და სიმტკიცე თანა მხოლოდ შობილით ძითურთ და ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ღ ა ვ ი თ მ ე წ ე ა ლ მ ა შ ე ნ ე ზ ე ლ ი

გ ა ლ ო ბ ა ს ი ნ ა ნ უ ლ ი ს ა

გ ა ლ ო ბ ა ა, ს ძ ლ ი ს - პ ი რ ი

წამის ყოფითა, ღმერთო, ბუნებანი მდინარენი ზღუდელ აღამალღენ და მას შინა ვანიყვანე ერი ისრაილთა ხმელად და გიგალობდეს გალობასა ძლევისა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

რომლისა წინაშე ქედ დადრეკილ არს ყოველი, მუხლი მორაკების და ენა ყოველი შენსა ხმობს აღსარებასა; მეცა, სიტყვაო, აღმსარებელსა მომხედენ.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

გ ა ლ ო ბ ა ბ, ს ძ ლ ი ს - პ ი რ ი

ხატსა თვისსა მამსგავსე და საკრეველად გრძნობადისა და გონიერისა მეუობისად დამიწესე, შენებრ არსთა სიტყვებისა ჩემ-შორისცა შეკრებითა; ხოლო მე უმადლო გექმენ.

ბუნებითნი რა ძალნი არა ჰაჯულთაებრ ვისმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დაებადე ბოროტი, ხოლო ბილულთა-მიერსა გემოვნებასა ვრცელად განუხვენ გრძნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყვა განაზრქე ხორცითა დაცვითა მიწისათა, სიზრქე უსასოებისა განსძარცვე ჩემგან, რათა მონანული შეგივრდე შენ.

გ ა ლ ო ბ ა ბ, ს ძ ლ ი ს - პ ი რ ი

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, ყოვლისა დამბადებელო, რომელმან სიტყვით დამყარე ცანი მალაღნი, ყოველით ძალით მათით, და სულითა მით სამღრთოთა, დამამტკიცენ ჩვენ ერთობით კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ბუნებითსა მას პორფირსა თვითმფლობელობისათანა, მეფობისაცა თანა შარავანდლენი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მიეყიდე თავი, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ, მისდაცა მონებულ-არინა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

კენის მკვლელობრი ცნობა, სვითის ძეთა ლირწება, გმირთა სილოდანი, მავლობა ხუთქალაქელთა, შეგინებისა მწვი-

რე უფროსად ვამრავალწილე, ვითარ-
ცა რა დაღმართ მსარბოლჰან მდინარე-
მან უქეთურებისამან.

მეგვიპტური გულ-მძიმობა, ქანანელთ
ჩეულებანი, მსხვერპლთა ნაშობთა ზმნა
და სახრვა, კოწოლი თმათა და სხვანი,
რომელთა შენ ბრძანე არა მსგავსება,
უწარმდებესად მოვიგენ, თვით მათ პირ-
შროთა სახეთასაცა.

ამისთვის იყო ქალწული და ხორც
ქვეყანა სიტყვისა, რათა დედობრივთა
ოხათა-მიერ ცხონდენ ცოდვილნი, რო-
მელთა პირველი მე ვარ, ვითარცა უფს-
კრული, შესაკრებელი ბილწებისა ღვართა.

გალობა დ, ძღლის პირი

რატემს ესმა მოსვლა შენი წინასწარ-
მეტყველსა, ქრისტე, განკვირვებით ლა-
ლად ჰყო: მესმა მე სმენა შენი, უფალო,
რამეთუ მოხვედ ქვეყანად, რათა აცხოვნ-
ნე დღეს ცხებულნი შენნი.

მიწყალე ე, ღმერთო, მიწყალე მე!

ისრაილისა მეფეთა ვბაძევედ, გარნა
უსჯულოთა და რავდენ მეძლო, ვსცდებ-
ბოდე მალალთა ზედა კმოლისა და წარ-
მართთა აღრევისა—მიერ და ძალთა ცი-
სათა თაყვანის ცემისა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ზენაისა მოძრაობისა ასურისტანელი
ძმნობა და ცთომილთა ვარსკვლავთა და
უცთომელთა კრება და განყრა, სვე და
ბედი და შობის დღე, ვითა სამღრთოთა
უსმენელმან ვიჩქურენ.

ელლინთა მიერი ვერცნობა სიბრძნე-
თა ღვთისათა, ღვთისა და შემოქმედისა
შექმნულთა მიმართ ცვალება თაყვანის-
ცემისა სრულ ვჰყავ, რა ჟამს თვითოეუ-
ლისა ვნებისა კერჰსა ვმონე.

ამისთვის ღმერთ მამაკაცებრ მომქმე-
დი იქმნა ზესთა ღმერთი, რათა კაცებრ
უწყოდის ვნებანი ჩვენნი და ღვთაებრ
ისხნიდეს ბრალთაგან, რომელთა ღვთის
მშობლად ჰქადაგონ წმიდა ქალწული.

სგალობა ე, ძღლის სპირი

შენდა აღვიმსთობ, რომელმან წყალო-
ბით მიეც სული შენი დაცემულთათვის
და ნებსით ვნებად გარდამოხედ სიტყვა
ღვთისა, მშვილობა შენი მომეც ჩვენ, ვი-
თარცა კაცთ-მოყვარე ხარ.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე

ჰსჯულნი დავთრგუნენ წიგნისა და ახა-
ლი ბუნები-თურთ და კვალად ჰსჯულისა
შენისა მოწამე, ჰსჯული გონებისა ცოდ-
ვისა და ხორცთასა ჰსჯულსა დავაშონე.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

თვითოეულთა მხეცთაგან შეზავებ ულსა
მხეცსა ვემსგავსე მრავალ გვარად და მრავალ
ხატსა და სხვა ჟამ სხვებრად სრულ-
სა და მკენარსა ბუნებისაებრ თვითოე-
ულისა.

არა შევძწურნდი მანგლისაგან მფრინ-
ველისა, რომელი შურსა სიკვდილისასა
მისდის, რომელნი ჩემებრ მიმდემად ცრულ
ფიცვენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

ამისთვის სისხლთა ქალწულებრივთა-
გან ხორცი ღვთისანი და ახალი შეზა-
ვება, ღმერთი და კაცი, რათა იოხდეს
დედა ჩემებრ განწირვით უსასო ქმნილთა.

გალობა ვ, ძღლის პირი

დანთქმული ღელვითა სოფლისა ამის
განსაცდელთათა, ნავითა ცოდვისათა
ჰშთავრდომილი და მიგდებული მხეცსა
სულთა მომსრველსა, გილაღადებ ვითარ-
ცა იონა, ხრწნილებისაგან და სიკვდი-
ლისა მიხსენ, ქრისტე.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

სოლომონისა წურბლისა ვერ მაძღა-
რი, სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ და
დასაპყრობელად ჩემისამდე უძღებებისა
და გულის-თქმისა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ბოროტად გარდაეხედ საზღვართა და
შევერთ სახლი სახლსა და აგარაკი აგა-
რაკსა და უუძღურესთა მივხვეკე ნაწი-

ლი მათი და ვიღწვიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო მკვიდრობდი ქვეყანასა ზედა.

მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა ჰსჯულისა შენისათა, ქორწილთა მიერ ხენეშთა ვიმძღავერე საწოლსა ჩემსა და სხვათა ბოროტთა მიცემითა ვაცოდე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მათ ისრაელი.

ამისთვის ქალწული დედა და შობა ახალი სიტყვისა, რათა ახალი ხატ-ყოფა მეორედ მისცეს ცოდვით განმრყენელთა მისთა დედობრივთა, რათა ოხათა ბრძმედითა დაადნოს ხენეში-ნივთი შეცოდებისა.

გალობა ზ, ძლის პირი

ყუმათა ბაბილონს, სახმილსა მას შინა ცვარი ეცვრია ზეგარდამო, ლეთისა მიერ ლალადებდეს და იტყოდეს, კურთხეულხარ უფალო მამათა ჩვენთა, ღმერთო უქუნიანამდე.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ვეცხლი, ვითარცა მიწა, და ოქრო, ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯენ და თაყვანის ვეც ანგარებისა მამონას, ვითარცა იგი ძველთა მათ ბაალს, ასტარტეს და ქამიოსს საძაგელსა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

სიტყვა წმიდა და ბქეთა ზედა გამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქნელთა ძმატული სივერაგე ვითენი და შემასმენელთანი დაეიტკებენ ზრახვანი და ცრუნი განესცენ მსჯავრნი.

კრემლნი ქერივითანი და ობოლთა ბრგენილი ტირილი არა შევიწყალენ, არცა განუხვენ ნაწლევნი მოქენეთა უფროსლა შენ ქრისტესა, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა.

ამისთვის შობა ლეთისა ადამიანისაგან დედაკაცისა, რათა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა, ვითარცა ლეთისა დედა

დახსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთათვის.

გალობა მ, ძლის პირი.

შეუწველმან მაყვალმან სინას აუწყა ღმერთი მოსეს ხმითა წვილილსა ენა მძიმესა და შურმან საღმრომან ყრმანი იხსნა სახემილისაგან და გალობით ლალადებდეს; ყოველნი საქმენი აკურთხევდით ღლეს ღმერთსა და უფალსა უგალობდით და აღამალებდით მას უქუნიანამდე.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ესენი ესცოდენ სახარებისა ჰსჯულთა და მცნებათა შენთა შინა, მცემელთა რა ყერიმლის მიპყრობასა და გლახაკათათვის განშიშვლებასა და რათურითთ არა ფიცხა შენ ჰსჯულის-მდებელი ჩემი ბრძანდებოდი და გულის თქმით მიმხედველობასა განსრულებულად მრუშებად დახდებდი.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

დალათუ ესრეთ განებრწუნენ ყოველნი გრძობანი და ყოველად ხრწნილება ვიქმენ, გარნა არ აღვისვენ მე ხელნი, არცა დაესდევ სასოება ჩემი ლეთისა მიმართ უცხოთა, არცა უცხო თესლი რაიმე; სარწმუნოება საწვართელ ვეყვ სულსი გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ლეთის-მეტყველთა შენთა.

და აწ მომდრეკელი მუხლთა გულისათა ვხმობ, ვითარცა მანასე: მილხინე ჰოი! მეუფეო ჩემო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვასა შინა და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, ამალღებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

საკუთრად ლეთის-მშობლად გქადაგებთ, უხრწნელი ქალწულო, და გვრწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისა შენდამო წიაღმოვალს ლეთის-მეტყველებრ და ცოდვილთა მოქცევასა ინიშებს მის მიერ, ვითარცა ცხად ჰყოფს თეატროა

იკი მრჩობლთა, სიკეთე ეგვიპტისა, ღირ-
სი მარამ.

გალობა თ, სძლის-პირი

მტვირთელმან გამოუთქმელად უხრწნე-
ლებისამან, სიტყვასა დამბადებელსა ავა-
სხა ბუნებაი, მოვედ უბიწიო ქალწულო
ღეთის მშობელო, შენგან შობილსათანა
მორწმუნეთა, რათა ღირს ვიქმნნეთ ჩვენ
ღიდებად შენდა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ჟამი რა წვილილთა და ხნელთა წარ-
მოდგეს, ზარი მეუობისა წარხდეს და
ღიდება დაშრტეს, შეებანი უქმ იქმნენ,
უჯვილოვნება დაქნეს, სხვამან მიიღოს
სკიპტრა, სხვასა შეუღდგენ სპანი, მაშინ
შემიწყალე მე. მსაჯულო ჩემო, იესო
ღმერთო.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

განრავლოს წიგნი დღესა შინა სას-
ჯელთასა და მე ქედ-დადრეკილი წარ-
ნოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ-
ჰსჯიდე, მსახურთა რისხვა ქროდის, მარ-
თალნი ნეტარებდენ და იხარებდენ, ცოდ-
ვილთა გვემდეს ცეცხლი, მაშინ შემიწყ-
ალე მე მსაჯულო, ჩემო, იესო ღმერთო.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ვინათგან აღსარებით გრძნობად და
შეკრებად იწყო ძვალი ძვალსა-თანა და
ნაწვეარი ნაწვეარსა-თანა და განხმელთა
მობერა სული კვალად შობისა, მრწამს
კვალად აღესება სრულ ჰყო ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისა.

მარტო, სრულო სამ-მზეო, ერთ-ცის-
კროვნებაო, განმინათლე მხედველობა სუ-
ლისა; რათა გიხილო ნათელი ნათლითა
უფლისათა, სულითა ღეთისათა ძე გა-
მოგვიბრწყინეო მაშინ დაუსრულებლთა
საუქუნეთა.

არა უხილაეს მზესა ქალწულო დედა
თვინიერ შენსა, არცა ჩამოდნად ბრალე-
ულსა ნათელი მისი, გარნა მეოხებითა შე-
ნითა დედოფალო, ევსავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისა, ნათელსა ზესთა საუქუნეთასა.

დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა,
ვითარ გვასწავებს დაეთ მეფე და წი-
ნასწარმეტყველი და ილოცავს ამას ისაია
წინასწარმეტყველი:

უფალო, ღმერთო ჩემო, ვისირცხვი და
მეკლიმების აღებად პირისა ჩემისა შენ-
დამი, რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი გამ-
რავლდენ საეთა ზედა ჩემთა და ცოდვანი
ჩემნი აღორძინდა, ვიდრე ცადმდე.

ა რ ს ე ნ ბ ე რ ი

მეფესა დავითს (აღმაშენებელს)

უფროსად ბრწყინვალეო, თვალო ყოვ-
ლისა სოფლისა ჰყოფთა ერთგვაბოვნე-
ზისაო, როზელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვი-
თარცა სამყარო ხილულისა სოფლისა
შორის; საჩინო, ვითარცა მზე ვარსკლავ-
თა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთე-
რი ნივთთა შორის; ნათლის ფერ, ვითარ-
ცა ელვა ღრუბელთა შორის; ცისკრო-

ვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შო-
რის; ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შო-
რის; ღეთის სახე, ვითარცა საყვარელი
სათნობათა შორის; გულის სათქმელ,
ვითარცა ოქრო მიწათა შორის; ელვარე,
ვითარცა იაკინთი ქვათა შორის; მალალ,
ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის; მშვე-
ნიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის;

აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქვეყანისა შორის; ძლიერ, ვითარცა ღომი მხეცთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკვეთელთა შორის; სახელ-განთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღვდელთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; უბრძოლველ, ვითარცა აქილევ ელლინთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა აელეისტოს კეისართა შორის; კაცო მოყვარე, ვითარცა ჩემი

იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთი ქმნულთა შორის; მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; საყვარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უტომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის. დავით კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩვენისა, მრავალმცა არიან წელიწადნი. მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა კეისაროსისა მრავალმცა არნ წელინი!

ღ ი მ ი ტ რ ი მ ე ფ ე

(1125 — 1154)

ი ა მ ბ ი კ ო ნ ი

შიო მღვიმელისა

„შენის დაფნისა იშიოებს ასურსა,
ისავესებს ქართლი ნილოისა
ნაკადულთებრ,
ორბობს მოხუცი, მღვიმე ფართობს
სამყაროდ,
იბერწისწულეებს მრავლად უდაბნოს ესე,
სულს აღვთისებს, მტვერისა მტვერად
დამტვევი.
ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე კაცი
და მასვე კაცსა შუბის წვერს ეღგნეს
დარბაზნი,
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა
ქურციკთა
და ზღვასა ზედა მოარბევდა ცხენითა,
და ესრეთ ღალადებდა: ღმერთო, შენ,
კურთხეულ ხარ!

ღვთისმშობლისა.

ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
დედა ქალწული, შვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი:
შენგან იშვების მეფე გვირგვინოსანი,
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალყმოსანი.
შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს
ქებული
და თავით თვისით მზე-ხარ განბრწყინ-
ებული.

მ ქ რ მ ს ს ა ნ ა

ს ა ე რ მ მ წ ე რ ლ მ ბ ა

XI—XII ს ა შ კ .

მ ო ს ე ს ო ნ ე ლ ი

ამირან-დარეჯანიანი

შესავალი

აბესალომ ინდოთ მეფის ანბავი

იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკმული, განგებიანი და არა იყო შეპირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი: ება ასი ავაზი, ექვსასი ქორი თეთრი და მწყაზარი, ჰყვა სამი ათასი ღიღებული.

ორშაბათსა, სამშაბათსა, ოთხშაბათსა, ამა სამსა ღღესა უხმის ათას - ათასნი ღიღებულნი ნადიმსა ზედა და გასცენდის საბოძიარსა საზომისაებ, რაცა ვის ხვდებოდის. ამა ღიღებასა და განსვენებასა იყვის. ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და განისვენებდის, კვირასა ღღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის, სამართალსა უზმიდის, ციხეთა, ქალაქთა და ქვეყანათა რიგსა აღასრულებდის.

ღღესა ერთსა ბრძანა ნადირობად გასვლა. გავიდა და ინადირა სანადიროსა კარგსა. შემოვიდა შინა და მზიარულმა ღიადი პურობა გარდაიხადა და მომნახველთა მადლი უბრძანა, რომა კარგთა სანადიროთა შიგან მანადირეთო. აწ ჩემსა იზესა წადით, ახლოს ნადირი მომინახეთო. წავიდნენ მომნახავნი და ეგზომი ნადირი ჰპოეს, რომ ანგარიში არ იქნებოდა. ერთი ქურციკი ნახეს, რომ, მას ესხნეს რქანი

ოქროს ფერნი, თვალი და ქლიკნი შავნი, მუცელი თეთრი და ზურგი წითელი, ვითა ძოწეული. შემობრუნდა მნახავი იგი და მოვიდა წინაშე მეფისა და მოახსენა ანბავი (საკვირველისა მის ქურციკისა) გაეხარნეს მეფესა და უბრძანა ღიღებულთა თვისთა: — „ვითა ამა კაცსა საკვირველი ნადირი უნახავს და აწ იმისი უნახაობა ჩემგან არა ეგების და... მნებავს მთელი შევიპყრათო.“

გაიყარეს ნადიმი იგი, შეეკაზმა მეფე და ყოველნი ღიღებულნი მისნი. მივიდნეს მინდორსა შიგან და ნახეს ქურციკი იგი, მითვე სახითა, მასვე ალაგსა და თქვა. მეფემან: — „ამა ყოველმან კაცმან ცხენებით შეუტივეთ და სიკვდილსა ეკრძალენით“. ყოველთა შეუტივეს და წავიდა ქურციკი იგი. არბივეს დღისა სავალი. მოსწყდათ სხვა კაცი ყოველნივე. მეფე და სამნი ღიღებულნი მისნი შერჩეს, მისდივეს, ვიდრე მწუხრამდ და გავლეს მუნ შვიდის დღის სავალი. ვერცა მოეწივნეს და არცა მოეშენეს.

მივიდა ქურციკი ადგილსა ერთსა კლდოვანსა და ჩაიხვეწა და უჩინო იქმნა ოღეს დახედეს ქვეყანასა მას უცხოთა,

ვერაა სცნეს და ვერცა სადა ნახეს ქალაქნი და სოფელნი და ვერცა ნადირნი, ქვეყანა იგი უცხოდა აუჩნდათ და არცა იცოდეს, თუმცა სადა წარსულ იყვნეს. მიიხედა მეფემან და ნახა სახლი ერთი ქვიტიკობისა. გაუკვირდა და თქვა: „რა არის ესე სახლი ამ უკაცურსა ალაგსაო“? შევიდეს და ნახეს: იყვნეს ცალკერძ ქაბუქნი. დაწერილნი სამნი და მათს შუა სახე ქალისა, რომე კაცისა თვალსა ეგეთნი არა რა უნახავს. ერთი დიდი კაცი იყო, წყნიერი ქაბუქი, ჯაკვი ტანსა ყცვა, ხმალი ხელთა ჰქონდა. ზედან ესრეთ ეწერა: „ვითა მე ამირან დარეჯანის ძე, ყმა ჩემი სავარსამიძე, ბაღრა იამანის ძე, ყმა მისი ინდო ქაბუქი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი დილაში. ოდეს ქაჯნი დავხოცენით და ზღვათა მეფის ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილსა მოვედით და ყოველი არაბეთი ზედან მოგვიხდა და მამინ არა ავად ვიყვენოდ“. ოდეს მოიხედნეს მარცხენასა მხარესა და იგი სამნი ქაბუქნი ეწერნეს, ყმანი მათნი. გამოვიდეს მის სახლისაგან და მინდორსა შიგან ძვალი იღვა ცხენისა და კაცისა, ანუ საპურველთა ნალეწნი, რომე კაცისა თვალსა

ეგეთნი არა უნახავს; გაუკვირდათ მეფესა და დიდებულთა მისთა, და თქვეს: „ვინ ყოფილან ესე ქაბუქნი და ანუ რომელსა ეამსა და ჰგავს, რომელ ერთი იგი პატრონი ყოფილარს, იმა სხვათაგან, რომლისამე ქვეყანისანი ყოფილ არიანო“. ამას იტყოდეს და ამბავსა ვერასა. ცნობდეს.

უქმოიქცეს და მეშვიდესა დღესა ძლივ გამოავნეს და სამეფოსა სახლსა მოვიდნენ. შემოკრბნეს დიდებულნი და ნახეს მეფე დალრეჯილად. შეკვირება შექმნოდა ამა ანბისა უცნობლობისათვის. აღარც შექმნა პურობა, აღარც გავიდა ნადირობად და აღარც გარდაიხნა ნადიმი. გაითქვა ესე ანბავი ყოველსა ქვეყანასა შიგან, ვითა: აბესალომ ინდოთ მეფესა მინდორსა შიგან სახლი რამე უნახავს და შეკვირება შექმნიოა, ზოგნი ზოგსა მიზეზსა იტყოდეს, და ზოგნი სხვასა.

მეფის მიერ ამბის შესატყობად გაგზავნილი კაცები გაიგებენ, რომ ბალხეთში, ბალდადის მახლობლად, ცხოვრობს ღრმად მოხუცებული სავარსამიძე, ამირანის ყმა, „თანადამხედრი ყოველთა ნაქმართა მისთა“. სავარსამიძეს დიდის პატივით მოიყვანენ მეფესთან. აი მის მიერ მოთხოვილი ამბავი ამირანისა, დაყოფილი თორმეტ კარად:

„LITON. 1. 1. 1.“

კ ა რ ი ი

✓ ბაღრი იამანის ძის ანბავი

ისმენდი მეფეთ მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე, აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენი და არცხვინოს ორგულთა თქვენთა. ნადირობასა ვიყვენით, ავაზსა ქურციკი შეეპყრა და ამირან დარეჯანის ძე ზედან მიდგომილ იყო და ხედვიდა. ოდეს შევხედენით, კაცი ვინმე მოვიდოდა. შავსა ტაიქსა ზედან ჯდა, შავითა მოსილი იყო, პირიცა შავად შეეღება და ხელი მისი მარჯვენა. ამირან დარეჯანის ძეს შეეწყალა და სთქვა: ვაგლახ იმა კაცსა, რა

სკირსო! და ჰკითხა, რა გკირს და ანუ რათ მოსილხარ შავითაო? ატირდა კაცი იგი და სთქვა: პატრონისა ჩემისათვისო. მერმე უბრძანა, მოკვდა, ანუ არაო? და მან მოახსენა: არა, ფათერაკი წაეკიდაო. ამაზედა უბრძანებდა: გვითხარ მისი ანბავი ყოველივეო. მერმე დაიწყო საუბარი და სთქვა მან კაცმან: ვით პატრონი ჩემი იყო ბაღრი იამანის ძე, ქაბუქი, გამორჩეული ამად, რომელ ნაქმართა მისთა მოთელა არა ეგების ამით,

რომელ გავრცელებების და საწყინოდ გახდების. აწე ცოტა რამე მოვახსენოთ, ოდეს მოიწიფა. ვერა სადავინ შეების. სადაცა სახელ დებულნი ქაბუჯნი ითქმოდის, წავიდის, შეების და აჯობის, რომ ვერა სადა ვინ გაუსწორის ომი. ვერა ჰპოვა სწორი თვისი, და ამისთვის შექირვებით ჯდა ამაზედან. არცა და ნადირობდის და ასპარეზობდის და არცა და ნადიმი გარდაიხადის. უმძიმდა ისე ქალაქთა და ქვეყანათა მისთა და იტყოდეს: თუ ნეტარ რა წაჰკიდებია ბადრი იმანის ძესაო, რომ ისრე შექირვებით არისო! მე შესაწოლე ვიყავ და კარსა ზედან ვჯექ მისვე საწოლისათა.

მოვიდა ბერი ვინმე არაბი და მითხრა: რას შეიქირვებს ბადრი იამანისძეო? და მე უთხარ მიზეზი შექირვებისა მისისა და მან აგრე მრქვა, თუმცა მაგისტვის შეიქირვების, ეგეთი ღონე გასწავლო, რომელ დღე დაბადებისა მანცა დასწყევოს და ვინცა-ლა მაგასთან დაესწრას, მანცა შევედი, მოვახსენე ბადრი იამანის ძესა. გაეხარნეს, ზე წამოჯდა ო მიბრძანა: „აჰა, მომგვარე კაცი იგიო“. გამოველ და შევიყვანე. უბრძანა, მითხრობ ჩემსა დამართებისა კაცსაო? მან მოახსენა, გითხრობთ: უბრძანა ვინ არისო? მან მოახსენა: ზღვათა მეთისა ასულისა გამოსაყვანელად წადი და მუნ მოგხვდებიან ქაბუჯნი არა ერთი და ორნი, განა მრავალნი და დიდათ მარცხნი საბრძოლველნი გზანი არიან, რომელ არა ეგების მას გზასა შესვლა. მერბე უბრძანა ბადრი იამანის ძემან: ვინ იცის იგი გზაო? და მოახსენა: ცოტასა ხანსა მე ვიცი გზაო. მერმე მიბრძანა თვით მე გამოღება შესამოსლისა. შემოსა კაცი იგი და უბრძანა ყმასა მისსა, ლომსა ქაბუჯსა, ინდოსა მას და უთხრა ყველი. და, თავმან შენმან, მას მეორესავე დღესა წავედით და იგი ბერი კაცი არაბი, წინა წავიძღვანეთ და ვლეთ თუთხმეტისა დღისა სავალი. და ქედსა ერთსა

ზედან წავყავენა. ჩალმართ გვიჩვენა და თქვა: მე აღარ წამოვალ, თქვენ დამართეთ ამა მინდორსა და თვით მოგხვდებათ, რასაცა ეძებთო. და მე აქავე თუთხმეტსა დღესა მოგვიცდით და თუ თქვენ არ მოხვალთ, მე წავალო. მერმე ინდომან ქაბუჯმან ეგრე უთხრა: ზენაარმა ღვთისაჰან და თავმან პატრონისა ჩემისაჰან თუმცა ღმრთისაგან არ მეშინოდეს, თავსა მოგვეთლიო. ესე ხელმწიფე კაცი მოაცთუნე და შენ აპირობ გზასა ზედან დასდგეო. მერე მან კაცმან ცურკვლა დაიწყო. მაშინ გაიცინა ბადრი იამანის ძემან. და უბრძანა: ნუ სწყრები, ინლო ქაბუჯო, ჩემსა მხესა. ქაბუჯობა გვინდა და აწ გამოვჩნდებით, ვითარი ქაბუჯი ვართო. მაშინ დადგა არაბი და წავედით ჩვენ და ვლეთ დიდი ხანი.

მინდორი იყო სრულ გარდაცემული უსახომოდ ურიცხვითა ლაშქართა. ოდეს გარდავიარნით, იგი ლაშქარნი ზოგნი მღერდეს და ზოგნი სმიდეს ღვინოთა. | ვიარეთ ვიდრე სამზრამდე მისთა ლაშქართა შიგან და ყოველნი ქებას შეასხმიდეს შავსა ქაბუჯსა. გავიარეთ იგი ლაშქარნიცა და შორს ერთსა მილიონსა კარავნი დგეს დიდნი და გარე მისსა თორმეტნი კარავნი სხვანი უდგეს. ოდეს გვხანეს მონათა მისთა, მივიდნენ და მოახსენეს შავსა ქაბუჯსა: მოვლენ კაცნი ვინმე ქაბუჯნიო. გამოგვეცება წინა, მოგვიკითხა და აგრევე ჩვენ მოვიკითხეთ. დაგვიდგა კარავი. დიდი გვიამზანაგა, თვით მოვიდა, და ნახა პატრონი ჩვენი. ესე იყო პირველი აუგი მისვე შავისა ქაბუჯისა: რასაც კაცს მოერეოდა, უსიკვდილოს არ დაარჩენდა და ისწრაფდა შულსა. მას დღესა დიადი პატივი გვცა და მას ღამესა კაცი გამოგვაზენა, და ასრე შემოეთვალა: ვითა არა არს ჯამი აღვამისა და გამოსვენებისაო, და ეგრეთ წესიც არის ჩვენი და ხვალე ომი არს შენი და ჩემიო. გაეხარნეს ბადრი

იამანის ძესა, და შეუთვალა პასუხი: „ვითა მოღმართ ვერასა გკადრებდი, ამისთვის, რომე სტუმარი ვარ და რადგან გიბრძანებია და. ღმერთო, წინაშე ვარო.“ მეორესავე დღესა შეეკაზმე შავი ჰაბუკი და წეჯდა მისავე შავსა ცხენსა ზედან და გამოვიდა. თავჲან თქვენმან, თუმცა გენახათ, მოგეწონებოდათ. აქეთგან შეეკაზმა ბადრი იამანის ძე, შეჯდა თვისსა თეთრსა ტაიქსა ზედან და, თავმან თქვენმან ესე გვირნი ორ კაცად კმარ იყვნენ. შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს და შეიბნეს, იძვერეს. ხმალთა მათთა ცემა ჰგვანდა ცისა ქებასა. იბრძოლეს დიდი ხანი, გარდაალეწეს ერთ მანერთსა ზედან თვითო ხმალნი, და მეორენი გამოიწოდეს. მერე ბოლოსა ყამსა გაწყრა ბადრი იამანის ძე, გაიყვნა ცხენი, შემოუტევა, ჰკრა ხმალი მარჯვენესა მხარსა, მარცხენესა თქმოსა თავამდის ჩააკვეთა და მოკლა. მის შავისა ჰაბუკისა ლაშქარნი მოღმართ დგნენ და ვითა პატრონი თვისი მკვლარი ნახეს, მასვე წამსა შემოგვიტიეს და შევიბნით. ბადრი იამანის ძისაგან ომი არა საკვირველი იყო.

მაგრამა თუმცა გენახათ ინდო ჰაბუკო, თავმან თქვენმან, მოგეწონებოდათ. დავხოცენით და გაუაქციენით, მოგბრუნდით და გაღახდა ბადრი იამანისძე, შავისა ჰაბუკისა კარესაშიგან. დაუყავით მუნ კვირა ერთი, განვიყენეთ და პურობილნი განვათავისუფლეთ, და მოგვხდა მისთა ლაშქართა შიგან კაცი ერთი, რომელსა, ერქვა უსიბ. მოვიყენეთ და თავყანისცა ბადრი იამანის ძესა, და მოახსენა: „კურთხეულმცა არს მარჯვენე შენი და ჰაბუკობა შენი, რომელ აზღვევინე სისხლი ეგზოზისა ბუნბერაზისა ამა შავსა ჰაბუკსა და მე მიხსენ მისთა ხელთაგან. ამისი მუქათა ეს მოგახსენიეო. გზასა, რომელსა დაგიმართბიეს, მას ზედან დიდი ვმამხუროო.“ უბრძანა ბადრი იამანის ძემან:

იცია გზა ესეო? და მოახსენა უსიბ: დია, ღმერთო, ვიციო. რა უსიბ ეს იმედი მოახსენა, გაეხარნეს ბადრი იამანის ძესა. გზისა მის მეცნიერობა და წავედით. ვლეთ იგი დღე. თქვა უსიბ: აქა წინათ სამისა დღისა სივალსა მხეცთა შიგან გვინდა სიარულიო. ვლეთ მუნით და აგვიჩნდა ქვეყანა უკაცური, ხევნარი და კლდოვანი. და თქვა უსიბ: აქათგან მხეცთა ქვეყანა არისო.

კოტა ხანი ვლეთ და სხვასა ქედსა ზედან წაუადეკით, ჩავხედენით, და ორნი ვეშაპნი იწყენენ, მეტად დიდნი. ერთი შავი და ერთი თეთრი. თქვა ბადრი იამანის ძემან: შავი მე და თეთრზედან თქვენ საინი მიდითო, და უსიბ მოახსენა: ჩემი კერძიცა თქვენდავე მომიხსენებიაო. ამაზედან აიხვნა ხისტი ბადრი იამანის ძემან და შეუტივა შავსა ვეშაპსა, და მას თეთრსა—ინდომან ჰაბუკმან.

მერმე მან შავმან ვეშაპმან შემოუტევა ბადრის ჩასანთქმელად. გაგულსდა ბადრი იამანის ძე. ჰკრა აღუბულსა პირსა ხისტი, გაავლო შიგან და მიწათა შიგან დასვა და მოკლა. მერმე ინდოსა ჰაბუკსა შემოუტევა მან თეთრმან ვეშაპმან, ჩანთქა ინდო, ვიდრე წელთამდი და გაიქცა. შეხედნა ბადრი იამანის ძემან, მიუხდა, მასცა ჰკრა ხმალი და ორად გაჰკვეთა და მოჰკლა იგიცა და უბრძანა: „ძმაო, ეგრე შენ მომეხმარე, სადაცა გამიპირდესო“. მაშინ მოახსენა ინდომან ჰაბუკმან: მაღლი ღმერთსა, რომე ეგეთი უსწორო ჰაბუკი დაგბადაო. გავიარეთ მხეცთა ქვეყანა და წაღმართ დგეს სამი ათასი დარჩეული აბაზნი შეკაზმულნი, მცველნი გზათა და მიგველოდნენ ჩვენ. ვითა გავჩნდით, წამსავე შემოგვიტიეს და ჩვენ მას შეუუტივეთ. ღმერთმან ორგულთა თქვენთა მისცეს, რომე ჩვენ ისინი დაეუხადეთ. სრულობით დავხოცენით. გავიარეთ მუნითგან, მივედით ზღვის კიდესა. ქალაქი იყო ერთი მცირე და მშვენიერი.

მის ქალაქისა კაცნიცა, მეტად კარგნი. გამოგვეგებუნეს ყოველნივე, შეგვეასხმიდეს ქებასა და მოიღებდეს ძღვენსა ყოველთა დღეთა. დავეყვით მას ქალაქსა შიგან სამი დღე და განვისვენეთ. მერმე მივედით პირსა მას ზღვისასა და თქვა უსიბ: — „გი-თა დღე ერთ აქა გვწებავს დგომა და ნაეითა მოლენ ლაშქარნი, რომე არცა იყოს რიცხეი და არცა შეგებო და არს მას თანა ლაშქართა ზედან თავადათ კა-ცი ერთი მწითური, მეტად დიდი და მათ ლაშქართა აბჯარნი გაჰკვეთს ხორც-თა ჩვენთა, და ჩენი მათ ვერა. თუშცა იგი თავადი კაცი მოჰკლავ, ყველა გან-ქარდების, თუ არა და სხვა ღონე არ არისო. ვლეთ ერთი დღე და სთქვა უსიბ: „აჰა ლაშქარი იგიო,“ მოვიდა ურიცხეი. გვესროდეს და შეგვაჰირვებდეს. მაშინ გვიყიელა ბადრი იამანის ძემან: „ჩაიმაღე-ნით ნავთა შიგანო“. ჩაემაღენით ნავთა შიგან. და მას ეამსა მოვიდა იგი თავადი კაცი და ყოიდა: ვითა გარღიხეწებითო! ეგრე მოგვეახლა. ახლტა ბადრი იამა-ნის ძე და მის ნავსა შიგან გარდახლტა, ჰკრა ხმალი მას მწითურსა თავადსა და მოჰკლა. სხვანი ლაშქარნი ყოველივე უჩი-ნო იქმნენ. გაეიარეთ იგი ზღვა უღენებე-ლად და მივედით იმიერ ზღვისა კუნძულ-სა, ზღვათა მეფისა ქვეყანასა და ენახეთ ზღვისა კიდესა ოცი ათასი სოუელი და ქვეყანა მშვენიერი, რომელ არა ნახულა მგზავსი კაცისა თვალითა. ესრეთ მოე-წონა ბადრი იამანის ძესა, რომე უფრო აღარ ეგებოდა. ვიარეთ და მივიახლე-ნით ქალაქსა.

**აქა ომი ბადრი იამანის ძისა და მოკლე
ქაბუქისა:**

დილასა, რა მზისა ნათელი მოეფინა, დაჯდა მეფე მასეე ადგილთა ზედან. და-ისხნა დიდებულნი თვისნი, დაიდვა ნა-ლიმი. მღერდეს მგოსანნი და მოშაითნი.

აგრეთვე წამოდგნენ ზღუდეთა ზედან ყო-ველნი ტომნი, სცემდეს ბუკთა და დაბ-დაბთთა. მუნით ზრიალი იყო ქალაქსა მას შინა. გამოვიდა ბუნებრაზი იგი, რომელსა მოკლე ქაბუქობით უხმობდნენ ეგზომ დი-დი იყო, რომე ნიშანი არ მიეცემის. ამა-ზედან გაჯდა ბადრი იამანის ძე. ჰკერი-დეს ბუქსა და დაბდაფსა. მაშინ შემოუე-ლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს, შეუტივეს, შეიბნეს, ესრეთ არა ჰგვანდეს პირველი ომი, ვითამც ორტათა ყრმათა ლალობა ყოფილიყო ომი მათი დილით-გან ვიდრე მწუხრამდე. გაჰირდა ომი, მერმე გაიყენა ცხენი ბადრი იამანის ძე-მან და შემოუტივა, გულ მყუდროდ და ანახდად მოკლისა ყმა მოიქრა და ბად-რი იამანის ძესა ხმალი ჰკრა. ნახა ინდო-მან ქაბუქმან, მას ყვასა ჰკრა ხმალი ჩა-ბალახსა ზედან და წამსა შინა მოკლა და ეგრე უსიბა: „მიუშვი ძმაო, მაგათ გარ-დასწყვიტონ“, ვითა ნახა ინდოსა ქაბუ-ქისაგან მოქნეული, ბადრი იამანის ძემან ფიცხლად გაიყენა ცხენი, შემოიქცა და შემოუტივა და უყიელა: აწ მე მნახე ინ-დო ქაბუქო! ჰკრა ხმალი ჩაბალახსა ზე-დან, გაუპო თავი და მყერადმდის ჩაჰკვი-თა და წინასა ტახტასა დაასევა და მო-კლა. მაშინ იყიელეს მოქალაქეთა ღ თქვეს „ჰურთხეულმცა არს მარჯვენე შენი და ქაბუქობა შენიო“. გარდააყრიდეს თავსა დრამასა, თვალსა და დრაჰკანსა. გარდახ-და უსიბ, დაუწყო უბეთა შიგან ჩაყრა და თქვა: „ესე ცოლსა შეირთავს და ჩვენ დრამასა და დრაჰკანსა და თვალსა რათ არ ავიღებთო.“ მაშინ მეფემან მუხლსა დაიცა ხელი, ზე ადგა ღ შელმართ შევიდა და ეგრე თქვა: „ვინ მოვიდა ესე კაცი, რომელმან ამომიწყვიტა ბუნებრაზნიო“. დაჰქნდა დიდად, მაგრამ მისგან კიდე სხვა არა ეგებოდა-რა. გამოეცა შესამო-სელი ტურთა ღ მოელოცა ომი. მერმე მი-იხმო ზღვათა მეფემან დიდებულნი თვი-სნი და დაჯდა. მიუგზავნა ასულსა თვისსა

კაცი. „ვითა შეილო, მე დავებრებულ-
ვარ და შენა ხარ მკვიდრი სამეფოსა
ჩემისა და არა მივის შენგან კილე სხვა
ძე, და ეგეთსა ქმარსა ვეძებდით შენ-
თვის, რომ არავინ ყოფილიყო მისი და-
მართებითი და აწ ეს არის, შეილო, რა-
ლას ვაგრძელებთ. ამა კაცისა კმა არსო,
რომელნი გარდაუხდებენ და ნაქმარნი
უქნიან. ამა ერთისა კაცისა არა ეგების
ომი და შეირთვე ისი ჳაბუკი ქმრად.
მაშინ გამოსცა პასუხი მოკლე: „ვითა მე
ეგეთი კაცი არ მინდა საქმროდ, რომე
ეგრე ვგონებდე, თუმცა მისი დამარ-
თებითი კაცი არისო და ანუ ქვეყანასა
ზედან მგობი ვინმე ჳყევანდესო. შენაბი
იგი მესამეცა და თუ მასცა აჯობოს, მა-
შინ დავმორჩილდე ბრძანებასა შენსაო“.
დაუძძიმდა ესე საუბარი მეფესა და დი-
დებულთა ყოველთა და განა ღონე არა
იყო — გამოეგზავნა ზღვათა. მეფესა კაცი
და გამოეცა შესამოსელი და ეგრე შემო-
ეთვალა: „ვითა უწყის ღმერთმან, არა
ჩემგან არის. განა თვით გესმის, თუმცა
ვისგან არისო. აწე თვით შენი და არხა-
მანიკისა ომი არისო და თუ აჯობო, მა-
შინ ხარ სიძე და შეილი ჩემიო“. ამაზე-
დან ბაღრი იამანის ძემან გასცა პასუხი:
ვითა მეფეო, მოგწყინდებოდეს ეგე კაცი,
ხოვნი დამახოციენე და კიდე ეგეცა უფ-
რო მოგწყინებია. მართალ ხარ, უსარგებ-
ლონი კაცი იყუნენ, აწე გიბრძანებით
და ღმერთო, ჳკვიბნ თო, და თუმცა არა
გებრძანათ, თ. ი. ი. ძე უომრად არ დია
გაუშვებდო.

**ომი ბაღრი იამანის ძისა და ბუნებრაჯის
არხამანიკისა**

წავიდა ზღა ა მეფე და დაჯდა მასვე
ადგილს. დაიჯდომიდა ღმერთი გვერდით
და პირსჳ: ა უ. ი. მისი და დიდებულნი
ყოფნენ. და თ. ი. ი. გომ ხეს მას ასულსა
მეფესა. ა. ძე ეგელი უკრო ესოვილი და

ესტკით: თუმცა არა არს ხორციელი,
თუმცა ჳზე არსო! წარმოდგენენ ზედან
ყოველნი მოქალაქენი დიდნი და მცირე-
ნი, და ტიროდენ ბაღრი იამანის ძისა-
თვის. მერმე შეეკაზმა ბაღრი იამანის ძე
და გავიდა მოედანსა შიგან და არხამა-
ნიკი ჳგრეთ შენვე იყო. ამაზედან მო-
ვიდნენ დიდებულნი და ევედრნენ მის
მეფისა ასულსა: ვითა ნუ აბრძოლებ და
ნუ მოაკლევინებ ამა კაცსა, საქმროსა
შენსაო. მაგრამ ვერა პირი უპოვეს. მერმე
მოვიდნენ დიდებულნი და ევედრნენ არ-
ხამანიკს, ვითა ნუ გახვალო. მაშინ გა-
აწყრო გული და გამოვიდა. გამოეგზავნა
არხამანიკს ათი მწყრთა რკინის არგანი,
დღეს ამით შევიბნეთო. აილო ბაღრი
იამანის ძემან, შემოუვლეს ნავარდი ერთ-
მანერთსა, შეუძახნეს და შეიბნეს. არა
გვანდეს იგი წინანი ომი. იყო ბრძოლა
დილიდგან ვიდრე მწუხრამდე და ვერა
რომელმან აჯობა. გაიყარნენ და შეიქ-
ცნეს ქალაქად. მერე მივიდნენ დიდე-
ბულნი და მოახსენეს მეფესა, ვითა არ-
ვინ არს ამა კაცისა დამართებთი,
ნულარ აბრძოლებთ, რადგან ახლა ვერ
გარდაუწყვეტიათო. სწადა მეფესა თუმ-
ცა არა შებმულ იყვნენ, მაგრამ განა ვერა
ქნა თვისისა ასულისა თანა. მას ღამესა
ნადიმად ვსხედით გვერდით ბაღრი ია-
მანის ძისა. მოვიდა ყმა ვინმე და იხმო
უსიბ, გავიდის, დაჳყო ხანი. მერმე შემო-
ვიდა და ეგრე მოახსენა: „ვითა საცო-
ლესა შენსა ცხენი გამოუგზავნია შენთ-
ვისაო. ეგრე გაეხარნეს, რომე ვითამც
ყოველი ქვეყანა მისცემოდა. აწვიეს იგი
კაცი და ცხენითურთ შემოიყვანეს. და
საკარმანგისა ფარჩა მას ზედან ეხურა და
თვალსა კაცისას ეგეთი ტურფა არა უნა-
ხავს რა და ეგრე შემოეთვალა: „ვითა
შენი თეთრი ტაიქი მაშვრალი და ნაო-
მარი არის, აწე ამით შეები არხამანიკ-
საო და ამით გამეჩვენეთ“. მაღლი გარ-
დაიხადა და ეგრე შეუთვალა: ესრეთ

გიბრძანებია: ამით უკეთ გამეჩვენებო, და თურმე გუშინ რად მოგწონებდითარ და აწუცა მნახე, მზეო ჩემო. არზამანიკისა სიკვდილი შენცა გწადს და მეფესაცა და მოვკლავ, სხვა რაღა გინდაო. დილასა მიუგზავნა ზღვათა მეფესა კაცი ბადრი იამანის ძემან: „მეფეო, ვითა გუშინდელი ომი ლალობა იყო და მით არა გარდაწყდა, აწე გამოგზავნე არზამანიკი. და დაიკრნეს სატკივართა ალაგთა პოლეთიკნი კინენი, და მეცა აგრე ვიქ და აწმც გარდავწყვიტოთო. გაუკვირდათ მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანის ძისა და ებრძანა: ომისათვის ხვალისა ვითა მზაცა ხარო? მას ლამესა ნადიმად ესხედით, მოვიდა იგივე კაცი და იხმო უსიბ. შემოვიდნეს მუნით და მოართვეს ხმალი: ესე შენსა მზესა გამოუგზავნია და ესრე შემოუთვლია: ვითა ხვალე შენი და არზამანიკისა ომი არის, ესე ხმალი წელთა შეიბი და რადგან გარდაწყვიტა გითქვამს, ამა ხმლითა გარდაწყვიტეო, და მაშინ ღმერთო, ხმლად ქმარ იყო. გაეხარნეს დღად, მადლი მოახსენა და ეგრე შეუთვალა: თუცა ავიქმარი გესვა, ხვალე მნახეო.

ომი მეორე ბადრი იამანის ძისა და არზამანიკისა

დილასა, ოდეს გამოჩნდა ნათელი მზისა, დაჯდა მეფე და დედოფალი მასვე ადგილსა და დაისვენეს ასული თვისი შუა, და მას ასულსა მისსა ემოსა ელვარე რამე, და ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა. ეგრეთვე დაიხსნეს დიდებულნი და დაიდგეს ნადიმი და მღერდეს მგოსანნი და წარმოდგნენ ყოველნი მხედველნი. ბანის ბან სცემდნენ ბუქსა და დაბდაფსა. ტიროდეს ყოველნი მით. რომელ ეკონათ ჯობნა არზამანიკისაგან. გამოვიდა არზამანიკი შეკახმული და სატ-

კივართა ადგილთა პოლეთიკნი კინანი ეკრნეს თვითცა და ცხენსაცა და, თავმან თქვენმან, საზადოდ კმა იყო. აგრევე გავიდა ბადრი იამანის ძე და ესე იყო წესი მისი, რომე სამნი ხმალი ეკიდიან. შემოუვლეს ნაჟარი, ერთმანერთსა შეუძახნეს, შეუტრის და შეიბნეს. თავმან თქვენმან, ამას არც პირველი ომი გვანდა და არც მინახავს მისნი გზავნისი ბრძოლანი. იყო დილიდგან ვიდრე მწუხრამდე ომი ფიცხელი და მათისა ბუქ დაბდაფისა ცემისაგან აღარა ჩავარდებოდა ყურთა ხმა! გარდაალეწეს ერთმანერთზედა ოროლი ხლმები, და მასჯამსა უყვილა უსიბ ბადრი იამანის ძესა: „ვითა შეხედენ პირველად შენსა მზესა და მეგრე მისეული ხმალი რად დაგვიწყებდიანო“. ამა სიტყვასა ზედან გაიყენა ცხენი ბადრი იამანის ძემან, შემოიქცა ფიცხლად, დაიყვილა, ვითა აწ ნახეთ ბადრი იამანის ძისა ხლმის წაყვეთილობაო. გამოიწვინა იგი მესამე ხმალი, შემოუტრია. შესთურეშინდა არზამანიკი და გაეცა. მიეწია ბადრი იამანის ძე, ჰკრა ხმალი ზურგსა, გაჰკვეთა შუა და მუცლისა ამაღაზედან გარდაეკიდა და მოკლა. მაშინ ზე ახლტა მეფე, ხელნი შეიტყველნა და გაიცინა. შეიკმნა სიხარული ქალაქსა შიგან დიდი და ყველანი ქებასა შეასხმიდეს ბადრი იამანის ძესა და ყოველმან ქალაქმან ძღვენი მიართვა და თავყვანი სცეს. გვიხმეს, წავედით და მოგებნეს მეფე და დედოფალი წინარე, შეასხეს ქება და მასვე დღესა ქორწილი ჰქმნეს. შეუქმეს ტახტი მნათობი და მას ზედან დასხდნენ ყმა — ქალნი ერთად და ამას იტყოდეს მათნი მნახავნი: ერთი ყმა და ერთი ქალი ანათ ვერა სჯობსო. მან მეფემან მოსცა ყოველნი ქალაქნი და საჰურკლენი უთვალავნი და კლიტენი ასნი და თვით დაიქირა ერთი. დაეჯავით თვე ერთი მას ვგეთსა სიხარულსა და განსვენებდასა შიგან.

მერმე გაგზვნა ზღვითა მეფემან კაცი და უხმო ყოველთ ქალაქთა და საბრძანებელთა თვისთა. მოვიდა ორასი ათასი მხედარი შეკაზმულნი და მოილეს ყოველთა ძღვენი, რომელ ეყოფოდა ერთსა ხელმწიფესა საქურქლედ. იყვის ლხინი, ნადიმი და გამოსვენება ყოველთა დღეთა და არა იყო რიცხვი საბოძერისა. მოიხადა მეფემან გვირგვინი და დააღდა თავსა ბადრი იამანის ძესა და მიაართეს ნიკი ყოველთავე მას ქაბუქსა და ცოლსა მისსა დედოფალსა, მიუთვალნეს ყოველნი საქურქლენი და დალოცეს მეფედ ბადრი იამანის ძე.

ბადრი იამანის ძე ცოლის თანხლებით გამოგზავრა სამშობლოში.

გზავრობის დროს მათ მოუხდათ დასვენება დედა ქვეყანაში. შულამეზე მოვიდა ბაყბაყ დევი და მოიტაცა მძინარე ბადრი. მხლებლებმა ვერაფერი გაიგეს. გათენებისას დაედევნა მას ინდო კაბუქი, მაგრამ იგიცა წახდა კვალსა მისსა ზედან. დარჩენილები შემობრუნდნენ; დედოფალი ისევ ზღვითა მეფეს მიგვარეს და ყველაფერი შეა-

ტყობინეს. ზღვითა მეფემ დახმარება სთხოვა გამოჩენილ ბუნებურაზს ნოსარ ნისრულს. ნოსარმა იახლა ყმა თვისი ალი დილაში და გამოემართა საშველად.

კარი II. ნოსარ ნისრულის ამბავი. ნოსარმა აირჩია პირდაპირი, მაგრამ სახიფათო გზა. ყველაფერი, რაც გზაზე გადაევიდა, საშინელი მზეცფრინეული თუ ლაშქარი, დახოცა-განაქარვა და ძღვევა-მოსილი ბრძოლით, დევთა ციხეს მიადგა. აქ ლაზე, ძილის დროს, მას თავს დაესხნენ დევნი, ძმანი ბაყბაყ და ხახარან და მოიტაცეს. გამოუდგა ალი დილაში, მაგრამ ისიც შეპყრობილ იქნა. ბადრის მამამ, იამან კაბუქმა, როცა გაიგო ეს სამწუხარო ამბავი, მოკიჟული გაუგზავნა ამირანს (შაოსანი კაცი) და დახმარება სთხოვა:

„ამირან დარეჯანის ძეო, სახელით ყოველთა უფროსო და ლომთა ლომო! მე ბერი კაცი ვარ და აღარ ძალ-მიძს ომნი მტერთა ზედან, თორენ ვიმოწმებ ღმერთსა, რომე კაბუქობისათვის აოაციო მინდოდის ქენება. აწ ხელთა ჩემთა აღარ არის, ძე ჩემი ბადრი, შეიპყრეს დევთა და ძებნად მისდა წავიდა იგი ლომთა ლომი ნოსარ ნისრული და იგიცა ცოდათა ჩემთათვის შეიპყრეს ფათე რაკად და აწ შენ ხარ მათი ღონე და რომელიც დააჯეროს კაბუქობამან შენმან. იგივე ქენა“.

კ ა რ ი III

✓ ამირან დარეჯანის ძის ანბავი

დიდო მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე. ადიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვინოს ორგულთა თქვენთა. მასევე მეორესა დღესა წავედით, თვით ამირან დარეჯანის ძე, მე, საეარსამიძე, და იგი შაოსანი კაცი. ვლეთ დღენი არა მცირენი და მივედით მას ადგილსა, სადა იგი ლომთა ლომი ბადრი იამანის ძე შეეპყრა. გარდახდა ამირან დარეჯანის ძე, აჭირდა ძნელად. წავედით მუნითცა. ისმენდი მეფეთ მეფეო, ავგიჩნდა ციხე მაღალი. დავაღეკით მას ლამესა მის ციხისა ძირსა და რა დილა გათენდა, შეეკაზმა ამირან დარეჯანის ძე საქვეითოთა აბ-

ჯრითა. აილო ფარი და შეუხდა ციხისა ძირსა. წარმოდგნენ ზედან. ლაშქარნი, ესროდენ ქვათა და კიოდეს ხმითა საშინელითა. შეუხდა შიგან, შელენწნა კარნი ციხისანი და შევიდა შიგან. დახოცნა, ამოწვევინა და წაულო ციხენი და ჰპოვა შიგან ალი დილაში და ინდო კაბუქი დაპყრობილნი, გამოასხნა, და არა დია შემძლებელ იყვნენ, დაყარნა მუენე მასვე ციხესა შინა, და დაავო მათ თანე იგი შაოსანი კაცი, დაბეჭდა კარნი საქურქლეთანი და წავედით. ვიარეთ და იყო მეტად კლდოვანი ალაგი და ხევი ღრმა. მას ხევისა შიგან მაღალი მოხვეწილი მთა

და კლდე საშინელი. და გამოვიდეს სამხი ვეშაპხი საშინელნი ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთი წითელი.

მაშინ თქვა ამირან დარეჯანის ძემა: „შავი მე, თეთრი შენ, საეარსამიძე, და წითელი უსიბს“. მერმე უსიბ მოახსენა: ჩემი წილიცა თქვენთვის მომიხსენებია. შემოგვიტივეს ვეშაპთა და ჩვენ მათ. მოვიდა წითელი და ჰკრა ამირან დარეჯანის ძემან ხმალი და მოჰკლა. მერმე მე და იგი თეთრი ვებრძოდით, ჰკრა და იგიცა მოკლა. ამაზედან შავმან შემოუტივა უკან ილდამე, ჩანთქა ამირან დარეჯანის ძე და გაიქცა. მივეწვიე მე, ჰკარ ხმალი და კული მოვკეთე. მას ადგილსა სახლი იყო და მას შიგან შეიხეწა. ველარ შევიგენით გზა და კვალი მისი, დავიწყევით მას ზედან ტირილი ძნელად. ხელი იყო ამირან დარეჯანის ძისა, რომე იქით და აქეთ მოგვ შიგან ორნი დაშნანი აღხიან, ამოიხენა, შიგან მუცელი გაუჭრა, გამოკვეთა გვერდი და გამოვიდა სისხლით შესვრილი. გვიბრძანა ჩვენ: ავთ მიშვილეთო! იყვნეს მას სახლსა შიგან საჭურჭლენი ურიცხენი, დაბეჭდნა და წავედით. ისმენდი მეუფე მეფეო, ცხონდი უკუნისამდე, აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი ღ არცხინოს ორგულნი თქვენნი.

ვიარეთ სამი დღე, დიაცი ვინმე ჯდა და ვისმე ტიროდა, ჩვენ ვკითხეთ, თუ რა გიქირსო? მან ეგრე გვითხრა: ჩენის რჯულისანი ხართო? უთხარით, იგი ვართო. მერმე თქვა: მომაგონდა ბაღრი იამანის ძე და მისთვის ვტირიო, მაშინ იგინი ოდეს გრძნებთ დევთა შეიპყრეს, მეც წამომიყვანეს და მაშინდლითგან აქა ვარ და ამა ეშმაკთა შიგან ვიარებო. აწუ ბრძანეთ და სადილი მიირთვითო. ჩვენ მას დღესა ნადირი ვერ შეგეპყრა და მოგვშოდა. წავედით და წავაკილვა წინ იგი დიაცი, მივედით მას კლდისა ძირსა, უკუალო კარი, შეიყვანა ამირან დარეჯანის ძე და დიდი ლოდი კარსა ზედან

მოაგორვა, შეკრა კარი იგი. თურმე დევი იყო. და დაერჩით ჩვენ გარე დიდათ შექირვებულნი და თურმე რა შინა შევიდა, კაცი ვინმე ჯდა დიდი და შუბლზედან თვალი ედგა და უთხრა: ვაშად, რომე მოხვედ, ამირან დარეჯანის ძეო, რა გლას მოიგონე მოსვლა აქაო. ესე იყვის წესი ამირან დარეჯანის ძისა, რამცა ქირნი მისქირდის, უმეტესად განძლიერდის და თქვა: ამა ლომთა ლომო, დარეჯანის ძეო, და შეუტივის, მას ეამს უყვილა: ვაშად გნახეო, მაგრამ შენთვის დია სჯობდა, თუმცა არ გენახეო. მივიდა ცოტა ყმა, ერთი ძე მისი და მასცა ედგა შუბლსა ზედან თვალი და ეგრე თქვა: ვიცი, რომე ამა ყმასა მოჰკლავ, ქვე დამიდე და თვით მე მომაკვლევიეო. ჩვენ ესდგევართ კართა ზედან და არა გვაქვს ლონე შესვლისა. ამაზედ ამირან დარეჯანის ძემან სტაცა ფეხსა მის ცოტა ყმისასა და მამასა მისსა პირსა შესტყორცნა და ზედან შეაკლა. მერმე ახლტა იგი დევი. შეიბნეს. ხელდახელ აილო ზე ამირან დარეჯანის ძემან, დასცა ქვეყანასა ზედან და იგი თვალს შუბლისა დაშნით წააგდებინა ღ მერე უყვილა მან დევმან: ვითა ნულარ მომკლავ ქაბუკობასა შენსა აპატიეო და მანც ალარ მოკლა, და მერმე შეიპყრა დიაცი დევი, რომელმაცა მოგვაცთუნა და ეგრე უბრძანა: შენ სხვასაც ვისმე მოაცთუნებო და მოკლა იგიცა. მერმე გაახენა კარნი და შევედით ჩვენცა. იდგა დევი და ცოტა და სული ედგა, აღარა ლამოდა სიკვდილსა დარეჯანის ძე. ამაზედან ჰკრა ხმალი უსიბ და მოკლა იგი დევი. მერმე ამირან დარეჯანის ძე გაუწყრა უსიბს სიკვდილისა მისისათვის და მან ეგრე მოახსენა: ნუ სწყრები, პატრონო ჩემო, ეგე გრძნეული სხვასაც ვისმე მოაცთუნებდაო უპოვნეთ მას დიადი საჭურჭლე. წავედით და ვიარეთ დღე ერთი. მოგვხედა უბადლო ადგილი და დადგა მას ღამესა ტალად თვით ამირან დარეჯანის

ძე. შივიდნენ ლაშქარნი მკუთად ღიღინი, დახოცნა და განაქარუნა და განეწურა ვზანიცა და მოგებდა ოპი დეთა.

ამაზედან მასვე ლანესა მოვიდნენ ორნი ძმანი დევნი: ბაყბაყ და ხაზარან ნაძინებსა, ვითა ნოსარ ნისრელი, ეგრეთ მოჰკვეთეს ქვეყანა. მაშინ განკრთა ამირან დარეჯანის ძე, ავარდა ზე, შეჰყიელა და შეჯდა ცხენსა მასსა, შეუტრია სასტიკითა შეტრეებითა და გარდაეხვიწნა ბაყბაყ დევი და ჰქრა ხმალი ხაზარანსა და მოჰკლა. რა გათენდა, წავედით მუნითგან და მივედით მას ციხესა, სადა იყვნეს შეჰყრობილნი ბადრი იამანის ძე და ნოსარ ნისრელი. იყო ციხე მალალი და კაცთაგან აღებად შეუძლებელი, რომე არ ეგებოდა შესულა ძეთა კაცთაგან. ვითა ველარა ღონე ვაგეთ, დაეყავით კვირა ერთი და ამას ვლამოდით, თუმცა გამოსრულიყო იგი ბაყ-ბაყ დევი და შეგვეყყრა, მაგრამ არ გამოვიდა და ამაზე უღონო ვიქმნენით. მის ციხისა იმიერ იყვნეს ხენი შვენიერნი და სდიოდეს მარსა მის ხისასა წყარონი შვენიერნი და ტურფანი. ჩამოვიდის ფრინველი ერთი საკვირველი დიდი და უსაზომო, ყოველთა დღეთა სვის წყალი და მაზევი ციხესა შვიდის.

ამირან დარეჯანის ძემან შექნა მას პესა ქვეშ სამალავი და დაჯდა მას საწალავსა შიგან ოღეს ჩამოვიდა ფრინველი იგი და შესევა წყალი, აფრინისა გამსა მოეკიდა ფერხთა ზედან. წავიდა იგი ფრინველი და მიმართა ციხესა მას. ნახეს და წარმოდგნენ ხედვად, ყიოდეს: მოვიდა საქმე საკვირველიო. გამოიღეს აბჯარნი და თვითცა ჩასვა მას ციხესა შიგან. ამირან დარეჯანის ძე, მოგებნეს წინა გამოიწვიდა ხმალი, მოიხოცდა და მოვიდოდა, შეღეწნა კარნი ციხისანი და ასწყვიტნა მრავალნი დევნი. სცნეს მათ პატიმართა და დაიწყეს ყვირილი, ვითა

ვინა ხართ, ჩვენცა კარნი გაგვიღეთო. ოდეს დახოცნა ყოველნი, მერმე მივიდა საპატიმროსა კარსა, ჰქრა ხმალი და გახეთქნა კარნი და გამოასხნა იგი პატიმარნი. და მოვიდეს ბადრი იმანის ძე და ნოსარ ნისრელი. მერმითგან ადვილი იყო, დახოცნეს და ასწყვიტნეს. ლამოდა ბაყბაყ დევი წასულას, მიეწია ნოსარ ნისრელი და მოკლა იგი დევი. შევედით მას ციხესა და არა იყო რიცხვი განძისა. დაეყავით კვირა ერთი და წამოველით განძითა ურიცხვითა მუნით და სადა იგი დიაცი დევი მოგვეკლა მუნითცა და სადა იგი ვეშაპნი დაეხოცენით, მუნითცა გამოველეთ და მოვედით მას ციხესა, სადა იყვნენ ალი დილამი და ინდო ჰაბუკი, მუნითცა გამოვიღეთ ურიცხვნი განძი და წამოვედით. მიესმა ანბავი ესე ყოველსა არაბეთსა, ვითა ჰაბუკთა ვეშაპნი და დევნი დაუხოციათ და მათნი ურიცხვნი განძი და საქურქლენი მოაქესო. შეკრბნეს ყოველნი არაბეთი და უკან მოგვეწვივნეს. რომე სიმრავლისა მათისა რიცხვი არ იქნებოდა. იგი სამნივე ღონნი და ჩვენ მათნი ყმანი შემოვიქცენით და, თავმან მეფობისა თქვენიმან, მათ სამთა უკეთეს ვერას გამოარჩევდით, თუ ერთმანერთს რომელი სჯობს. ვიბრძოლეთ სამი დღე, გავაქციენით და დაეხოცენით, რომე რისხვა ღმთისა მოვაწიეთ მათ ზედან. მერმე ააგეს მას ადგილსა ზედან სახლი ქვითკირისა, დააწერნეს სამნივე და ჩვენცა მათნი ყმანი დაგვეწერნეს თვის თანა. წამოვედით და მოვედით იამანსა ჰაბუკსა თანა და დაეყავით კვირა ერთი. შეიყარნეს ერთმანერთი, ძმად იფიცნეს სამნივე გოლიათნი, და თავმან მეფობისა შენისამან, მათ ვერა მოეროდესთ რა. გაიყვეს განძი სამად და წავიდნენ თავთავისად სახლსა, დიდად გამარჯვებულნი.

კ ა რ ი V

ამბრი არაბის ანბავი.

ისმენდი მეფეთ მეფეო, ცხოზდი უკუ-
ნისაზდე, აღიდნეს ლმერთმან მოყვარენი
თქვენნი და არცხვიროს ორგულნი თქვენ-
ნი. სხვათა ნაქმართა ანბავი დადათ იამე-
ბოლა პატრონსა ჩემსა ამირან დარეჯა-
ნის ძესა, ვითა მოეახსენე მეფობასა
თქვენსა ესრეთ იყო, რომე ბლდადისა
ქალაქსა შუკათა შიგან მოვიდოდით. სამნი
კაცი ბანთა ზედან სხდეს, ლვიროსა
სმიდეს. ჩამოიხედნა ერთმან მათგანმან
და ეგრე თქვა: „ვითა აჰა, ამირან დარე-
ჯანის ძე, რომლისა მსგავსი არა არს
პირსა ყოველსა ქვეყანასა ზედაო და მე-
ორენაც თქვა: ოუმცა არა არსო, მერმე
მესამემან ეგრე თქვა: მათ მოყვასთა თანა
არა არს კაბუკი ქვეყანასა ზედან მისე-
ბრი, რომე ამბრი არაბი არისო და თუ
მას უნდა, კიდეც სჯობსო. ესმა ესე ამი-
რან დარეჯანის ძესა და მიბრძანა: გეს-
მის, სავარსამიძეო და მე მოეახსენე მეს-
მის, მეთქი. მერმე მიბრძანა წავედ და
იგი კაცი თანა წამოიტანეო და გვით-
ხრას მის კაცისა ანბავიო. უხმეთ მას
კაცსა და მოვიდა. უბრძანა თქვი, ძმაო,
ამბრი არაბის ანბავიო.

დაიწყო მან კაცმან ამბობა და თქვა:
ამბრი არაბის ანბავი, ეგრე მოგახსენო,
რომელი თვალითა ჩემითა მინახავსო,
თორემ ნახმენსა რიცხვი არა აქვსო. მო-
ახსენა: აგრე იყო, რომე არაბეთსა შიგან
ორნი მედენი იყვნეს, ტომნი ერთმანე-
თისანი და მტეროდეს ერთი მეორესა
და იყვის ყოველთა დღეთა და ყოველთა
ეთათა ომი საშინელი, რომე არა გაიგო-
ნების კაცისგან ბრძოლა უმეტესი. იცით
თქვენცა არა არიან კაბუკნი არაბთ ვრნი
პირსა ყოვლისა ქვეყანისასა და ყოველი
არაბეთი შუა გაყოფილ იყო და იბრძო-

დეს. ერთი იამანთა მეფისა მძახალი იყო
და ერთი ხანთა მეფისა. ესენიცა მისრულ
იყვნეს შევლად მაჰდა და გამოხდა წელნი
მრავალნი, რომე ერთმანერთსა ბრძოლასა
შინა იყვნეს. მოერივნეს ხანნი იამანთა
მით, რომელ იგი თურქნი და არაბნი
ერთად იყვნეს, მათი ბრძოლა კაცთაგან
ძნელი არის. გააძეს ერთი იგი მეფე და
წავიდა იამანსა და გაჰყვა ერთი დიდე-
ბული ნისთავანი, რომელსა სახელად ერ-
ქვა ომარ. ლომი, კაბუკი, დიდი და დიდე-
ბული, სხვა მისებრი არავინ გაჰყვა კაცი
საპატრონოსა მისისაგან. მოვიდა იამანსა
შინა იამანთა მეფესა თანა და მუნ იყო
არაბთა მეფე. მას ჯამსა ეცადნეს იამანნი
— ლაშქარნი არაბეთსა შინა შესვლასა
და განა ვერა შევიდნენ. ამას შიგან და-
ჰყვეს მრავალი წელნი იამანთა ქალაქსა
შიგან. და მის ერთსა ეამსა ეშუა მას არაბ-
თა მეფესა ძე ერთი და მასვე დღესა
მიეცა ძე ერთი ომარ, დიდებულსა მისსა,
და დასდვა ომარ ძესა თვისსა სახელი
ამარ. ოდეს შეიქნა ხუთისა წლისა, მერე
ყრმა მამამან მისმან მისცა აბუტარს. ესე
აბუტარი იყო ლომი, კაბუკი და გამოჩე-
ნილი ყმა მისი. და უთხრა ომარ აბუ-
ტარს, ვითა ესე შეილი ჩემი ამარ შენ-
და მომიცემია, ასწავლნე ომისა საქმენი
და ასპარეზთა ზედან მღერა, ვითა სჯობ-
დეს არაბეთსა შიგან კაბუკსა ყოველსა.
და მან მოახსენა, ვითა კაცობრივი საქმე
ყველა კარგად მივალბინო და გული
კვლავ ლმერთზე მისცეს, და, თუ გული
არა უქს, არას ეგებისო.

ამისთვის მისცეს აბუტარს საზრდელად
რომე სიმტკობთაგან იყო გამარჯვებული
და კარგ მქცეველი კაბუკი და ვერავინ
დაუღდვის დღეთა შინა მისთა მღერო.

ოდეს შეიქნა აშარ შვილისა წლისა, ასწავლიდა აბუტარ ოროლითა მღერასა და რაცა საკაბუკო საქმე იყო და არ იქნებოდა აბჯრითა მომღერი და მქცეველი მის ყმაწვილისაებრი, ნადირობდის და ასპარეზობდის, სადაცა მინდორსა შინა ლომ-ვეფხი ნახის, მან ცოტამან ყმამან ესრეთ მოკლის, ვითა კატა. დღესა ერთსა მინდორსა შიგან ოროლითა მღერდა, მოვიდა ვინმე ლარიბი კაცი, შეხედნა ამას ყმასა და ეგრე თქვა: და აღიპყრა სტროლაბი ამის ყმისათვის და შთახედნა შიგან და ეგრე თქვა მან მეცნიერმან კაცმან, ვითა არა იყოს ამის ყმის დამართებოთი ქაბუკი ქვეყანასა ზედანო. გამოხდა ხანი და შეიქნა აშარ თუთხმეტისა წლისა და არა იპოებოდა იამანთა ქვეყანასა შიგან ცხენი, რომე მას ერგებოდეს და ეძებდა მამა მისი ომარ ძისა მისისა ამირისათვის ცხენსა და ვერა პოებდა ვითარ ხამდა ეგრეთსა. მას ჟამსა მოვიდნეს კაცნი ინდონი და მათ კაცთა ჰყავთ ტაიჭი ზერდაკი, თოხარკი, რომელ არა იყო ცხენი მისებრი ქვეყანასა შიგან. იამა დიდად იამანთა მეფესა და იყიდა ზერდაკი, თოხარკი, სამი თათს დრაჰანად, და უბოძა ამბრი არაბსა, რომელსა სიმცროთაგან ამარობით უხმობდენ და უბრძანა, შეეყო. შეჯდა ამბრი არაბი, ითხოვა კინენი და გავიდა მოედანსა შიგან, იმღერდა ასპარეზთა ზედან ხედვიდა იამანთა მეფე, არაბთა მეფე და ყოველი იამანეთი და თქვეს: ერთი კაცი და ერთი ცხენი ამათებრი არა არს ქვეყანასა ზედანო.

ამბრი ცხოვრობს ქ. იემენში და იცავს მას თურქთა თავდასხმისაგან. ერთხელ ის, მტრების საბოლოო ასალაგმავად, დიდძალი ჯარით შეესია თურქეთს და დაუწყო აოხრება. იამანელი დამარცხდენ. ამბრი მცირე ჯარით ციხეში ჩაიკეტა და აქედან მოსვენებას არ აძლევდა გარეშემორატყმულ თურქთა ჯარს. მაშინ თვით ხანთა მეფემ კვლავ შეკრთა უბრავესი ლაშქარი და

სამი საუეთესო ბუნებრაზის თანხლებით, გამოემართა ამბრი არაბთან საომრად. ომის წინ მეფემ წინადადება მისცა ამბრის შებრძოლებოდა იმის ბუნებრაზებს.

ვითა გათენდა, გააღებინა მეფემან საკარმანგი კარაენი და დაჯდა იგი, დაისხნა ხუთასი ღიდებულნი თვისნი და დაიღვა ნადიმი. მღერიდეს მგოსანნი და მოწაითნი. მოდგეს ყოველნი ლაშქარნი ხედვად და გადჯდა ამბრი არაბი ზერდაკსა თვისსა, და გაჰყვა გამზრდელი მისი აბუტარ თანა, და გამოვიდა იმა სამთა ბუნებრაზთაგან ერთი, გამოუგზავნა ლახტი თვისი და ეგრე შემოუთვალა: ვითარ დღეს ამით შევიბნეთო. აილო ამბრი არაბმან და ეგრე თქვა: მე ვხედავ, რომე არა ჰგავა პატრონსა თქვენსა სიკედლით თქვენი, იგი ნადიმად ზის და იცის დასტურად, რომ მოკედლები ხელითა ჩემითაო. ამაზედან შემოუღეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუტევეს და შეიბნეს, ჰკრეს ერთმანერთსა მრავალი; ამაზედან ამბრი არაბმან იყიელა ხმა მალლა და ეგრე თქვა: აწ ნახეთ მეფის ბუნებრაზის ყოფაო. ჰკრა ლახტი, ზურგი მოსტეხა და მუნვე მოჰკლა. შეიქნა იმიერ ზრუნვა ურიცხვი და თქვეს ყოველმან ერმან, არა ნახულა ქაბუკი ამბრი არაბისაებრიო, და კიდევ უთხრა ამბრი არაბმან, მასვე წამსა, ვითა თქვეც გამოლით ბუმბერაზნო, მზაცა ვარო. დაუძძიდა მეფესა და აგრე შემოუთვალა: ვით დღეს წავედ და ხვალ გამოვიდო. შემოიქცა ამბრი არაბი და შემოვიდა მასვე ქალაქსა. შევახსით ქება და დავგულოვნდით ჩვენ ყოველნი კაცნი.

რა გათენდა, დაჯდა ხანთა მეფე, დაისხნა ღიდებულნი, დაიღვა ნადიმი, მაგრამ მგოსანნი აღარა მღერდეს. გამოდგნენ ყოველნი ლაშქარნი ხედვად. გავიდა ამბრი არაბი და გაიტანა აბუტარ გამზრდელი თვისი, არა მეშველედ უნდოდის, მაგრამ სიმცროთაგან ომისა საქმითა მისგან იყო განსწავლული და როცა დააკლდის ამ-

ბრი არაბს ომისა საქმე, აბუტარ ასწავლის, და მისთვის გააკვებოდის თანა. გამოვიდა იგი ბუნბერაზი და თქვა, დღეს ხლმით შევიბნეთო და უთხრა ამბრი არაბმან, დია ღმერთო, უმაღლე მოკლაო. შეუტყვეს ერთმანერთსა, შეზახნეს და, თავმან შენმან, ომად კმარ იყო! გარდააღეწნეს თვითო ხმლები ერთმანერთსა ზედან და მეორენი გამოიწოდნეს და იყო ხმა ლაშქართა შიგან. მაშინ გაიყენა ცხენი ამბრი არაბმან და ეგრე შეყვილა: აჰა, ნახეო ნაკვეთობა ხლმისა ჩემისაო! ამაზედან შეშინდა იგი ბუნბერაზი, თურმე მორჩენის ღონეს ეძებდა. ოდეს გაექცა, წაეწივა ამბრი არაბი, ჰკრა წელთა ზედან ხმალი, ზედათი კერძო სრულ მოკვითა და ბარკლები თურმე დაკრული იყვნეს ცხენთა ზედან. წავიდა მის ბუნბერაზის ცხენი და შეყვილა ამბრი არაბმან, ვითა ნუ სწყურებით, ნახევიარი ჩვენ გვინდოდაო. დაუძძინდა ხანთა მეფესა მის ბუნბერაზის სიკვდილი. შემოვიდა ამბრი არაბი მუნით და შევასხნით ქება ყოველთა და გვემატა ძალი და ვსთქვით, ვითა ვინათგან ამბრი არაბი არის ჩვენი პატრონი, ვნება არავისგან ეგების, ერთი ღმთისაგან კიდეო. გამოხდა ხანი, და ისწრაფდა ამბრი არაბი მის მესამისაჲსა შებმასა და გაგზავნა კაცნი ხანთა მეფისა თანა და ეგრე შეუთვალა: ვინათგან აქა ომისათვის მოსრულ ხარ, ომი ხამსო. გამოგზავნე ეგე მესამეცა ბუნბერაზი, ვიცი, რომე ყოველთა სჯობს და განა სჯობდეს, ომისაგან კიდე არა გვეწევის რა. ხვალე ომი არს ჩემი და მაგისიო.

მერე მეფემან, შიკვირებულმან ანიგვან, კიდე პასუხი ვერა გამოსცა რა, ვითა ნუ ისწრაფი, უომრად არ გაგიშვებს ესე ჩემი ბუნბერაზიო, ხვალისად მხაცა ხარო. დილას შეჯდა თვით ხანთა მეფე და სპა-ლაშქარნი მისნი ყოველნი შეეკმანა. და დადგა რაზმითა ურიცხვითა და გამოვიდა იგი მესამე ბუნბერაზიცა. დაე-

კიდნეს ცხენისა სატკივართა ადგილთა პოლექტიკნი კინენი, და თვითე ჩამოეკიდნეს კინენი ყოველივე და ვსთქვით ყოველთავე ქაბუკი ერთი ამას ვერა სჯობსო. გამოგზავნა მან ბუნბერაზმან კაცი და შემოეთვალა, ვით დღეს სიკვდილი არის შენი, ანუ ჩემიო. თუ მძლიო ნუ დამარჩენ დღეთა ჩემთა და თუმცა მოგერიო, მოკლაეო, მით რომე რაზომი სისხლი დათხეულა ხელითა შენითა თურქეთსა შინა. ამაზედან უყვილა ამბრი არაბმან: ვითა მოსრულ არს აღსასრული შენიო! გავიდა კინენითა, შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, და იმბრძოდეს ცოტასა ხანსა, მეგრე გაიყვანა ცხენი ამბრი არაბმან და შემოაკვილა მეფესა: აწ ნახეთ გაგება ბუნბერაზისა შენისაო! შეუტყვა, შეუყარა კინენი, აილო უნაგირისაგან და გარსტყორცნა თვით სადა მეფე იდგა და დასცა წინაშე მისსა და მოკლა. მერმე ესე შეყვილა მას მეფესა: ვითა გაიკითხე ეგე შენი ბუნბერაზი, თუ ვითარი ქაბუკი ვარო! რა ესე მოინახა მეფემან, მაშინ ბრძანა: ეაჰია, ვისცა შეგიძლიანთ შეუტივეთ ყოველმან კაცმან, მით რომე ასწყვიტნა ლაშქარნი ჩემნი და დამიხოცნა სამნი ბუნბერაზნი ჩემნიო.

ამაზედან შემოგვიტრეს სპათა მისთა ყოველთა და წინა მივიდა აბუტარ ამბრი არაბისაგანცა და თქვეს: ვითა მას დღესა აბუტარ სჯობდა ყოველთავე. გარდახდა მას დღეს ომი ძლიერი, დახოცნეს მას დღესა ლაშქარნი მათნი ურიცხვნი.

მოსწყდა ამბრი არაბი და ხანთა მეფე შეიპყრა. ვითა სცნა, რომე ესე ხანთა მეფე არისო, გარდახდა ამბრი არაბი, თაყვანი სცა: შემინდღე მეფეო, მე მონა ვარ და შენ დიდი ხელმწიფე, არა ეგების ჩემგან სიკვდილი შენი და არცა საპატიმროდ წარაყვანება. განუტყვა იგი მეფე და არაცალა ლაშქართა მათთა სდევდა. მოებრუნდით და ავიდეთ ალაფი, რომლისა არა იყო რიცხვი. განვისვენეთ კვირა ერთი და

წამოვედით მუნიტგან გამარჯვებულნი იამანსა შინა. მიესმა ესე ანბავი იამანთა ნეფესა გამარჯვება ჩენნი. განიხარა სიხარულითა დიდითა და გამოგვიგება სანისა დღის საეალსა იგივე და ყოველნი დიდებულნი მისნი. შესხეს ქება. პირველ ნეფემან და ყოველმან ერმან უძღვნეს უსაზოჳო. შევედით იამანთა ქალაქთა შიგან და შეიყვარა მეფემან და ყოველმან ერმან, ვითარცა შენოდა სიკეთესა მისსა. აწინდა იამანთა ქვეყანა და ამას იტყოდეს. გვიხსნა ტყვეობისაგან ამბრი არაბნან ქაბუციობითა თვისითაო იყო მეფე და ყოველი იამანეთი შეებასა და სიხარულსა შინა დიდსა.

ინდოს ქაბუციხაგან იამანთა ქვეყანას შესვლა

იყო ინდო ქაბუცი ესეთი, რომა არა იყო დამართებითი მისი ქვეყანასა ზედან და წაიხუნეს ქვეყანანი მრავალნი იამანთა მეფისანი. შეიღისა დღის საეალსა და მის კერძ ქვეყანათა იერავინ შევიდოდეს მგზავრი, ანუ ქარავანი და ვერცა სხვა კაცი და იამანთა ქვეყანა მისგან დიდსა ურვასა და შეკირვებასა შინა იყვის. მაგრამ არა იყო მათგან ღონე ომისა მისისა. მრავალჯერ მიხდომოდეს ლაშქარნი მათნი, მაგრამ მასვე დაეხოცნეს და გამოეცივნეს.

როცა ამბრიმ გაციო ინდოს ანბავი. წავიდა მასთან საზოგადო. პირველი მათი შეტაკება უშედეგოთ დამთავრდა, გარდაწყვიტეს ხელმეორედ შეტბროლება.

ვითა შეკაზმნეს დღისსა ესა, გაიტანეს ორმოცი ცხენი. შეიბნეს. და არავის უნახავს ქაბუცნი ეგეთნი და არცა ომნი ნათებრნი ფიცხელნი და შენიერნი. მოუკლა მას დღესა ამბრი არაბმან ორმოცივე ცხენი და ინდომან ქაბუცმან ოცდაათი. ამაზედან გაიყარნეს და დაუძძიმდა ინდოსა ქაბუცსა დამეტება ამბრი არაბისაგან. კვლავ გამოუგზავნა ინდო ქა-

ბუქმან კაცი ამბრი არაბსა და შენოეთელა, ვითა ხეალეცა არს ესე ომისა ჩენისაო. და მან გამოსცა პასუხი, დია ღმერთო, ჰხამსაო. გავიდნენ მესამესა დღესა. სამოცი ცხენი მან გაიტანა, და სამოცი მან და შეიბნეს. თავმან თქვენმან, ესრეთ არა გვანდა პირველი ომი ამა დღესა, რომე ვითაცა იგი ცოტათა ყმათა ლალობა ყოფილიყო. გაფიცხდა ინდოქაბუცი და მოუკლა ამბრი არაბსა სამოცივე ცხენი. და მან მოუკლა ორმოცდაათი და დაუძძიმდა ამბრი არაბსა დამეტება ინდო ქაბუცისაგან. მერვე კვლავ მიუგზავნა მეოთხეთი კაცი ამბრი არაბმან და შეუთვალა: ვითა ხეალეცა ომი ხამსო, და მან გამოსცა პასუხი, დია ღმერთო, ხამსო. გამოვიდნეს მეოთხედ ომად. შეიბნეს, ზოგჯერ მან მოეკლის. ცხენი ჩამოაგდის, ზოგჯერ მან, მაგრამ ვერ შევიგნით, თუ როიელი სჯობდა. დაჰყვეს ყოველთა დღეთა ამა დიდსა ბრძოლასა და ზოგჯერ დიდსა შეებასა და სიხარულსა შინა და ნადირობასა იყვიან დღეთა მრავალთა ამო საქმესა შიგან და ესე გვეზინოდა, ვაი თუ რომელიმე მოკვდეს ამა ორთაგანიო.

დღესა ერთსა გამოგზავნა ამბრი არაბსა კაცი და ინდო ქაბუცისა და ეგრე შემოეთვალა, ვითა ჩვენ აქა ნადირობასა და გასვენებასა შიგან ვართ და სამეფო პატრონისა ჩენისა აოხრებულა ხელითა შენითა და მეცა ამისთვის ვარ გამოგზავნილი, რომე შენცა უნდა მიგიყვანო წინაშე იამანთა მეფისა და აწე ხამს. რომე გარდასწყვიტოთო. თუმცა მანვერო, რასაცა გინდა უზამდე იამანთა მეფესაო. აწ ბრძანეთ და გაეკქმაგა შავსა ტაიქსა ზედან და დაიკიდენ ხეალისა დღესა პოლეთიკნი კინენი სატიკივართა აღგილთა და მეცა აგრე ვიქო. გამოეცა პასუხი: ვითა არ იცი, მოსწყინებინარ იამანთა მეფესა და სწადებთა სიკვდილი შენი, რომე შენ ჩემად ოჲად გამოუგზავ-

ნიხარ და აწ ხვალე გაწყვეტა ხამს შენი და ჩემო. ვითა გათენდა, შეჯდა ინდო კაბუჯი შავსა მისსა ტაიქსა და დაიკინდა პოლექტიკნი კინენი, გამოვიდა და ვსთქეთ, თუმც არ არს კაბუჯი ამის ებრიო და დღეს არს სიკვდილი რომლისამეო. მაგრამ თუმცა ღონესა რასამე ეყოფილეთყავით, არა გვეწადა მას დღესა მათი ომი და ეგრეთვე დგას ამბრი არაბი პირის პირსა. შემოუვლეს ნაგარდი ერთმანერთსა, შემოუტიქნეს, შეუხაზნეს და შეიზნეს, თაჟმან შენმან და შუმმან ღვთისამან, ეგზომ ხელოვნად ეცადნენ ერთმანერთხედან დილითგან ვიდრე მწუხრამდე, უკრიდეს ოროლთა და ვერც ერთმანერთ შესძრიან, ვერცა ვცანით დაშრობა ერთ ერთისა. იყო ომი საზომი და იბრძოდეს ფიცხელათ: ზახილსა და აბჯართა მათთა ზედან ცემისა ქეხისაგან არლარა ისმოდა ყურსა კაცისასა, ვითა იძროდა ქვეყანა. მიეწურა დღენიცა და ეერა შევიგენით ერთისაცა კლება, და ვერცა ცხენთა მათთა დაშრობა. მერე გაიყენა ცხენი ინდო კაბუჯმან, იყივლა ხმა მალლად: ვითა, ამბრი არაბო, აწ ნახე კაბუჯობა ჩემი და სიმტკიცე მკლავისა ჩემისაო! შემოუტევა ორტოლით და გაუტეხნა პოლექტიკნი რკინანი, აბჯარნი და რაცა იყო ტანსა მისსა ყველაი და შიგან დიდი შეჭკვეთა, და მის ნაკრავსა ხმა, რომელ გამოხდა. ცის ქეხასა ჰგავდა. და გაჰკვირდნენ ყოველნი მის ნაკრავის ხმისა

გამოსვლასა. მერე გაივლო ცხენი აშბრი არაბმან, იყივლა და სთქვა: მოვიდა ამბრი არაბი და მოვიდა სიკვდილი შენიო! შემოუტევა ცხენით, შემოუყირა კინენი. აზილდა, კბილ ღრქენით აილო ცხენითთურთ და ქვეყანასა დაჰკრა, მოუვლდა ცხენი და დასცა ინდო კაბუჯი!

მერმე შეხედნა და სთქვა ინდოზან კაბუჯმან: მაღლი ღმერთსა, რომე ვნახე კაბუჯი უცეთესი ჩემსა თვალთა ჩემითა, თვარემ ნასმენსა ვინ ჯერ იყო სიკეთესა ამისასო. გარდახდა ამბრი არაბიცა და მოეხვიენეს ერთმანერთსა და აკოცებდეს. მერე წამოვიდნენ ორნივე კარავსა ამბრი არაბისასა და შეიქმნა სიხარული დიდი, ამისთვის, რომე დარჩნეს ორნივე გმირნი მშვიდობით ერთმანერთის ხელისაგან. (მეგობრებს დაშორება მოუხდათ).

მაგრამ დიდათ შეიკირებდნენ ერთმანერთის სიშორისათვის. დადვეს ფიცი. ვითა რომელსაცა გაგვიპირდეს, ერთმანერთსამცა ვართო და ამა სიტყვათა ზედან გაიყარნეს. წავიდა იქით ინდო კაბუჯი და შემოვბრუნდით ჩვენ იამანთა ქალაქსა შიგან. იყო ყოველი საშეფო იამანეთისა სიხარულსა შინა დიდსა.

ამის შემდეგ ამბრი არაბი ინდო კაბუჯის დახმარებით დაამარცხებს ხანთა ლაშქარს და განდგომილ არაბეთს ისევ იემენს დაუმორჩილებს.

მოისმინა რა ეს ყველაფერი, ამირანმა, მამონე: გაემგზავრა იგი ამბრის სანახავად. მაგრამ იქ ვიდა სწორედ იმ დროს, როცა უკვე გაოდარეულეულ ამბრს სასაფლაოებდნენ.

ა მ ბ ა რ ა ნ

მ ნ ა თ ო ბ თ ა ა ნ ბ ა ვ ი

ისმინე. მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენი და არცხვინოს ორგულთა თქვენთა! ბაღდადელი ამირ მული ნადიმად ჯდა და გვერდთა ახლდეს აბრამ, ეახიროთა

უხუცესი და აჯერ, ეჯიბთა უხუცესი. ნასჯამსა შემოიარეს სამთა ძეთა მათ ამირ მულისათა, მათ მშვენიერთა ნაყოფთა. მოწითულთა და არა ესვათ ერთსაცა მათგანსა ცოლი. შეხედნეს მათ დიდე-

ბელთა, რომელნი მას ნადიმსა შიგან სხდეს და სთქვეს: „არა შეილობითა მეფეთათა ვყოთ და ვსთქვათ სიტყვა სინართლით, მაგრამ ნაყოფნი მათებრნი ბაღადლის ქალაქთა შიგან არა ოდეს ყოფილან და არცა მამათა ჩვენთაგან ვგსმენიაო“. შემოვიდეს და დასხდეს იგი ძენი ნეფისანი. მაშინ აღდგენ აბრაამ, ვაზირთა უხუცესი და აჯერ, ეჯიბთა უხუცესი და მოახსენეს ბაღადლისა ამირ მულსა.

— ცხონდი მეფეთ მეფეო, უკუნისამდე! ძენი ოქვენნი ესეთნი ნაყოფნი არიან, რომე მსვაცსნი მათნი არა ვისმე უნახავს. მოწითულობისა და ჭაბუკობისა ჟამნი აქვს და ერთსაცა მათგანსა არა ჰყავს ცოლი და ესე დიდათ სამძიპარი არის სამეფოთა თქვენთა“. რა ესე მოისმინა ბაღადელმა ამირ მულმან, სთქვა: „ესე მეცა ვიცი, რომე დიდათ სამძიპარია სამეფოსა ჩვენისათვის და შეგჭირდებისთ ყოველივე. იცის ღმერთმან, მნებავს, მაგრამ ვერ სადა მიპოვნია ცოლნი, შესატყვისნი სიკეთისა მათისანი. ვიცი, რომელ მექენებიან ბერძენთა მეფისა ასული, ინდოთ მეფისა ასული და ხაზართა მეფისა ასული და არ არიან შესატყვისნი შეილთა ჩემთანი. მაშინ მოახსენა აბრაამ, ეჯიბთა უხუცესმან და აჯერ, ეჯიბთა უხუცესმან: ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! ამის საქმისათვის ჩვენი ღონე ამირან დარეჯანის ძე არის: ქველი გულითა, ბრძენი მეცნიერებითა და მცდელი ხელოვნებითა. მას უფლიან ქვეყანანი მრავალნი და ყოველივე უწყის საქმენი მათ უცხოთა თემთანი: ანუ ენახეს და ანუ ასროდეს, თუ ქვეყანასა ზედან სად არიან მშვენიერნი ქალნი მეფეთა ვისთაგანნი და მოვახსენოთ, თუმცა თხოვნით მოიყვანეთ. ჯერ არს მოყვანება ჩვენგანვე და თუმცა შორს ქვეყანასა იყოს ომით მოსაყვანებელი და მისგანვე ხამს მოყვანება“. მაშინ ბრძანა ამირ მულმან, აჰა წავიდეთ სახლსა ამირან დარეჯანის ძი-

სა და მუნ ვიურვოთ ესე საქმე მასთანაო.

ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! ამირან დარეჯანის ძე სახლად თვისად ნადიმად სჯდა და ყმანი მისნი გვერდთა უსხდით. მაშინ შემოდგა მონა მეფისა და მოახსენა, ვითა ბაღადელი ამირ მული, სამნი ძენი მისნი და თანა ჰყავს აბრაამ ვეზირთა უხუცესი და აჯერ, ეჯიბთა უხუცესი, აჰა მოვლენ სახლსა შინა შენსაო. გაუკვირდა ესე ამირან დარეჯანის ძესა, და ეგრე სთქვა: ნეტარ რათ მოვლენ, ნუ თუ დაუშართებითა მტერთა ჩვენ ზედან, და ესე იყოს მიზეზი მათისა მოსვლისაო? მას ეამსა გაეგება წინა, თაყვანი სცა და მოახსენა: ცხონდი, ამირთ ამირო, მადლისა გარდახდა ჰხამს ჩემგან თქვენისა აქ მობრძანებისათვის და ვერ ვარგებ მეფობასა თქვენსა მგზავსსა მსახურებასა, მაგრამ სახელი დიდი აქვს თავსა. სიმდაბლესა. დამადლა ესე ამირ მულ და უბრძანა: დარეჯანის ძეო, აქ შოვალ სახლსა მამისა ჩემისაო, და შინა შევიდნენ და დასხდნენ. — მერმე, მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან: ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! ვინათგან დაგიმდაბლებით თაენი და მოსულობართ მონისა კარსა, ჰხამს ესე ჩომე, ნადიმი გარდაიხადოთ და თაემან მეფობისა შენისამან, ერთი ასეთი რამ ტურფა გიძღვნა, რომელ კაცისა თვალისაგან ეგეთნი არა ნახულიყოს რაო. დაუმაღლა ესე ამირ მულმან და შემდგომად მის ნადიმისა გაყარასა ზედან უძღვნა დიადნი, რომლისა მოთვლა არ ეგების, რაცა ფერი სტაერა არის და სხვანი უცხონი ოქროს ქსოვილნი, ყოვლისაგან ოცოცი უძღვნა, და რაცა ფერის ცხენი არის, ყოველთაგან ას ასი ტაიქნი და თვალ მარგალიტნი ურიცხენი. შემდგომად ამისა წავიდა თვით ამირან დარეჯანის ძე და მოიხენა მოთხენი თვალმარგალიტთა შექედილნი და კლიტენი

იყენეს ოქროსანი. გაახენა იგი მოთხენი და ამოახენა გვირგვინი უცხონი და მას გვირგვინსა ზედან რომ თვალნი სხდეს, ჯერეთ მას არად ვახსენებ. ამის გარდა სამნი თვალნი იყენეს მას გვირგვინსა ზედან: ერთი თეთრი, ერთი მწვანე და ერთი წითელი და მათ სამთა თვალთაგან, რომელიცა უკუნსა ღამეს შიგან დასდვის ესრედ ნათობდის, რომე მწერალთაგან იწერებოდის და მოსაქმეთაგან ხელნაქმარი გაციდის და ვინცა ნახის გაჰკვირდის მის ეგეთისა სიტურფისათვის და ამას გარდა უძღვნა მრავალნი და აურაცხელნი შვილთაცა და დიდებულთა ყოველთა. დაიმადლა ამირ მულმან და უბრძანა: კმა არს, მჯობო ყოველთა ქაბუქთაო, განა სახლსა შენსა მოსვლის მიზეზი ესე იყო? ჯერეთ ვითარ ჩემი და მერე ესე არის, რომელ ხედავ ამა შვილთა ჩემთა. მე არა შვილობითა ვაქებ, მაგრამ თვალსა კაცისასა ნაყოფნი ეგეთნი არა უნახავსთ და ესე მწადას, რომე სიკეთისა მათისა შესატყვისნი ცოლნი შვერთო. ეს არის აჯა ჩემი შენთანა და მერე, რომელ მიძღვენ ძღვენი ღიადი და საკვირველი, მე მისთვის მადლსა არას გარდავიხდი, ამაღ რომელ თუმცა ხემწიფე ვიყო, ჟამიერად გარდავიხადოო. თაყვანი სცა ამირან დარეჯანის ძემან და მოახსენა:

ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! გიბრძანებით პირველ საცოლონი შვილთა თქვენთათვის და პასუხი ესევე გკადრო, რომელ ყოველნი ქვეყანა მომიმართებია, მაგრამ მათისა სიკეთისა შესატყვისნი ქალონი არა სადმე მინახავს. აწ მე ამასვე გკადრებ და მოვახსენებ მეფობასა თქვენსა: რომელსაჲ ქვეყანასა შემოიჩინოთ, თავი ჩემი არ შევიწყალო ანუ მოეკვედ და ანუ აღვასრულო საწადელი გულისა თქვენისაო. და ძღვნისა კვლავ მადლსა რასა იკადრებთ. ყოველივე თქვენი ნაბოძებია და ბედითა თქვენითა მოგებულთაო. მაღ-

ლი უბრძანა ამირ მულმან და წავიდა სახლსა თვისსა. მეორესა დღესა უზნო ბაღდადეღა ამირ მულმან ამირან დარეჯანის ძესა. ნაღმსა შინა ოდეს მივიდა, დაედგნეს სიახლოესა საჯდომნი. ზე ადგამირ მულმ, იწვია და დასვა. დავსხედით ჩვენცა. დიდათ განგვისვენა და რა გარდახდა ნაღმი, უბოძა საბოძვარი ურიცხვი და მის გვირგვინისათვის უბოძა ხუთასი სოფელი და ჩვენცა გვიბოძა ურიცხვი და სამოსელნი ტურჟანი და წამოკვედით.

ამირ მულმ უბრძანა თავის ვეზირებს, მოეძებნათ ქვეყნად უღამახეცი და უკეთესი სასძლოები. ვეზირები წავიდნენ და სანჯრძღვე ძეხნის შემდეგ უიწოდით შინ რომ ბუნდებოდნენ, ნახეს:

მინდორსა შიგან სპილო, ფერათ თეთრი და მას ზედან კუმო შეკაზმული ტურჟანი და მას შიგან იჯდა კაცი ვინმე მშვენიერი, მხეც კმნილი და მას გვერდით უჯდა ქალი, ვითარცა მზე. წინა ლეინო ედგა და ცალ კერძ ეგო პური.... შეკაზმული და ძოწეული საჯდომი ესხნეს. ორთავე ემოსნეს ძოწეულნი და მათ უკანა მოსდევდეს ორნი მონანი, ორნივე ტაიქოსანი, ეგრეთვე ტურჟათ შეკაზმულნი და მოუდგებოდეს უკანარე იმიერ და ამიერ, ესრეთ მოვიდოდა კაცი იგი.

ვეზირებმა დაჰპატყვეს ეს უცხო მგზავრი, წაიყვანეს სახლში და სხვათა შორის უამბეს ყველაფერი ამირ მულმს დაველბუღი. მგზავრმა უთხრა:

„მე აბუტალიბ ვარ, ღარიბი და ევეთსა ეტლსა ზედან ვშობილვარ, რომე მშვილობა არს ჩემთანა და არცინ არას მავნებს დაბადებული კაცი. დიდებულთა შვილი ვიყავ და თვით დიდებული. დავაგდე ყოველივე და ვიარები ქვეყანასა ზედან. მომივლოა ცასა ქვეშე, სადა ოდენ ხმელი არს და მრავალთა დღეთა ზღვათა შიგან მივლია და თუცი საქმენი ყოველთა კიდეთანი, და თუმცა კაცი ვინმე ჰყავს პატრონსა შენსა, რომე მოყვანება შეეძლოს, ეგეთნი, ღმერთო, ვასწავლნე,

რომე არა რა იყვნენ ქალნი ეგეთნი პირსა წყლისა ქვეყნისასა. მაგრამაწვეგი თხრობ, რომე მოყვანება არა ეგების. მათ ჰკითხეს: „სად არის ქვეყანა ეგეთი, რომე მოყვანება არა იქნებისო?“ და მან ჰპოვა: არს ქვეყანა მეტად დიდი და მშვენიერი და მას აღვიღსა წნათობთა ქვეყანა ჰრქვიან, მეტად დიდი და მშვენიერი. მუნ მეთუბს „მან შევე, დიდებითა დიდითა და ურიცხვისა ზიანიითა რე ზარითა. არიან შვიდნი ბნათობნი ასულნი მისნი, რომე არა ითიქვის კაცისა ენისაგან სიკეთე მათი. უსხენან მშვენიერთა სახლთა შიგან და თუშის თვით არა ნახავს, სხვისაგან არა ეგების მათი ნახვა და ესეცა ესთქვათ ყოველსა კაცსა მის ქვეყანისა კაცი სჯობს. ნიმიყვანეთ მე მას ბაღდადელსა ამირ მულისთან და თვით მოვახსენო ყოველივეო.“

აბუტალიბი ამირ-მელს და ანორ: და რეჯანის ძეს უაზრო ყველაფეო, მაგრამ გააფრთხილა, ასუან ზღვის საბრძანებელი მიუვლია და დავაწყნო. ამირანმა უბრძანა: „შენ ნუ მივაზიოლებ, ეს ნიამბე ლუმეა გზა რა ვეარი არისო“. იახლა თვისი რჩეული კაბუტევი/საქარსამიძე: ბან ჰაბანის ძე. აღი ნოპადოს ძე, ასან ბადრიძე. ეამარ ყამარელი, ქოსი ქოსიძე და აბუტალიბის ბრძის თანხლებით, გაემგზავრა მნათობთა ქვეყანას. გზა ძნელად საველი აღმოჩნდა. მეკარბუნი თუ მხეცნი, რაც შეხვდათ, ამოპოცეს. აბუტალიბის მონა გაიპარა. ბუნებურაზებს გზა დევნათ და ფიქრობდენ უკან მოქვეყვას. ამირანი დაწერა: „გვა ვარგთა კაბუტთა ხელი არ არისო. ხენარმან ლეთისამან და მზემან პატრონისა ჩენისა ბაღდადელის ამირ-მელისამან, ვირემ ზახსა მართალსა არად გავიღებ, არა დაებრუნდებიო“.

წავედით და იყო მინდორსა შიგან ხენი მშვენიერი, ეგრევე ჩრდილოვანი და სდიოლეს ქვეშ მისსა წყარონი ტურფანი, და ბრძანა ამირან და რეჯანის ძემან: — „მას ხეთა ძირსა კამა სადილისა მსურსო.“ გარდახდა და ოდეს დაესხედით, მინდორსა შიგან კაცი ვინმე მოვიდოდა. ჯამბახსა აქლემსა ზედან ჯდა თოხარიკსა, ოთხი შესამოსელი ტანსა ემოსნეს და

თეთრივე რიდე თავსა მისაზედან ეხვია. არ გვენანხეს დღეთა მარეალთა შიგან კაცი და გაცაგვახარნეს მის კაცისა ნახვა.

უხმეთ და მოვიდა, გარდახდა და თაყვანი სცა ამირან და რეჯანის ძესა. უბრძანა დაჯდომა, დავიწვიეთ იგი კაცი და ესქამეთ სადილი. მაშინ უბრძანა და რეჯანის ძემან: ვინა ხარ, ძმაო, ანუ სით მოხვალო? მან მოახსენა: პატრონო, თქვენ სით წახვალთ ეს მიკვირს ამა მცირედით კაციოთ ამა ქვეყანასა შიგან, თორემ მე რასა მკითხავთ ვიარები ქვეყანასა ზედანო. მერე გვიბრძანა ამირან და რეჯანის ძემან თუნდა ვამცნოთ ჩვენი ამბავი ამა კაცსა, ნუ თუ კვლავ რამე იცოდესო. და ჩვენ მოვახსენეთ რომე უბრძანე მეტი. მაშინ უბრძანა ყველაი. მერე გაიცინა მან კაცმან და ეგრე სთქვა: ვითა წელანვე ვცან ვეგ საქმე, რომე ჩემი ძმის აბუტალიბისაგან ხართ ამა ქვეყანასა წამოსულნი, თორემ ამა ქვეყანათა საქმე ვინ იცოდა, მისგან კიდე. აწე რათამცა გულ მყოვრად მკითხეთ და კიდევ გხედავთ ეგრე, ვითარცა კეთილსა კაბუტსა, მეცა მართალსავე მოვახსენებ: მე ძმა ვარ აბუტალიბისა და მეცა მზგავსად მისად ვიარები ქვეყანათა ზედან. აწე რადგან არ დამიმაღლე საქმენი გულისა თქვენიანი, მეცა ესე გაცნობო მის ქვეყანისა საქმენი და მუნებურთა კაბუტთა რიგი, რომე ვითამცა თვით თვალთა თქვენითა გვენახნეს. აწ მეცა თავითა ჩემითა გიწინამძღვრო და მიგიყვანო მას ქვეყანასა შიგანო.

არს, ლმერთო, გზა ძნელი და საქირი. განა მიანდვენით თავნი თქვენნი ლმერთსა და იყენენით გულნი თქვენნი თქვენთანო. გვალე წარვიდეთ და გავაცადოთ მის ქვეყნისა საქმენი და სიმრავლე კაბუტთა მათგანთა. წავედით და დაიწყო მან კაცმან საუბარი და ამბავნი მის ქვეყნისანი და ოდეს სთქვა, დაკაზმულნი ცხენოსანნი ურიცხვნი, რომელ არა დააკლდე-

ბიან და არიან ზედან მათ ლაშქართა სპასალარნი, განჩენილნი ლომნი ჰაბუქნი ათნი და სხვანი ბუნებერაზნი არიან თვით მას ქალაქსა შიგან, რომელ არა ეგების მათი დამართებითი კაცი და არიან იმა ათთაგან ბუმბერაზთა ოთხნი, რომელსა აქვსთ ვაჩენილი დღეში ათასი დრაჰკანი და მათ ექვსთა აქვსთ ხუთასი ხუთასი დრაჰკანი და იტყვიან მის ქვეყნისა კაცნი: ვითა არ ეგების მათი შეხმა მტერთაგანო. მაგარე იგი ქალაქნი, რომელსა შიგან დგანან, მათგან დიდსა ჰირსა შიგან არიანო და მუნ მოსწყინებიან ყოველთა.

ამირანი თავის ამალით მიადგა ასფან მეფის ნატახტო ქალაქს. ამ დროს აქ იყვნენ მეფის ასულთა ხელის მძებნელნი ხელმწიფე-ჰაბუქნი: სვიმონ, სინთა მეფის ძე, იამანთა მეფის ძე — იამან ჰაბუქი, ხოსრო ხაზართა მეფის ძე და ლასურ დელამთა მეფის ძე და სხვა ექვსი აზნაური ჰაბუქი. ამათ მოეოხრათ მთელი სამეფო და დადგომილ იყვნენ კართა ზედან ქალაქისათა. აქვე დაბანაკდა ამირანიც თავის ამალით. თავისი ლაშქრის მარცხით შეწყუბულმა, ასუნა მეფემ, უძღვეელი ჰაბუქნი გამოგზავნა გარემოდგომილ მეფეებთან საბრძოლველად. გაიმართა შორეული ბუნებერაზთა შეჯიბრება. პირველად გავიდა სინთა მეფე.

ვითა გათენდა და დილასა მზე ქვეყანათა ზედან აღმობრწყინდა, მას ჟამსა წარმოდგნენ ზედან მებუქე, მედაბდაფენი და მოადგნენ ზედან ბანის ბან ყოველნი მოქალაქენი და ლაშქარნი. თვით დაჯდა ასფან მეფე მაღალთა ბანთა ზედან, ჯდა მასთანა დედოფალი და იგი მნათობნი ასულნი მისნი და დიდებულნი. დაიდვა ნადიმი. მღერდეს მგოსანნი და მოშაითნი. ოდეს შეეხედნით შორიდგან მათ მნათობთა, ასულთა მეფისათა, და ეგრე ვსთქვიით, ვითა არ ნახულან მეზავსნი ამათნი ქვეყანასა ზედანო! და მას ჟამსა გამოვიდა მუხით ბუნებერაზნი ერთი, შეკაზმული საომრად მოედანსა შიგან და აქედგან შეეკაზმა იგი სვიმონ, სინთა მეფისა ძე, მაგრამ თავმან მეფობისა შენიხამან, კაცისა თვალსა ზედან საამოდ კმარა-

იყო. შემოუღუნეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუტყვეს, შეუზახნეს და შეიბნეს. თავმან თქვენიმან, ომად კმა იყო. იბრძოლეს ვიდრე სამხრამდე. მერე იყივლა სვიმონ სინთა მეფისა ძემან: ვითა ისმინე ასფან მეფეო, აწე ნახე ბუნებერაზისა შენისა ჰაბუქობა. შემოუტევა, ჰკრა ხმალი ჩაბლახსა ზედან და ჩაჰკვეთა, ვიდრე მერე დამღის, ფიცხლად მოკლა. ჩვენ გავვე ხარნეს და შევასხით ქება სვიმონ სინთა მეფისა ძეს. დაუშინდა მეთად ასფან მეფესა, მაგრამ მოქალაქეთა ერთობ გავხარნეს. გავიარენით მას დღესა და წაველით თავ თავისა კარავსა.

ასე დამთავრდა დანარჩენ მეფე-ჰაბუქთა გამოსვლა. მათ სათითაოდ დახოცეს ასფან მეფის ყველა ფალაენები. ბოლოს ასფან შემოთვალა: რადგან მრავალნი მოსულხართ ასულთა ჩემთა ხელის საძიებლად „აწ გამოცდა ხამს ხელთა ქვენთა, თუ ვინ დააჯროთ ერთმანერთი. შეუბით ამირან დარეჯანის ძეს და ენახოთ თუ რა როგი ჰაბუქნი ხართო“.

ამირანი წინააღმდეგი იყო: „მე ყოველთა მეფეთა მონა ვარ და არავის ეკადობ მისსაო“, მაგრამ როცა ასეთი პასუხი მას შიშის ნიშნად ჩამოართვის, დასთანხმდა და სთქვა: „უწყის ღმერთმა მე ნებითა ჩემითა არა ევბრძვი ხელმწიფეთა, ამად რომე არამცა ფათურაკი და მოკვდეს რომელიმე ხელითა ჩემითაო. არა ჯერ არს აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიყვედილო“.

დილა რა გათენდა და პირი მიწისა მზემან ლალის ფრად შესცვალა, დაჯდა ასფან მეფე მასვე მაღალთა საჯდომთა ზედან დედოფლითურთ თვისით, დაისხნა ქალნი მნათობნი თვისნი და დიდებულნი ყოველნი. დაიდვა ნადიმი. მღერდეს მგოსანნი და მოშაითნი და მოდგეს მკერეტელნი ქალნი და ყმანი, დასცემდეს მებუქე მედაბდაფენი. იყო ზმა და ყრილობა ერთა ურიცხვთა. მაშინ გამოეზავნა მონა თვისი ასფან მეფესა ჩვენ, პატრონისა ჩვენისა ყმათათვის და ებრძანა: თავსა ჩემსა, გულოვნად შეებას პატრონი თქვენი ამირან დარეჯანის ძეო. ამაზედ სთქვა ამირან დარეჯანის ძე-

მან: ვითა იგი კაცი მუხთალი არის და ნუ თუ ჩვენთვის ეგრძნოს რამეო? შეეკაზმა, ითხოვა პოლეთიკნი და აბჯართა ქვეშ დაიპყრა. უჩინარად ალიქურვა და გამოვიდა ჭოვდანსა შიგან, და იქილგან გამოვიდა ხოსრო, ძე ხაზართა მეფისა, მოედანსა შიგან და ჯერეთ არა ჰქონდა შვილდი. დაემოწმა მონისად ვითა ჩემი შვილდისარი ფარულად დამიქირე და რა ომისა ვანი იყოს, მსწრადლად მომართვიო.

მას ჯანსა გავიდნეს და შემოუვლეს ნავარად ერთმანერთსა და მუნით მოართვა მონმან ჟეკებრად მშვილდ-ისარი. მაშინ გამოზიდნა ხაზართა მეფისა ძემან, შესტყორცნა, ჰკრა მკერდსა დარეჯანის ძისასა მუხთლად, უცნაურად, რე ვერ უფარნა სიმავრემან საკურველთამან, გაუკვეთა პოლეთიკნი კინენი, ჯავშანი და ჯაკვი და მკერდსა დიდი შეჭკვეთა. მაშინ დიდთ დაუმძიმდა ამირან დარეჯანის ძესა და უთხრა: მუხთლად ლამობდი სიკვდილსა ჩემსა, მწყეულმცა ხარ, არა არს ეგე კარგთა ქაბუკთა ხელი, აწე სით წახეალ უსიკვდილოთ ხელითა ჩემითაო? შეუტევა გულ-მეუღროდ, რომელმცა მოეკლა. შეშინდა ხოსრო ხაზართა მეფისა ძე და ვაექვა. მაშინ მოვახსენე მე, სავარსამის ძემან, ნუ ამირან გამწყარალხარ, ვერ დაუდგამს ნაკრავსა შენსა და მოჰკლამმეთქი. მან ისმინა სიტყვა მონისა თვისისა, ვასტყორცნა ხმალი, მიეწია, აილო უნავრისავან და ჰკრა ქვეყანასა ზედან და შეშინდა, ვითარცა მკვდარი და ჰრქვა:—

„ზენაარმა ღვთისამან და თავმან პატრონისა ჩემისა ამირ მულისამან, თუმცა ხემწიფე არ იყო, მკვდარ ხარ აწვე ხელითა ჩემითაო.“ შეაქცია ზურგი და წამოვიდა. დააგლო ვითა უსულო. მივიდნენ ყმანი მისნი, აიხვიენს და წაიყვანეს.

ასე დაამარცხა ნიჩანმა დანორჩენი მეფე —
 3: აბოქალიყ.

მეორეს დღესა მიუგზავნეს კაცი მათ ხემწიფეთა შვილთა ასუან მეთესსა და

შეუთვალეს ვითა: „მეფეო, ნუ მოგწყინებთან ქვეყანანი ჩვენგან ოხრებად და ბუნებრანნი საკვდავთ. კმა არს ესე და მიზნეცა არლარა გიცს რა. აწე მოგვეც მნათობნი ასულნი შენნი ცოლად ჩვენად, და მიეც მას ამირან დარეჯანის ძესაცა პატრონთა თვისთა შვილთათვის. მერმე მან მეფემან მოსცა პასუხი: „გავგიხვამ კართა ქალაქისათა და თვით გამოიყვანეთო“. იამათ მათ ქაბუკთა ყოველთა და შოახსენეს: დია ლმერთო, აგრე ექნათო. იყვენენ შვილნი ქორნი, სამყოფნი შვილთავე მათ ქალთანი და უდგამსთ კართა ზედან მტველინი: მათ სამთა უკეთესთა, სამნი ათასნი და მათ ოთხთა ათას - ათასნი, რჩეულნი კაცნი. და უფრო ძნელად საბრძოლნი ყოველთა ომთასა იგი იყო.

გათენდა რა დილა, დაეკაზმნენ იგი მეფენი საომრად და ამირან დარეჯანის ძე იყო საქვეითოთა აბჯართა შეკაზმული და იგი მტველნი მათნიცა მზათ იქმნეს. მაშინ ბრძანა ამირან დარეჯანის ძემან, ვითა იმა მეფეთა არა ჰყავსთ კმაყოფილნი ყმანი, და არამცა ფათერაკი წაეკიდოსთო და ჩვენ ვეწიენეთ ქირსა შინაო. თვისთა თანა დაგვიქორა პატრონმან ჩვენმან მე, სავარს. მიძე, და აბან ქაბანის ძე. სვიმონ სინთა მეფისა ძესათან გაგზანა ალი მომადის ძე, ხვასრო ხაზართა მეფისა ძესათან გაგზავნა ყამარ ყამარელი, იამათთა მეფისა ძესთან ქოოს ქოლიძე, ლასურ დელანთა მეფისა ძესთან ასან ბადრიძე. ებრძანა მათ მოყმეთა თვისთა, ვითა იახელით და ყოველთავე კარვად დაადგვითო. მივიდნენ ესმათ ხემწიფეთა, იამათ და მოუწონეს პატრონთა ჩვენთა მოწონებითა დიდითა. მაშინ ჰკრეს ბუკთა და დაბდაფთა, გავგიხნეს კარნი მის ქალაქისანი და შეუხედით ზედან. მას დღესა გარდაცხადეთ ომნი ფრცხელნი, მაგრამ იგი ციხეთა მტველნიცა მტად რჩეულნი კაცი იყენს და ციხეთა გზანიცა საპირონი შევლიდა.

ამაზედან ლამემან გვისწრა და ველარ ავსენით ციხენი მნათობთანი. მეორესავე დღესა კვლავ შევებენით უფიცხედ. მასვე დღესა დაიხოცა ხელითა ჩვენითა მეტად დიდნი და ურიცხვნი ლაშქარნი მათნი. ეძლიეთ ძალითა ლეთისათა და შევლენით კარნი ციხეთანი. მანამდის იგი ოთხნი თვითოს ქალს გამოიყვანდეს. ვიდრემდის ჩვენ სამნი უმშვენიერესნი მნათობნი ასულნი მეფისანი გამოიყვანენით, რომელთა უთქს სამ ათას სამ ათასნი მკვლელნი და გამოიყვანეს მათთაცა უვნებლად, და მივედით წინაშე ასეთს მეფისა. — მას ჟამსა გამოგვეგება იგი მეფე მნათობთათანა, მხიარულითა გულითა და სთქვა: კუროთხულმცა არს კაბუკობა თქვენი და მარჯვენე თქვენი, რომელ არა არს კაბუკი თქვენებრი პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო. მიგვიწვიენა, დაესხედით, მცირე ჟამს მაშვრალნი ვიყვენით, და მას დღესა არლარა ეგებოდა რა. — ოდეს გათენდა ჟამად სიხარულისად, დაჯდა ასეთან მეფე და შემოიკრიბნა ყოველნი დიდებულნი თვისნი და ერნი ქალაქისანი. დაუდგა ტახტნი ძოწეულისანი მათ ოთხთავე ხემწიფეთა და შეუქმო სრანი სანადიმონი, უქმნა ქორწილნი ეგეთნი, რომე არა ითქმის კაცისა ენისაგან და მისცა ქალნი მნათობნი, რომელსაცა მათ გამოიყვანეს, და მიანიქნა მზითვენი, რომლისა არა იქნების რიცხვი საჭურჭლეთა და თვალ მარგალიტთა და წარვიდნეს თვის თვისად იგი ოთხნი მეფენი.

მას ჟამსა დაერჩით ჩვენ და დავეყვით დღენი მრავალნი წინაშე მათსა. და გვიბრძანა ასეთან მეფემან, ვითა ჯერეთ თქვენ ვერ გაგიშვებთ და რა ჟამი იქნება, თვით მე გაგზავნიო. მას ჟამსა მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან ასეთა მეფესა: ვითა იხი კარგნი კაბუკნი, აზნაურნი, ოდეს მაშინდლიდგან წინაშე თქვენსა მოსულ არიან საქმისა რისათვისმე და არა ჰხამს ნათი უპიროდ გაშვება, მით რომე ჟამსა

შინა გეხმარებიან, აწე უბრძანეთ დიდებულთა თქვენთა და შერთვან ასულნი მათნიო. მაშინ უბრძანა მეფემან დიდებულთა თვისთა და მისცნა ცოლად ასულნი დიდებულთა თვისთანი და უბოძა დიადი მზითვად და გაგზავნა ერთგულნი დიდათ. მას ჟამსა მოახსენა ამირან დარეჯანის ძემან: „სცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! აწე მე წინაშე თქვენსა ყოფა დიდათ სიხარულად მიჩნს, მაგრამ დამიყოფან მრავალნი ხანნი და ისწრაფის პატრონი ჩემი მისვლად ჩვენდა და ჟამი არს, მეფეო, ფარმანისა ჩემისაო.“ მაშინ უბრძანა: „ღია, ღმერთო, გაგზავნი ერთარმა გწადს, ეგრეო.“ მერე გააგზავნა კარნი საჭურჭლეთანი და შეკაზმა მზითვენი უთვალავნი ყოვლისაგან კიდე ოქრო, კურკელნი, თვალემარგალიტნი, და სტავრა, სარა სალნი ორი ათასი აქლემი კიდებულნი, ათასი ჯორი, ამას გარდა მისცა საჯინიბო ცხენი ათასი და სახედარი ათასი, მისითა აკაზმულობითა. ესე მზითვეი შეუმზადა და უბოძა ამირან დარეჯანის ძესაცა — ოქრო, მარგალიტი, თვალი, სტავრა კერული და უკერავი, ასი ჯორი კიდებული და ჩვენ მისთა ყმათა ყოველთა გვიბოძა საბოძვარი დიდი.

შეკაზმეს კუბონი მოთვალ მომარგალიტულნი და კუბონი სხვანიცა მრავალნი ტურფანი, გამოიყვანა მნათობნი ასულნი თვისნი და მოჰყვებოდეს მხეველნი, პირ მთვარე ზანოვანნი, ხაღუმნი და მონანი, ოქროს სარტყელ შერტყმულნი ურიცხვნი. მიიხმეს ამირან დარეჯანის ძემოაბარნა მეფემან და დედოფალმან მნათობნი თვისნი ურიცხვისა მხეველ ხაღუმითა, მონითა და მზითვითა უთვალავითა. გამოვემართენით სახელსა ზედან ლეთისასა. გამოგვევა თვით მეფე დღისა ერთისა საელსა, გამოვესალმენით, შევიცა მეფე თვალსრეწლიანი პირ მზეთა ასულთა თვისთა გაყრისათვის და იგი ასულნი მისცნა იყენეს მწუხარნი. წამოვედით გზასა

ბალდადისასა, ვლეთ და მოვედით წინაშე ბალდადელისა ამირ მუმლისთანა და მოგვარნა პატრონისა შვილთა თვისთა ცოლნი ნაყოფნი ეგეთნი, რომელ არა ნახულა უმშვენიერესნი კაცისა თვალითა. გაეხარნეს უზომოდ ბალდადელსა ამირ მუმლსა, იწვივნა დიდებულნი საბრძანებელისა თვისისანი და უქმნა ქორწილი ეგეთნი, რომელ არა ითქმის მგზავსი მისნი კაცისა ენისაგან, და იყო ლხინი სასიხარულო

თვესა სამსა, და მაშინ უბოძვა სჯ. იძუება აურაცხელი ამირან დარეჯანს: ჰქესა და ჩვენ მისთა ყმათა ყოველთა. აქა დასრულდა კარი მნათობთა და ქმნული ამირან დარეჯანის ძისა ამაზედან. ისმენდინ, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე. დიდებულმცა არს სუფევა მეფობისა თქვენისა და დაუსრულებელმცა ჰგიეს აღსრულებადმდე ყამთა მრავალთა შეძინებითა წელთათა, ამინ.

ქ ა რ ი VI

ჯ თ ი ლ ი ს მ ა თ ა მ ბ ა ვ ი

ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! აღიდნეს ლმერთან მოყვარენი თქვენი და არცხვინოს ორგულთა თქვენთა! ყმა მოვიდა მესაწოლე პატრონისა ჩემისა დილასა ერთსა და ეგრე მითხრა, ვითა გიბრძანებს ამირან დარეჯანის ძე, ჩემსა მზესა, ადრე მოდიო. მას ჟამსა ზე ავდექ და წაველ. მეგონა ამბავი რამე ისმოდა მეთქი; მივედ წინაშე პატრონისა ჩემისა, ვნახენ საგებელსა ზედან ჯდა დარეჯილი და შუბლსა ზედან ხელნი მოეგდო. დამიმძიმდა მისი ეგრე დარეჯით ყოფნა. ოდენ მივიხედე ვნახე ეტრატით დაკრული ქალისა სახე კედელსა ზედან ეწერნეს, რომლისა უმშვენიერესი არა ეგებოდა და მიბრძანა: მოგეწონაო? და მოვახსენე: ჰო-მეთქი. კვლავ მიბრძანა: აქა ზედ დაჯედ, აწ, ლმერთო, განა რომელიმე ვიცი ვითხრაო. წარმოვიდგენ ოქროსა სელნი და დავეჯედ. მაშინ მიბრძანა: ძოღან დიაცი ვინმე წამადგა ზედან მძინარესა და ეგრე მითხრა, ვითა ამირან დარეჯანის ძეო, პირი არს შენისა ქაბუკობისაგან, თუმცა მზე ქვეყანასა ზედან იყოს და შენ არა ნახოო. გამეღვიძნეს მას ზედან და გამიკვირდეს დიდათ; ესთქვი გულსა შინა ჩემსა: ეშ-

მაკი არს და ყური არა მიუპყარო. ღამე მრავალჯერ მოვიდის, მითხრის, მაგრამ კიდე ეშმაკური მეგონის. აწ წუხელის მოვიდა და ეგრე მრქვა მანვე დიაცმან: ამირან, ჩემი სიტყვა არად მოისმინე, აწ მის ქალისა სახე, რომელსა გეტყოდი, კედელსა ზედან დამიწვრიანო. გამეღვიძნეს მას ზედან და იგი კედელსა ზედან ეწერნეს — თქვა სხვა აღარა ვიცოო და უჩინო იქმნაო.

ანუ გავილებ გზასა ამის საქმისასა და ანუ მისსა ძებნასა შიგან მოვიკლამ თავსაო. გარდახდეს დღენი მრავალნი. მოედანსა შიგან ასპარეზსა გვემღერა და შინად წამოვიდოდით. მერე ეგრეთ მიბრძანა: ჯგვალე ვიარებოდეთ, რომე სიგრილე მეცესო. ამას ზედან შეღამდა და ვნახეთ, რომე კაცი ვინმე რაშსა ცხენსა ზედან ჯდა — წითლად შესამოსლითა და ჩაჩი ზარქაში ზედან ებურა. მოვიდა თაყვანი სცა და ეგრე ჰრქვა ამირან დარეჯანის ძეო ვიცი, რამე შექირებება შეგქნია მის ქალისა სახისათვის, რომელიცა გაქვს. აწ ინდოეთით კერძო დამართე, რომელ არს დიდი მინდორი და მუნ გავილებ გზასაო. იქრა მათრახი და უჩინო იქმნა, გზა და კვალი ველარ გავიღებთა.

მივედით შინა და მეორესავე დღესა განაგო სახლისა და ციხე ქალაქთა, უჩინა კაცნი ერთგულნი და რაცა ჰხამდა, უბრძანა.

ამაზედან დავეკმაზენით და წავედით: თვით ამირან დარეჯანის ძე და ესე ყმა-ნი მისნი: მე, სავარსამიძე, აბან ქაბანისძე და ქოოს ქოსიძე. ვახსენეთ სახელი ღვთისა, ვლეთ და დავმართეთ მას მინდორსა, რომელიცა მან კაცმან გვასწავლა.

ბუნენარაზები მოექცენ უდაბნოში, „სადა სულიერი არა იქნებოდა, იყო სიციხე დიდი. არცა ბალახი და არცა წყალი“. მიდიოდენ უგზო-უკვლოდ მეტად დაღრუჯილნი და შეპირებულნი. აქ მათ ნახეს ინდოეთით გზოშავალი ვაკართა ქარავენი, რომელიც მეკობრეთა შიშით შეჩერებულ იყო. ამირანმა იხსნა ისინი ყარაღებისგან და სამაგიეროდ მიიღო მათგან ყოლაუხი, რომლის შემწვობით თილისმათა ქვეყანას მიადგა.

ისმენდი, მეფეთ მეფეო! წავედით და მას ალაგსა მივედით, საცა იგი კლდე და თილისმა იყო. ვნახეთ ქვაბი დიდი და მას ქვაბსა შიგან იყო თილისმა. ველავ ახსენა მან კაცმან, ყოლაუხმან, ვითა თუ ჰხამდეს ესე ჰქმენით, რომელ აქლემი მყავს, წინა მიიძღვანეთ, გამოსცადეთ და საცა მას აქლემსა უქმნას, იხი თქვენცა ნახეთო. უსმინეთ მას კაცსა და მივიძღვარეთ აქლემი. წინა გამოვიდა იგი კაცი სპილენძისა, ხელთა ხმალი ჰქონდა, ჰკრა მას აქლემსა ზურგსა და წმინდათ გაჰყვეთა, შებრუნდა, შეიქცა და შევიდა მასვე ქვაბსა შიგან. გაგვიკვირდა ჩვენ და შეგვეშინდა.

ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! ამირანი ცხენსა შეჯდა, ხმალი დადგა და კობალი აიღო, ერთი სხვა აქლემი წინა წარიქცია, ახლო მისდივა და ვითა მივიდა მასვე ალაგსა, გამოვიდა იგივე კაცი სპილენძისა, ჰკრა ხმალი და გაჰყვეთა იგი აქლემი და შებრუნდა. მაშინ შეუტრევა ამირან დარეჯანის ძემან, ჰკრა კობალი და წამსვე დაღეწა ესრეთ ვითაცა ხრილი. მაშინ შევედით მას ქვაბ-

სა შიგან. შევხედენით და ეწერნეს მას კლდესა ზედან კაცი მშვენიერი, კაბუჯი ვინმე და ზედან ესრეთ დაუწერია, ვითა მე ბაქაჯარ ქველმან, ოდეს დიდის ომითა ოდენ ქალი გამოვიყვანე, მაშინ აქა მუნჯაჯიმან ჩემმან შექმნა თილისმა ესე, ამისთვის, რომელ სხვამან გარეგანმან მებრძოლმან აქადგან ქალი ვერას ღონით ვერ გამოიყვანოსო. დავყავით იგი დღენი და შეგვექცა იგი წინამძღვარი ჩვენი და წავიდა.

რა გათენდა დილა, წავედით ჩვენცა. ვლეთ იგი დღე და მეორესა დღესა შემოგვესმა ლომისა ყვირილი და ჯერეთ თვალთა ვერა ვნახეთ. რა მივახლოვდით იყო ლომი სპილენძისა, ყვიროდა და რა ჩვენ გენახა, უფრო დაიწყო ხმიანობა და ჩვენ კერძ მოსულა და მანცა და მრავალმა სხვაშაცა, რომელ არა იყო რიცხეი მათი. ვზოცდით და არა იქმნა ლენა მათი, მერმე შეუტრია ქოოს ქოსიძემან მას ლომსა სპილენძისასა, ჰკრა და დააღწენა, და რა იგი განქარდა, გარდასწყდა მოსელა ლომთა სიმრავლისა. წავედით მუნითგან. დილასა ვლეთ და კლდენი იყვნეს ამიერ და იმიერ, რომელ თვალნი არსით სწვდებოდის და მუნ გზა წაელიდა ზედა და მას გზასა შიგან იყო თილისმა შექნილი. წავედით და სხვა ვერა ვნახეთ რა მას გზასა ზედან, მის თილისმისაგან კიდე.

მივიდოდით და არა ვიცოდით თუცა სად წავიდით. მაშინ ვნახეთ სპილენძის შექნილი მართ ვითა კალო და ესრეთ ვითარცა ხარისხი კობედ და კიბედ ნახელოვნები მას გზასა ზედან, და დგას კაცი სპილენძისა ეგ ზომ დიდ, რომელ არა მინახავს მგზავსი მისი, და მას გვერდით უდგს სხვა კაცი სპილენძისავე, ხელთა ბუჯი ჰქონდა და რა ჩვენ გენახნა, დაუწყო მას ბუჯსა ცემა. დაიწყო ლაშქარმა მოდენა, რომლისა არა იყო რიცხეი. შევებენით და შეიქმნა ომი დიდი,

რომელ არავის უნახავს ეგ ზომ . ფიცხელი ბრძოლა. მოვიდოდა ლაშქარი საშინელი და გვებრძოდეს ამაღ, რომელი იგი დიდი კაცი ყოდა ხმითა მალლითა და მებუკე მისი ბუკთა უტემდა და არა დასწყნარდა მოსვლა ლაშქრისა, სიღიდემან ლაშქართა მათთან არ გაგყარნა და გაგრძელდა ომი. უმრავლესნი მის ამირან დარეჯანის ზედან მიხვეულ იყვნეს და ჩვენ. სამთავე თვის თვისად გვებრძოდეს. დაეშვერით ომითა და ლონე ვერა ავიღეთ. მაშინ იყილა და შეუტრია აბან ქაბანის ძემან, მას სპილენძის კალოდ შექმნილსა, მივიდა, ცხენი ქვეშე დაადგო, შეუხდა ზედან მას კაცსა სპილენძისასა, ჰკრა კობალი მას სპილენძის ფარსა ზედან მას კაცსა, მერმე მან კაცმან ჰკრა აბან ქაბანის ძესა და ქვე ჩამოაგორვა, მაშინ იყილა ქოოს ქოსიძემან: აწე მე მნახე აბან ქაბანის ძეო! შეუტრევა, დაადგო ძირსა ცხენი, შეუხდა ზედან, ჰკრა კობალი ფარსა ზედან კაცსა მას სპილენძისასა, მერმე მან კაცმან მას ჰკრა და იგიცა ჩამოაგორვა! მაშინ მე მიყილა ამირან დარეჯანის ძემან: მივედ შენცა, სავარსიმიძეო! მივედ მუნითგან, დავაგდე ძირსა ცხენი, შეუხე და მომეგება იგიცა, მკრა და მე მას ვკარი, მკრა სხვა და ძირსა ჩამომეაგორვა, მაგრამ ვეღარა შეემართე შესვლა. მერმე იყილა ამირან დარეჯანის ძემან და სთქვა: აწნახეთ სიმაგრე მკლავისა ჩემისაო. გარდახდა ცხენისაგან, გამოულო კობალი, შეუხდა ზედან, ჩამოეგება იგივე კაცი, ჰკრა და მან მას ჰკრა, ავიდნენ ზედათ და თავმან მეფობისამ შენისამან, ეგ ზომ ფიცხელი ომი არსად მიხახავს. იგი სპილენძის კაცი უტემდა ბუკსა, მოდის ლაშქარნი მათნი, არა იყო ლონე დაღევისა მათისა და მიგვეკირდა ომი დიდ ძალი, ამაზედან უყივლა ქოოს ქოსიძემან: თუ რასა იქმ, ეამი არს დარეჯანის ძეო? სიღიდემან ლაშქართამან და ჯივ-

მან მეტად შეგვაპირვაო. იყილა ამირან დარეჯანის ძემან: აჰა, ქოოს ქოსიძეო, დაიტყუბნა ფერხი და ორისავე ხელითა დაჰკრა კობალი და ფიცხლავ დაღეწნა კაცი იგი სპილენძისა. და რა იგი დაიღეწა, დაეცა იგი მებუკეცა და გარდასწყდა მოსვლა ლაშქრისა და იგინიცა უჩინარ იქმნეს, რომელიცა გვეხოცა.

ვითა გათენდა, წავედით მას მეორესა დღესა და მოვიდენ ურიცხვად სიმრავლე ლაშქრისა, ცალ კერძ მწევანოსანნი და ცალ კერძ წითლოსანნი. თავყანი სცეს და შეასხეს ქება ამირან დარეჯანის ძესა და რქვეს: ცხონდი მეფეო, ამა ქვეყნისაო, რომელსა ქაბუკობითა წაგილია ყოველი ქვეყანანი და ესე არავის ჰგონებია ამა გზათა შემოვლა და არცა ვის დაუტყუპნია ამის მემამულეთა კიდე. გარეგანსა კაცსა ქვეყანა, ესე ერთისა ბაგაჯარ ქველისაგან კიდე და განა არცა მას უქნია ესდენი დიდი ნაქმარნიო. უძღვენეს ძღვენი დიადი, წავედით მუნით და დაიწყო ერმან წინა მოგება. ცალ კერძ წითლოსანმან და ცალ კერძ მწევანოსანმან. მწევანოსანი ყველა დედოფლისა იყო და წითლოსანი მის ხვარეშან ქალისა. შეასხმიდიან ქებასა და უძღვნიდიან ძღვენსა ტურფასა მას პატრონსა ჩვენსა ამირან დარეჯანის ძესა. მაშინ მოვიდიან მებუკე, მედაფდაფენი, მგოსანნი და მოშაითნი სატრფიალონი და ხმითა ტკბილითა ხმიანობდნად. მერმე ვკითხეთ მათ სპათა სახეობა თუ რა არის ისი, რომე ნახევარი წითლოსანი არიან და ნახევარი მწევანოსანნი, ბერნი მწევანითა და ყრმანი წითლითა. მერმე ეგრე ჰრქვა დიდებულმან ერთმან, ვითა ამა სამეფოსა ორნილა დარჩომილან: არს დედოფალი და ასული მისი ხვარეშან ქალი, საცოლე იგი ამა პატრონისა შენისაო. აღარავინ არი სხვა მემამულე ამა ქვეყნისა. დიდი მეფე იყო, მის ხვარეშან ქალისა მამა, ოსტრას და იგი განიყვანა სოფელმან ამა, დიდთა

შეებათა მისთაგან და უმკვიდრო არის ამათაგან კიდე და აწ მიხდომია ესე ყოველი სამეფო პატრონსა შენსა ნებითა ლეთისათაო. და რალა თუმცა ჰქადრო ქვეყანისა ამის სიკეთე არ ითქმის კაცთა ენათაგანო. აწ ნახეთ ქალაქნი დიდნი და სრანი სამეფონი უცხონი, ნაგებნი და წითელ მწვანითა ქვითა შეწყობილნი, ყოველივე დედოფლისა არის ღ წითლითა ნაგებნი ხვარაშან ქალისაო. აწ რალასა ქებასა მოგახსენებთ, თვით თვალთა თქვენითა ნახამთო. მოვლიდით, და დიაკი ვინმე მოდიოდა, და ორნი შვილნი ჰყუა. გამოუხდნენ ორნი ლომნი, ერთმა ერთი შვილი მოსტაცა და მეორემან მეორე. იყივლა მან დიაკმან და ატირდა. ნახა ამირან დარეჯანის ძემან, ცხენითა შეუტევა მათ ლომთა და რა ნახეს ფიცხელი შეტევაბა, დაყარნეს ყრმანი იგი მათ ლომთა და შემოუტევეს. მიჰყო ხელი ამირან დარეჯანის ძემან, ერთითა ხელითა ერთი აიღო და მეორითა მეორე, იგი ლომნი თავი თავსა შეუტაკა და ტეინი მკლავსა ზედან გარდაისხა და ხედვიდა ყოველი კაცი!

მივედით და ენახეთ ქალაქნი და ციხენი, რომელისა სიმშვენიერესა ჩვენსა გავეყირადით! მოვიდნიან მოქალაქენი, თაყვანის სციან პატრონსა ჩვენსა და ძღვენსა დიდსა უძღნობდიან. კვლავ ვიარეთ ოცი დღე და სხვა ეგეთსა ქვეყანასა შინა, რომელ მგზავრით მოგებისა ძღნობისა და განსვენებისა რიცხვი არ იქნების. მივიახლენით მას დიდსა ქალაქსა-ტახტსა სახელმწიფოსა, სადაცა იყო დედოფალი იგი და ტურფათ უტურფესი, ნათელი აღმომავლისა მზისა, ასული მისი ხვარაშან ქალი. დღისა ერთისა საყალსა მოვიდა სიმრავლე ერისა და ურიცხვი დიდებულნი, რომე ეგეთნი მოკაზმულნი და მშვენიერნი კაცნი არსად მინახავს! გარდახდნიან, თაყვინის სციან და ქება შეასხმნიან ამირან დარეჯანის ძესა, ეგრეთვე იქმოლიან წითლოსან-მწველოსანნი, ბერ-

ნი, კეკლუცნი და ყრმანი. თვით იყო საკვირველება და ზრიალი ერისა, რომე არა ითქმის კაცისა ენისაგან საზომი მათი.

მივედით და ენახეთ ქალაქნი. გვეგებნეს კაცნი მრავალნი და ეგრე გვეგონა უწინ ნაოცალად კაციც არ მოგვეგებებიაო. ენახეთ ქალაქნი დიდნი და მშვენიერნი, რომე კაცისა თვალისა ეგ ზომ დიდი ქალაქი არ უნახავს. ზღუდე და სახლი ყველა წითელ მწვანის ქვითი ნაგები იყო, რომე არა ითქმის მშვენიერება კაცისა ენითა მათისა სიკეთისა. ეგზომ დიდი იყო ქალაქი იგი, რომე ცისკრად შევედით და შუასა ადგილსა სამეფოსას სრამდის შუადღემდის ძლივს მივედით. იყო სამეფო სახლნი, პალატნი ტურფანი და დიდნი და სხვანიცა სახლები მშვენიერნი. მას მოვლიდა ზღუდენი დიდნი და მაღალნი მწვანისა ქვიანი, მშვენიერად შემკულნი და ეგრევე კარნი მისნი, იგიცა მწვანისა ქვისანი და ვსთქვით: თუმცა არიან ერთობილისა ზურმუხტისანი და მას სამეფოსა კარსა ზედან იდგნენ დიდებულნი მცველნი კარისა ორი ათასი კაცი შემოსილინი საკარმანგითა, პირ-ოქრო რიდითა და ოქროთა სარტყელითა. თაყვანი სცეს მათ ამირან დარეჯანის ძესა, შეასხეს ქება და შეეღეთ კარი დარბაზისა. შევედიო შიგან და გარდახდა ამირან დარეჯანის ძე მას ოქროთა მოჭედელსა სახლსა შიგან. მუნ იყო კუმო მოთვალ-მომარგალიტულნი, ეგრეთვე მწვანისა ზურმუხტისანი და საჯდომნი მეფეთანი, და ეგნეს ოქროს ქსოვილნი, რომე ვითა მზე ესრეთ ელვიდეს. მაშინ მოეგებნეს სადედოფლონი მანდატურთ უხუცესნი, ხალხმნი და მონანი შინაგანნი, ყოველივე ტურფათ შეკაზმულნი პირ-ოქრო, რიდე მანდილიანი და წელთ ოქრო სარტყელოსანი, თაყვანი სცეს და იქმნენ მდგომარენი ხელ-მკერდ შექვიდენი, მერმე შევლო ამირან დარეჯანის ძემან

მას კუბოსა შიგან. მაშინ მოგვიდგეს ოქროსა სელნი და დაესხედით ჩვენცა.

ოდეს მას სახლსა შიგან გამოდიოდა, კაონი გააღეს და გამოხდა იჩქითათ სინათლე ეგეთი, ვითარცა მზე და გვეგონა, ვითა იგი სინათლე არს ხვარეშან ქალისა და არა, იგი იყო თურე ორთა ტაბაკთა ოქროსათა ორნი თვალნი, ერთი ძოწეული და ერთი თეთრი იდგა და მათგან გამოხდა სინათლე იგი. გამოაღნეს კარნი იგი და გამოვიდეს დედანი მრავალნი და მოდგა ცალ-კერძ—უჯანის მათსა დედოფალი იგი მნათობისა მის ხვარეშან ქალისა, დედა, მწვანითა ოქროს ქსოვილითა მოსილი ზარაფსა ტანსა, რომელ არა მინახავს ეგზომ მშვენიერი, და ოდესმცა შეჰკავანდა მცირედ მოდღევენება, ადგა ამირან დარეჯანის ძე თაყვანი სცეს ერთმანეთსა და მოემშვიდობნეს.

გასცა დედოფალმა ბრძანება ყოველსა სამეფოსა თვისსა და მისწერა წიგნი, ვითა მოვიდა ამირან დარეჯანის ძე, ლომი, ჰაბუკი, რომელმან ჰაბუკობითა თვისითა შემოვლნა გრძელნი გზანი, რომელ არავინ შემძლებელ იყო ძენი კაცთანი და არცა ვის უქნია ეგეთნი საქმენი და მოვიდა სრათა სამეფოთა ჩვენთასა. აწ მოდიოდა სრათა თაყვანი ეცით და ნახეთ სასიძო და სამეფო ქვეყნისა ჩვენისა. უთქვენოთ არ შეირთავს პირ. მთვარე ასული ჩემი, თუცა თქვენ ნებითა თქვენითა არა ნაწვიოთ, არა თუ სიტყვითა ჩემითა, თუცა ძალ ედვას მეფობა თქვენი შეერთო ასული ჩემი ცოლათ, და თუცა მას არ ძალ ედვას, გამოშირჩიეთ ჰაბუკი სხვა მისგან უკეთესი და იგი ვჰყო. მე ვარ დიაცი ერთი და მოვდღევენებულვარ საწუთროდგან ჩემთა, და სიბერისა ემნი მოახლებულ არს ჩემზედან, და ვერ შემძლებელ ვარ მეფობისა წილ, და ვერცაღა ვიქმ ამა საქმესა, ანუ უქმროთ დაეარჩინო მზეთა მზე ასული ჩემიო. მაშინ

ისმინეს ყოველთა და შემოკრბეს დიდებულნი და მცირენი საპატროსა მისისანი და თაყვანი სცეს ამირან დარეჯანის ძესა. მოართვეს ძღვენი დიადი, და თქვეს ყოველთა ერთ პირად: ცხონდი უკუნისამდე დღეთა სიგრძითა, მეფეთ მეფეთ, და მერმე მოახსენეს დიდებულთა მის ქვეყნისათა დედოფალსა: ვითა არა სადა გვინახავს თვალთა ჩვენითა ეგეთი კაცი და არცა ვისგან ამბვად გეასმიაო. დაბადებულგან ესე სამეფო სვიანი და უიმედო იმედ გარდაწყვეტილთა და უმეფოთა კაცთა ღმერთმან ესეთი მეფე გამოგვიჩინა, რომელ არა ნახულა მისებრი პირსა ყოველისა ქვეყნისასაო. აწე, დედაფალო ჩვენო, ღირს არს ესე მეფეთ ჩვენზედან, და ჩვენ ყოველნივე ვმორჩილებდეთ და თაყვანის ვსცემდეთ სმენად ბრძანებათა მისთა. ამა სიტყვასა ზედან მხიარულ იქმნა დედოფალი და ღმერთს უსაზომო მადლი შესწირა, და ამაზედან დაასკვნეს ქორწილი ხელისა დღისათვის და დაემზადნენ.

ოდეს დილასა სინათლის ელვარე აღმობრწყინდა, იწყეს ქორწინება. სრათა შიგან სამეფოთა. ჯერეთ არა გვენახა იგი მთიები ხვარაშან ქალი. მას ჟამსა გამოიყვანეს და, თავმან მეფობისა შენისამან, კაცისა თვალსა მისებრი არა უნახავს რა! დააქორწინეს ორნივე ქალ-ყმენი, რომელ იყო გვირგვინი იგი დაუფასებელი და დაადგეს თავსა მათსა, დალოცეს მეფეთ ამირან დარეჯანის ძე და დასვეს ტახტსა მნათობსა, და შეასხეს ქება. იყო სიმრავლე ურიცხვისა ერისა და არა მინახავს მოკაზმულობა ეგეთი დიდისა და მცირისა. ყოველთა იქმნა სიხარული უსაზომო. მოვედით და შეგვიყვანეს სხვასა სრასა, რომელსა შიგან დაეგოთ პური და ეგზომ სჯობდა სხვათა სრათა, ვითომცა პირველი შემისა ყოფილიყო. ორი კუბო იდგა მათ სრათა შიგან: ერთი წითელი ძოწეული და ერთი

მწვანე და იტყოდეს მას კუბოსა შიგან იგი ძოწეული იაგუნდისა არისო. შეკაზმული მარგალიტითა და იხსნეს მას კუბოსა შიგან საჯდომი ოქროს ქსოვილისანი, ვითარცა ნოხი და იყო იგი მეორე კუბო მწვანისა ზურმუხტისა შეკაზმულ, მარგალიტითა საჯდომნი, იყენეს მწვანისა ზურმუხტისა მსგავსი, ოქროს ქსოვილისა და სხვათა დიდებულთა საჯდომი ოქროსა სელეები, და დასხდნენ პურად მას ძოწეულისა კუბოსა შიგან იგი ამირან დარეჯანის ძე და ხვარაშან ქალი, ორნივე შემოსილნი ძოწეულითა და ოქროს ქსოვილითა.

მეორესა მწვანესა საჯდომსა დაჯდა თვით დედოფალი მარტო, და მუნ სამეფოთა ტაბლათა ზედან თვალისა ჰიქათა და ჯამთა მეტი არა იმსახურებოდა რა, რომელიმე იყო ჰიქა ძოწეული იაგუნდისა და რომელიმე მწვანისა ზურმუხტისა, და რომელიმე ყვითლისა იაგუნდისა, და რომელიმე ბადანშანისა ლაღისა. რაღას ვთვლიდე, გაგვიკვირდა ტურფათა სიმრავლე, და კვლავ აზნაურთა ტაბლათა ზედან ყოველთავე ჯამი ოქროსი და ჰიქები ბაღდაღურისა ბროლისანი. იყო განსვენება, რომელ არა ოდეს გვინახავს, და გამოვიდა კარი სხვისა სახლისა სრათავე მას შიგან, გამოვიდა დიაცი ბერი, შემოსილი სამოსლითა მშვენიერითა და გამოჰყვა ქალი ერთი და ეგრეთვე ბერსა ემოსა მწვანე და ძოწეული. გამოიღეს შესამოსელი მწვანე, სადა იგი იყო შეკაზმული ძოწეულითა და თვალ მარგალიტითა ელვარე. და სამნი თვალნი სხდეს მას ზედან, ორნი ბექთა და ერთიც მკერდსა ზედან, მნათობნი ეგ ზომ, ვითა სინათლენი მზისანი. და გააღეს კვლავ სხვა კარი, გამოვიდეს მონანი და გამოიღეს გვირგვინი ყვითლისა იაგუნდისა. ბრწყინვიდა იგი, რომელ დაჰფარვიდა მზისა შარავანდელსა და იგი თვალნი, რომელ მას შესამოსელ

ზედან იხსდენ ეგრეთ დაჰფარა მის გვირგვინისა თვალისა შუქმან, ვითამცა ბედითნი თვალნი ყოფილიყვნეს. შემოსეს მეფესა იგი შესამოსელნი და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი. და შემოსეს ხვარეშან ქალსაც შესამოსელი მოთვალ-მომარგალიტებული და დაადგეს გვირგვინი ერთობილისა იაგუნდისა, და შეიმოსა დედოფალი მგზავსად სიკეთისა მისისა, და მუნით გამოვიდნენ მექურქელები და გამოიღეს შესამოსელი მათ დიდებულთათვის, და კვლავ ჩვენთვის სამოსელნი ძვირფასნი და არა იყო განსვენებისა რიცხვი. სამჯერ გამოიღეს შესამოსლები ძვირფასისა მეფისათვის და დედოფლისათვის და, თავმან თქვენმან, უკანანი სამოსელნი უმჯობე იყო. მათ ხელმწიფეთა გაიყარა პურობა, და გამოხდა მცირე ხანი კიდევ, გვაწვივეს ნადიმად და არა სახლი სახლსა ჰგვანდა და აღარცა საჯდომი საჯდომსა, და თავმან თქვენმან, მის ჰირველ პურობაზედ მოიღეს ყოველივე უკეთესი და მისცეს ურიცხვი დიდებულთა და მცირებულთა ზედა ნადიმსა შინა, ახლად დაგვემოსეს და გვიბოძეს საბოძარი ექვს ექვს ჯერ, და თვით შესამოსელთა სამეფოთა ნულარ თვითხავთ!

მაშინ იმღერდეს მგოსანნი და მოშაითნი, აჯაბთა იქმოდინ, რომელ ეგეთნი არავის უნახავს. ერთი სახლი იყო ცოტა მოქედელი ოქროთა და თვალ-მარგალიტითა და კედელნი მურსად ქმნილნი, და იატაკნი ოქროსანი. მას შიგან იყო ნადიმი ჟამადმდე და გაიყარნეს მუნითგანცა. მერე მოახსენა დედოფალმან ამირან დარეჯანის ძესა, ვითა ბრძანეთ და საწოლთა შინა ნადიმი გარდაიხადეთ, და დიდებულნიცა თანა შეიტანეს. ბრძანეს და შევედით სახლსა მას ცოტასა და, თავმან თქვენმან, ყოველთა სახლთა მეტად უმშვენიერეს იყო და ეგრე ვსთქვით, ვითა ამას გარდა გარეგან სხვანი სახლნი

არღარა იქმნებიანო. და ბრძანა დედოფალმან, ავითა ფარვა აღარს ხელისანი არიანო, და დიდებულთა რა უნდა ბრძანონ ამა სიტყვათა ზედან". დაზიდნეს ქაზრაქთა და გაიხნეს გარეგანით ფიცარნი კედელთანი ოქროსანი, დავხედნით ყოველთა დიდებულთა და ყოველთა ოქროს დასტი წინა ედგა, ჩვენ გავვიკვირდა დიდათ. გვიბოძვეს სხვა-და-სხვა უმშვენიერესნი საბოძვარნი, გარდავიხადეთ ნაღიმი და გაეყარენით. დავეავით მას ქორწილსა შაგან დღე ათი, ნაღიმი საბოძვარი და დღისა სჯობდა და უძღვნა მან დედოფალმან ამირან დარეჯანის ძესა დიადი და მოახსენა: მეტსა ველარას შეგკადრებო.

უბრძანა ნეკურქლეთა მუნით დედოფალმან და მოიღეს სამოცისა საჭურჭლეთა კლიტენი და ეგრე მოახსენა, ვითა საჭურჭლენი ყოველნი შენდა მიძღვნიაო. გარდაიხადა მადლი ამირან დარეჯანის ძემან. დავიწყევით მონახვა, მივედით, ვნახეთ იგი საჭურჭლენი. თავმან თქვენმან, მე არსად მინახავს ეგზომი ტურფათა სიმრავლე და მშვენიერება. მერმე მზეძან ხეარეშან ქალმან ბრძანა: წავიდეთ ქალაქსა ჩემსაო, და ბრძანა ამირან დარეჯანის ძემან, აბა, თუ წავალთ, წავიდეთო.

ვიარეთ დღისა ერთისა სავალი, გავლეთ მზღვარი სადედოფლოსი და მივედით ხეარეშან ქალისა საუფლის წულსა. თავმან მეფობისამ თქვენისამან, ქალაქი ქალაქსა სჯობდა და ციხეები წითლითა ქვითა ნაგები იყო, ზღუდენი მშვენიერნი და სრანი უცხონი, ზედა ზედან ანუ მკირენი ტურფანი და ნუ გიკვირთ სახლისათვის წითლენი ქვანი დიადნი იღვა მას ქვეყანასა. ვიარეთ ათი დღე სხვა და მივედით მას ქალაქსა. და რა სამეფოთა სრათა შევედით, იყო ფოლორცი დასხმული წითლისა ქვითა ძოწეულითა, იმიერ და ამიერ სამეფოთა

სახლთამდე ზღუდეთ შექმნილი, და მას ზედან იყო სადგომი მეტუქე მედაბდაფეთა, იდგნიან და უცემდიან ბუქთა და დაბდაფთა და მოშაითთა ხმანი იქმნიან ტბილ სასმენელნი და მას სავალსა ერქვა გზა მეფეთა. შევიარეთ და მივედით კართა ზედან პალატისათა, და სხვა ზღუდე იყო ძოწეულისა ქვისანი მშვენიერნი, და მას ზედან იყენეს კარნი ძოწეულისანი დიდნი და ტურფანი. გაახნეს კარნი პალატისანი, და იყო მას შიგან სიმრავლისა დიდებულთა ყოველნივე მოსილნი ოქროს ქსოვილითა და თავსა პირ ოქრორიდე შეშვენოდათ.

მშვენიერად მოკაჯმულსა სრათა შიგან განვისვენეთ, რომე, თავმან თქვენმან, სხვათა სახლთა სიკეთე და მოკაჯმულება დაგვავიწყა, რომელიცა უწინარეს გვენახენეს და ვერა შევიგენით რა, თუ როგორ იყო გებული, და ესე ვიცი, რომელ კედელი იყენეს ძოწეულის და ზედა თეთრი და მის ცისაგან გამოკრთებოდა ელვარება, ვითაცა შუქი მზისა. ამაზედან მოვიდნენ მეკურქლეთ უხუცესნი და მოიღეს მეფისათვის შესამოსელნი მშვენიერნი, გვირგვინი და ძღვენი და ჩვენთვინაც საბოძვარი, რომლისა არა იყო რიცხვი და გვიკვირდა სიმდიდრე და ეგეთი მოკაჯმულობა. ჩაიკვა მეფემან შესამოსელი, რომელ მართვეს ძოწეული ოქროს ქსოვილი თვალთა მნათობთა შეთხუზულნი, და მარგალიტი დიდროვანი, და დაადგეს გვირგვინი თავსა მისსა, რომელ არავის უნახავს!

მოვიდნეს აჯიბნი და აწვიეს პურად. წავედით მას სახლსა სადა პური ეგო, მაგრამ სიდიდე და სიმშვენიერე ეგეთი არსად მინახავს! ისხნეს კუბონი ეგრევე ძოწეულნი და მწვანე საჯდომნი და სახლნი ანაგებდ იყენეს უცხონი, და სვეტნი ყველა ბრწყინვალეთ შექედილნი თვალმარგალიტითა და სვეტისა თავსა ცეცხლის ფერნი ნათობდეს ასე, რომე ამას

იტყოდით: ამას ლამით არ უნდა სინათლენიო. იყენეს კედელნი მოქედლინი ოქროთა მყართა, და იმღერდეს მგოსანნი და მოშაითნი. მაგრამ ჩვენ ვერა ვხედვით და ხმა ესრეთ გვესმოდა, ვითამცა წინაშე ჩვენსა მსხდარ იყენეს, მაგრამ გარეგან იყენეს მუტრიბნი და კვლავ საჯდომნი დიდებულთათვის ეგრეთვე ოქროსა სელები ასი, დიდებულთათვის. დავსხედით პურად, მაშინ არა ინსახურებოდა მას პურობასა შიგან ქურქელთაგან თვალისა ჯანთა და კიქადგან კიდე. იყო სიხარული დიდი და მექურქულეთა გამოილიან შესამოსელნი და საბოძვარნი ყოველთათვის.

მეორესა დღესა სხვასა სახლსა შევედით ნადიმად, კვლავ ღგეს გარევე კუბონი ორნი, და კედელნი მის სახლისანი თეთრი, ვითა თოელი, და მას შიგან ღგეს მრგვლივ მგოსნები და იმღერდეს. დავსხედით ნადიმად, და მეფესა წინა დასტი ედგა წითლისა იაგუნდისა, და ეგრევე საწლედ იაგუნდისა, და ჩვენ ყოველთა გვედგა დასტი ოქროსი, შეიქნა ლხინი ძლიერი, და დავიწყეთ სმა ლალისა ფერთა ლვინოთა, და მღერდეს მგოსანნი ხმა მშვენიერი და მერმე ესთქვით, ისი მგოსანნი წინარემცა მოდგნენ, რომელ ეგრეთ ტურფად ჰხმობენ მეთქი. და გაიცინა მეფემან და ეგრე მიბრძანა: „მაშა თუმცა გიამება, ადექ და წარმოიყვანეო“. მაშინ ავდექ, მიველ, ვლამობდი ხელის მოკიდებასა და ხელი კედელზედან შევკარ და ვნახენ ოდეს კედელსა გარეგან ღგეს. გაგვიკვირდა, ვითა ზარი დაგვეცა! ჩვენ ესთქვით, ვითა ეშმაკური რამე არის და განა არა ეგრე იყო. ეგ ზომ წმინდა ქვა იყო, ვითა სარკესა შიგან ეგრეთ ჩნდეს და გაგვიკვირდა სიკეთე მის ქვისა. ვილხინეთ და გავიყარეთ მის მას დღესა. მესამესა დღესა სხვასა სახლსა შეგვიყვანეს ნადიმად მცირესა

შიგან იგი სახლი ქაფურისა იყო, არა ერთობით, განარევით, მულრაბარად ნახელოვნები და თვალმარგალიტითა შეკაზმული. და ყნოსით მოგებერვიდა სურნელეზასა ჴვენიერსა, და ორნი კუბონი იყენეს მას შიგან, მისვე ქაფურითა შექნილი.

იგი სახლი საზაფხულოდ იყო, განსასვენებნი ხვარეშან ქალისა, შეიქნა მღერა მუტრიბთა, იქმნა სიხარული ურიცხვი. და დაგვმოსეს ტანსა შესამოსელთა ტურფანი. შელამდა ჴედან და არ გაჰყარეს ნადიმი. მაშინ მოიხვენეს ოთხნი სანთელნი და ოთხსავე კუთხეთა აღანთეს ორნი ძოწეულნი და ორნი თეთრნი. ჩვენ გვეგონა ცვილნი შეღებულნი, გამოხდა ხანი დიდი და არ იწოდეს. გაგვიკვირდა და ვერა შევიგენით, თუცა რა იყენეს! ზოგმან ზოგი სთქვა, და ზოგმა სხვა. ჴე ადგა აბან ქაბანის ძე და ეგრე სთქვა: „ნუ იცილებით, მე თითონ ვნახო. ოდეს მივიდა, ქვეშეთ კერძო ორსა ჰქონდა იაგუნდისა ძოწეულისანი ორნი და ორსა ზურმუხტისანი, და იგი რომელ ჴედათ ნათობდა იყენეს ოთხივე თვალნი ყვითლისა იაგუნდისა და იგინი ნათობდეს ვითარცა სანთელი, და კვლავ იგი უფრო გაგვიკვირდა ყოველთაგან და გავიყარენით. მეოთხესა დღესა გვაწვიეს სხვასა სახლსა ნადიმად, ცოტა იყო იგი სახლი ალვისა და თვალ-მარგალიტითა შეკაზმულნი, და იყენეს ორნი კუბონი ალვისანი ეგრევე შეკაზმული, და იყო იგი სახლი საზამთროდ მის ხეარეშან ქალისა. დავსხედით და გარდავიხადეთ ნადიმი. მუნითცა უძღვენეს უმეტესნი ყოვლისა დღისა და გავიყარენით. დღე ყოველ შექცევასა შიგან ვიყენით. დავუცენით სიხარულთა შიგან დღეთა მრავალთა, მერე წამოვედით ბალდადსა გამარჯვებულნი ღ გახელმწიფებულნი.

კ ა რ ი V II

✓ სეფე დავლე დარისპანის ძის ამბავი

ისმენდინ, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხინოს ორგულთა თქვენთა.

მოილიან ჯამნი და ქიქანი ფირუზისა და ლალისა. იმღერდიან მოშაითნი და იქმოდნიან აჯაბთა, სეამდიან ლალის ფერთა ლეინოთა, კართა ზედან ზედნიდიან ცხენთა ბელაურთა და ასპარეზთა იმღერდიან; და ზოგნი ქანდრაკთა შექცევით იყენიან. ვის როგორ ენების სხვადასხვა რიგათ განისვენნიან. დღესა ერთსა ბაღდადელმან ამირ მულმან გარეგან ტურფანი ნადიმი გარდაიხადა. ჩერმე უხმო ამირ მულმან დიდებულთა და საწოლსავე ნადიმი დაიდვა. ამირან დარეჯანის ძესა საკარმანგისა სასთული დაუდვიან, ახლო ჯდის მეფისად, რომე ხელი მისწვდებოდის; და სხვანი დიდებულნი, ვითა ხამდის, ეგრე დასხიან. მას დღესა ნადიმი იყო და ეგრე ბრძანა ამირ მულმან: ჩემსა მზესა, ვინცა რა ამბავი იცოდეთ მითხართო. ომად ვისმე ერქვა, ამადის ძე, კაცი იყო მობალდადელი, დიდებული, ზე ადგა და ეგრე მოახსენა:

ცხონდი ამირთ ამირო! ამბავი სწადს მეფობასა თქვენსა, და ესე მოგახსენო თვალითა ჩემითა მონახული, რომე ასე ბრძანოთ, ამის უკეთესი არა მასმიო. გაეხარნეს ამირ მულმან და ბრძანა გაყრა ნად-მისა. დიდებულთაგან კიდე ყველა გარე მიიწივნეს და დიდებულნი სიახლესა სასთულითა დაიხსნა და უბრძანა ომად ამადის ძესა: ჩემსა მზესა, ყველა დაუკლებლად მიანბეო. მოახსენა: ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! ანბანნი ჩემნი ყველა დაუკლებლად მოგახსენო. ოდეს ცოტა ყმა ვიყავ, მაშინ სწორთა ჩემთა ყო-

ველთა მოვერეოდ. ოდეს მოვიწიფე, ნადირობა დავიწყე. საცა ლომ-ვეფხენი, მხეცნი, ანუ ნადირნი გარდამეკიდის, ვითა კატა, ეგრე მოვკლიდი.

დავსჯერდი თავსა ჩემსა და ეგრე ესთქვი: დღესა ჩემებრი ქაბუჯი არ არის პირსა ყოვლისა ქვეყანისასა და სჯობს, რომე კაცი გამოვიცაოდ, თორემ მხეცთა მცირე სიკვდილი უნდა მეთქი.

შევეკაზმე, წაველ და გავიარე ქვეყანა ჩვენი. წარულე მცირე ხანი, კარავთა მივხვდი მრავალთა. სმიდეს მრავალგან ლეინოსა, და ყოველნივე სეფე დავლესა მზესა ფიციკიდეს და მას ლოკვიდეს. მიხმეს და მიველ. პური ექამეთ და ლეინო ვსვით; მერმე ზე ადგა ერთი მათგანი, აავსო ჭიქა და ეგრე სთქვა: აღიდნეს ღმერთმან სეფე დავლე იგი დარისპანის ძე, რომელ არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა ქაბუჯი იგეთიო, და შესვა, მუნით დაჯდა კვლავ, აამსო იგივე ჭიქა და მე მომცა, დალოცე შენცა სეფე დავლე დარისპანის ძე და მაშინ შესვიო. მაშინ მე ეგრე უთხარ, ვითა ომთ მისად მოვსულვარ, ვირემ ამ ის არ მაჯობებს და ანუ მე არ ვაჯობებ, მინამდის არ დავლოცავ მზესა მისსა მეთქი.

ამა სიტყვასა ზედან გაიცინეს მათ კაცთა და გამიციხეს. დამიმძიმდა მათგან ესე სიტყვა და ვლამოდი დახოცვასა და განა აღარა უყავ. ავდექ და წაველ გულ მწყრალი და ვლე იგი დღე. კვლავ სხვანი ვინმე მოვიდოდეს, მნახეს, მიხმეს და მიველ. მკითხეს: ვინა ხარ, ძმაო, ანუ სით მოხვალო? და მე უთხარ: ვარ მობალდადე ქაბუჯი, ომისა და ქაბუჯობისა ძალისა ცნობისათვის ვიარებ. მესმა ქება და ქაბუჯობა სეფე დავლე დარისპანის

ძისა და ომად მისად მოვსულვარ, თუცა ვცნა ძალი შეომრობისა ჩემისა. რა ესე საუბარი გაიგონეს, გამკიცხეს მათცა, გარდახტა ერთი მათგანი, მუხლნი მოიყარა და სიცილით ეგრე მრქვა: ვიცით მომერევი, მაგრამ ჩვენ შეგვიწყალე და ნუ მოჰკლამ, მით, რომე მამასა მისსა ესოდენი შეილი დარჩომია, თვით ცოტა და უსუსური არისო. დამიძმინდა, ამირთ ამირო, ლაღობა და წამოველ მუნითცა. გზასა ზედან კაცი ვინმე ძოვიდოდა, ჯორსა ზედან ჯდა, ყვითლითა აკახმულობითა, მძიმე ოქრო ქსოვილი ტანსა ემოსა და ოქრო რიდე თავსა ეხვია, და საზნი მონანი თანა ჰყევბოდეს. გამესალამა. თაყვანი ვეც და მან მე თაყვანი მცა, და ერთმანერთი მოვიკითხეთ. მკითხა ანბაენი ჩემნი: ვინა ხარ, ანუ სით მოხვალო?

მე ჩემნი ანბაენი ყოველივე. უთხარ, ვითა ვარ მობალდადელი ჰაბუკი და ვიარები ცნობად ჰაბუკობისა ჩემისათვის, მესმა სიკეთე სეფედავლე დარისპანის ძისა და მწადს თუმცა მას შევება მეთქი. და მან ეგრე მითხრა: ვიცით მობალდადელნი კაცნი კარგნი ჰაბუკნი ხართ, და არა საკვირველია ჰაბუკობა თქვენიო. ბრძანეთ, ჩვენთანა წამოდიეთ. წამიტანა. ხენი იყენეს ტურფანი, ჩრდილოვან ქნლინი და ძირსა მის ხისასა სდიოდეს წყარონი მშვენიერნი. მათ საგრილთა ქვეშე შეკაზმათ პური და მონანიცა ჰყვა მრავალნი. და ესე დიდებული თურე ვინმე იყო კაცი სეფე დავლე დარისპანის ძისა, დავსხედით, პურა ეკამეთ, და ღვინო ვსვით, და იქავე ძილაღვი განვისვენეთ. მერმე აღვსდექით და ვითა მიმწუხრ იქმნა, დავიდევით კიდევ ნადიმი და დავსხედით. მკითხა: თუ მითხარ ჰაბუკობისა შენისა ნაქმარნიო? და მე უთხარ ყოველივე, რაცა მექნა, და მითხრა: ღმერთო, ხარ კარგი ჰაბუკი და კარგიცა მრავალნი გიქმნიესო. მრქვა: ისმინე და პირველად ესე გითხრა მე, რომ თვით სეფე დავლე-

სებრი ჰაბუკი არა არს პირსა ზედან ქვეყანისასაო, სახითა და ანაგებითა, ნაკვეთითა და გამარჯვებითა და მერმე მას რომელნიცა საქმენი და ომნი გარდაუხდიან, მას გითხრობ, თორემ ყველასა წარმოთქმა არა ეგების...

მითხრობდა იგი კაცი და თქვა პირველ ესე, ვითა პატრონი ჩვენნი არა ძველათგან ხელმწიფენი არიან. აზნაურნი იყენეს, ძალითა და ჰაბუკობითა გამეფდეს და დიდებასა მიხვდეს. მამა სეფე დავლესი დარისპან იყო ჰაბუკი ესეთი, რომელ აწ ბერნი და მხსოვნი კაცნი იტყვიან, რომე ამა შეილსა თვისსა სეფედავლესა იგი სჯობდო, მაგრამ არა მგონია; ამისი მჯობი არა ეგების, გარეშემონი მეფენი მრავალნი გაასხნა და თვით გამეფდა; დაიპყრა ურიცხენი ქვეყანანი, და მას ეამსა განვიდა დიდებისაგან დიდისა და მოკვდა იგი მამა სეფედავლისა დარისპან მეფე, და ესე სეფედავლე ძემისი ცოტა ყმა დარჩა. იმომცროვეს მათ გარეგანთა მტერთა, დაიწუნეს ესე პატრონი ჩვენი, შეკრბნენ ლაშქარნი, მოადგნენ და ერთისა დარისპანისა შაარისაგან კიდე სხვანი, ქვეყანანი სრულებით წაულეს, და იგი დარისპან შაარი მისთა გაზრდილთა ყმათა შეამაგრეს. იგი ქალაქი დიდი ტურფა იყო და აქველა. გამოხდა წელნი მრავალნი, და ამის შიგან მოიწიფა სეფედავლე და შემძლებელი იქნა საჰაბუკოთა საქმეთა. დღესა ერთსა მივიდა წინაშე დედოფალისა-დედისა მისისა და ჰკითხა: ესე ქალაქნი რომე დინი და შევნიერნი არიან, ამა ქალაქისა წალმართ რატომ არა გვაქვს სხვანი ქვეყანანიო? ატირდა გულ მდულრად დედა მისი დედოფალი და ესე უთხრა:

„შვილო ჩემო, დიდნი ქვეყანანი გქმონდა და ქალაქნი მრავალნი, მაგრამ, ოდეს ბნელ იქმნა ჩვენთვის სინათლე მზისა, მოკვდა მამა შენი და დავგავდო თვალ ცრემლიანი, მაშინ მოგემართეს ძველ-

ნათ მტერთა, მოგვადგენ და ყოველივე წავვიღეს და ვართ მათ მტერთაგან ძღვეულნი ეამამდე...

იყუენენ მტერნი პატრონისა ჩვენისანი. ლომნი ქაბუენი, ამათ ვითა სცნეს, რომ გაზდილა სეფედავლე და ქაბუთათა ეზხავაგუბისო, ფიცხლად შეიპყრნეს სამის ათასითა რჩეულისა ქურვილითა კაციტა, წამოვიდნეს, დაფარულად შემოგვადგნეს და ასი ცხენოსანი ქალაქისა კართა თურე გამოგზავნეს და დილასა რა ხვასტანგი გაუშვეს, მოავლეს ხელი და წაიღეს.

ოდეს შეიქმნა ხმა ლაშქართა მოსვლისა მის ქალაქისა კართა ზედან მივიდა თვით დედოფალი და დაკლიტნა კარნი ქალაქისანი. და სეფედავლე დარისპანის ძე შეეკახმა და მივიდა კართა ზედან ქალაქისათა, გატეხა მარტომან კლიტენი, გავიდა, შეება ასთა მათ მხედართა, დახოცა და ცოტალნა გარდაიხვეწნეს. მიპყვა კიდევა და მათ დიდთა ლაშქართა ზედან შეხვდა; შემოეხვიენეს გარე, შეინწყვიდეს შუა, მარტო. ზენაარმან ღვთისამან, ასე დახოცნა, რომე მის სამი ათასის კაცისაგან მცირედინლა გარდურჩა, და გარდაეხვეწნეს იგი პატრონი მათნი. წაულო ყოველნი ქალაქნი და ქვეყანანი, რომელი მათ ეპყრათ და შემოვიდა უენებლად...

აჰა ძმაო, ესე მცირედნი ნაქმნარნი მითხრობია მის პატრონისა ჩემისანი. აწე შენი ნაქმარი ამას შეასწორენ, თუცა მისი ომი შეგეძლოს, წამოდი და შეები...

ვლეთ ხანი რამე და მივედით დარისპანა შაარასა. მუნ ვნახე ქალაქნი დიდნი და მშვენიერნი, რომელ მის უკეთესი კაცის თვალსა არსად უნახავს. კაცთა სიკეთითა, განძითა და სიმდიდრითა ტურფათა და ყოველთა საესე იყო იგი ქალაქი. დარბაზის კართა ზედან მიველ. შესავალსა მისსა დგას კაცი ხუთასი, ყოველივე შემოსილნი სტაერთა და წელთა

ოქროს სარტყლითა. შევიარენით კარნი დარბაზისანი და მივედი კართა ზედან პალატისათა, და მუნ დგანან მონანი ათასნი, მოსილნი საკარმანგითა, და ოქრო მურსად წელთ შერტყმულობითა. მათაცა თაყვანი გვცეს და შევედით. სახლი იყო მშვენიერი და უურენი მის სახლთანნი მგრგვლიე მოქედილნი ვერცხლითა. შევედით მას შიგან. ხელ მოჯდომილნი და მგრგვლად დიდებულნი სხდეს, მაშინ ზე აღდგენ ყოველივე თაყვანი ვეც, და მათცა თაყვანი მცეს, მაღლი მოვახსენე, შევიარე და სხვა სახლნი იყვეს, კვლავ უკეთესნი, და იქაცა ვგრევე დიდებულნი სხდეს. ვეთაყვანენით, და მათცა თაყვანი გვცეს, მაღლი მოვახსენეთ, გარდავიარეთ და რა შევედით, მოგვხდიან შელმართ სხვანი და სხვანი სახლნი უკეთესნი, დიდებულნი სხდიან.

შევიარენით და შევედით. სახლი იყო სრულ გარდაქედილი, შიგან ოქროთა კუბონი იყენეს, თვალითა და მარგალიტითა შემკობილნი, და შიგან მას კუბოსა საჯდომნი ედგნეს ოქროს ქსოვილნი. მას სეფე დავლე დარისპანის ძესა ემოსნეს ოქროს ქსოვილნი უცხონი, პირ ოქროთავსა ზედან ეხურა. დაჯდა მას საჯდომსა შიგან. შევხედე და კაცისა თვალსა ეგ ზომ უმშვენიერესი კაცი არსადა უნახავს. სამნი დიდებულნი ოქროს სელეხით ქვე უსხდეს. თაყვანი ვეც, და მიზრძანა: მოდი, მაკოცეო! და მე ეგრე მოვახსენე: კოცნას არ გკადრებ მეთქი; და მან ეგრე მიზრძანა: ძმაო, ომსა იკადრებ, და მშვილობასა არაო! მაშინ მიველ და ხელსა ზედან ვაკოცე. არ გამიშვა და მან პირსა მაკოცა. მოიხვნეს ოქროსა სელნი, ქვე დამიდგეს და დამევეს,— მოიხენდა და მკითხვედა ამბავს ბალდადელისა ამირ მუმლისათა და ყმისა მის ამირან დარჯუანისა ძისასა და მოვახსენე ამბავი მათ პატრონ ყმათა და დიდათ იამა. მერმე მკითხა ჩემნი ანბავნი, და

მოვახსენე ყოველნივე უკლებლად, ძებნა ომისა და სახელისა ჩემისაო, და მან ეგრე მიბრძანა ვითა აქა რაღას იარე-ბოდნი, რათ არ შეები ამირან დარეჯანის ძესაო? იგიცა სახელდებული კაცი არის, ზ ერთმანერტს გამოსცდიდითო. ზ მე მოვახსენე: მას ომსა, ლმერთო, არ ვიკადრებდი მეთქი. მაშინ ვაიციანა და ეგრე მიბრძანა, მე თურმე დაგიწუნებ-ვიარო, და ბრძანა ჰურისა დაგება.

დღესა ერთსა კაცი გამოეგზავნა და ევხე. ოდეს შეველ, ტახტსა ზედან პერანგით ჯდა, ორთა შიკრიკთა მუხლი მოეგდო და ეუბნებოდეს. ოდეს შევდექე, ეგრე მიბრძანა: კაბუჯობას ეძებ, ომად ამადის ძეო, და ძალისა შენისა ცნობად მოსულ ხარ, და ხედავ ამა შიკრიკთაო? ესე რა ხმობად მოსულან, სადა მე მივალ, თანა წამომყეფ და მუნიოვან გამოიცილები დასტურად, და თუ კაიმარჯვებთ - იქ შევებნეთო. მე ეგრე გუვახსენე: თავმან შენმან თანა წამოგყევი, მაგრამ უწინ შენი შეგბა მწადინ. ვაიციანა და აგრე მიბრძანა: „წადი, შაეკაზმეო“. მე გამეხარნეს და ვიციოდი არ მამკლამდა. წაველ, შაეკაზმე და გამოველ. გამოვიდა იგიცა უკაზმავი, კაბითა ცხენსა ჯდა, ორნი მონანი თანა ჰყეებოდეს და გამიკვირდა აბჯრისა ტანსა არა ცმულობა. წვედით უჩინარსა ერთსა მინდორსა შიგან, და მიბრძანა: მოდი, შევიბნეთო.

მე ეგრე მოვახსენე: აბჯარი ჩაიცივი ტანსა ზედან მეთქი, და მან მიბრძანა: შენ რას ეძებ ჩემი აბჯრისა არა ცმულობასაო! რა ესე მესმა მისგან, დამიძიმდა და კიცხვად შევირაცხე, მაგრამ ვსთქვი გულსა შიგან ჩემსა: მოკვლა, ანუ ჩამოვადო, სახელი დიდი დამჩიების მეთქი. შეუტივე და ვსთქვი, თავსა ხმალი დავკრა, ოდეს შეუმაღლე, მამყო ხელი, ხლმიანი ხელი შემტაცა, ამილო უნაგრი-საგან და ქვეყანასა ზედან დამკრა, მხარი მომტეხა, მაგინა და ეგრე მითხრა: თავსა

შიშველსა ხმალს როგორ მკრამდიო!.. მერმე მიბრძანა: გკირს რამეო? და მე მოვახსენე: მგონია მხარი მომტეხე მეთქი. დაუძმძიდა და ეგრე მიბრძანა: „ღმერთო, ავი კაცი ვარ, ამა ეგ საკმე რისთვის გიყავო“. წამიყვანა, მკურნალი დამყენა და გამამოელა. მერმე დარბაზს მიხმო, და ეგრე მიბრძანა: ძმაო, ლმერთმან იცის შენგან დიდათ მცხენიანო, და დიადი საბოძვარი მიბოძა, და ეგრე მიბრძანა: წამომყევი თანაო? მე ეგრე გუვახსენე: ლმერთო, დასტურად წამოგყევი მეთქი. დამამდლა და მიბრძანა: ზენაარმან ლეთი-სამან კარგი და გულოვანი კაბუჯი ხარ, დიდათ დამიმაღლებია. მაშინ ვააგო საკმე სამეფოსა თვისსა, უჩინა კარგნი კაცნი და რაცა ხამდა, ყველა უბრძანა. წავედით და შიკრიკი იგი წინა წაეიმძლე-რეთ და ვიარეთ, თვით სეფედავლე დარი-სპანის ძე, ომარ აბრაამის ძე, ყმა მისი და კარგი კაბუჯი და მე ომად ამადის ძე ცხონდი, გეფეთ მეფეო, უკუნისამდე! და ისმენდი ამით, რომელ კარგი ამბავი ეხლა დაიწყების. წავედით და ვავიარეთ ქვეყანა მისი და მიემართეთ მას ძნელსა ზხასა. ვლეთ ათისა დლისა სავალი, მას უბადლოთა ალაგსა, რომელ არა იპოვოდა ლეთისაგან დაბადებული. მიგვიკირდა დიდად და მეთერთმეტესა დღესა მივედით მშვენიერსა ქვეყანასა, ყოვლის კეთილით სავსესა, ვენახიან ხილიანსა, ჩრდილოვან წყაროიანსა, გრილსა, და ნაყოფიერსა. გაგვენარნეს დიდათ. წალკოტი იყო მშვენიერი და მუნ შიგან დავსდექით, და იგი დღე მწუხრამდინ იქ ვიყავით.

ვნახეთ შაოსანი დიაცი ჩვენთანა მოვიდოდა. დიდათ მშვენიერი იყო. მოვიდა, თავიანი სცა სეფედავლესა, დაჯდა გვერდით მისსა, და ეგრე მოახსენა: კეთილად მოხველ კაბუჯო, მჯობთა ყოველთა კაბუჯთაო! და სეფედავლემან უბრძანა: „შენცა კეთილად დამხვდი ჩემო დედაო“. მერე გვიოთხრა: რათ.

ნოსულხართ ამა ძნელსა და საკიროსა ქვეყანასაო? და სეფედავლე დარისპანის ძემან ეგრე უთხრა: „საცოლისა ჩემისა, კენთა მეფისა ასულისა გამოსაყენელად მოველ და გამეხარნეს, რომ შენ განახეო“. მან ეგრე უთხრა: „ძნელსა და საკიროსა გზასა დაგმართებიაო, ამაღ, რომე ვინცა აქა მოსულა, მშვიდობით ველარ წასულაო“. მერმე სეფედავლემან ეგრე უთხრა: არცაეინ ჩემებრ კაბუკი, ღმერთო, აქ არ მოსულა, და არცა ძალითა ლეთისითა ჩემზედ კაცობრივი ვნება იქმნების და მიუალიც არისო. მერმე მან ღიაცმან ეგრე უთხრა: შესმობა ამბავნი შენნი და კაბუკობა, მაგრამ ამბისავანი კაცი უმჯობესი განახეო. აწ აჯა არს ჩემი შენთანა იგი მიქმენ და ამა გზასა შიგან ღიდათ გემსახურებო, და უთხრა სეფე დავლე დარისპანის ძემან: „მოთხარ ღედაო, და რაც სთქვა, განალამცა ჰქენაო“. მან ღიაცმან მოახსენა: კმარი ჩემი და ძმანი ჩემნი რაზიმან ღევმან დახოცნა და ძენი ჩემნი წაახსა; აწ მიშეველ და ნახო, თუ როგორ გემსახურე გზასა ამა ზედანო. მაშინ უთხრა სეფედავლემან: „აწ მიჩეენე, და ნახე კაბუკობა ჩემიო“ და ამა საუბარსა ზედან წავვიძლვა იგი ღიაცი და წავედით.

მიგვიყვანა ქვეყანასა მშვენიერსა და ერთსა მაღალსა გორასა ზედან ციხე ღდას, მაგარი და ძირსა მისსა რა მივედით, წარმოდგენ მას ციხესა ზედან და გვიკითხეს, თუცა ვინა ხართო? ჩვენ არა უთხარით რა. და მერმე იგი ღიაცი იცნეს, რომელი ჩვენ წინა გვიძლოდა. შევიდეს და უთხრეს პატრონსა თვისსა. ვითა ცოტა ხანი გამოზდა, გაახვნეს კარნი მის ციხისანი და გამოვიდა შექურვილი იგი რაზიმან ღევი, მოიგინებოდა და ეგრე უთხრა მას ღიაცსა: „როსკიპო, რით ვერ გასძებ სისხლითა უბრალოსა კაცისათაო“. მას ეამსა შეუტრევა სეფედავლემან ცხენი. შეიბნეს, ღიდნი

ომნი გარდიხადეს. და გერეთ ვერა რომელმან აჯობა, მერმე გაიყენა ცხენი სეფედავლემან, შემოუტივა, ჰკრა ხმალი თავსა ზედან, ღიდი შეჰქვეთა, ჰკრა მეორე და შუახედან ორათ ვაჰქვეთა ესრე, რომელ ზედან ტანი ტანსა აღარ ებნეს და განალამცა მოჰქვედა.

შევედით მას ციხესა შიგან და იყო განძი, რომლისა არა იქნებოდა რიცხვი. დაყავით მუნ ორი ღლე. მერმე წავიდა იგი ღიაცი, თვისნი შვილნი ჰპოვა და გამოიხსნა. იგი ციხეცა მას ღიაცსა მივეციო ყოვლითა საქონლითა და განძითა მისითაო. და მერე მან ღიაცმან ეგრე მოახსენა: სეფედავლე! რადგან ჩემნი ძენი ცოცხალნი ბედითა შენითა დავიხსენ, მაღლი რამე ღიდი წარმოთქვა და კვლავ აგრე სთქვა: შენ ძნელსა და საკიროსა გზასა დაგმართებიაო, და ესე წამალი, რომელი მე შენ მოგცე, ხელთა დაიჭირე, ამათ ნუ მისცემ, რომე შენ დარჩე, ამათ უფრო არა ევენებისრაო.

გავლეთ იგი ადგილი და მივედით სადა იგი წყლისა ნაღინები იყო. იგი წამალი, რომელიც მან ღიაცმან ფერხთა მოსასმელად მოსცა, ჩვენცა გვიბოძა და მე მიბრძანა: მოიცხე შენცაო. მოვიცხე ფებთა და წავედით. რა შუა ზედან მივედით, მოვიდეს იგი ფრთოსანნი კაცნი, იყვილეს ფიცხლად და მათსა ყივილსა ზედან მოვიდა წყალი ეგეთი, ვითარცა ზღვა. მაშინ მიჰყო ხელი სეფედავლემან, და ყმა მისი ომარ ღლიას შემოისვა, და იწყო ცურვა და მიეყეე მე; იმა წამლისაგან ქვე ვერა დამიგდებდა. სამხრამდის სავალსა ცურვით გავიდა, და ყმა მისი ომარ თან გაიტანა. მე გამიკვირდა ზომისაგან მეტად, რომ კაცისაგან არ დაიჯერებდისო! და გავლეთ იგი ზღვა უვნებელად და მივხვდით ქვეყანასა მშვენიერსა, და იგი ღლე მუნ განვიხვენეთო.

მერმე წავედით მუნითგან და მივხვდით ქვეყანასა ეგეთსა, რომე სიბნელისაგან

გზა და კვალი ველარა გავიგევიტ რა. კვლავ ვანქრით იგი წამალი და ფიცხლად ზედან განათლდის.

წავედით მუნიტგან და ვლეთ. ვნახეთ ქვეყანანი მშვენიერნი, რომელ არა ითქმის კაცისა ენისაგან სიკეთე მის ქვეყანისა, და სიტურფე. მივედით წალკოტსა ერთსა, მშვენიერსა ღ კეთილად და ტურფად შეკაზმულსა და ზღუდითა ტურფითა ქვითა ნაგებსაო. ხილნარნი იყვნეს უცხონი და ყოფილი ფერნი ხილნი ზედან ესხნეს. იყვნეს წყალნი წყაროთაგან მრავალთა და ხენი ფურცელ ჩრდილოვანნი და სახლნი ტურფათ ნაგებნიო. მაშინ გამოგვეგებნეს კაცი მუნებურნი წინაშე ჩვენსა. თაყვანი გვცეს და ქება შეგვასხეს. მოვიდინან კაცი მრავალნი, თაყვანსა გვციან და ქებასა შეგვასხმიდინან. შევედით მას წალკოტსა შიგან, და მოვიდით ვინმე დიდებული კაცი, შემოსილი ტურფათა და პირ ოქრო რიდე თავსა ეხურა, და მონანი მრავალი თანა ჰყვებოდეს, რა გვნახა, თაყვანი სცა სეფედავლესა, ქება შეასხა, აწვია მან კაცმან და უბრძანა მონათა თვისთა: მოიღეთ ხილი ამა წალკოტისათაო. წამსავე წავიდნენ მონანი მისნი და მოიღეს ხილნი მრავალნი ვერცხლისა ფარჩებითა. ეკამეთ იგი ხილი, რომელ არ უნახავს მსგავსი მისი პირსა კაცისასა. ესრეთ ამო რამე იყვენსო. და კვლავ მოიღეს უკანის მისსა ოქროს ტაბაკსა ზედან მღებარე, და ზედან ოქროს დანემსულნი მანდილნი ებურნეს. თვით ხელითა თვისითა მოართვა, და ევრე მოახსენა:

ეგეთნი ხილნი არა თურე სადა გენახოსთ, მონა ვარ შენიო. თვალად კველუცი იყო, ნესვსა ჰგავდა. ცოტა იყო. ერთი მან სეფედავლემან აიღო, და სხვა ჩვენ გვიბოძაო. ეკამეთ, მაგრამ ამის მეტი ვერა შევიგენით რა. ძალი წაგვიღო ასე რომე ჩვენთანა ფშინვისაგან კიდე სხვა ღონე აღარ იყო. და სეფედავლეს კი

ვერა ანო რა და ვერცა ღონე წაულო მის წამლისაგან, რადგან ის წამალი, დიაცმან რომ მისცა, ხელთა ჰქონდა. მერმე იყილა მან კაცმან, და დაიწყო ლაშქარმა ფიცხლად მოდენა! მე და ომარ ქვე დავეციბით, და რა ჩვენ გვნახა, მოვიდა სეფედავლე და ორთავეს თავსა დაგვადგა. მოვიდნენ ლაშქარნი ევრე ვითა ყოველისა ქვეყანისანი გვეგონესო. სამს დღესა ომი იყო მეტად საშინელი, და ყოველნივე სეფედავლეს ებრძოდეს! და ჩვენ თანა ძალი აღარ იყო, და ვერცა უშველეთ, და არცა ჩვენ ზედან მავნებელი მოუშვა. და დახოცნა ურიცხვნი ლაშქარნი, და სხვანი ყოველნივე განქარდეს, და რა მოვედით ჩვენცა გონებაზე და სეფედავლესა რანიცა დაეხოცნეს, დიდათ გაგვიკვირდა. და იყო მკედარი ათი ათასი.

ისმენდინ, მეფეთ მეფეთ: მუნ დაუყავით სამი დლე და განიყვანეთ განსვენებითა დიდითა მას წალკოტსა შიგან, მაგრამ გაგვიკვირდა მის უცხოსა ხილისა საქმე, ვძებნეთ მისთანა ხილი, მაგრამ ვერსადა ვპოვეთ ჩაშ თურე გრძნებითა იყო შემზადებული. აწ თუმცა არა ჰქონდა იგი წამალი, მაშ იგი ღონითა ღონი სეფედავლე დარისპანის ძე უბრალოთა კაცთაგან მოკვდებოდა. აქა წავედით მუნიტცა, და აღარა მოგვხვდა გზანი საჭირონი. მივედით ქენთა მეფისა ქვეყანასა და ოდეს შევხედენით, ქალაქი იყო დიდი, და შუა მას ქალაქსა ციხე. შევედით მას ქალაქსა შიგან, და მოვნახეთ შესავალი გამოსაყვანელი ქალისა, სადა იყო შესავალი, მაგრამ არ ეგებოდა იღუმალ გამოყვანა. იგივე შიკრიკი მოვიდა ღ მოახსენა სეფედავლესა: ვითა ამა ქენთა მეფესა ზედა იგი ასული მისი, რომლისა მიზეზითა აქა მოხვედ ამა ძნელსა გზასა, აწე წაჰყავთ არაბთა მეფისა ძესა საცოლოთ. მასვე წამსა შეაქცია იგივე შიკრიკი, ვითა ამაღამ გამოგიყვანო, და მზაცხარო. მერმე ჩვენ გვიბრძანა, კუბო და აქლემი დაჰკაზმეთო.

ვითა შეღამდა, ადგილნი გვიჩვენა, აქა ბელოდენითო ღამისა შუამდევო. თუცა მომკლან, თქვენ წადით, და თუმცა დაერჩე, მასვე უამსა თქვენთანამცა ვარო.

შეიკურვა საქვეითოთა აბჯრითა, შეუზახნა და შეუხდა მათ არაბთა სასიძოსა, რომელიც მოსულიყო საქმროდ მისაღ, და თავმან მეფობისა შენისამან, ეგზომ ადვილად დახოცნა იგინი, რომელ მოქალაქეთაცა ვერ შეიგნეს და მათგან, რომელიცა მორჩეს, აქა იქი წაძვარენ. შეველნა კიბენი და ზედან არაბთა გაუხდა, რომელი იყვნენ მცველნი კარისანი მის სასიძოსა გუშავნი, მის მეფისა ასულისათვის მდგომარენი. მოეგებნეს იგინიცა, მაგრამ, ღმერთო, ძნელი და საჭირონი ომნი გარდაიხდა. მანვე დახოცნა იგინიცა და ზოგნი მიეფარნეს. შეველნა იგიცა უვნებლად, მივიდა, და მოეგება იგი მნათობი პირ-მზე ასული მეფისა წინაშე მისსა და უთხრა: „ლომო ჩემო, პირველსა ნახვასა ზედან, ღმერთო, რა კარგათ მეჩვენეო“. წამოიყვანა ქალი მნათობი და შუალამედნი ჩვენთანავე მოვიდა. მოიყვანა პირ-მზე მისი. შევესვით კუბოსა შიგან, წამოვედით და კიდევ გათნდა. ხმა შეიქმნა ქალაქსა შიგან და ნახეს მოს ქალაქეთა ლაშქარნი დახოცილნი. შიშით კაცი ველარას იტყოდა, არამც დაბრუნდეს და ჩვენცა ესრეთ გვიქმნასო. მაშინ მიეთქვათ ესე ამბავი კენთა მეფესთან, ვითა ასული შენი სეფედავლემ წაიყვანა მან დარისპანის ძემანო, ლაშქარნი დაგხოცნა და აბაშნი ასწყვიტნაო! ამაზედან მოგვეწია იგი კენთა მეფე ლაშქრითა საშინელითა, რომლისა არა იყო რიცხევი. მოდგა და ეგრე უთხრა სეფედავლესა: რათ დამიხოცენ ლაშქარნი, გაბიტხევი ციხე, ქალაქნი და ქვეყანანიო! ეს არ იცოდო, რომე ასულისა ჩემისა მკლავითა წარუყვანება არა ეგების და კაცთაგანაც მოუღლი არისო!?

მერმე სეფედავლემან ეგრე უთხრა: „მეფე ხარ დიდი, და ასული შენი ცოლი არს ჩემი, და მე შეილი ვიყავ შენი. ცოლისა ჩემისა განშორებასა ლამობდი და სხვისა შერთვასა. ესე ვითა არ იცოდო, შენ ცოლსა ვერ წამგვრიდიო, და - თუ ძალ გიძს, მოუშვენ ომად ჩემდა ლაშქარნი შენნი და ანუ ეგე ახალი სასიძო, და წამგვაროს ესე ცოლი“. ამა სიტყვასა ზედან არაბთა მეფისა ძემან ცხენი გამოიგდო, რომელი მის მნათობისა საქმრო იყო, და ეგრე უყვილა, ვითა გამოვედ სეფედავლე დარისპანის ძეო, რომელ გიჩვენო მავა ცოლსა შენსა ვითაც გამოყვა და ჩემზედ შენ გირჩიაო. და მას ზედან სეფედავლემან ესრე უთხრა ცოლსა თვისსა: მზეო ჩემო, მოიხედე და ნახე საქმრო შენი, თუ ვითარი ქაბუკი ყოფილაო. შეუტევა და ხმალი არ მოიწოდა. რა სიახლოესა მივიდა, ჰკრა ხმალი არაბთა მეფისა ძემან, მაგრამ ვერა ააყვეთინარაო. მიჰყო ხელი სეფედავლემან, მოხდა უნაგირისაგან, ქვეყანასა დაჰკრა და მოკლა ძე არაბთა მეფისა კენთა მეფისა წინა!

როსაბ ერქვა ვისმე მის მეფისა ბუნბერაზსა და იგი მუნ ვნახეთ. არა იყო მათ ლაშქართა შიგან. ეხმო და სწრაფად მოვიდოდა. მანცა შემოგვიტია. ამირთ ამირო, ტყუილის თქმა და უბადლო კვებნა არა ქაბუკთა ხელი არის. შევეშინდით მისგან და გავეჭეცით, მომეწია მე, ხმალი აღარა მკრა, ამილო უნაგირისაგან, შემრტყოცნა, მას ომარსა ზედან მკრა და ორნივე ძირს ჩამოგვყარნაო! რა ჩენი ეგეთი უბადლოთ ყოფა ნახა სეფედავლემან, განალმცა შევეწყალებით და მიუხდა და ეგრე უყვილა როსაბს:

ძმაო, მავათი რა ბრალია! თუმცა ქაბუკი ხარ, შენ მომიცადე და დაისწავლე რა ქაბუკი ვარო! ამაზედან ერთმანერთსა შეუძახნეს და ერთმანერთსა შეუტევის. შეიქმნა ომი ეგზომ საკვირველი, რომელ

აბჯართა მათთა ცემა ჰგვანდა ცისა ქე-
ხასა. და იბრძოლეს ხანი დიდი. თვით
ქენტა მეფე და ლაშქარნიცა მათი უყი-
ოდეს და ეტყოდეს: აზღვევინე სისხლი
ეგზომისა კაცისანიო. იყო ზრუნვა დიდი
მათ ლაშქაროა შიგან. ომი საკვირველი
და ფიცხელი. მას ჟამსა უყივლა ქენტა
მეფემან როსაბ ფალავანსა: თუცა სეფე-
დავლესა აჯობო, იგი პირმზე ასული ჩემი
მოგცე ცოლად შენდო. და მერე სეფე-
დავლემან ეგრე უთხრა მას მეფესა: თუმცა
ნაკრავსა ჩემსა გარდაურჩეს, მაშინ გინ-
დეს ცოლიცა შენი მიეცო. ამა ზედან
ბრძანა მან პირ მზემან ქალმან, ახდა კუ-
ბოსა და ავიღეთ კარნი მისნი. შეხდნა და
ნახა სეფედავლემან დედოფალი-ცოლი
თვისი, მისთვის მკვრეტელი, და უყივლა:
ასულო ამა მეფისაო! აწ ნახე ფალავანი
მამისა შენისა, თუ ვითარი ქაბუკი არი-
სო. ფიცხლად შეუტივა ცხენი, კრა
ჩაბალახსა ზედან ხმალი და თავმან მე-
ფობისა შენისამან მკერდმდინ ჩაპკეთა
და მოჰკლაო.

მერმე რა იგი მოინახა ქენტა მეფემან,
უბრძანა ლაშქართა თვისთა უკუ მოე-
რიდნით, ნუ ვინღარას ჰკადრებთო და
რქვა სეფედავლესა: დღეისიღგან წალ-
მართ შეილი ხარ ჩემი და მე მშობელი
ვარ შენიო, მით რომელ ვინათგან ეგეთი
ქაბუკობა მოგცა ღმერთმან, შენა ხარ
მკვიდრი სამეფოსა ჩემისაო. გარდახდეს
ყოველნი ლაშქარნი და თაყვანი სცეს
სეფედავლესა და შეასხეს ქება. მერმე
სეფედავლემან ეგრე შოახსენა ქენტა მე-
ფესა, ვითა, მეფეო, თუმცა ავი რამე
გიქმნიეს ჩემზედან, მე აღარას ვახსენებ.
აქედგან მონა ვარ შენი და სიძესა ჩემ-
ზედ უკეთესსა ვერ იშოვნდიო. ამას ზე-
დან თაყვანი სცეს ერთმანერთსა და აყო-
ცებდეს...

მაღლი უბრძანა ამირ მუმლმან ომად
ამადის ძესა, მის ამბვისა თხრობისათვის;
მაგრამ ამირან დარეჯანის ძესა დაუმ-

ძიძმა ეგზომი ქება სეფედავლესი, განა
არა სთქვა რა. მას დღესა გაეყარნით.
მერმე ამ ამბავსა ზედან გვიხმო ამირან
დარეჯანის ძემან დაგვიბრძანა: ვინაღ-
გან ეგეთი კაცი ქვეყანასა ზედან არის,
თუმცა მე არა ვნახე, არ ეგებოსო. გააგო
მას ჟამსა სახლისა თვისისა საქმენი, უჩი-
ნა კაცნი და რაც ჰხამდა, ყველა დაავედ-
რა, და უბრძანა ომად ამადის ძესა, წა-
მიძღვი და წავიდეთო.

ისმენდით, მეფეთ მეფეო! წავედით
თვით იგი ამირან დარეჯანის ძე, მე, სა-
ვარსამიძე, აბან ქაბანის ძე, ალი მომა-
დის ძე, ასან ბადრიძე, ყამარ ყამარევი
და ქოოს ქოსიძე. ესენი გავემართენით
და იგი ომად ამადის ძე თან წაეყვა-
ნეთ. გავლეთ ერთისა თვისა სავალი და
მივეწურნით მისსა სამეფოსა, და წავიდა
წინად ომად ამადის ძე და მოახსენა. სეფე
დავლესა მისვლა ამირან დარეჯანის ძისა.
გაეხარნეს უსაზომოდ და დღისა ერთისა
საელსა წინ გამოაგება დიდებულნი თვი-
სნი, თან მოჰყვნეს დიდითა ზემითა და
ზარითა, ანუ ტურფითა მოკაზმულობითა,
და, ოდეს ვნახეთ, ეგზომ მოგვეწონა,
რომელ ამბავსა კაცი სჯობდა. გაეხარნეს
მისვლა ჩვენი. ამირან დარეჯანის ძე ზე
გარდახდომით სალამს სამობდა, სეფე-
დავლემ არა ქნა, და ცხენზედა მოეშვი-
ლობნენ, მოიკითხეს და დიდათ გაეხარ-
ნეს შეყრა ერთმანერთისა. მერმე ჩვენ
ნოვგხედდა და მდაბლად მოგვიკითხა, ვი-
თაც შენოდა სიკეთესა მისსა. წავედით,
და შევედით დარისპანის შაარას და ვნა-
ხეთ ქალაქთა სიკეთე, სიდიდე და მშვე-
ნიერება, სიტურფე და შენობა, რომელ
სიმდიდრე მისი კაცისაგან არ ითქმის.
შევედით, სრათა მისთა გარდავხდით,
ეგზომ უტურფესად მოეკაზმათ ჩვენსა
მისვლასა ზედან პალატნი, ანუ სრანი,
დიდებულნი, და მონანი, რომელ უკეთე-
სნი კაცისა თვალთაგან არა ნახულა მის
მოკაზმულობისა სიკეთე და სიმდიდრე

წვედ გავიკვირდა. მერმე ლარნი შავ-კაზბათ, პალატნი მშვენიერნი, ჩვენთვის გამგენი და ეჯიზნი და მონანი, და მზარეულნი, რომე ყოველივე წესისაებრ ცალკე უმზადენითო, ვითა ჩვენთვის ეგრეთცა დარეჯანის ძისათვის ჰკაზმიდეთ პურსაო. მერმე დედოფალმან უბრძანა და მოგზავნა ხელის უფალნი და იგინიცა ცალ კერძ ჰკაზმიდეს პურსა.

იყვის მღერა, სიხარული და განსვენება ეგეთი, რომელ არა ითქმის კაცისა ენი-საგან. დღეისა განსვენებასა ხელისა შვება საჯობლის და ხელისა შვებასა ზეგისა უმჯობესი იყვის. ესეთსა განსვენებასა შიგან ვიყავით ორი თვე, სწადლათ ორთავესა ერთმანერთისა ომი, მაგრამ სიყვარულითა ვერა შემართიან. მერმე ქოოს ქოსიძემან ეგრე თქვა: მე შევებნე ესე კაცნი, რომე ერთმანერთსა აღარ ერიდებოდნო.

ერთსა დღესა ნადიმად ესხედით. მღერდეს მგოსანნი, და იგი ქოოს ქოსიძე მეტად მოლალობელი კაცი იყო და დიდად უყვარდა სეფედავლე დარისპანის ძესა, ოდეს ერთად სხდეს ამირან და სეფედავლე, მას ჟამსა აღდა ქოოს ქოსიძე, აიხვნა ორნი ჰიქანი, დაიჩოქა წინაშე მათსა, აავსო, ერთი მას მისცა და ერთიც მეორეს და ეგრე მოახსენა, ვითა ორთავე შესეთი, ეს ლეინო ორთავეც გწაღს და ბოლოც იგივე არის. ჟამიც მოსულ-არს და აქადგან ომი თქვენი არისო. გაიციანა სეფედავლემან და უთხრა, შენ თურე სპასალარი ხარო, და ამაზედან ამირანმცა გაიციანა. დაიწყეს ლალობა და სეფედავლემან ეგრე მოახსენა: ამირან დარეჯანის ძეო, გალანამცა ეს კაცი შენ მოგიბირებიაო. და მან ეგრე მოახსენა: არა, თავმან შენმან, თვით მომძრახი არისო, რალას ვაგრძელებდეთ. ამა საუბარსა ზედან დამორჩილდნენ ერთმანერთსა და დაასკენეს ომი მათ გმირთა. მას ჟამსა დაღდა სეფედავლემან ესე წესი: თუცა მაჯობო,

ჩემსა მოგიყვან პურად, ნადიმსა გარდა-გიხდი და ძღვენსაცა გიძღენიო, და თუ გაჯობო ამასევე შენ მიქმოდეო.

წავედით მას მოედანსა შიგან და დედოფალი თან ვერ წავიტანეთ, მით რომელ უძმიდა მათი ომი. ამაზედან დაარჩივა ტაიქნი. ასი მოსცა ამირან დარეჯანის ძესა და ასი თვით დაიქირა და შემოეთვალა: ხეალ ოროლითა შევიბნეთო. შეიკაზნეს ოცოცი ტაიქი, შესხდეს თვითოსა ზედან და გამოვიდეს მოედანსა შიგან და შეიბნეს. რა სეფედავლემან მოუკლის ცხენი და ჩამოაგდის, დადგის და მისთა კერძთა კაცთა დაუწყიან ცემა ზარსა, ჰკრიან ბუქსა და დაბდაფსა. და რა დარეჯანის ძემან მოუკლის ცხენი და ჩამოაგდის, დადგის იგი, და ეგრევე ჩვენ დავსციტ ზარსა: ჰკვრით ბუქთა და დაბდაფთა. მას დღესა მოუკლა ოცივე ცხენი სეფედავლემან და თხუთმეტი მოუკლა ამირან დარეჯანის ძემან და დარჩა მის დღისა ჯობნა სეფედავლესა. ამირანმაც კარგათ იცოდა ოროლითა მღერა, მაგრამ სეფედავლემან თურმე უკეთ იცოდ. ისმენდით, მეფეთ მეფეო, თავმან მეფობისამ თქვენისამან ნახვად კმარ იყო მათი ომი. კიდევ მეორესა დღესა შეიკაზმა ორმოცი ცხენი მან და ორმოცი მან. შეიბნეს, ღმ მოკლა ამირან ორმოცივე ცხენი და სეფედავლემან ოცდა ათი. და დარჩა მის დღისა გამარჯვება დარეჯანის ძესა. შემდეგ ზოგჯერ მან აჯობის და ზოგჯერ მან. წინასევე თქვეს მშვილდისა არა ალება და ყოველთათვის ხლმითა, ლახტითა, ხისტითა და ოროლითა იბრძოდნენ, და ვერა შევიტყვევით ერთისაცა ჯობნა.

მეფეთ მეფეო, ნახეთ მორწთენილობა დიდებულთა მიცთა, ოდესცა დარეჯანის ძემან აჯობის, გულსა შიგან გალანამცა უძმიდათ, ზეპირ სიხარული უგვანდათ. ჩამოგზავნა დედოფალმან კაცი, ვითა კმარ არს, დაუშალეთ ომიო. ჩვენცა

ვლამობდით. გაყრასა, ვითარცა არა შებ-
მულიყვენენ, მაგრამ იბრძოდნენ და ესე უნ-
დოდათ, თუმცა ერთმანერთი დაეკრათ.
ისმენდი, მეფეთ მეფეო, შეიქნა ცილება.
ზოგმან იგი ამჯობინა, და ზოგმან იგი,
შეიქნა მელგრობა. გაგულისდეს ბოლოს
ჟამსა და ნადიმსა ზედან სასიტყველო
შეექნათ, და ეგრე სთქვა ამირან დარე-
ჯანის ძემან: მე შენსა სახლსა დიდი ხა-
ნი დაეყავი და შინ წასვლასა ვლამობ.
აქამდის ესე ჩვენი ომი ყმაწვილობა და
ბედითი იყო, ცხენთა ხოცა, და აწუ ჰხამს,
რომელ გარდაეწყვიტოთო. მერმე სეფე-
დავლემან ეგრე რქვა: ძმაო, შენი ჩემსა
სახლსა ყოფილხარ და განგისვენებია.
ეგრეთვე თუ შენ არ გეთქვა, მე არად
ვიტყოდიო, მით რომელ ამას არად იტ-
ყოდი, სახლსა მისსა ვარ და მოეწყინე-
ბივარო. და აწ ნათქვამი შენი გაეასრუ-
ლოთ, რომელ გარდასწყდეს და რომე-
ლიც დაღბა არა ჰაბუთა ხელი არისო.
ამაზედან დასკენეს ომი ფიცხელი ხე-
ლისა დღისა და გაიყარნეს.

დილასა ბინდსა ჰკრეს ბუქსა და დაბ-
დაფსა კარსა ზედან სეფედავლე დარის-
პანის ძისასა, და გამოვიდა იგი სეფე-
დავლე, თეთრსა ტიპისა ზედახ ჯდა და
ეკიდნეს პოლიტიკნი კინენი სატკივართა
ადგილთა, თვით და ცხენზედაცა გარდა-
ეკიდნეს ჩაბალახნი, ეგრეთცა ცხენისა
თავის მკერდსა, და ფერდსა ზედან. შე-
ებნეს სამნი ხმალინი ბასრნი მკვეთელნი:
ერთი წელთა ერთხენეს, ერთი აღმედად
ეკიდნეს და ერთი ტახტსა ზედან ეკრ-
ნეს. ოდესმცა გენახათ, ბრძანებდა პირი
თქვენი, ვითა კაცი ამის ებრი არა ნა-
ხულო! და შეგვეშინდა ჩვენ ჯობნისა
მისგან, ვითა დაღვა შუა მოედანსა, დაუ-
ლო მებუკეთა სული და ბრძანა: მოახსენ-
ეთ ამირან დარეჯანის ძესა, ჰაბუთა-
თვის სჯობს რასაცა აღრე შეიბმინაო
და ნებასა ზედან მიმოუვლიდა. ამაზედან
ჰკრეს ბუქსა კარსა ზედან ამირან დარე-

ჯანის ძისათა, და გამოვიდა ეგრეთ შე-
კახმული, ვითაც სეფედავლე იყო, და
ოდეს გენახათ, ამას ბრძანებდით: თუცა
ღმერთსა ორნი კაცნი ამათებრი არა და-
უბადებიაო.

თავმან მეფობისა შენისამან, ვერა შე-
ვიგენით, თუმცა რომელი სჯობდა. შე-
მოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუ-
ტივეს და შეიბნეს. მათი ომი დიდთა
კლდეთა ძვერებასა ჰგვანდეს და ხმალთა
მათთა ელვა და ცემა ცისა ჰქეხასა. იბრ-
ძოლეს ხანი დიდი, გარდაალეწუნეს ერთ-
მანერთსა თითუო ხმალი, და მეორენი
გამოიწვადნეს, კვლავ შეუტივენეს ერთმა-
ნერთსა, იცემებოდნენ და ვერა შევატ-
ყევით ერთისაცა დაღბობა. მეფეთ მე-
ფეო, მე მრავალჯერ მინახავს ომნი და-
რეჯანის ძისანი, მაგრამ მისებრ დღეთა
ჩემთა არ მინახავს, და არცა ისრე გა-
ფიცხებული ყოფილა, და იგი სეფედავ-
ლესა ყმა ომარ იტყოდა: არცა მე მინა-
ხავს სეფედავლე ესრეთ გაფიცხებულიო!
გაგრძელდა ომი მათი და გაუტყდეს ხმა-
ლი მეორენიცა და მესამენი გამოიწვად-
ნეს, და თავმან შენმან, უფიცხად შეიბნეს.
გაგვიკვირდა ეგზომი სიფიცხე ცხენთა
და კაცთა, რომე არა რომელიმე დაღბეს.
ამაზედან გაიყენა ცხენი სეფედავლე და-
რისპანის ძემან და ეგრე უყვილა: ამი-
რან დარეჯანის ძეო, აწ გამოგცადო,
თუ რა რიგი ჰაბუქი ხარო! შემოიქცა,
შეუზახნა, ჰკრა მხარსა მარცხენასა ხმა-
ლი, პოლიტიკნი კინენი, ჯაჰვი და ჯავ-
შანი გაუკვეთა და შიგან დიდი შეჰკვეთა
და სისხლი ზე ამოიჰკრა. უყვილა ხმა მა-
ლლა, ჩამოიჰკერო, და ესე ხმა გვესმა მის
ნაკრავისა, ვითა ქეხა ცისა. დაგვიძმიდა
ჩვენ და გვეგონა ჯობნა სეფედავლესაგან
ამაზედან გაიყენა ფიცხად ცხენი ამირან
დარეჯანის ძემან, შემოიქცა, სწრაფად
შემოუტივა, სასტიკათ შემოტევებით, აი-
დგნა ფერხნი ავჯანდათა ზედან, ჰკრა ხმა-
ლი ჩაბალახსა ზედან, ჩაბალახნი გაუკვეთა,

ორნი პოლიტიკნი კინენი და თავსა დი-
დი შეჰკვეთა, და ეგრევე ამოიჭრა მის-
განაცა სისხლი და დაალეწნა მედგრაღ
ხმალი ზედან.

მეფეთ მეფეო, ასე ავი ქნა სეფედავ-
ლემან, რომე რა დარეჯანის ძესა ხმალი
გაუტყდა, მან ხმალი არ გააგდო, და
არცა სხვის ხლმის აღება აცალა. ცხენი
გაიყენა, მასვე წაშს ფიცხელნი შემოუ-
ტივა, ოდეს მოვიდა სიახლოვესა, აამარ-
თა ზე საკრავათ, რა თავსა დაკკრა ენება,
შეფრინდა ამირან დარეჯანის ძე და
ხლმიანი ხელი შესტაცა და მაგრა დაუ-
ჭირა, მოზიდნა და ხმალი ქვე გააგდე-
პინა. მისწვდნენ ერთმანერთსა, ხელის
ხელ გაიზიდნეს იქით აქეთ და ვერა რო-
მელმა ჩამოავდო. მას ჟამსა მივედით ყო-
ველნივე და მოვახსენეთ: რა გიცთ ეგ ზო-
მი საბრძოლველი ერთმანერთთანა. ღმერ-
თსა ორნივე კარგნი ჰაბუკნი დაუბადე-
ბიხარა და აბა რასათვის დაიხოცებითო?
გვისმინეს და გაიყარნენ. ჩვენ ყოველთა
გაგვეხარნეს მათ გმირთა ეგზომ მშვიდო-
ბით გაყრა, მაგრამ ჯობნა დარჩა დარე-

ჯანის ძის კერძ, მით რომელ მოქნეული
ხმალი გააგდებინა. მაგრამ თუმცა სეფე-
დავლე იტყოდა: ხმალი თვით დაეავდე,
თვარემ უკანით ოდეს მოაიზიდნით, მა-
შინ რატომ არ ჩამომავდოო. მაგრამ
ტყოდა, ხმალი დაქერით გააგდებინა.
მას ჟამად შემოვიდნენ ქალაქათ სიხარუ-
ლითა დიდითა, გარდახდეს და შემოვი-
დეს სრათა შიგან-სამეფოთა პურობად
და ნადიმი მრავალჯერ გარდაიხადეს
და შეიყვარეს ერთმანერთი და იფიც-
ნეს ძმათ, და დედოფალმაცა მადლი შე-
სწირა ღმერთსა მათისა მშვიდობით დარ-
ჩომისთვის და ურიცხვი წარსაგებელი
წააგო გლახაკთა ზედან და დიადი შეს-
წირა მიზგითს სალოცავსა თვისსა.

ისმენდი მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუ-
ნისამდე, წამოვედით დარისპან შაარით,
და გამოგყვა სეფედავლე დღისა ერთისა
სავალსა და მისცეს ფიცი ერთმანერთსა
ეგეთი, რომელ თუ ეგებოდეს, ზედა ზედ
ენახევდეთ ერთმანერთსაო, და, თუ რა-
მე გვიქირდეს უშეკლიდეთ ერთი მეო-
რესაო.

ქ ა რ ი VIII—IX

მ ზ ი ს ა ქ ა ბ უ კ ი ს ა ა ნ ბ ა ვ ი

ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუ-
ნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყვარენი
თქვენნი და არცხენის ორგულნი თქვენ-
ნი! ბრძანა ამირან დარეჯანის ძემან და
ნადირობად გავიდა, ქვე დგა შამშხა
პირსა. შამშიდგან გამოვიდნეს ორნი
ლომნი. ერთი წინარე მოვიდოდა. შე-
მოუტივა, ჰკრა ხმალი და მოჰკლა; კვლავ
მეორემან შემოუტივა, ხელი მიჰყო, შე-
ეპყრა ყია და იგიცა მოკლა. ამაზედან
კაცი ვინმე მოვიდოდა, შავი ვითამცა
კუპრი, და რა იგი ლომნი მკვდარნი ნა-
ხა, ფიცხლად ცხენისაგან გარდაიჭრა,

ტირილი დაიწყო ხმითა მალლითა, იგ-
ლეჯდა თმა-წვერთა და თავსა ნაცარსა
ისხმიდა. ჩვენ რა ეგეთი ბედითი ქცევა
მოვინახეთ მის კაცისაგან, გაგვიკვირდა
და ხელი აბელა გვეგონა. მივედით, ვკით-
ხეთ: ვინა ხარ ძმაო, და ანუ იგი ლომნი
რას გეყოდეს, რომელ მათისა სიკვდი-
ლისათვი ეგზომ სტირიო? მერმე მან
კაცმან ეგრე გვრქვა: არა ლომთა დახო-
ცისათვის ესტირიო. ასეთი კაცი მინახეს
და მისი ყმა ვყოფილვარ, რომელმან
ამისთანა ლომნი დახოცნა ნადირობასა
შიგან; მისგანაც მრავალ ჯერ მინახეს.

ნაქმარნი ამისებრნი, მისი სიკეთე მომბაგონდა, და მისთვის ესტირიოო...

ამბავი მისნი გრძელია და ნაქმარნი დიდნიო. თუმცა არ გეწყინებათ და მოისმენთ, ამბავსა და ნაქმარსა მისსა ყოველსავე მოგახსენებთ, და თუ არა, ნუ მათქმევინებთ. და ამირანმა ეგრე უბრძანა: ჩემსა მზესა, თავიღვან ბოლომდე ყველა დაუკლებლად თქვიო. დაიწყო მან კაცმან საუბარი და სთქვა: ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე!

მე სახელად რაბ მქვიან, ნოლა ვარ... მის მზისა კაბუქისა ასე მოგახსენოთ, რომე რა დავბადებულვარ, თვალთა ჩემითა მისებრი მშვენიერაი კაცი არ მინახავს, და კაბუქობისა თვით მოიხსენეთ. მონადირე იყო უტოომელად და ხშირად ნადირობდის და ყოლე მტერი არავინ უჩნდის და არასამე ჰკადრებდის; მშვილდოსანი იყო ეგეთი, რომელ არა ნახულა მისებრიოო...

მოვინმე ვიდა დიდებული კაცი მზისა კაბუქისა ნახვად, ქება შეასხა და ეგრე მოახსენა: „ჟურთხულმცა არს იგი, რომელსა შეუქმნიხარ, და მიწა იგი, რომელსაცა ზედან აღზრდილხარ, ვინათგან არ არის შენებრ კაბუქი. პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო!“ და დიადი უძღვნა. დაჰყენა მან კაცმან ჩვენთანა დღენი მრავალნი, ინადირა და განისყენა, და ეგრე უთხრა მზესა კაბუქსა: თვალად და კაბუქად დღეს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა შენებრი არ არისო და მისთვის ამა საქმესა შენთანა არ დავმალავ.

ხაზართა მეფე არის ყოვლისა ქვეყანისა პატრონი და თვით მპყრობელი. ძე არა ჰყავს და ასული ჰყავს ქალი ეგეთი, რომელ მისებრი ჯერეთ დღესამდის არავის უნახავს, და თვით მამასა მისსა დიდსა ხაზართა მეფესა ზენაართა უფიცავს, რომელ, სადამდისცა ეგეთი კაბუქი არა ეპოვო, რომლისამებრ ქვეყანასა ზედან არა იყოს, მანამდის ამა ასულსა ჩემსა

არავის შევრთაო. აწე მესმოდა ქება კაბუქობისა შენისა, მაგრამ, ვითაც განახე, ვერავის ეთქვა შენდა შესაფერად; შენი ხაზართა მეფესაცა ასმია სიკეთე კაბუქობისა შენისა და ეგზომ ვითარი ქება...

აწე ასმიათ სიკეთე და მშვენიერება პატრონისა ჩემისა ასულისა და მოსულან წარყუანებად მისად სხვანიცა ქველნი და გოლიათნი კაბუქნი: იგი ღამარ ღანზელი, ორდა ვარელი, და მოსორ ნადირის ძე ესენი სამნივე მოსულან და ქალაქისა კარსა ზედან დგანანო. ამირინდოს მოელიან, -- მაგრამ მის იმ ამირინდოსსა ესრეთ იტყვიან, რომელ მისებრი კაბუქი არ არის ზურგსა მიწისასაო, და აწე მათ შიგან რომელიცა სჯობს კაბუქობითა, ასულსა მისსა ცოლად მას შერთავს იგი ხაზართა მეფე და სამეფოსა თვისსა ხელთა მისცემს...

წავგიძღვა იგი კაცი და წავედით. სადაცა მივედით, მან კაცმან, ვითა პატრონი, ეგრეთ დავაყენის. ქალაქნი და ქალაქნი წინა მოგვეგებოდინ, თავყვანი სციან, და ქებას შეასხმინ მზესა კაბუქსა. ეგრეთვე დიდებითა მივზდიოდით. და მას კაცსა, რომელიცა წინ გვიძლოდა, სახელად აბრამ ერქვა და იტყოდეს ამას, რომელ ეს აბრამ მის ხაზართა მეფისა გამზღელი არისო. ვიარეთ და მივეწურენით ხაზართა მეფისა ქალაქამდე...

შვიდნი კაბუქნი იყენეს მზე: კაბუქი, ამირინდო, ორდავარელი, ღორათ დილაში, ანარ იამანელი, ღამარ ღანზელი და მოსორ ნადირისძე. ამა კაბუქთა შიგან მშვილდოსანსა ყოველთა მზე კაბუქი სჯობდა, მოასპარეზესა ყოველთა ამირინდო სჯობდა, ოროლითა მღვრითა ყოველთა ორდავარელი სჯობდა, ცხენოსნობითა ყოველთა ღორათ დილაში სჯობდა, მონადირეთა ყოველთა მოსორ ნადირის ძე სჯობდა, მოქანდრაყესა ყოველთა ანარ იამანელი სჯობდა, მცურავსა

ყოველსა ღამარ ღაზნელი სჯობდა. ესე მე თვით მინახავს ღამარ ღაზნელისაგან, რაზომცა მეტად დიდი წყალი იყვის, შეკაზმული კაცი ღლიასა შემოივლის და იმიერ გაიტანის, და ქაბუკად რომელიცა სჯობდეს, აწე სცანით.

დავყავით მას განსვენებასა შიგან დღენი მრავალნი. დღესა ერთსა მზისა ქაბუკისა ნაღიმად ისხდნენ იგი ქაბუკნი, და აღვა იგი აბრამ, რომელიც ჩვენთან იყო და ეგრე მოახსენა ყოველთა: თქვენი ესე განსვენება, სმა და ნადირობა, ანუ სიხარული თავის თავისა სახლმსაცა გქონდათ და აქა რისთვისაც მოსულხართ, იგი დაითრევეთო. ვირემდის ერთმანერთსაცა არ შეეძმით და უკეთესობასა არ აიღებთ, რომლისათვის აქა მოსულხართ, ცუდათ წაგზიდებათო. ჩვენი ქაბუკობით გვიყვართ, თვარემ ნადირობა და ნადიმობა, ღვინი, სმა და მღერა ჩვენგანაც ეგებისო...

მას ეამსა მოახსენეს ხოსრო ხაზართა მეფესა, ვითა ხვალე მზისა ქაბუკისა და ამირინდოს ქაბუკისა ომი არსო. სიხარული შეჰქნოდა და ებრძანა: ვირემდის მე არ გამოვიდე, ნუ შეიბმიანო. დილის ეამსა ჩამოიხენეს ოქსინოსა კარავნი, დადგეს და შეკაზმნეს საჯდომნი ოქრო ქსოვილნი, შეუდგეს სვეტნი ოქროსანი. გამოვიდა ხვისრო ხაზართა მეფე, დაჯდა საჯდომსა, დაისხნა დიდბულნი და დაიდვა ნადიმი. მღერდეს მგოსანნი და მოზაითნი, მოდგეს მებუყე-მედაბდაფენი, მივედით ყოველნი მეფისა ტაბლასა ზედანო, და მაზედან მოდგეს მკერეტელნი მის ქვეყანისანი, და იგი დღეოფალიცა გამოვიდა, დაჯდა მაღალთა ბანთა ზედან და პირმზე იგი ასული მისი დაისვა გვერდით. იყო მკერეტელთა დასნი ურიცხვნი, იქმნებოდა ზმა დიდი და სიხარულიც უსაზომო. ამაზედან შეეკაზმა მზე ქაბუკი და გამოვიდა. და თქვა ყოველმან ერმან; კაცი მგზავსი ამისი არ არის ქვეყანასა ზედან და ომი ამისი არვისგან ეგებისო!

გამოვიდა იგი ამირინდოცა შეკაზმული, და ჰოწონათ იგიცა მოწონებითა დილითა, და იარებოდეს მოედანსა შიგან.

ამაზედან შეძრნეს ტაიკნი, შემოუვლეს ნაეარდი მგრგვლავ ერთმანერთსა, შეუტივეს, შეუზახნეს და შეიბნეს ეზდენ, რომე ეზდენი ფიცხელი ომნი არ მინახავს, და თვით მუნ მყოფმან ყოველმან სთქვა, არა ნახულა კაცისა თვალისაგან ეგზომი ფიცხელი ომიო. იბრძოდეს მწუხრამდის და სიბნელემან გაჰყარა და ვერ რომელმან აჯობა...

რა დილა გათენდა და მზემან ნათელი მოჰფინა, დაჯდა მეფე და დაისხნა დიდბულნი თვისნი. გამოვიდეს დედოფალიცა, და ჯდეს მასვე ბანთა ზედან. გამოვიდა ყოველი კაცი ხედვად, შეიქნა მკერეტელთა ჯართა ყრილობა, და გავიდნენ ესე გოლიათნი ქაბუკნი მას მოედანსა შიგან, და ეგრე რქვა ამირინდოს მზე ქაბუკმან: ვითა დღეს გაწყვეტა ჰხამს შენი და ჩემიო! და მან ეგრე რქვა: დასტურად ხამს, თუცა მოლალობელნი არა ვართო. შეუზახნეს და შეიბნეს! ზენაარმან ღვთისამან და თავმან მეფობისა შენისამან, პირველისა დღისა ომი ვითამცა ღალობა ყოფილიყო, ეგრეთ უფიცხესად შეიბნეს. იბრძოდეს მწუხრამდის და მერმე გაიყენა ცხენი მზემან ქაბუკმან, შემოიქცა და შემოუტივა, შემოჰყივლა ეგრე, ვითა, კარავათ გამოფრთხილდი, რაცა შეგიძლიანო, ვმაღავ ალარაო. მერმე აქაილდან მიუხდა ამირინდო, ჰქარა ხმალი ჩაბალახსა, პოლეთიკნი კინენი გაუკვეთა და თავსა დიდი შეჰკვეთა. მზემან ქაბუკმან ხმალი გასტყორცნა, ამაღ რომე სიკვდილსა მისსა ეკრძალა; იძფრინდა, ხლმიანი ხელი შესტაცა, აილო უნაგირისაგან და ქვეყანასა ზედან დასცა და შებნიდა. ადგა მეფე საჯდომისაგან და უყვილა: ნუ ჰყოს ღმერთმან სიკვდილიო! და მზემან ქაბუკმან ეგრე სთქვა: მე ჯობნა მინდოდა და მიჯობნია, სიკვდილი

რასა ჰქვიანო! და ეგრე უბრძანა მეფე-
მან: „კურთხეულმცა არს ღმერთი, რო-
მელმან ეგეთი გული და ჰაბუკობა მოგ-
ცაო“ და გაეხარნეს ყოველთა ერთობ
ჯობნა მზისა ჰაბუკისაგან და შეასხეს
ქება...

მოველოდით ყოველთა დღეთა ქორ-
წილსა. დღესა ერთსა მზე ჰაბუკთან
სხდეს ამარინდო, ორდაარელი, დორათ
დილაში, და მოსორ ნადირის ძე და მო-
ვიდა აბრამ და დაჯდა დაღრეჯილი.
ჰკითხა მზემბს ჰაბუკმან: თუ რად დაგი-
ღრეჯიანო? და მან ეგრე მოახსენა: არ
ვიცი ამა მეფისა სიხარულსა შიგან ერთი
ისე იქმნაო, ამად რომე თურმე არ სწად-
და და უმძიმდა დედასა მის ქალისასა
გათხოვება ამისა პირ მზისა, მოიპარეს
წუხელის და მას გრძნეულთა ქვეყანასა
წაიყვანეს, რომე არცა მისვლა ეგების და
არცა გამოყვანა, თუმცა ყოვლისა ქვეყა-
ნისა გმირნი და გოლიათნიცა ერთად
შეიკრიფნენ, და აწე ნება თქვენიო.
დაგვიმძიმდა ჩვენ ყოველთა. მზემან ჰა-
ბუკმან ეგრე სთქვა: რადგან აქა მოე-
სულვარ, ვირე არ გამოვიყვანო, უსიკე-
დილოთ არ შემოვიქცევიო...

რა დილა გათენდა, წავედით თვით
მზე ჰაბუკი, და თანა ჰყუა დორათ დი-
ლაში, ნოსორ ნადირის ძე, მე რაიბ ნო-
ბათი და ორნი სხვანი მზისა ჰაბუკისა
ყმანი. ისმენდი, მეფეთ მეფეო, წაგვიძ-
ღვნენ ეტიკნი და წავედით. ვიარენით
მრავალნი დღენი და გავიარენით სამეფო
ხაზართა მეფისა...

მივედით ადგილსა ძნელსა და საკვირ-
ველსა. კლდე იყო დიდი და ძირსა მისსა
ქვაბი, და მის ქვაბილამ გამოდიოდა ხმა
საკვირველი, და მათ ეტიკთა ეგრე თქვეს:
იქ მას შიგან არს ასული და ჩვენ აღარ
წამოვალთო. დადგნენ იგინი და ჩვენ წა-
ვედით მის ქვაბისაკენ ვითა მივეწურე-
ნით, ჩვენ გული შეგვიჯაბინდებოდა და
მზესა ჰაბუკსა არა დია შეეტყობოდა. მზე

ჰაბუკი შეეკაზმა საქვეითოთა აბჯრითა,
ქვაბისა კარსა მივედით და ქვე ძირსა
მიუღქეთ. გამოვიდნენ კაცნი აბჯრო-
სანი. მიუხტა მზე ჰაბუკი და მიჰყენენ
მოსორ და დორათ მას ომსა ზედან.

ოდეს მივიდა მარტო მზე ჰაბუკი ქვა-
ბისა კართა, დახვდნენ მეომარნი ეგეთნი,
რომე არაოდეს გვენახა მის ებრნი გმირ-
ნი და გოლიათნი. იგი დღე ქვაბისა კარსა
იბრძოლა. მერმე შეუხტა შიგან, და ჩვენ
გვესმოდა ხმა მათი საზარელი და გვე-
გონა სიკვდილი მზისა ჰაბუკისა. ანაზ-
დათ მზე ჰაბუკი მოვიდა და იგი პირ-
მზე ხაზართა მეფის ასული თანა მოი-
ყვანა. ჩვენ ავზღექით ფიცხლად და წინ
მივეგებენით. შეგვექნა სიხარული დიადი.
მერმე მზემან ჰაბუკმან ეგრე ბრძანა: ვა-
გლახ, რომე ვერა მხედავდით, თორემ
ნაქნარად ჰაბუკობისად კმარ იყო, რო-
გორც მე ვიყავო.

ზენარამ ღვთისამან ხუთი დღე და ლა-
მე ომსა შიგან დამიყოფიან, რომე დღეთა
შინა ჩემთა ესდენი ომი არ გადამხედი-
ანო! მაგრამ განა ღმერთო, ღირს მზე
ჩემი გარჯისა პასუხადო. მიჰყო ხელი
და მშვენიერსა პირსა აკოცა... წამოვე-
დით მხიარულნი და მის მეფისა ასული
თან წამოვიტანეთ. მოგვეგება ხეასრო ხა-
ზართა მეფე ყოვლითა დიდებითა თვი-
სითა. შეასხეს ქება მზესა ჰაბუკსა, და
ეგრე უთხრა მან მეფემან: შეილო, სიძე
და მამულისა უხუცესი მე ეგეთი მინდა,
ვითარი შენ ხარო. წამოვედით და მო-
ვედით ხაზარეთს, და გასცა ბრძანება
მან მეფემან და შემოკრიბა ყოველნი დი-
დებულნი და მცირებულნი, შერთო ასუ-
ლი თვისი მზესა ჰაბუკსა და გაახელმ-
წიფა სამეფოსა თვისსა ზედან.

ოდეს ქნეს ქორწილი და დაადგეს თავ-
სა მისსა გვირგვინი მგრგვილი გათლი-
ლისა იაგუნდისა და დაუდგეს ტახტი
ფირუხისა და ლალისა, და დასხდეს მას
ზედან მიეფ და დედოფალი, და თავმან

თქვენისამან, კაცისა თვალი მათსა უმშვენიერესსა ვერას ნახვიდა...

დღესა ერთსა გვენადირა, შემოვბრუნდით და კარსა ზედან ქალაქისათა კაცნი ვინმე დაგვხედეს შეკაზმულნი ექვსნი თვალად კარგნი და ლომნი ჰაბუქნი. გარდახდეს, თაყვანი სცეს და ექება შეასხეს. მანცა მოიკითხა მდამლად და ბრძანა: დააყენებით და ჟამიერად გაუყვითებითო. გამოხდენ დღენი მრავალნი. იყვენეს წინაშე მეფისა, ოდეს ნადირობასა შინა გაიტანის: მშვილდოსანნი იყვენენ კარგი და მონადირენი. შინა მოვიდის, ნადიმად უხმის, მრავალნი საბოძეარი უბოძის. დიდად შეიყვარა და გაიშინაურა...

მზე ჰაბუქი დიდი მეფე იყო და ჰაბუქთა მოყვარე. ეგრე უბრძანა ვითა მედიდით მიხარის თქვენი მოსვლა და ჰაბუქობისათვის მიყვარხართ! აწ ვითარცა ძმანი ხართ ჩემნი და არა ყმანი, ეგრე დაგიპირნო... ალი ვისმე ერქვა, დიდებული კაცი იყო, ბერი და მსკოვანი, ხაზართა მეფისა გაზრდილი, და მან ეგრე მოახსენა მზე ჰაბუქსა ვითა: ვხედავ, რომე პირსა მიწისასა კაცისა... ყოველსა უმჯობესი ხარ და მეფე ხარ ამა ყოვლისა ქვეყანისა. გარეგანნი მეფენი ზოგნი მტერნი არიან შენი და ზოგთა უმძიმესთ სიკეთე შენი. ნუ თუ ვით ღმერთი შეგვირისხდეს, კაცი მოგზავნეს ვისმეს და უხადოთ მოვკვდე—ეგრე უძღვევი ხელმითე! ის ექვსნი კაცი რომ დაგიქერიან, მათგან შეშინიან, ეგრე შინაურად ნუ გავაგვთ ვირე არა სცნათ მათი ამბავიო.

მან ეგრე უბრძანა: ერთგულობისა ჩემისა შეპირებებისათვის მადრიელი ვარ, მაგრამ იმით ჩემი სიკვდილი არ შეუძლიანთ, თორემ მე გამოვიცადნო იგინი, თუ ვით შეეძლოსთ. მოიყვანა იგი ექვსნივე ჰაბუქნი და უბრძანა: ვაცი რომე თქვენი ხელი ჰაბუქობა არის, აწ მითხარნით ჰაბუქობა თქვენი, თუ ომი, რა უფრო გაგმარჯვიათო? მათ მოახსენ-

ნეს ნაქმარნი მათნი მრავალნი: ჩვენდა კაცი ვერავინ შებმულაო. არაბეთსა შიგან გაზრდილნი ვართ, ომი ყველა გაგვმარჯვია, განა ისარი შორს მოჰკლავს, განა მით ჰაბუქობა არად გამოსწნდებისო. მერე ეგრე უბრძანა მზემან ჰაბუქმან: თუცა არად დაგიძიმდებათ, გაგზავნით საჰაბუქოსა ალაგსაო. და მით ეგრე მოახსენეს: მტერნი ფერხთა შენთა მოვაქციოთო. მადლი უბრძანა და ეგრე უთხრა: ყმა იყო ჩემი, ლომი ჰაბუქი და ჩემი გაზრდილი. გარდამეკრთა მცირეთა საქმეთა ზედან; ციხე აქვსთ მაგარი, და მას შიგან შევიდა; კვლავ შიგან დგას; არა თუ რასმე შემცოდებს, მაგრამ ჩემთანა არ მოვალს, და ოდესცა მივმართო მას ციხესა, მას ციხესა შიგან შემიდგების, იგი ციხე მაგარი არის და აღღებისა ღონე არ არისო. აწე, წადით, შეიპყარით და მომგვართო.—აწე გითხრა ექვსნი ხართ, მაგრამ გაგიძნელდებათ მისი ომი, იგი ოროლითა იბრძვისო.

მათ ეგრე მოახსენეს: ცხონდი, მეფეო, უკუნისანდე! ადელი სამსახური არის ექვსთა კაცთაგან ერთი რომელიმე წავალთ და ეგრეთცა შევიპყრობთო.—მზე ჰაბუქმან ეგრე უბრძანა: ყველანი წადით, კარგათ ეცადებითო. და შემდეგ უბრძანე ალის: წამოედ, მე გიჩვენო იმა კაცთა ჰაბუქობაო! წავიდა მზე ჰაბუქი, ალი თან წაიყვანა, და მცა თან წაიყვანე. არავინ იცოდა აღისაგან კიდე. მის ციხისა ძირს მივიდით. ჩამოითყარა საბურველი პირსა მზე ჰაბუქმან, რომელ არ მიცნანო. შეეკაზმა, ოროლი ხელთა დაიჭირა, მოიყვანა მან კაცმან იგი ექვსნი ჰაბუქნი და ეგრე უთხრა: აჰა, იგი კაცი, რომელი პატრონმან ჩემმან გითხრათო.

ამა სიტყვასა ზედან მათ ექვსთავე შეუტევეს, ოროლები ხელთა ჰქონდათ. ცოტად მზე ჰაბუქი გაექცა და მათ ეგრე შეჰკვილეს: აბა, სად წავგიხვალო? რა ესე ისმინა მათ კაცთაგან, შემოიქცა და ეგრე

უთხრა: უბადონო მზესა კაბუკსა თქვე-
ნი აწყვეტა ნდომია და მით გამოუგზავ-
ნიხართ აქაო, შეუტივა და, ფაჟმან თქვენ-
მან, ვითა ცოტა ყმანი ყოფილიყვნენ,
ეგრე უქირველად ჩამოყარანა, და ეგრე
უთხრა: რათ არ მოუა თვით მზე კაბუკი,
და იგი არ შემიბყრობსო? ქვეყანანი უკა-
კური ჰგონიაო?

მოვიდა მზე კაბუკი, მივიდა და ალის
ეგრე უთხრა: ალი, შეუძლიანთ ამა კაც-
თა ჩემი სიკვდილიო? და მან ეგრე მო-
ახსენა: პირის პირ ვერა, თავმან შენმან,
მაგრამ მუხთლად სიკვდილისაგან მეში-
ნიანო! და ბრძანა: აწ მათ, ღმერთო,
ვერცა კაბუკობითა და ვერცა მუხთლო-
ბით სიკვდილი ვერ შეუძლიანთო, და წა-
მოვედით.

წავედით ველსა ზედან სანადიროდ და
სადაცა დგის მზე კაბუკი, იგინი კარავსა
შიგან იწვიან. გვენადირა და მოვსულ-
ვიყვენით. პური ებრძანა, და ძილაღ წვა
მზე კაბუკი და იგი მოსორ ნადირისძე
წინა უწვა, და დორათ დილაში არ იყო
მას თანა. მუნ ადგნენ ექვსივე პერანგი-
თა და მოსორ ნადირის ძესაჲ დასცეს
დაზნები, იგი მოკლეს, და ავარდა მზე
კაბუკი საკედავად დაკოდილი, იგინი გა-
ექცნენ, და მიეწია ერთსა, შეიპყრა, და-
სცა ქვეყანასა ზედან, და მოკლა. იგი
ხუთნი ტაიქზედან შესხდნენ და წავიდნეს.
მოსორ ნადირისძე ხელათ მოეკლად. შე-
ვედით, ვნახეთ მზე კაბუკსა ჯერეთ სუ-
ლი ედგა. ატირდა ესე რაიბ ნობათი,
პირსა ხელი იკრა, და ამირან . დარეჯა-
ნის ძეცა გულ მღულრად ტიროდა, და
ჩენს ყოველთავე ვიტირეთ დიდი ხანი,
და დაგვიძმამდა ძნელად. მერმე ეგრე
უბრძანა ამირან დარეჯანის ძემან: იტყო-
დე და დაასრულე ეგე ამბავიო. და იგი
სიტყვასა ძლივს გამოაგებდა ტირილი-
საგან და თქვა მანვე: სული ედგა ჯე-
რეთო, და გვიბრძანა: ზედაეთ, რომე რა
მუხთლად მომკლეს. ვითართა კაცთა და

ჩემოდნად მოსორ ნადირის ძისა სიკვდი-
ლი მიმძიმსო! მერმედ დარჩნენ მნათობნი
პირ მთვარენი და ძენი მგლოვიარენი,
და თვალ ცრემლიანი, სახელმწიფონი
დიდნი და დიდებულნი ურიცხენი და-
ქმუნებულნიო.

აწე დორათ დილაშსა მარტოსა ჩემი
სისხლის ძებნა არ შეუძლიან და ვინცა
კარგნი კაბუკნი იყვნეს, უთხრენით ჩემ-
ნი ანბავნი და კაბუკობანიო, შევეწყა-
ლები და სისხლსა ჩემსა სძებნისო. და
შეუთვალა დორათ დილაშსა: ვითა კარ-
გი კაცი და კარგი კაბუკი ხარ. კარგი,
რომე აქ არ დამხვდით, თვარემ შენცა
მუხთლად მოკვდებოდი უბადოთა კაც-
თაგანაო. აწე მე შენთვის კარგი ვყო-
ფილვარ და დიდებისა შენისა მომპირნე,
აწე ჩემი შვილი შენთვის შემომივცდრე-
ბია, ნუ დაავლებ, გაზარდე, ნუ თუ კარ-
გი შეიქნას—შენ მარტოსა სისხლისა ჩე-
მისა ძებნა არ შეგიძლიან. თვით შენ
ერთი კაბუკი ხარ და იგინი მრავალნი,
მაგრამ თუ ვინ სადმე კარგი კაბუკი ჰპო-
ვოთ, უთხარით: ნუ წარველენ სისხლსა
ჩემსა და მოსორ ნადირის ძისათა! ესე
თქვა და ატირდა. არა ცოტად რა სიკვ-
დილი ჩემი მიმძიმსო, მაგრამ ავთა კაც-
თაგან მოვკდიო. რა ესე ამბავი დაასრუ-
ლა, მოზარა გმირთა აღმზოცელნი მკლავნი
მისნი და იგი მოკვდა, განუტევა სული მან
ლომთა ლომმან მზე კაბუკმან, და დაერ-
ჩით დიდებულნი მისნი და ყმანი თვალ-
ცრემლიანი. რა ესე დაასრულა კაცმან,
ჩვენ ვიტირეთ დიდათ შეწუხებითა.

და დაუხედენით, დედა მზე—კაბუკისა
და ძენი მისნი შავითა მოსილნი, სამი
ათასითა ცხენი კაცითა მოვიდნენ. გაეა-
გებნეთ კაცნი და ვკითხეთ: თუცა ვინა
ხართო? და მათ ეგრე გვითხრეს: დე-
და არს მზის კაბუკისა, შვილიო და
დორათ დილაში, ყმა მზისა კაბუკისა
და დიდებულნი მისნიო. გაეგება წინა
მზე კაბუკისა დედასა ამირან დარეჯანის

ძე, მოიკითხა იგი დედოფალი და დიდებულნი მისნი, და იგი ცოტა ყმა ხელთა აიყვანა...

გამოხდეს დღენი მრავალნი და დღესა ერთსა მოვიდა დედოფალი ამირან დარეჯანის ძისა, დიდებულნი მისნი და იგი ცოტა ყმა თანა ჰყვით. დასხდეს და ეგრე ჰქუქვა დედოფალმან ამირან დარეჯანის ძესა, ვითა შენ დიდებული კაცი ხარ და კარგი ქაბუკი, რომე არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა ქაბუკი შენებრიო!. თუცა მე უტხო ვარ შენგან და შეილი ჩემი უტხო იყო შენგან, მაგრამ სიკეთისა შენისაგან უტხოობას არ ჰგავა. ანდერძი არის შეილისა ჩემისა, რომე შენგან კიდე ვერავინ არის შემძღებელი! ოდეს მოკვდებოდა იგი უსწორო ძე ჩემი, ეგრე თქვა, ვითა ვინცა კარგი ქაბუკი იყოს ქვეყანასა ზედან, უამბეთ ქაბუკობა ჩემი და ესე მუხთლად სიკვდილი, შეგებრალეზი და სძებნის სისხლსა ჩემსაო. გვასმია ქაბუკობა და სახელი შენი და ჩვენ მოვსულევართ წინაშე შენსა და აწ რომელიცა ჰხამდეს სიკეთისა შენისაგან, იგიცა ჰქმენო. ამასა ცოტასა ყმასა შენ შემოგვედრებ, და, როგორც გინდეს, ვითლა გინდა, ისე გაზარდო. მიჰყო ხელი დედოფალმან და იგი ყმა უბეთა შიგან ჩაუდო. ესე ყოველივე ტირილით უთხრა. თვით ადგა, წავიდა და ეგრე ბრძანა: სხვა ყოველივე დორათ დილამმა და დიდებულთა მოვახსენენო. დასხდნენ და დაიწყეს ამბობა.—და ვითა მას კაცს ეთქვა, ერგე დორათ დილამმა უამბო. ამბავსა შიგან ყველა სიტყვისა ზედან სტიროდა. ჰკითხა ამირან დარეჯანის ძემან: მათ ექვსთა კაცთა მოსვლისა მიზეზი რა იყო, და ანუ რათ მოკლეს პატრონი თქვენიო?.

დორათ დილამმა ეგრე მოახსენა: ვითა ხაზარეთის ქალაქისა კართა ზედან ომი იყო და მაშინ ღამარ ლაზნელმან ამარ იამანელი, ჩაბალახ წახილი, მუხ-

თლად მოკლა მზისა ქაბუკისა გვერდით! და დაუმძიმდა მზე ქაბუკსა სიკვდილი ამარ იამანელისა, და მერე იგი ღამარ ლაზნელი მზე ქაბუკსა შეება და მზე ქაბუკმან ხმალი ჰკრა ღამარ ლაზნელსა ჩაბალახსა ზედან და ორათ გაჰყვეთა და მოკლა. მერმე ესე ამბავი ლაზანს მივიდა. გამოხდა ხანი და შეკრიფა ძმამან მისმან მახოტ ლაზნელმან ქაბუკნი ექვსნი და მოვიდნენ პატრონისა ჩენისა წინაშე მონებად და შემოიწყნარა იგინი. მოკლეს მზე ქაბუკი მძინარე. იგი კაცნი ესენი იყვნეს: მახოტ ლაზნელი, ფირუსენ ბიკრელი, საბურ მისრელი, ალი ნადირის ძე, აბირ არაბი და შავი ქაბუკი.

✓ აქა სისხლთა ძებნისა ანბავი

ისმენდინ მეფეთ მეფეო, ცხონდი უკუნისამდე. გაგზავნა მოციქული ამირან დარეჯანის ძემან სეფედვალე დარისპანის ძესთანა...

ადგილნი დაეხვენეს, მუნ იქა შევიყარნეთო. შევეკაზმენით და თვით პატრონსა ჩენსა ჰყვა ბალდადელნი რჩეულნი სპანი ოცი ათასი მხედარი და იგი დორათ დილამი იყო ლაშქრითა ხაზარელითა და წავედით და მივმართეთ მას ალაგსა, სადა ეთქვა მოსვლა სეფედვალე დარისპანის ძესა, მასვე ადგილსა მოსულიყო, და ჩენს მივიდით ლაშქრითა ორმოცის ათასითა. მეტად გაეხარნეს სეფედვალეს ნისვლა ამირან დარეჯანის ძისა, მოიკითხეს ორთავემ და ვაიხარეს ერთმანერთისა შეყრა. ისმენდინ მეფეთ მეფეო! წავედით და გავიარეთ მრავალნი დღენი. წავიდნეს კაცნი ჯაშუშნი დორათ დილამისანი, ნახეს და შემოიქცნენ. მოვიდნეს უკან და გვითხრეს ამბავნი ლაზანელთა თემისა, ვითა უცნიათ მისვლა თქვენი და ჰკრეფენ ლაშქარსა დიდსა და ლაზანსა შიგან დგანანო. და მოსულან შევლად მათად ხოროზან ხაზარელი და

უსტარაშან ასურასტანელი. მეტად კარგნი კაბუკნი და დიდისა ლაშქრისა პატრონნი არიან...

მივედით ლაზანს დღისა ერთისა სავალსა. დილასა მივიდოდით ქალაქისა კართა ზედან რაზმითა მშვენიერთა. მას დღესა შეეკაზმნეს აბჯართა ამირან დარეჯანის ძე, სეფედავლე დარისპანისძე, ჩვენცა ყოველთავე გვიბრძანეს, დავეკაზმენით ლაშქარნი ყოველნი; შეიქმნა რაზმი ძლიერი, და თვით ამირან და სეფედავლე წინა გვიძლოდენ...

მუნ დავსდევით კართა ზედან ქალაქისათა; და გარეგანი ყოველნი მოვიარენით და ვწვიდით ყოველთა დღეთა. მათი ლაშქარნი გამოვიდიან და იგი კაბუკნი არა, მაგრამ დიადი კაცი იხოცებოდა მუნითცა და ჩვენითცა...

მერმე მოუგზავნეს კაცი ხოროზან რასელმან და უსტარაშან ასურასტანელმან ამირანს და სეფედავლეს, ვითა არცა, ღმერთო, საქმე ჩენია და არცა თქვენი, მაგრამ რადგან მზისა კაბუკისას სისხლს ეძებთ და მისთვის იურავით და ჩვენც იმათდა შველად ვართ, ესე იცოდეთ, რომე უომრობა არ ეგების. ბრძანეთ და ხვალე გამოდითო. თქვენი ლაშქარნი შორს უკუყარენით, რომ ვერ გიშველონ, და თუ თქვენ მოგვერიცხეთ, დავეზნეთ კარნი ქალაქისანი, რომ ჩვენე ვერავინ გვიშველოს. და დაასკენეს ომი ხვალისა. მერმე დორათ დილამმა ეგრე თქვა: მუხთალნი არიან ისი, რომელ ეგრე უზნობენ, ლაშქარნი შორს უკუყარენითო. და სეფედავლემან ეგრე რქვა: დორათ დილამო, ნუ შეიჭირვებ ჩემსა მზესაო, აწე ნახეთ კაბუკობა ჩემო.

ვითა ზედა დილა გათენდა, გამოვიდა სოროზან რასელი და უსტარაშან ასურასტანელი და თავმან თქვენმან დიდათ მოგვეწონნეს. კაცად კმარ იყვნეს. წამოდგნენ ზედან მებუჟე - მედაბდაფენი, მოდგნენ ჩვენთა ლაშქართა ზედან. აქად-

გან გავიდნენ ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე დარესპანის ძე შეეკაზმულნი ასე, რომელ რათამცა გენახათ, ამას ბრძანებდით ამათებრნი კაბუკნი არავინ დაბადებულანო. და ნახეთ მის ჟამისა კაბუკობა ამირანისა და სეფედავლესი. მას წამს შემოუვლეს ნაეარდი მგრველიც ერთმანეთსა შეუტევეს, შეუზახნეს და შეიბნეს. გარდახდა დიდი ომი, და აწ ნახეთ სიმუხთლე მათი, ანაზღათ მას ომსა შიგან გაახვენეს კარნი ქალაქისანი, და იჩქითად გამოვიდნენ მზისა კაბუკისა მკვლელნი: მახოტ ლაზნელი, საბურ მისრელი, ფირუსენ ბიკრელი და აბირ არაბი. იქმნა კაბუკნი ექვსნი: სამნი ამირან დარეჯანის ძესა მიუხტნენ, და სამნი სეფედავლესა ზედან. და სთქვა ამირან დარეჯანის ძემან: ღმერთო, გამოვიდნენ ისინი, ვისცა მოველოდებოდითო. და თქვა სეფედავლე დარისპანის ძემან: გამო, ღმერთო, ვიდეს, რომელნიც უწინ დაგხოცთ იგიცა სჯობთო. და ფიცხლავ შეუტეეს. მერმე დორათ დილამმან ეგრე სთქვა: ამას ვიტყოდი, რომე მუხთლობასა შიგან იყენებო. წავედით ფიცხლავ შველად მათად. თავმან მეფობისა შენისამან, ვირემდის ჩვენ მივესწრებოდით, მათ ორთავემ ამირანმა და სეფედავლემან იგი ექვსნივე დახოცეს, ფიცხლები თურმე ჰკრნეს და წმინდათ გაეკვეთნეს. ამაზღდან შემოვიდა ლაშქარნი ჩვენნი და რა მოქალაქეთა ესე ნახეს, გარე იქცნენ. შველწუთ კარნი ქალაქისანი და შევეყვით შიგან, დავხოცენით და ქალაქი იგი წაუღეთ და რისხვა ლეთისა დავეციით. არცა დიაცი დავარჩინეთ და არცა მამაცი. სისხლისათვის მზისა კაბუკისა, ავაოხრეთ ქალაქნი იგი და დაეწვიით. რაცა ძვირ ფასნი საქურკლენი და თვალ მარგალიტნი და სტავრა იყო ურიცხენი ავკიდეთ აქლემთა და ჯორთა მრავალთა, წამოვიღეთ და წამოვედით გამარჯვებულნი და მხიარულნი.

სარგის თმოგველი

მისრამიანი

ა

ამბავი ვისისა და რამინისა და უხუცესისა ძმის მისისა
შაჰი მოაბადისა

იყო დიდი და მაღალი ხელმწიფე აღ-
რაბაგანისა და ყოვლთა თემთა და ქვე-
ყანათა მპყრობელი და დიდთა საჰურ-
ლეთა პატრონი. სახელი მისი შაჰი მო-
აბად.

ვითა წესია სპარსთა შექნეს ვაზირობა
დიდი და ეზომ დიდი ნავროზი გარდა-
იხდიან, რომე კაცთა გონებისაგან არ მი-
აწთომვის. მას ღღესა მოვიდეს მეფენი,
რომელნი მისსა მბრძანებლობასა ქვეშე
იყვნეს, და დიდებულნი დედა - წული-
თურთ მათითა სიხარულად და სამსახუ-
რად: ყოვლისა ქვეყანისა დიდებულნი
დედაობითა მივიდეს შაჰი მოაბადისასა
ხვარასანს, მარავს ქალქსა. გამოვიდეს
და უბრძანეს თავის თავისთა ფარეშთა
მას ველსა დადგომა კარავთა და ოთალ-
თა: მოჰკაზმეთ მინდორნიო. ამის ყო-
ლისა სიკეთისა გონება მიუმხედომარეა.
გამოვიდეს მინდორად, შემოიღწენეს სარა-
ფარდანი, შეჰკაზმნეს ფარეშთა და სხვა-
თა მსახურთა წალკოტნი და ააესნეს სა-
ქონლითა და საჰურქლითა. დააშვრეს
სპილონი და აქლემნი საჰურქლეთა ზიდ-
ვითა. ვითა თვით მისსა ხელმწიფობასა
ხედებოდა, ეგეთნი გაემართნეს.

უხუნა ხელმწიფენი და დიდებულნი
მისნი; ვინცა ქვე სხდომასა ღირს იყვნეს,
ქვე დასხნეს. ზე სხვანი რომელნიმე იყვნეს,
ზე ადგნეს თავისა ხელისა მქონებელნი.
დედოფალნი და ხათუნნი აწვიენეს, სა-
პატიოთ დასხნეს, მოასხნეს მრავალ ფერ-
ნი და კარგნი მუტრიბნი, ცალკერძ და
ცალკერძ იმღერდიან, ვარდისა მიჯნურნი
ვარდსა ზედან დასჰიკჰიკდებდიან ზე მუტ-
რიბთა შეუხზობდიან. დასხდეს მზისა და
მთვარისა მსგავსნი ხელმწიფეთა ცოლნი
და ხათუნნი. და ჰქონდა დედათა ორი
ლალისა მსგავსი ფერი, მშვენიერი, ერ-
თი—პირისა და ერთი ღვინისა. დააკე-
მივეს ალვა, მუშკი. და ამბარი და მათ
სურნელთა ეგზომ დიდი კვამლი შეიქნა.
ვითა ღრუბელი და ფერი, — ვითა მათ
ხათუნთა თმა. დავლა და ბედი, ლარი
და საჰურქლე მათი მთისაგან უმძიმესი
იყო, და შეჰვირევა ბზისაგან უსუბუქე-
და ყოვლისა ქვეყნისა დედანი ჰვრეტად
მოვიდეს. ყველა ერთმანეთისაგან უკე-
ლულესი იყო. მათი ქება არაეისგან მიი-
წვთომის, პირად და ტანად ყოვლითურთ,
სრულნი და უკლებნი იყვნეს. ყველა სხდა
შაჰი მოაბადის წინაშე.

იყო ხელმწიფე შაჰი მოაბად ღედათა მოყვარული, უპერეტდა, იხარებდა და გასცემდა, მუტრიბთა ამღერებდა; ზოგთა ასპარეზთა აცემინებდა, ზოგთა შუბითა ამღერებდა და კეკლუტთა ქალთა შუშპართა აქნევდა.

კვირასა ერთსა გაიხარნა დიდითა სიხარულითა. რაცა მის სმისა და სიხარულისა მეგლიშვი თვალი, მარგალიტი და საქურკლე იყო, ყველა გასცა. აავსო დიდი და პატარა, არავინ დარჩა იქ უშოვარი. ამაზედან პირმშობან შაჰრომ მოციინარის პირისა ზმა უთხრა შაჰი მოაბადს. რა ესე ესმა შაჰროსაგან შაჰი მოაბადს, ეგრე არქვა:

— ჰე ვარდო, მოციინარედ მოუბარო! მიწყითმცა მხიარულად გნახე! რადგან სიბერისა ეამსა ასეთი გულისა წამლებელი ხარ, ნეტარ სიყმისა ეამსა ვითარი ყოფილხარ? რადგან ვარდისაებრ ნახევარ დამქენარი ესეთი ხარ, წინას მნახველთა შენთა სიკოცხლე ანუ გონება ვით ჰქონებია! აწ რადგან გული დამიბნელე და უიმედო მყავ, ბარე შენისა გვარისაგან ნუ კიდევან-მიქმ; ასული შენი შემრთე, რომელ ნაყოფი თესლისაებრ იქნას, და ასული შენი შენებრვე არს. ბედი ჩემი და წალმართი მაშინ უფრო სანატრელი იქნებოს, რა შენისა გვარისა, შენებრივ მეზე, ჩემსა სრასა შინა ნათობდეს, და თუ ვპოვებ მიწისა მზესა, არ ვეძებ ცისა მზესა...

პასუხად ეგრე არქვა შაჰრო მშვენვარემან:

— ჰე ხელმწიფეთა უხელმწიფესო! შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩვენ არა წაგვეკიდების, თუმცა ღმერთი მწყალობდა და ასული მესვა; გარნა, შენმან მზემან, მე ასული არა მივის, და თუმცა მესვა, მოგახსენებდი. აქამდინ მე ქალი არა მიშობია და თუ აწ მომეცეს, უღონიოდ თქვენ მოგახსენებ.

მერმე შაჰი მოაბად აფიცა:

— შემომფიცე, რომელ თუ ასული მოგეცეს, ჩემგან კიდე არავის შერთო.

მათითა საფიციტთა ყარანის ცოლმან და ვიროს ღედამან მტკიცედ ესე შეჰფიცა:

— თუ ქალი შეილი მომეცეს, შენ შეერთო და შენი ცოლი არი.

მუშეი ვარდისა წყლითა შეზილეს და მით საფიცი წიგნი დაწერეს და პაემანი შეუქნეს ერთმანერთსა: „შაჰროს ასული მიეცეს,— შაჰი მოაბადის ცოლი იყოს.“

ნახელა თუ რა ქირი ნახეს ორთავე; მან უშობელი შეერთო, და ღედამან უშობელი გაათხზა.

მოსთა პაემანსა ზედა გარდაიარა მრავალი წელიწადი და ყოველსა კაცსა დაავიწყდა; მათი ამბავი დაძველდა, მათი საქმე აღარავის მოეგონებოდა. ამაზედა მოესმა შაჰი მოაბადს დაორსულება მეოცდაათესა წელსა შაჰროსი მის ძვირფასითა მარგალიტითა. რა ცხრა თვე გარდავიდა, მისგან გამოვიდა ელვარე მთვარე. არ მუცელი იყო, გარნა აღმოსავლეთი იყო და მისგან გამოვიდა მნათობი მზე. ესეთი ასული შობა შაჰრომან, რომე მისითა შობითა ბნელი ღამე ნათლად შეიქნა. გარდხნადეს ძეობა და დაარქვეს მას მნათობსა სახელი ვის. და მაშინვე მიბარეს კაი გვარიანს გამდელსა გასაზღვლად.

ესეა მოაბად ხელმწიფეთა ძმა, სახელად რამინ, ვისისავე ეამთა შიგან დაბადემული. უყვარდა მოაბად მეფესა შვილად და წალმართად მას ხელვიდა. და საზრდელად ხუზისტანსევე გამოგზავნა ჰაერისა და ქვეყნისა სიკეთისათვის. ვისი და იგი ერთსა ქვეყნასა შიგან იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბაღსა შიგან ორნი ყვავილნი— ადრაგუნი და ნასრანი.

ესე რამინ იზრდებოდა და რა მოიწიფა, ამას იტყოდეს: არა არს პირსა ქვეყანისასა რამინისებრიო. ქება გაგაგონო, რომელ ენა-გონება კეთილ მთქმელი

უკლებობითა თანა ცოტა რამე გამოვაჩინო: სახე უმსგავსოდ ტურფა ჰქონდა ყოვლისა თანა სახამსოდ: პირად მზესა ჰგვანდა, თვალ-წარბ შავი, თმანი მდიდარნი და გრუნნი, შავნი წვევანი—მერცხლის ბოლო; ტანად საზომიერი, ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახოდა; ძალად და გულად ვითა ლომი, სიფიცხედ ვეფხისაგანცა უფიცხესი; ცხენოსანი, მონადირე, მონაყარედ, მოქალაქე მხიარული; სწადლის, — ძალისა ხმისა ყველასა უებროდ მკოდნელი იყო; მშვილდსა მისსა ვერვინ მოზიდვდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმღერდის, ესრე რომელ ჰერეტასა მისსა შეექცინა; მას გვერდით მომღერალნი და მსმელნი არად გამოჩნდიან; ამას ყველასა ზედა, წყალ-ჯავარი თუ სთქვა, იმესა აქვს ყოვლისა სოფლისაო. არცა ვინ მათ ჟამთა შიგა მისი შემბმელი კაცი იპოებდა. მისისა მნახელისა ჯალაბი ესეთი შეიქნის, რომელ იგი მიდამო ველი და ფოლორცნი ველარ იტვედიან და ყველა ხელაპყრობით მისსა მზე გრძელობასა ღმრთისაგან ითხოვდიან. რა რამინის ესეთისა მოწიფება ესმა შაჰი მოაბადს ვითა მართალი იყო, ეგრე გაეხარნეს, ღმერთსა მადლი მისცა და გლახათა ზედა დია გასცა. გამოგზავნა საპატიონი დიდებულნი ხუზისტანს და წაიყვანეს შაჰი მოაბადის ძმა, რამინ, და მას წინაშე მარავს მივიდეს...

ვისის ძიძისა წიგნი შაჰროს ვისის დედასთან მიწერილი

მიუწერა, ვითა „ესე მიკვირს, მუცლითგან რომელ რა გიშობია და ჩემდა საზლოდ მოგიცემიათ, არცა გინახავს, არცა გიკითხავს და არცა ჩემად რა გიბრძანებია; არცა ძიძისა მისსა მოიგონებ, არცა საყვარელსა შვილსა ექცევი და არცა უებროსა პირისა მისისაგან

იქაღიო. ვითა ეგების ესეთი გულ ქვიანობა, რომელ ესე დაივიწყეო? რა გიშობია და ჩემად მოგიცემია, მისსა შესაყერსა აღარას ღირსა ჰქეულხარ. აწ გაზრდილა მრავლითა ნებიერობითა და შავარდნისა მართვესა ამაღლება დაუწყია. აწ ამის მეშინიან, ესრე ამაღლდეს რომე ესე ბუდე აღარა მოეწონოს, ანუ წავიდეს სადმე და თავისაებრი ძებნოს. უებრობა და სიმატოე ძნელია.

„მრავლითა ნაზობითა გამიზრდია და აწ ჩვენი აღარცა ტანისამოსი მოეწონების, არცა სასმად-საჭამადი, თუცა ყველა თანაშენენითა ღმრთისათა, ჩვენ გვაქვს. გარნა ამის ნებიარობასა ჩვენი ძალი ვერ გასძლებს; რაზომცა უსწორო ტანისამოსი შეუკერო, სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს: ყვითელი თუ მივართო, ამას იტყვის, ეგე სნეულთა სამოსია; თუ წითელი მოვილო, ესე საბოზოაო; ლურჯი—მგლოიარეთა ჰყერობს; თეთრსა—ბერთა სამოსად იტყვის, და ორფერსა—მწიგნობარაათ.“

რა წიგნი ძიძისა მივიდა ვისის დედასთანა და ცნა ასულისა ქება და გაზნა, მწიგნობარსა ოქროსა თაჯი მისცა და სხვა საქონელი დიადი და ესრე გაამდიდრა, რომე საქონელი შვილი შვილთამდე ეყოფოდა. მერმე გაუგზავნა შაჰრო ასულსა, ვითა ხელმწიფეთა წესია, ეგრე ზარიანად მარავს კუბო ოქროთა, თვალითა და მარგალიტითა შეკაზმული, მრავალი ხოჯანი, მხეველნი, მსახურნი. ეზომნი საქონელი და ოქრო გაუგზავნა ძიძისა, რომე აქლემნი და ჯორნი საქურქულესა ქვეშე დააშვრეს. და ხუზისტანისა ქვეყანით საყვარლად და ნებიერად ეგრე მოიყვანეს ჰამიანს ქალაქს.

ვისის ჰამიანის ქალაქსა მიყვანება

რა მოიყვანეს და შაჰრომან ნახა, შეილობისაგანცა უფრო საყვარელი პირი

და ტანი მისი ასულისა გაიცადა. ხელპყრობით მადლი მისცა ღმერთსა და მისთავე სახელითა შეულოცა და პირსა შეჰბერა, რომე თვალი არ ეცესო. მერმე გლახათა ზედა ურიცხვი ოქრო და საქონელი გასცა და თავისა წინა ტახტსა ზედა დასვა. შაჰრო უქვერეტდა, მზესა და მას შუა საცილობელი შეექნა, თუ რომელ რომელიაო და ვითა მოყვარულისა მშობლისა წესია, ეგრე დაუწყო კაზმა: სცხო მუშკი-ამბარი და მრავალ ფერი სურნელი, და შემოსნა ოქრო-ქსოვილიანი შესამოსელნი, ალვა და მუშკი უქმივა და ესრე შეჰკაზმა, ვითა მანეჩინელისა სახე; რაზომცა უფაო, სრული და კეკლუცი იყოს და ვინცა ნახოს, ყველასა მოეწონოს და რა კაზმა დაუწყონ ოქროთა და მარგალიტითა, დაშვენდებისო, და ვისის ფერის მიცემისაგან ოქრო გაწითლდების.

რა დედამან ესრე შევინება მოჰარბებული ნახა ასული, ეგრე არქვა:

— ჰე ყოვლისა ქვეყნისა მაშვენებლო! შენი ხელმწიფე ხეასროვი და ხელმწიფე შენი დედა დედოფალი გვარიანი (იყოს), შენ ესეთი უებრო იყო, და მე შენი შესაფერი ქმარი მიწასა ზედა აზა ვიცი; და რადგან შენი სწორი შესაფერი ქვეყანასა ზედა არავინ არის, ჩემგან უფროსსა ზედან შენი გაცემა არ ეგების. არა რომელსა ქვეყანასა არის შენი ჯუფედი. და სწორი ჩემისა ძისა ვიროსაგან კიდე შენ ეცოლე მას და ნატამალი გაგვიმრავლე და ამა მხახლობისაგან მე გამახარენ. ვიროს ცოლი იყავ—საქებარი და მისი, სძალი ჩემი იყავ—შენიერი ასული ჩემი. ჩემსა საუუთროსა ჩემთვის სისრულე და სიამე მაშინ აქვს, რა ჩემისა გულისა სანდო სანდომსა შევროთო და შევედრო...

რა დედამან მათმან შაჰრომან ხელი ერთმანერთსა ჩაუდვა და საქორწილოდ კაზმა დაუწყო და შეყრილიყვნეს ყოვ-

ლის ქვეყნისა დიდებულნი და ლაშქარნი, და პურისა ქამასა ლამოდეს და სმასა და სიხარულსა,—ანაზად მასვე წამსა ზღვისაგან შავი ღრუბელი გამოვიდა. ნათელი დღე იყო, მზიანი, ჰამო და მშინვე, თუ სთქვა, შეღამდა, ასრე დაბნელდა ქვეყანა, და ქარი დიდი ადგა და მტვერი დიდი შეიქნა, რომელ ერთმანერთსა ველარ ხედვიდეს. მექორწილენი აიშალნეს და აიყარნეს.

მასვე ეამსა გზასა ზედა მოვიდოდა კაცი შავითა შეკაზმული, შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი მისი შავი იყო, და სახელი ზარდი იყო. და კუმო მოეტანა ისფრითა შეკაზმული და შაჰი მოაბადის წვიგნი. თუცა მოციქული იყო, მაგრამ ძმა და ვაზირი იყო მოაბადისა. წამოუდგა ვიროს ზედა და შაჰროს ცხენი დაღმა მისცა წიგნი დაბეჭდული ოქრო-ბეჭდითა. მოციქულმან შენდობა ითხოვა ცხენითა მოდგომისათვის დაეგრე მოახსენა:

— მე ბრძანება შაჰი მოაბადისაგან ასრე მაქვს. დღე და ღამე მივლია, არ მძინებია, მრავალი ცხენი დამიყენებია მოსწრაფებისათვისო, და სხვა წიგმან მოგახსენოსო.

რა ბეჭედი აიღეს, გახსნეს წიგნი... თუცა ამონი სიტყვანი ეწერნეს, შაჰრო ეგრეცა, ვითა მოკირთული ვირი ტალახსა შიგან, აგრე სირცხელისა და შეკირებებისაგან თავისა გზა გაულელები დარჩა, ამით რომე მისგან დაწერილი საფიცი მოაბადის წიგნსა შიგან იცნა.

„შაჰრო, მე შენგან სიმართლესა ვეძებ, რომელ მიწყით სიმართლესა იქმოდე და მართალსა ეძებდე. ჩვენ ორნივე სიყვარულისა პირსა ზედა და მზახლობასა ზედა ვიფიციენით. ღმერთი და ანგელოზნი მისნი შუამდგომლად დაგვიყენებიან, და გვითიცავენ, წიგნი დაგვიწერია საფიცი,—აწ რად დაივიწყე ღმერთი, აღთქმა გამიტეხე. ასული ღმერთმან თვით

ჩემსა ბედსა ზედა მოგცა, თვარა შენ
 ცელა ასული არა გიშობია.

ჩაწე რადგან ლმერთმან ეგე მთვარე
 მე მიბოძა, თუ ჩემი არის... ნუ დაიქი-

რავ მაგას მანდა და მარავს გამამიგზავ-
 ნე დაუყოვნებლად და მნიარულად...

მოაბადმა მტკიცე უარი მიიღო. შეურაცყო-
 ფილმა შაჰმა შეჭრიბა დიდძალი ჯარი და გაე-
 მართა ვიროს წინააღმდეგ. ✕ .

ბ

ომი შაჰი მოაბადისი და ვიროსი

რა აღმოსავლეთით გამოვიდა მზე, რო-
 მლისა ეაზირია მთვარე და საჯღომი დი-
 ლისა, ადრე ერთავე ლაშქართა რაზმი
 აწყვეს და ორთა ხელმწიფეთა წინაშე ორ-
 თავე ლაშქართა მოდენა დაიწყეს ომად და
 გასამჩვენებლად. ორგნითვე დაიწყეს ცემა
 ქოსთა და ყვირილი ბუკთა და ყვირო-
 სტვირთა. იყო ეგეთი ზარი, რომელ ძველნი
 მკედარნი, მიწა ქმნილიცა ათროლოდე-
 ბოდეს მიწასა შიგან, მათითა შიშითა.

შეუტევეს ერთმანერთსა და მათი შე-
 ტევება ჰგვანდა შემოდგომათა ქართა,
 რომე ხეთაგან ფურცელთა ჩამოჰყრის.
 მეომართა ხელთა შიგან მახვილი-ხრმლე-
 ბი იცინოდა ელეისაებრ, ჰაერი ტყესა
 ჰგვანდა შუბისა და დროშისა სიმრავლი-
 თა, ქვეყანა ნაძვისა ტყესა ჰგვანდა მრავ-
 ვალფერისა დროშისაგან; მიწა ერთობით
 მტვერ ქნილიყო ცად გასრული და ლაშ-
 ქარსავე თავსა ჩამოსდიოდა. მრავალი
 ყმა კაცი დაბერებულეყვის და შავი ცხე-
 ნი გაჰარმაკებულეყვის. გულთანსა პირი
 ბროწეულისა ყვავილსა უგვანდის და ჯა-
 ბანსა სიყუითლითა ღრიანჯალსა.

ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეუ-
 ტევეს, თუ სთქვა, ორნი მთანი ბასრისანი
 ერთმანერთსა შეეტაკნეს. მათ შუა მო-
 ციქულად ქორაფისა ისრები არწივისა
 ფრთოსანი, პირ-ბასრნი მიდიოდეს და
 მოდიოდეს; აგზომ საყვარელნი მოცი-
 ქულნი იყენიან, რომელ გულსა შიგან
 დაესობდიან და თვალთა ზედან, სხვა
 ადგილი არ მოეწონებოდა, და რომელ-

საცა სახლსა შიგან მისთანა მოციქული
 მივიდოდის, მის სახლისა პატრონსა და
 მასპინძელსა კიდე წაიყუანდის. ასრე გა-
 ძნელდა ომი, რომელ საუკუნო თვალად
 ნახეს ცხადად. ზოგჯერ ჯაქესა შიგან
 ხრმალი შევიდის ვითა წყალი, ზოგსა
 თვალთა შიგან ისარი შეეპარის ვითა ძი-
 ლი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის
 ვითა სიყვარული; ზოგსა თავსა აფთი
 შევიდის,—ტეინი, თუ სთქვა, მხიარულ-
 ნან იცოდა, თუ ლმერთმან სული კაცისა
 ტანსა შიგან სადა დაამკვიდრა; მასვე
 კვალსა მახვილი შევიდის და მის კვალისა-
 განვე სული გამოვიდის. ღრუბელსა ჰგვან-
 და ლურჯსა ბასრის ხრმალი, მაგრა წვიმ-
 და დალ ვარი მისი წითელი იყვის. ომსა
 შიგან ისარი მკერვალსა ჰგვანდა, მკერვა
 ლისაებრ შეაკერის ხორცი უნაჯირსა...

შუბები შანფურსა გვანდა, მწვადისა
 ნაკვლად კაცი ეგის და მიწა სისხლისა
 მდინარეობითა საწნახელსა. თუ სთქვა,
 სიკვდილი ძლიერი ქარი იყო, რომე კაცი-
 სა თავსა ვითა ხისა ფურცელსა ჩამოჰყრი-
 და; მეომართა თავი ბურთსა ჰგვანდის მო-
 ედანსა შინა და მათი ტანი ტვერთა შიგან
 წაქცეულთა ხეთა. რა მზე ერთობ ჩაივსო,
 თუ სთქვა, მოაბადის ბედი ჩაივსონ მზე-
 სავე თანა და საწუთრომა იმედი გარდა-
 სწვიტა მოაბადის ხელმწიფეობისაგან.

გაიქცა მოაბად ისპანისა და ხვარა-
 სნისაიენ...

რა ვირომან მოაბად გაქცეული ნახა,
 გაიხარა. და ჯერეთ ცხენისაგან არ

გადასრულიყო, დაესხნენ ვიროს დელამანი და გელანი და ქიამანი, უთვალავნი ვითა ქვიშანი, პირუტყვთა თმა, წვიმა და ხეთა ფურცელნი... რა ვირომან ცნა მათი მოსვლა და თავისა ლაშქართა გაქცევა, ჯერეთ პირი ოფლიანი და მტვერიანი ედგა, ხრმალი მისი სისხლიანი ქარქაშსა არა ჩაეგო. ჩაუგებელითავე ხრმლითა დელამთა მეფისა ომად მიმართა ცოტათა ლაშქრითა.

რა მოაბადს ესე ამბავი ესმა, ვითა ვირო მიმართა დელამთა და გელანთა, მასვე წამსა გარე შემოიქცა, და რომელ სიმაშვრალითა ვერ იძვროდა, ასდენ ფიცხლად შემოიქცა, რომელ ქარი მისსა ტვერსა ვერა მიეწყოდა. გორაბს მოვიდა ლაშქრითა, სადა ვისის სახლი და სადგომი იყო...

მოაბადის წიგნი შაპროსთან

ამა უხანოსა ნათხოვისა საწუთროსათვის ნუ ჩაიგდებ შენსა თავსა აუგსა, ამა საქმისათვის ღმრთისავე ზურგსა ნუ იქმ და პირსა დევისა საწაღლისავე. ნუ ხარ ზენაარისა გამტებელთა თანა, რადგან ღმერთი ზენაარისა შემნახავია. თვით შენ იცი, რომელ ვითა სიყვარულისა პირსა ზედა ვიმზახენით, ვითა ვიფიცენით ღმრთითა და ანგელოზითა. შენ შენი ასული განალა მაშინ შემრთე, რომელ ოცდაათი წელიწადი გამყოფიდა და მაშინ მობე. ღმერთმან იცის, არა სააუგო სიძე ვარ, სასახლო ვარ და ესრე ჩემგან რად აბეხარ იქნები, ჩენთა მტერთა რად მიერთე? თვით ჩემსა ბედსა ზედა გიშობია, რად შერთე სხვასა ვისმე? ასრე ჩემისა ბედისაგან ქნილა, რომელ სიძემან მაგისაგან გულისა ნება ვერ კპოვა; ღმრთისა მოსამართლეობისაგან არ სახამსო იქმნებოდა, თუცა სხვასა ვისმე აეგო ნება. თუ კარგად გიგონებ, შეიგებ, რომელ ესე ყოფილა განგება ღმრთისა და შემრთე შენი მზისა მზავისი ასული და დახსენ

მტერობისაგან შენი ქვეყანა. რაზომიცა სისხლი ქნილა, მას საუკუნოსა ყველა შენ გეკითხვის, და თუ ეშმა შენდა არ მოკრეულა და ყოლა ღმრთისაგან შიში გაქვსლა, ესე სჯობს რომელ მტერობა დააგდო და ერთი დიდი სამეფო ერთითა დიაცითა იყიდო. თუ არა და მისი ქვეყანა ჩემითა მტერობითა აობრდების. და ღმრთისა პასუხისა გაცემა შენ გინდა. სირევგენითა ჩემი მტერობა ცოტა ნუ გგონია, აწ მტერობისაგან სიყვარულად მოიქეც; და შენს შვილს ვიროს დიდსა ხელმწიფობასა მიესცემ, ქრისტანისა სრულისა დედოფალი შენ იქნები და ხეარასანისა სრულისა დედოფალი შენი ასული იქნე. თუ ყოლა რაზომინცა დღენი გისხენ, ესე საწუთრო ამოთა და სიყვარულითა გარდავიხადოთ. ყოველნი ქვეყანანი ჩვენგან მორქმით იყოს და ლაშქარნი და ქვეყანანი დასწყყნარდესო. რადგან ქვეყანა ამოთა იქმების, უმეცრობა არის ყოვლისა კაცისაგან მტერობაო*.

რა შაჰინ-შაჰ ამის წიგნისაგან მოიცალა საქურქლე ლარისა და ოქროსაგან დასცალა. ეზომი საქონელი გაუგზავნა შაპროს, რომელ თვით კაცისა ენისაგან არ იაქმის. ასი აქლემი კუბოთა შეკაზმული, სამასი აქლემი ლარ-კიდებული, ასი ტაიურ ცხენი და სამასი თუხარიგი, ყველა სრულითა აკაზმულითა შეკაზმული. ხუთასი ჯორი კიდებული ყველა თვალითა, მარგალიტითა და გვირგვინითა შეკაზმული იყო. ძღვენსავეთანა თავსაბურავი ოქროქსოვილი ორასი ზანდუკი და დიდი ერთი ზანდუკი ოქროსა ფას დაუდებელითა სამკაულითა გატენილი იყო: ჯამი ბროლისა შვიდასი, ყველა ეზომ მშევენარე, ვითა ცათა შიგან ვარსკვლავი იყო. ბერძულისა სტავრისა თვითო ფერისა სხვა საპალნე ორმოცი, ამისგან კიდე სხვა მრავალი ფერი რამე იყო სახელმწიფო, რომელ სიუცხოითა კაცთაგან არ ითქმოდა. გვანდა თუ ყოვლისა ქვეყანისა

თვალი და მარგალიტი ყველა მოაბადს შაროსათვის გაუგზავნია და სხვაგან აღარსად არისო.

რა შაპრო ნახა ეგ ზომი თვალ-მარგალიტი, ოქრო და ყველასთანა სახელმწიფო ძღვენი, ეგ ზომ მრავლად კიდებულნი აქლემნი და ჯორნი ლარითა, მთერალისებერ ცნობა წაუვიდა და დაევიწყდა ძეცა და ასულიცა. რა შეღამდა ციხისა კარი გაალო და ელვარე მთვარე მოაბადს ხელთა მისცა.

მოყვარულთა გაყრა დია მწარეა. ცასა ზედა მთვარე და მარსკვლავნი აღარა ჩნდეს, ქვეყანა ღილის ფერად ქნილიყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგვანდა მთვარისა საფარად ამოკრულსა; ჰაერმან, თუ სთქვა, საგლოველი შეიმოსა მისისა საქმისათვის; მზემან და მთვარემან თავისა ლაშქრითა დასაეღეთისაკე ილაშქრეს, მუნვე დაიმალნეს და უჩინო იქნნეს; ლაშქარნი თავის თავისთა ადგილთა განიადაგდეს; ეტლნი რკინისა კლდეთა გვანდეს და გარსკვლავნი მათგან, აბეზარ კმნილთა; ვერძნი და მოზვერნი, დაღრეჯით დამალულნი, თრთოდეს ლომისა შიშითა და თვისა ადგილი დაეგდოთ; თუ სთქვა, ლომი უსულო დგას და მეტყუებარი ორთა მოყვარეთაებრ მწოლთა დაქედით უძრავ ქნილიყვნებრ; კირჩხიბი გამწყურალი, კუდ-ამობზგილი, ლომისა ჯანგთა ქვეშე იყო; ქალწული დიაცისაებრ დგა, ხელთა ტევანნი დაეკირნეს; სასწორი დაშლილი და დახლათული უხმარ ქნილიყო; ღრიანკალი ერთგან მოდრეკილიყო, ვითა გველი გაცივებული; მშვილდოსანსა, ვითა კერპსა, მშვილდითა ომი არ შეეძლო; თხა

ისრისაგან უშიშრად ქვე დაწოლილიყო; წყლის საქანელი ქასა შიგან ჩაქრილი და მისი მზიდავი ბედიტად მომცდარი; თევზი ბადისგან დაბმული და ვითა ხმელთა ზედა გაქრილი დაღრმისაგან უიმედო ქნილიყო. ასეთითა ავითა ეტლითა და უბედურითა ნახა შაჰინ-შაჰ თავისა ცოლი. ღმერთმან სხვასა ნუგის ზედან მოიღოს ესეთი ეტლი.

რა ციხესა შიგან შევიდა მოაბად და ამა ეტლითა ნახა, ლომისა სინბელისაგან თვალთნ წინა არ რა ჩნდა, მაგრა ვისის პირისა სინათლემან და სულენებამან აპოვნინა უბებოდ მოსაწონელი ცოლი. მივიდა და მოჰკიდა ხელთა ბროლისა მსგავსთა და ციხისაგან თრევეითა ჩამოიყვანა, ამით რომელ ნებით არ მოჰყვებოდა და იგი ქვე აღარ დააგდებდა. ჩამოიყვანა და შევედრა თავისა მისანდოთა კარგთა შეებჯრეთა და ხოჯათა მასვე წამსა შესვა კუბოსა და გამოემართა ესრე ფიცხლა, რომე ვერცა ქარი ეწეოდა. კუბოსა მიდამო ეკირა ხასავიანთა ხოჯათა. სცემდეს ბუკთა და ქოსთა და მიმართეს ხეარასანს, მარავს ქალაქსა, საწყოფსა შაჰი მოაბადისასო. ესრე მზიარულად იყო მოაბად, ვითარ მშვიერმან ლომმან კანჯრისა ჯოჯი დაინახოს, ანუ ვითარ გლახამან კაცმან საქურტულე ჰპოოს და სიხარულსა მართალ იყოს; რადგან მისი ნანადირები ქვეყანასა ზედა ცისა მზისაგან უკეკლუცე იყო, ჰხამდა მისთვის დიდის კირის ნახვა, ამით რომე ანასდა შვენებისა საქურტულე ჰპოვა და მაშვიგან მოცინარე იავუნდი.

8

რამინისაგან ვისისთვის გამოიჯნურება

მივიდოდეს მოაბად და მისნი ძმანი და ლაშქარნი და ვისის კუბოსა ხოჯანი მიჰყვებოდეს. ანასდათ ღმრთისა განგები-

საგან ადგა დიდი ქარი და მოგლიჯა კუბოსა სახურავი ფარდავი. თუ სთქვა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა ანუ ანახდა

მზე ამოვიდა, გამოჩნდა ვისის პირი და მისისა გამოჩენისაგან დატყვევდა რამინის გული. თუ სთქვა, გრძნეულმან მოწამლა რამინ, რომელ ერთითა ნახვითა სული წაულო.

რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცელის ოდნად სუბუქად ჩამოიჭრა, მოედვა მიჯნურობისა ცეცხლი გულსა, დაუწვა ტვინი და გონება წაულო, წამსა თვალისასა დაუმკვიდრა მიჯნურობა, წაულო სიყვარულმან სული და გული. მისისა მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაქრა და გახელბა იყო. რა ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნდა და დიდხანს უქკოდ იდვა. პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბაგე, წითლისა იაგუნდისა მგზავსი, ცის ფერად შეექნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქნა. ვინცა დიდებულნი და მოყმენი იახლნეს, ქვეითნი და ცხენოსანნი მოეხვივნეს რამინს, ზედა უქვერეტეს და ვერავენ შეატყუა თუ ესრე უგრძნეულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასვლისათვის ყოველი კაცი ტიროდა და მისისა ქირისათვის ყველა მისგან უძნელეს იყო.

რა დიდხან აგრე უსულო ქნილი იდვა, არცა ყოვილი შეესმოდა, არცა სურნელთა კმევა და ვარდის წყლის სხმა ერგებოდა. მერმე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, ენისა ხმარებისა ძალი არა ჰქონდა და ცრემლნი სდიოდეს. მერმე ხელი უკუვილო და კაცთა სირცხვილითა კენესა დაიწყო. მოახლე მნახავსა ყველასა ასრე ეგონა, ულონიოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასკაო. რა კულა რამინ ცხენსა შეჯდა, მეტისა გონებისაგან ებნელებოდა ნათელი დღე. გზა-გზა მივიდოდა ხელივითა, გული მისი ეშმაკსა ეხუთა და თვალნი მისნი ვისის კუმოსაკენ დარჩობილიყვნეს, ვითა მპარავი...

ვითა იყო სიყვარულისა მომატებული რამინ, ეგრე გვანდა ქორის ქანგთა შიგან მყოფსა ზურგ დაკოდილსა კაკაბსა, არცა ცოცხალი იყო და არცა მკვდარი. სახე ოდენ იყო, უსულოდ მიმავალი, მთისა ოდენისა ტანისაგან ნიშანი ოდენლა დარჩობილიყო და ნაძვისა ნაკვეთიანობისაგან — შვილდი. ამა ულხინობითა და შექირევებითა, რომელ მითქვამს, მოიმგზავრა და ერთობით გზა მისი საკნად უჩნდა.

რა გულ-წარსულსა რამინს გაუძნელდა საქმე და ულონო იქნა, გაუბედითდა მიჯნურობისაგან ბედი, მიწყით უკაცურსა ადგილსა ეძებდის და მარტოდ დაჯდის; ტიროდის შეუსვენებლად და ღამით ძილი არა ჰქონდის, არცა თავი სასთაულსა ზედა მიდვის. ვარსკვლავთა უქვერეტდის და ფილაქთა სამისოდ მოქცევისათვის ღმერთსა ეაჯებოდის. არა ჰქონდის მოსვენება, არცა დღისით და არცა ღამით. ვითა ხელი, ცურვიდის; ვითა კანჯარი და ვითა ველური თხა კაცთა ფრთხებოდის. ვისის ნაკვეთისა მიმსგავსებითა სადაცა ნაძვი ნახის, თვალნი ვერ მოსწყვიტნის; სადაცა წალკოტსა შიგან წითელი ვარდი ჰპოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისათვის მას კოცნიდის; ყოველთა დილათა ია ჰქირთვის და მისისა თმისა ნაცვლად გულსა ზედან დაიდვის. მიწყით მისი არიფთა, რა ტირილისაგან მოიკალის, ორძალი იყვის და ნადიმი.

რა სულთქნის, ზამთრეული ქარი ააქროლის. მისითა კენესითა კაცსა გული ეგრე გაუბდის, რომე იადონსაცა შტოსაგან ჩამოაგდებდის. ეზომისა სისხლისა ცრემლითა ტიროდის, რომელ მუხლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის. მისსა თვალსა დღე ნათელი ბნელად იყვის. მას ქვეშე სტავრისა ამო საგებელი ვითა გველი იყვის. სანთლისებრ იწვებოდა, დნებოდა, და წყლული გული მოყვრისათვის შეეწირა. მისთვის სიცოცხლე გაბედითებულიყო

და სიხარული მისსა გულსა ერთობით გაეწირა. ა.

ტირილისაგან ტანისამოსი მისი სისხლითა დასერილი იყვის და კენესისაგან პირი მისი—ოქროს ფერი. მიჯნურობისა კირისაგან სულნი ბაგემდის მოსვლოდეს და მიწით თავისა სიცოცხლისა და მოყვრისაგან იმედ გარდაწყვეტილი იყვის. მოყვრისა მისისა სახე თვალთა შიგან გამოესახა და თვალთა მისთაგან ძილი კიდევან ქმნილიყო. სიდიდე ქვეყანისა მტკავლითა გასაზომლად უჩნდა. მეტისა გონებისაგან მთერალთა და ხელთაებრ უცნობო იყვის. საწუთროსა საქმისა ზოგჯერ ღონედ მოიგონის და წილნი ჰყარნის მოყვრისა სახელსა: ბოლოსა ეამსა ჩემი და მისი საქმე ვით ერთგან იქნებისო? ზოგჯერ შაჰინ-შას ბალსა შევიდის, ბრუნვიდის, ყოველნი ხენი მოწამედ დაიყენის და ეგრე უთხრის: „ჰე ყოველნო ხენო! მოწამენი იყავით ჩემნი; ასრე მტირალი მნახეთ. რა მზიარული ვისი აქ იყოს, მას მოახსენეთ, ნუთუ გული მისი უსამართლოსა ქნისაგან გასწმინდოთ!“ ზოგჯერ იადონთა ეუბნებოდის, ერჩოდის მრავლითა საყვედურითა და ეგრე უთხრის: „თქვენზედა რა მოსრულა ქვეყანასა ზედა ეზომი ავი, რომლისათვის თქვენ ეზომსა იზახით? რა წაგკიდებია, თქვენთა მოყვარეთა გვერდით შტოთა ზედა სხდით, არ ჩემებრ აშორავთ და გაშტერებულხართ საბრალოდ!..“

ესე გვარსა რასმე ეუბნებოდის და იარებოდის მას ვენახსა შიგან თვალცრემლიანი და გულდადღღული. დღესა ერთსა მოარებად ჩამოსრული ძიძა ემთხვია წინა და ნახა ეგრე მბრუნავი. რა რამინ დაინახა ძიძა, სულისაებრ სახმარი და თვალთაებრ სანდომი, სიხარულისაგან სისხლი აუღულდა და ლაწემან მისმან, თუ სტქვა, ყაყაჩოსა პერანგი ჩაიკცვა. ძიძისა სირცხვილისაგან ოფლი სლიოდა. გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პი-

რი ათასჯერ მას უტურფე იყო. ყურისა ძირნი წმიდასა ვერცხლსა უგვანდეს; სუბულთ ჯერეთ შავი არ ჩაეცვა და მუშავაზნი მუშეისა ყვანჯად შექნოდა. ნიკაფსა ჯერეთ ცოტა ქაფურისა ფერობა ჰქონდა, ბაგენი ლალსა უგვანდეს და კბილნი მარგალიტსა; ნაკვით და სიგრძე მორაულსა ნაძქსა უგვანდა; მაგრა ამა ნაძვისა ნაყოფი წითელი ვარდი იყვის, სახედ მთვარე გავსილი ქვეყანასა ზედა სანახავათა მოსაწონებელი. კაბა და ქული უებროდ შევნოდა. თვით გვარად ადამისითგან სახელოანი ხელმწიფე იყო, სახედ მიწასა ზედა სულიერი მზე, ყოვლითა ფერითა საქაბუკოთაცა სრული...

რა მარტოდ ნახა წალკოტსა შიგან ძიძა, ვითამცა ყოვლისა სოფლისა სიხარული მიმხვდარიყო, ასრე გაეხარნესთაყვანისცა და ქება შეასხა. ძიძამან განაღამცა აგრევე უმაგიერა, მოიკითხეს ერთმანერთი და მოეხევივნეს ვით ძველითგანცა მოყვარენი. მერმე ერთმანერთსა ხელნი დაუქირნეს და უჩინარეს ადგილს მივიდეს. იუბნეს მრავალ ფერად რამე და ესე საუბარი მათი რამინის წყლულსა გულსა ემაღამებოდა, რამინ სირცხვილისა ფარდავი დახნია, ამით რომელ გული მისი სირცხვილსა დაეტყვევა და ძიძასა ეგრე უთხრა:

— ჰე ჩემო სულთაგანცა უფრო სახმარო!..

მოახსენე ჩემმაგიერ ნაძქსა ლამაზ-მორაულსა, ბუთსა მოუბარსა, მთვარესა სულიერსა, ქაჯსა მიწისა მზესა, სიტყვატკბილსა, კაცოთგან უღივსა, უკლებად ტურფასა, თმა მუშქსა, ბაგე იაგუნდსა, აყვავებულსა სიხარულისა წალკოტსა, ესე მოახსენე: „ჰე კეკლუცთა დასაბამო, რომელ შენსა წინაშე ყოველთა კეკლუცთა და მნათობთა შევენება უჩინო ქნისა, ორისა კვირისა მთვარე შენგან მეშურნეობს და მისი სიელვარე შენდა შემოუწირაჲს; გრძნეულთა ლაშქარი შენისა

უებრობისაგან გაქცეულა, ჩინელნი კეკ-
ლუნი შენგან აშფოთებულან, ბარბარუ-
ლი ბუთი შენგან გაწბილებულა და მისი
ნთლელი მისგან აბეზარ ქნილა. შენნი
ბაკენი ხელმწიფეთა მონად გახდიან და
შენი პირი მკედართა გააცოცხლებს. და-
დნა გული და ტანი ჩემი შენითა გონე-
ბითა, ვითა მთისა თოვლი მზისა სიციხი-
საგან, ჩაიქრა გული ჩემი შენისა სიყვა-
რულისაგან უნებლიე, ვითა ნადირი ბა-
დესა; ცნობა და სიწყნარე წამსვლია;
გული ტანსა შიგან იავარ მქნია; არცა
მძინარესა და არცა მღვიძარესა პირი
პირად არა მიჩნს და ლხინი ლხინად;
არცა რად ხელმწიფობა ჩემი მიხარისა,
არცა საჭურჭლე და ცდიდება; აღარა
მაქვს სიხარული, არცაღა დიდებულთა
თანა მოედანსა ასპარეზითა ვიმბლერი;
არცა მინდორთა შიგან ავაზითა ენადი-
რობ და არცა მთავართა ქორითა—კა-
კაბსა; არცა მონადიმეთა თანა ღვინისა
სმითა გავიხარებ და არცა კეკლუცთა
თანა დავეჯდები მათსა სიხალესა; ვერცა-
ვის ქვეყანათა ზედა შენგან კიდე სა-
ჭურჭლეს გამოვირჩევ და არცა პირისა-
გან წამსაცა აზატი ვარ; ვერცა შენისა
გონებისაგან კიდე სხვითა რათ გავიხა-
რებ, არცავე მოყვარე და გულის პასუ-
ხის შემწე მივის. თავისა სახლსა შიგან
მყოფი ტყვესა ვვაგ, შეღამებით გათენე-
ბამდის ვკენესი და ვიღვლარეკენები ვითა
დაკოდლი გველი, ტანისა ჩემისა წამალი
შენი საუბარი არის და გულისა ჩემისა
მაცოცხლებელი შენი ნახვა. მე მაშინღა
ეპპობე ჩემისა ცნობისა კევასა, ოდესცა
შენი ამო ხმა მესმის. თუცა წელიწადია
შენგან პირსა შიგან ვარ და სიხარულის
გარდაქვევისაგან ცრემლი დამწითლებია,
პირი გამყეთლებია, ეგრეცა შენი მიჯ-
ნურობა სულთა მირჩევია. სულთა მეტრ-
ძვის შენისა სიყვარულისაგან, არ ვეძებ
უშენოდ სიცოცხლესა და არცა უშენოდ
სიხარულსა. ოდესცა ჩემი გული შენისა

სიყვარულისაგან გაძღეს, თავსამცა ზედან
თმა ხრძალად შემექნების, დღისა სინათლე
შენისა პირისაგან მაქვს და ღამისა სი-
ბნელე შენისა თმისაგან. ესე იცოდი, ვირე
ცოცხალვარ, შენთა მონათაგან უფრო
საკუთარი ვიქნები და შენი მონა ვარ.
შენი თეთრფეროვანი პირი ჩემი სიხა-
რულისა მამცემია და პირისა მაქარე-
ბელი. ჩემი მზე შენისა პირისაგან ნა-
თობს და ჩემი მუშკი შენისა თმისაგან
სურნელობს, შენისა ტანისაგან ჩემი ბრო-
ლი უტალო და შენისა საუბრისაგან ჩე-
მი სამოთხისა შევენება; და მუნ შიგან
მკვიდრ-ქნა ჩემი იგია, ოდესცა შენი პი-
რი, ჩემი მაცოცხლებელი, ენახო. დაგლა
და წალმართი ჩემი მაშინღა იქნების,
ოდესცა შენისა პირისა ქვერტა მამხედეს;
მე ღმრთისაგან დღე და ღამე ამას ვით-
ხოვ, რომელ ერთხელ შენსა შემოხედ-
ვასა მაღირსოს. მაგას მაგარსა გულსა
ჩემსა თუ შევეწყალო და სიბრალული
ჩემი მოილოს, წაზიდვა და ამპარტავანობა
არ დაიწყოს. თუ მემტერებოდეს, სიშო-
რესა ეძებდეს და თუ გამწიროს, უცილოდ
დაღვაროს სისხლი ჩემი. მაგრა არა ხამს,
შენმა მზემა, ესეთისა ყმისა კაცისა სისხლ-
თა დაღვრა და მოკვლა, რომელსა დღე-
თა მისთა შიგა შენდა არა შეუცოდებია.
ასრე უყვარ მას გულითა მართლითა, რო-
მელ სიცოცხლისაგან ათასჯერ შენ ურჩე-
ვიხარ, თავისა სულსა გასწირავს შენთვის
და შენისა ფერხისა მტვერსა თვალთა
იყიდის, ამით რომელ შენ გული ჩემი ესრე
გიხუთავს, რომე მისგან ნაწილი არა და-
მრჩომია. მოწყალე იქმენ ჩემზედა. ტანი-
ცა შენვე შემოგწირო და გაისაკუთრე,
თვარე სულსა თანა ტანიცა გაეწიროა.

ძიძისაგან ვისის შეგონება →

რა ძიძამან ვისი ნახა, გრძნეულობითა
და ორგულობითა სალორებელნი სიტყვა-
ნი შექვაზნა და ბიჭობისა სიამოვნებითა

შემავკნა. რა გულ-წყლული ვისი ესრე დაღრეჯილი ნახა, რომელ ცრემლთაგან სასთაული დაესოვლა, დედისა და ძმისა სიშორისათვის სამკაული კიდე შეეხსნა, ეგრე უთხრა ძიძამან:

— ჰე სულთა ჩემთაგან სარჩეო, არ სნეული ხარ, ნიადაგ ქვე რასა სწევ; შენი ტანი ისრისაებრი მშვილდად შეგკენია. რა ეგრე ხარ, ვითამცა საკანსა შიგან და არა მარავს ქალაქსა. მორეისუბუქე შექირვებისა ტვირთი. კაცსა დღეთა დაუღვეს დიადი შექირვება და დაღრეჯილობა. შექირვებისაგან უარესი კირი არ არის რა და დათმობისაებრი სამისო ლონე არავე არის. მე თუ მომისმინო, მხიარული დასჯდე; თავისა და ბედისაგან იქადოდე. კაცისათვის ღმრთისა მინდობა კარგი ზურგია და მისი მიუნდობელობა და შექირვება მესისხლეა კაცისაო.

ნუ შეიქირვებ ეზომსა, ცუდად ნუ დაიმწარებ ამა ტკბილსა საწუთროსა. გული მხიარული დაიქირე რაზომცა შეგეძლოს, მით რომელ სიხარულისაგან დღენი მოემატებიან კაცსა.

თუ ერთი სიხარული და ნება წაგილო საწუთრომან, ათასი უკეთესი გაგისრულა. შენ ყმა კეკლუცი და ხელმწიფე ხარ და ხელმწიფობითა ყოველსა ქვეყანასა ზედა ბრძანება გაგვივა. ნუ გასწირავ ერთობით სიხარულსა და ნუ ჩაივდებ ცუდსა კირსა შიგან გონებასა. რაცა ქვეყანასა შიგან ყმა კაცია, ყველა თავის თავისა ნებისა და გამოსვენებისა ძძებნელია: ზოგსა სხვა და ზოგსა სხვა ფერი საქმე სქირს და ამით გაიხარებენ. ზოგსა ვისმე ლაშქარი უყვარს, ზოგსა ცოლი და სახლი, ზოგსა მონები დაკაზმულები, ზოგსა მოწიფებულისა ქალი. აგრევე რანიცა ფარდაგსა შიგან მყოფნია ხელმწიფეთა ცოლნი და ასულნი და აგრევე დიდებულთანი მრავალ-ფერიითა საქმითა იხარებენ. რაზომცა კეკლუცი და ხელმწიფე ქმრები უყის, მაღვით სხვანი ეგრეცა მიჯნურობენ და

შეუყვარდებიან. შენ ოდენ დღე და ღამე იჭირვი და თავსა მოიკლავ ცუდად, ვიროსგან კიდე არცავინ მოგეგონების და არცა მოგინდების. იგი თუცა ხელმწიფე და ხელმწიფის შვილია, ანგელოზი არაა, სამოთხესა შიგან გაზრდილი. წელან ეგრე მკითხე, თუ მარავს ქალაქსა შიგან სხვა ვიროსებრი კეკლუცი არსცა და ანუ გინახავსმცაო? ღმერთმან იცის, მარავს შიგან კეკლუცი მოყმე კაცები მზისა მზგავსი დიდად მინახავს, რომელ კაცისა თვალნი მათისა ქვერტისაგან ვერ გაძღენ. ნაკეთად ყველა საროსა ჰგავს, სახედ უკლებნი და კეკლუცი და გულოვნობითა ყოველსა ქვეყნისაგან გამორჩეულნი და ქებულნი. რა შემტყვე კაცი ამით ნახავს, ვიროსაგან ყველა უფრო მოეწონების და მათ შუა, თვით რომელ, ერთი არის ლომი ჰუბუკი რომე კაცისა გონება მისსა ქებასა, ვითა მართებს, ეგრე ვერ მიაგებს. ვითამცა იგი სხვანი ვარსკვლავნია, და იგი ნთფარე; და იგი სხვანი ვითამცა კენჭნია და რგი იაგუნდი. ესრე ჩანს მათ თანა გვარად ადამისითგან ხელმწიფე მოაბადის საყვარელი ძმა, სვიანი და ბედნიერი. სახელად რამინ ჰქვიან, მიწასა ზედა ანგელოზი და ომსა შიგან დევი. სახედ ვიროს დია გავს. ყოველი კაცი და აქაურნი დედანი მისნი მიჯნურნი არიან. ყოველი გულოვანი ჰუბუკი მას აქებს და მოედანსა შიგან მას ვერავინ აჯობებს. არანსა შიგან მისებრი ცხენოსანი არ არის შეენებითა. შუბითა თმასა გააპობს. თურქეთსა და ხვარასანს მისებრი მშვილდოსანი არ არის, მისითა მობობითა მრავალი მფრინველი უსულაო, ბრძოლითა ვითა ლომი გამწყურალი და გაცემითა ვითა მაისისა წვიმა, ეზომითა კარგითა ზნითა, რომელ მას სქირს, გულსა ზედა იგივე დალი აზის, რომელ გულჩვილობით შენვე გგავს. ჰე სანატრელო საყვარელო ყოველსა კაცისაო, თუ სთქვა, ერთი ვაშლი ორად გაყოფილნი ხართ.

ნახე, თუ შენ ვითა ხარ, იგიცა ეგრეა. შეპირებებისაგან თმასა გავს, ოკროთა შელებულსა. მას შენი პირი უნახავს, გამიჯნურებულა შენთვის და შენისა სიყვარულისა იმედსა იგონებს. მისნი შევნიერნი ნარგისისა მგზავსნი თვალნი დღე და ღამე ღრუბლისებრ წვიმან, პირი მისი რომელ მთვარისებრ ეღვარე არის, უგულლობისა და პირისაგან ბზის ფერად შეჰქნია. გულსა მისსა მიჯნურობისა პირი დიდად უნახავს და სამსალისებრ სიყვარულისა სისმელი დიდი უსვამს. შენ მებრალეები მიჯნურობისაგან და იგი მით, რომელ კეკლუცი პირი პირსა შიგან ყოველსა კაცსა ეწყვიდის. თქვენ ორნივე მინახავთ მიჯნურნი ნებისაგან, მოშორებულნი, ორნივე უგულონი და ორნივე ულხინონი.

ნუ იქმ, შეიბრალე სიყმე შენი. პირსა პირსა ზედა ნუ მოიმატებ. უცხოთა შიგან ნიადაგ ნუ იზახი, ბედსა და დიდებისა ნუ სწყვეც; მოისმინე, ანგელოზი შენი მიწყით გახლავს დღე და ღამე და ესმის შენგან ღმრთისა უარის-ქნა და წყვეა დღისა დაბადებისა შენისა. შენ ერაყისა და ხვარასნისა დედოფალი ხარ ყოველთა კეკლუცთა მზე და უხუცესი. სიყმესა ზღვასა შიგან ნუ ჩაადგებ და მაგა ტანსა პირსა შიგან ნუ დაადნობ. იცი, რომელ დღენი ჩვენნი ნათხზვიანა და გარდასრულნი გარე აღარა შემოიქცევის. სული დია საყვარელი და აზიზია, შენსა წინა რად ეზომ უპატიო და საძულველია? სიყვარულსა შენებრ არავინ დააბაძს პირსა შინა და მიწყით არავინ დაღრეჯს-დააწყულვლებს. შენ თუ მიწყით ესე ზნედ გპირს, რომელ საყვარელთა ამძიმებ. შენსა სულსა შენ დია უყვარ. შენ იგი რასთვის გძულს? რამინ შენსა სულსა გავს; მას შენ უყვარ და იგი შენ გძულს. ნუ იქმ, მოყვარეთა თანა უამე იყავ; ვენახისებრ ნაყოფიერი ხე იყავ. შეიბრალე იგი გლახ ყმა-კაცი,

ნუცა მას დაადნობ და ნუცა შენსა ტანსა უზამ მიწყით გაუხარებლობასა. ნუ უწყალო ექმნები ამას უსწოროსა ქაბუქსა. გაზარდე მისი სიყვარული, ვინცა შენსა სიყვარულსა ზრდის. თუ შენგან არავინ გაიხარებს, შენი პირი კუპრისა სწორია.

— ჰე ჩემთა სულთაგან უფრო საყვარელო და ყოველთა შევნიერთაგან უშვენიერესო! მიწყითმცა სამართლისა მთქმელი და სამართლისა მოქმედი ხარ და მიწყითმცა მოკრძალი და პატიოსანი. მე რა დამეპირების ეგვათ, რომელ შენებრსა გვარაინსა და წმიდასა მოვაცდუნებდეთ? რასთვის გეუბნები ილათითა სხვათათვის, არ უღონო ვინმე დაპირებულვარ. რამინ არცა ჩემი შვილია, არცა ნატამალი, არცა მზახალი და არცა პატრონი. ამას არ მიბძანებ, თუ მან კარგი რა მიყო, რომელ მისად მოყვრად შემქნე და შენად მტერად? მე საწუთროსა შიგან შენი წადილი მომინდების და რაცა შენ გიაშების, მე იგი მიაშების. აწ ხეაშიადასა ბუკითა შენთანა გამოვაცხადებ, რადგან ღონე არა მათქმევს. რაზომცა სიმდიდრესა გემოობდე, ეგრეცა ადამის შვილი ხარ, არცა ანგელოზი, არცა ქაჯი და არცა დევი. ასეთსა ქმარსა მოსწყედი, ვითა ვირო არის მაგალითობითა. ესეთი ხელმწიფე შეგირთავს, ვითა მოაბად არის. შენგან აკამდის არვის გახარებია ამით, რომელ საგებელთა შიგან არავინსა და შერისხარ, არცა ვისგან გავიხარებია და არცა ნივთი იცი.

თუ ყოლა გაგიგია-ლა კაცთა გვერდის წოლა, ამა საწუთროსა შიგან რამინისებრსა ვერა ჰპოებ. რა სარგებელია, თუ შენ მზისებრ კეკლუცი იყო და შენგან ნაყოფი არ გამოიქმოს? შენ ესე არ იცი, რომელ მიჯნურისა უმოყვროდ საწუთრო არ ამოა. ღმერთსა მფრინველიცა დედალი მამალისათვის დაუბადებია. არ შენ დედალი მამალსა შენი? მამაკაცი

ცოლსა მით შეირთავს, რომე ერთმანერ-
თისაგან გაიხარნენ. თუ ერთმანერთისა-
გან არ გაიხარებენ, საწუთროსა ნივთთა
უკანა რას უღებებიან? აწ თუ ესე იცი,
რომელ მე მართალი მითქვამს, მაშ შენ-
გან ჩემი წყევლა და გინება არა პირიანი.
მე ესე მითქვამს ამით, რომელ მიყვარ.
შენი დედა და ძიძა ვარ. რამინ შენი შე-
საფერია და შენ მისი; მას შენ უყვარ
და იგი შენ გიყვარდეს; შენ მზე ხარ და
იგი უსწორო მოყმე. სიყვარულსა შიგან
ერთმანერთსა ნუ გასწირავთ. რა მე ორ-
თავე ესრე ერთად გნახავ, ქვეყანასა ში-
გან ჩემი შესაქირებელი აღარ არისო.

რა ესე საუბარი ესმა ვისის ძიძისაგან,
მეტისა ძიძისა საქმობისაგან აუღულდა
სიყვარული, მორელება გულქვეობა მისი,
დაება მახესა ყოველი ასო მისი ენისა-
გან კიდე და ენა შეუნახვიდა ხვაშიაღსა...

შეუყვარდა გულსა შიგან რამინ. და-
უწყო წყალობა და დაუგდო მტერობა,
სიყვარული გამოჩნდა და მოიმატა მი-
სისა ცეცხლისა კვამლიცა. მოვიდა ეამი
რამინის სიხარულისა და დაუბლაგვედა
მახვილი ენა საპასუხით. სულისა დაღება
ნიშანი იყო ძიძისა სიტყვისა დაჯერე-
ბისა და მიზეზსა ეძებდა დაუჩინველობი-
სასა. მიდამოიხედვიდა სირცხვილისაგან,
პირისა ჰაერი მრავალ-ფერად ექცეოდა.
ზოგჯერ გაყვითლდის და ზოგჯერ გა-
წითლდის; ვითა წყაროსა, თვალთა ცრემ-
ლი სდიოდა და ოფლი. აუგისა შიშითა
იწოდა.

რამინისი და ვისის ერთგან შეყრა

რა კარგი წელიწადი და კეთილი მო-
ვიდოდეს გაზაფხულზე შეეტყვების, ვითა
ვისის და რამინის საქმე თავსავე ზედა
მომარჯვებით იქნა. რა ვისმან სიყვარუ-
ლით შეხედნა რამინს და საწუთროსა
ზენიკალმან მისისა გულისაგან მტერო-
ბისა ჯანგი აღმოჰხოცა თუცა ქირი და

გულის ტკივილი დიდად ენახა სიყვა-
რულსა შიგან, ერთგან დიადიცა გაი-
ხარნეს. მასვე კვირასა ერთგან შეიყარ-
ნეს, რომელ უნებელი არსად ქარი ეცა.

შაჰი მოაბად აიყარა ხორასნით და
ნობაღსა-კარავსა პირი ხორასნისაკენ აქ-
ნეენა, გურგანით ქოისტანს მივიდა და
ქოისტანით რეს მივიდა და ხანსა დაზ-
მიდის. თავისა ქვეყანათა შიგან იურუო-
დის და ინადირებდის. დარჩა რამინ ხო-
რასანს, მარავს შიგან ამით მიზეზითა,
რომელ თავი მოისნეულა. ძმამან თავისა
ადგილი, ტახტი და ქვეყანა მას შეავედ
რა და მონამართლეობა და სიმდაბლე
დაავედრა. შაჰინ-შა წავიდა მარავით
ქალაქით და დარჩეს მარავშიგან ვისი,
რამინ და ძიძა.

პირველსა დღესა დაჯდა ვისი პირმზე
ნებიერად, ფეროვნად და სურნელიანად
სადედოფლოსა მალლად ავებულსა დარ-
ბახსა შიგან, ზეით ქვეშემდისი ოქროთა
მონატულსა. ამას დარბახსა სამინი ვარნი
ეზნეს, ერთი დიდსა დარბახსა გასაეალ-
სა, ერთი წალკოტისაკე და ერთი დაღ-
მა გზისაკე. ჯდა ვისი, ვითა მზე, ტახტ-
სა ზედა სიკეკლუტისა და სიმზიარულო-
ბისაგან თავ დაჯერებული დიდსა გემო-
ობდა, თავით ფერხამდინ თვალითა და
მარგალიტითა შეკაზმული იყო და ვისის
შეენებისაგან ყოველი კეკლუტი დაღუბ-
ქირებულყო. ასი ათასი ვარდი პირსა
ზედა უყვარდა და ოცდა თორმეტი მარ-
გალიტი დაცმული პირსა შიგან უნა-
თობდა. ვისის სუნი ვისაც ეცემოდა,
მკედარსა გააცოცხლებდა და წყლულსა
გამთელებდა. წალკოტსა შიგან ვარდი
მისისა პირისაებრ აყვავებულყო და მუშ-
კისა სუნი სდიოდა და ვისისა საუბრი-
საგან სურნელობისა კვამლი ვითა ჰაერ-
სა ზედა ღრუბელი დადგომილიყო, თუ
სთქვა, ამბარსა და აღვასა აკმევდეს.

სხდეს მათ წინაშე დიდებულთა ცოლ-
ნი და ასულნი ვითა მზენი, თუცა მას

წინაშე არად ჩნდეს და ვარდის წყალსა ზედათ აწვიმეოდეს. სამოთხესა ჰკვანდა მათი დარბაზობა. ძიძა ვითა სამოთხესა, ზოგჯერ ვისსა კაზმიდის, ზოგჯერ დარბაზსა. რა დარბაზობა გამოიყარა და ხალვათად დასხდეს, ძიძამან ზემოსა გზისაკენ რამინ შემოიყვანა მოაბადის საწოლსა შიგან, ვითამცა არც იგი სახლი ენახა და არც მისი გულის წამლები ვისი გაცეადა და არც აღრიდგანი მისი საწადელი გასრულებოდა, ასრე სიხარულითა უკო იქნა და გულსა ესე ვერ დაეჯერა, თუ ესე შენზედა ეგებისო. მისითა შეყრითა უკვდავებისა წყალი წვიმდა მასზედა. რა რამინ ქვეყანისა დამშენებულსა მზესა გვერდით დაჯდა, მაშინვე მისისა გულისაგან ცეცხლი და კვამლი დაშრტა. სიხარულითა ორნივე ლაწვნი უყვარდეს...

მერმე შეჰფიცა რამინ მტკიცითა საფიცრითა ყოვლისა დამბადებელისა ღმრთისა ძალითა და სახელითა, ელვარითა მზითა და მთვარითა, რაცა ცასა ზედა არის,--ყველათ; ცითა და ქვეყანითა, ღმრთისა სჯულითა და ყოვლითა საფიცრითა, რომელ ვირე სულნი ედგნენ, ვირე მათათა ზედა ქარი ქროდეს და

ზღვათა შიგან წყალი და თევზი იპოებოდეს, ბნელსა ღამესა სიშავე ჰქონდეს, ცათა შიგან ვარსკვლავი იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყვარდეს,—ვისის სიყვარულსა არ ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს, არცა მისისა პირისაგან კიდე სხვა პირი მოეწონოს, არცა ვინ სხვა მისგან კიდე უნდეს, არცა ვის სიყვარულისა თვალითა შეხედოს და არცა რა ვისის უნებელი ქნას.

რა რამინ ესე შეჰფიცა და შეაჯერა, მერმე ვისიცა შეჰფიცა აგრევე მტკიცედ, რომელ სიცოცხლესა მისსა შიგან რამინს არ ეცრუოს და არცა მისსა სიყვარულსა არ მოაკლდეს. ერთი იისა კონა მისცა ხელთა რამინს და ეგრე უთხრა:

— ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ნახედე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავ ჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო. მეცა ვარდსა ნიშნად დაისწავლი. სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ენახავ, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა დღე მოკლე ვარ, ოდესცა ესე ფიცი გავსტეხო და ღმერთი უარ ვქნაო.

ღ

მოაბადისაგან საცეცხლის აგზება ვისის საფიცრად

რა მარავს ქალაქშიგან მივიდა შაჰინშა, გულ მხიარულობდა და ვისის სიახლისაგან მზე მისი ვისის პირი იყვის და მუშკი მისი — ვისისა თმა.

ერთსა დღესა ამოდ ჯდა გულმხიარულად ვისსა გვერდით და ეუბნებოდა რამინის სიყვარულისასა ვითა, ეზომი ხანი მაჰისა ქვეყანასა დაჰყავ და ამით გასძლე, რომელ რამინ შენსა გვერდით იყო. თუმცა იგი არ გზლებოდა კირისა მაქარვე-

ბელად, დილად ღამემდი მუნ ყოფასა ვერ გასძლებდიო.

ვისმან კუშტად პასუხი ეგრე მოახსენა.

— ეგზომ ავსა და ბედითსა ნუ მეექვე: ზოგჯერ აგრე მეტყვი, ვიროს ჰყოლიხარო და მისსა ნახვასა მანადლეებ; ზოგჯერ ეგრე მეტყვი, რამინს ჰყოლიხარო. რად მაყვედრებ ეზომსა?

არ ეგების, რომელ ვინცა ვის შეუყვარდეს, ყველა შემცოდე და საკლავი იყოს

და არცა ესე, რომელ ვინცა მიჯნური იყოს, ყველა ღალატსა და მოლორებასა მოყურისასა უდგებოდეს. არ ყველასა გული შენებრ ღალატიანი არის და არ ყოველი კაცი შენებრი შეუპოვარი არისო.

შაჰი მოაბადს გაუქვირდა და ეგრე თქვა:

— თუ ესე ესრეა, კარგია; რამინ საკურთხეველი არის, აღარ დასაწყევარი. აწ შენ შემომფიცე, რომელ შენ მუნ რამინს არა ჰყოლიხარ. რად გეშინიან? შეუცოდებელმან ფიცითა გამოაჩინე შენი სიმართლე. შეუცოდებელსა ღმერთი არ გარდახდეს. მიძღრად უქმელი პირი არ აყროლდების.

რა ვისა ესე მოაბადისაგან ესმა, გულოვნად ეგრე მოახსენა:

— ჰე, ხელმწიფეო საშიშო! მაგა ფიცითა ვერ შემაშინებ, ამით რომელ მართალი ადვილად ჰფიცავს. კაცისა გული რა მართალია, წყლისა შესმა და ფიცის სწორია მისთვისაო.

შაჰინ-შა ეგრე ბრძანა:

— ამის უკეთესი არაა, რომელ შემომფიცო, საეკესა და საყვედურსა დაეხსნა და შენთვის ყველასა მზრახისა ენა დააბა. აწ მე ღიღისა ცეცხლსა დაევაგებ, ალვასა და მუშკასა დაეკვამლებ; ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა, მას შუა გამოიარე, რომელ მასვე წამსა რა შემამფიცო, შეცოდებისაგან სულითა წმიდა იქმნე. ამისსა შემდგომად არცა რა საყვედურითა გკადრო და არცა უნებელი სიტყვა. მაშინ ჩემი სული და საწუთრო იქნები, სიკოცხლისაებრ შემიყვარდები, ჩემსა ხელმწიფობასა ერთობით შენ მოგცემ და შენსა სიწმიდესა გამოვაჩენ.

ვისმან ეგრე მოახსენა:

— ეგრე ქმენ, შენცა გაწმინდი და მეცა გამწმინდე მაგა საქმითა. ვირემდინცა შენ გულსა შიგან არა წმიდასა მეექვე, შენს სულსა და სჯულსა ყველასა იენებ.

შეცოდებისა ნახვა და მალვა სჯობს, ვირე უნახაობა და წამებაო.

მერმე შაჰინ-შა უბმო ყველა ერთობით ცეცხლისა მსახურნი, დიდებულნი და ლაშქარნი მისნი და საცეცხლესა შიგან დიდი საქონელი შესწირეს, რომელ თვითოსა თქვემ არ ეგებინ: ოქრო, თვალი, მარგალიტი და სოფლები. მუნით ცოტა ცეცხლი მოაღებინა, შოედანსა შინა დიდისა მთისა ოღენი ცეცხლი დაავაგებინა, რომელ მისი სიტყვო ცამდინ მისწვდებოდა და მისი ალი კეკლუსა დიაცსა გვანდა, რომელ შარისა პერანგითა ლამაზად იარებოდეს. ანათობდეს ქვეყანასა სრულად მის ცეცხლისა სიდიდე და სიციხითა დამწველი იყო, ვითა მოყურისა გაყრა, და კვამლი მისი აბნელებდა ჰაერსა ცისასა. და ესე არავინ იცოდა თუ შაჰინ-შაჰს რასთვის აუგზნია ისი ცეცხლიო და ესრე ამალდა, რომე მთვარესა ატფობდა მისი ალი.

დადგეს ერთობით ხვარასნელნი დიდებულნი ცეცხლსა წინა. მოაბადის კოშკისაგან ვისმან ნახა იგი საშინელი ცეცხლი და რამინს უთხრა:

— ნახე იმა კაცისა საქმე, ვითარი დიდი ცეცხლი დაუგზნია ჩვენთვისო და იმა შიგან ჰლამის ჩვენსა დაწვასა! აწ ვირე იგი დაგვეწვიდეს, მოე და ორნივე გავიპარნეთ აქეთ. ჩვენ დაგვევათ მოაბადის გული მისითავე ცეცხლითა. გუშინ მეუბნებოდა მოაბად, ვითა შემომფიცე, რომელ რამინს არა ჰყოლიხარო და მეცა დაუწყე საუბარი და ვალორებდი. აწ აქა მოქალაქეთა და ლაშქართა წინა დიდი ცეცხლი დაუგზნიან და მე იმა ცეცხლსა შიგან გამარებს, იმა კაცთა წინა მამაცივნებს და ეგრე მეტყვის, ამა კაცთა წინა შიშველი შედი, რომელ რამინს არავინ გიზრახვიდესო...

სალაროსა შევიდეს და მუნით ღია საქონელი, ოქრო, თვალი და მარგალიტი აიღეს და აბანოსა შევიდეს. ერთი გზა

წყლისა სადინელი წალკოტსა გავიდოდა ესეთი, რომელ არავინ იცოდა; მას ხერგელსა გავიდეს სამნივე და წალკოტსა შევიდეს. მოაბადისაგან გულ დადალულნი მივიდოდეს. მალალი ზღუდე იყო წალკოტისა, რამიხ, ვითა ვეფხი, ზედა შეხლტა და ზეწარი ჩამოუშვა; ორნივე (ვისი და ძიძა) ზეწრითა ზე გაყვანა და იმიერით ჩაასხნა. თვით უქირველად ჩახლტა. სამნივე ზეწრითა, ვითა დედანი, პირდაბურვილინი წავიდეს.

იცოდა რამინ ერთი ვენახი, რომელსა შიგან ერთი კარგი მეზრე იყო, მოყვარე მისი. მაშინ მისასა მივიდა და მუნ მოისვენეს. მერმე ვენახით მეზრე გაგზავნა თავისა ყმასა კარგსა მისანდობელსა თანა და ეგრე უბრძანა, ვითა უკეთესი ცხენნი დამიკახშენ, ჩემი აბჯარი და თუ რა საქამადი გაქვს, სულითა ზედა აქა მომიტანენ, რომელ ვერავინ გიგრძნასო. მივიდა რა მასვე წამსა რაცა უნდოდა, შინათ მოარავეს.

რა შელამდა, შესხდეს და ესრე წავიდეს სამნივე, რომელ ქარი ვერ ეწეოდა. აღამიანმან ვერავინ ნახა. ესეთი მინდორი, რომელ ვეშაპთა ოდენ სადგომი იყო, უწყლო და უსამოვრო, — მათ ერთგან ყოფისათვის სამოთხედ უჩნდა: ქვიშა, ქვა, სიციხე და წყურვილი მათ მიჯნურობისაგან ღმრთისა წყალობად უჩნდა და ერთმანერთისა სიახლისაგან ვერცა სიციხესა იგრძნობდეს, ვერცა სიციხესა. ვითამცა თამაშად იარებოდეს. არ ეზომ საჭიროსა ადგილსა და გზასა მიდიოდეს. ჩინეთს ქვაზედა სწვრია ვითა, მიჯნურთა ჯოჯოხეთი სამოთხედ უჩანს; რა მოყვარესა ახლავს, მიჯნურსა, თუ ბილწიცაა, მას ეტრფილავს. მინდორი ვენახად უჩანს, თოვლი წალკოტად. მიჯნური მთერალსა გავს, რომელ, რა კაცსა ეთროს, კირი და ლხინი ყველა სწორად უჩანს.

იგი მინდორი ათ დღე დალიეს და მარავით ღრეს ქალაქს მივიდეს. რამინს

ერთი მოყვრე ესეა კარგი და მისანდობელი; რესა მას კარგი სახლ-კარი ჰქონდა და ღია უხვი და კარგი კაცი იყო. სახელი ბეპროზ შეპროს-ძე ერქვა. მისი სახლი სამყოფად ამო იყო და ყოვლითა კეთილითა საესე. ძილპირისა ყამსა, რომელ ღამისა სიბნელისაგან გზა არა ჩნდა, რამინ მივიდა ბეპროზის კარსა გულ მხიარული და კირთაგან ხსნილი. რა ბეპროზ ნახა რამინ, სიხარულითა არ დაიჯერა, თუ არ მეზმანებისო. ეგრე თქვა:

— ესეთსა ყამსა, რამინისებრი სტუმარი ვისთვის ეგებინა?!

რამინ ეგრე უთხრა:

— ძმაო, ესე ჩვენი ხვაშიადი შენისა სიკეთისაებრ დამალე და ნურავის უთხრობ, თუ რამინ მოსრულა ანუ სტუმარი მყავსო.

ვისი, რამინ და ბეპროზ, ვითა მათ სწადდა, ეგრე იხარებდეს ერთგან ასსა დღესსა, ასრე რომელ მათი ამბავი არავინ იცოდა. კარ დახშულნი და გულ გახსნილნი დღისით თამაშობდეს და ღამით გამოჩინებისა შედეგად რამინ ჩანგი აიღის, ცემა დაუწყის და ზედა სიმღერა თქვის და სამიჯნუროთა შაირთა ამოთა ხმითა, ვითა:

„ჩვენ ორნი კარგნი მოყვარულნი ვართ, ერთმანერთისათვის სულთა ვავსწირავთ; სიხარულისა განძნი ვართ, მაგრა მტერისა თვალთა ბოძალი ისარი; თუცა ჩვენი სიხარული და გულის ნება გვაქვს, ჩვენი მტერი ამით ღია უპატიოდ არის და საწყალად; რაზომიცა კირი დაგვემართოს, ჩვენ ერთმანერთს არ გავეყრებით, ვერცა ოდეს სიახლითა გავეძღვებით; ჩვენ სიხარულისაგან კიდევ ვერას ენახავთ; ბედსა ჩვენთვის ესე მოუცემია. აჰა, ამოო ვისო, რამინს წინა მჯდომო! რამინ შენგან მხიარული, შენ რამინისაგან. აჰა, ამოო ვისო, პირ მხიარულად ბაგე მღიმარეო! არ ვინანი ჩემსა თათბირსა, არ ვინანი ამა ესრონისა ქნასა; ვიხარებ ამა მგზავრობასა, რომე ვისისებრი ნადირი

ვინადირე. შაბაშ რამინ, რომელ შენი საწადელი აისრულე! აწ ვითა გწადიან, ეგრე ახარებდი გულსა, — მოყვართა ნება ერთგან გაქვს, სამოთხესა შინა ხარ. შენი ვარდი დაუმკნარია, შენი მოყვარე მზე არის, რომლისა ბელითა რასაცა ეძებ, პპოებ. ღმრთისაგანცა კურთხეულარს მაპისა ქვეყანა, რომელსა შინა ვისი პირმზე დაბადებულა! კურთხელმცა არის ვისის სიცილი, რომელ საწუთროცა მისისა სიცილისა მონა არის! მიბოძე, ვისო, ბროლისა ხელითა სახელმწიფო კიქა, რომელსა შიგან ლეინო შენისა ლაწუნისებრ წითელი დგას. მე ოდესცა შენისა ხელისაგან ლეინოსა შევსვამ, უკვდავებად მიჩანს. ლეინო ვერ დამათრობს, შექირვება არ მომივა შენისა სიყვარულისაგან, მე ქირი არა შემწონს. რა ამოდ შემამხუნენ, ღმრთის წყალობად მიჩანს. ჩემი პატივი შენგან გაძლიერდების და შექირვება ჩემი შენგან განქარდების. გული ჩემი სადაფი არის და შენ შიგან სარგალიტი; ჩემი მკერდი ცა არის და შენ მას ზედან ვასკვლავი: ღმერთმან ესე სადაფი უმარგალიტოდ ნუ გახადოს და ესე ცა უვასკვლოდ. მიწყითმცა შენად არის შენგან მხიარული! მოვა ესეთი ჟამი, რომელ ჩვენსა სახელსა ახსენებდენ და ყოველსა კაცსა უკვირდეს ჩვენი სიყვარული, სახელი და სიხარული. ესეთი სიკეკლუცე ხამს თუ უკუნისამდე იხსენებოდეს. გულო, თუცა დია ქირი და სასჯელი ნახე, აწ მოყვარისაგან ლხინსა და გულის ნებასა ხარ. ჩემი გული მით სიყვარულითა საესეა, რომელ მოყვარისა პირი მზე და მოვარე. შენ დღე და ღამე იხარებდი მისითა პირითა და მტერთა და მეშურნეთა სიკვდილსა იგონებ. ხურმა და ეკალი ერთსა ხესა ზედა იქნებიან, ეგრეთვე მიჯნურთა სიხარული და შექირვება მისი ერთგან იქნებიან. აწ, გულო, თუ შენ სული შესწირო, მისისა ერთისა კოცნისა მუქაფა არაა. მე სული ასეთისა მოყვარი-

სათვის მინდა და საწუთრო ესეთისა საქმისათვის დაბადებულა. აწ შენ სმიდი ლეინოსა, ნუ შეიჭურვებ! ხვალე რაცა ღმერთსა გაუგია, იგი წაგეკიდების. ნუ თუ ხვალე თვით უკეთესი წაგეკიდოს მისგან, რომელსა დღესა მიელიო“.

ოდესცა რამინ ლეინოსა სმიდის, ესე გვარსა იტყოდის, იმღერდის და უბნობდის. ვისი კეკლუცთა სანთელი, მხიარულად იყო. არა დააკლეს ორთავე გულის მონაცემი; აქათ ვისი და რამინ ესრე იხარებდეს ო იქით შაჰინ-შა ქირსა და მოყივნებასა დჯეფრსა შიგან იყო, რომელ ვისსა აფიცებდა და საეკეისაგან გამოიყვანდა.

ოდეს ძებნა დაუწყო ვისსა, ველარა პოეა. საწუთრო თვალთა წინა დაუბნელდა. ერთსა დღესა და ღამესა ეძებდეს. მოაბადს ლეიძლსა ცეცხლი ეღებოდა და გული თვით მისგანვე დანაგზებესა სახმილსა შიგან ეგზებოდა. რა პოენისა იმედი გარდასწყვიტა, თავისა სიკვდილი სანატრელად გაუბნდა: მერმე ძმასა მისსა ზარდის თავისა საჯდომი შევედრნა და მას მიანდენა, ამად რომელ ძმაცა იყო და მისანდობელი ვაზირიცა.

მოაბადისაგან გაღარიბება ვისის სამებრად

მოაბად, თავით თვისით, ქვეყანათა შიგან ვისის სამებრად წაიღია. მარტო მისთა ეზომ ქონებათაგან ერთი ხრმალი და ერთი ცხენი, რომელნიცა ბუნებად ერჩივნა, წაიტანა და წაიღია. ქვეყანათა შიგან მარტო იარებოდა. გულ ტკივილისაგან და სიყვარულისაგანცა მიუცილვებულად ვისსა ახსენებდის. მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოხერი და შენი, ზღვა და ხმელი, ჰინდოეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ჩინი-მაჩინი, რანი და ერაყი; ვისის ნიშანსა და ამბავსა იკითხვიდა. ვერცა თვით მიხვდა და ვერცარა მისი ნიშანი სხვაგან ესმა. ზოგჯერ არნისებრ მათათა და კლდეთა ზედა იარებოდის, ზოგჯერ

ლომისაებრ ლერწამთა და ტვერთა შიგან იარებოდის, ზოგჯერ გარე-თხისაებრ მინდორთა შიგან იყვის, ზოგჯერ გველისაებრ ხერელთა შიგან იყვის. არ დარჩა ადგილი, სადამცა არ ეძებნა.)

ხუთსა თვესა ვითა ხელი და მტერიანი ცურვიდა ვისის გზათა უკანა. ზოგჯერ სიციხითა მისჭირდის, ზოგჯერ სიციხითა თავუწვევარ იქმნის, ზოგჯერ მგზავრთაგან კამის პური, ზოგჯერ მეცხოვრებთან კამის პური; რაცა მიხედის, მათითა ცოცხალიყო. ქვე ვერა დაიძინის; ხელმწიფესა, ნანებთერებსა, შარტქონდა მიწა ჰქონდა და სასთაულად მისივე მკლავი. ამა ხუთსა თვესა ქვეყანათა შიგან იარა ამხანაგი მისი შექირვება იყო და ნადიმი—მგზავრობა, დია ქვა იკრის გულსა და დია სისხლი დაღვარის თვალთაგან. ოდეს უგზოსა გზასა იარებოდის ანუ მარტოდ სადმე დარჩის, ეზოში იტირის, რომელ ტანისამოსი მისი დაიწურვოდის. ვერცე თქვის:

„რა ექნა? აჰა სადაა ჩემი ლაშქარი და საკურქულე დაუთვალავი, ოქრო და საქონელი? გულისათვის ყველა გავანქრივე, დავთმე. არცა აწ გული მაქვს და არცა ხელმწიფობა; მოყვრისაგანცა კიდე დე-ჩომილვარ და ხელმწიფობისაგანცა. ესეთსა ჟამსა სიკვდილიცა ამო არის. ქარი რკინისა მეცემის და მიწა ფერხთა ქვეშე ცეცხლი არის. თვარა კველუცი ვნახო, ყველა გველვეშაპად მტრეჩენების, გული ჩემი ღრუბელსა ჰგავს და ჰაერი მგულელსა. ნაღვლისაგან ძალი გამომღებია. მისისა სიყვარულისაგან თვალნი დამბრმობიან და გული უგუნებო მქნია. საწუთროსა ლხინი აღარად მიჩანს. მიჯნურობასა წინათ ძლიერი ვიყავ და ყოვლისა საქმისა მეცნიერი აწ დაუსუსურებულვარ და ესრე გასრულვარ, რომელ ვერცალა რას აესა შევივებ, ვერცა კარგსა. ცუდად წამიხდა აქამდისი სახელი, წამიხდა სიყვარული მოყვრისა, ქარმან წამილო ჩემი ნაჭირვები, გულსა ცეცხლი

ამიღდა! აწ ქვეყანასა შიგან რას ვინ მიზრახავს? ყოველსა კაცსა აწ მოვსძულეებივარ და კაცსა წინა ასუბუქებულვარ, შმაგი და მტერიანი ვგონივარ და მართალან. თვით მათცა უარე ვარ. სიხარული და ხელმწიფობა დამიგდია და მარტო მინდორთა შიგან ნადირთა თანა გარეულვარ. რად მოვისმინე მაშინ ჩემთა მტერთა და მეშურნეთა სიტყვა, ოდეს შევენება უკლები ჩემი ვისი ხელთა მყვა? რადგან უმისობისა გაძლება არა მქონდა, მე თუ ღმერთან შემიწყალოს და ერთხელ მისი ნახვა მოლაშდვდეს, მისსა მზობასა, ვითა მონა, ემორჩილობდი. ჩემსა ხელმწიფობასა და გვირგვინსა ყველასა მას მივცემ; ვირე ეცოცხალვიყო, პატრონი იგი იყოს, აწ რადგან მიჯნურობისა ძალი შემიგიან, რაც მას იამების, მე მისი ქნა მინდაო.“

რა მოაბად ექვსი თვე იარა ქვეყანათა შიგან, ერთსახე დასაწყულდა, დასნეულდა. საწუთროსა მუხთლობისაგან შეშინდა ღარიბად სადმე უკაცურად სიკვდილისათვის: ნუთუ მტერმან ჩემი ადგილი დაიჭიროს უჩემობითა. შეიჭირვებდა თავის საქმესა და გამოარჩივა, რომელ გარე შეიქცეს და შინა მივიდეს; აწ ვისის ძებნა დაავდოს და იმედსა იყოს უკანის პოვნისა მისისა. შემოიქცა და მარავს, თავისა ქალაქს, მივიდა. ყოველი კაცი მისითა მოსვლით გაემხიარულდა და სამახარობლოც გასცა ყველამან; ღმერთსა ჰმადლობდეს, შეჰკახჷ მეს ქალაქი და ბანთა ზედა მზისა. მსგავსნი დედანი. ეზოში ოქრო და თვალნი შეაყარეს. ქალაქსა შემომავალსა, რომელ მის ქვეყანისა გლახა ყველა გამდიდრდა.

მოაბადისაგან მარავს მოხვლა და ვისის ამბვის ცნობა

ოდეს შაჰი მოაბად თავისა სადგომი დარბაზი, ქვეყანა და ხელმწიფობა ქვე დაავდო და მინდორთა მიმართა, მაშინ რამინ წიგნი მოუწერა რე ქალაქით დედასა და გაახარნა თავისა სიციოცხლითა:

„საწუთრომან მეცნიერობასა და ძმასა მამწყეიდა ამა მიზეზითა, რომელ ძმა ჩემსა სიკვდილსა ლამოდა, ჩემთვის მკვეთისა ხრმლისაებრ უწყალოა, ჩემსა და ვისის დახოცასა ლამოდა. რადგან ესეთითა, მე ერთი თმა ვისისი მისებრსა ათასსა ძმასა მირჩევია. მე ვისის სიამოვნისგან კიდე სხეასა ვერას ვხედავ. სიკვდილი ჩემი რად უნდა? ძმა არის ჩემი, ერთის მამის შექნილი ვართ და ერთის დედისა ნაშობნი. ყოვლისა საქმითა მე ვსჯობ,—მოედანსა შიგან ორმოცდაათი მაგისებრი ვერ გამისწორებს. რა მარაგი დამიგდია, სიცილისა და სიხარულისაგან კიდე არა მიქნია რა. მაგას ვიახლოა? ვითა ველური თხა ავაზისაგან კბილითა დანაყილი ვარ. ეზომი ჭირი და ფათერაკი მაგისგან არ გვეყოფოდა, რომელ გეპირდა, კვლა ცეცხლითა რადლა გეწვიდა? არ ღმერთთა, რომელ ჯოჯოხეთსა მიგვეცემდეს...“

შენმან სიყვარულმან, ლაშქართა შევპყრი და ტახტისაგან ჩამოვითრევე და მე და ვისი დაეხსნებით. დიდხან ესრე ყოფა არ შეგვიძლია. ესე ჩემი სიტყვა დაისწავლე, რომელ ესე საქმე ადრე იქნების. ვისი დია სალამსა და თაყვანისცემასა მოგახსენებსო“.

რა შაჰი მოაბად კვირა ერთი შინა გამოისვენა, დარბაზობა შექნის და კიდევ, მალე გაყარის, ვითა მგლოიარე დაჯდის, მიწყით დაღრეჯილი იყვის. ღამესა ერთსა დედამან ეგრე მოახსენა:

— რად ხარ ნიადაგ დაღრეჯილი, რომე წამსაცა არა გაქვს სიხარული? რა გჭირს ეგეთი? ერანცისა და თურანისა პატრონი ხარ, ჩინით ყიროვნამდის ყველა შენია და შენსა ფარმანსა ქვეშე არის: ნუ ხარ მიწყით ესრე შეპირებებით. უმხიარულობისათვის, შენი სული რად არ გებრალეების? ანუ მე ბერი დედა შე-

ნისა ეგრე ხედვისათვის რად არ გეწყალები?.

შაჰინ-შა ეგრე მოახსენა:

— დედაო, ჩემი საქმე ესრე არის, ვითამცა ჩემი გული ჩემი მებრძოლი იყო. ვისის სიყვარულისაგან წამსაცა ვერ გამოვისვენებ. რაზომსაცა შევაგონებ, არ მომისმენს და არცა სიხარულად უჩანს. ექვსსა თვესა ქვეყანათა შიგან თავისა გზისა უმეცარი მარო და ღმერთმან იცის, თუ რა ჭირი ენახე. აწ შეფოთი და შემპირნიე ანად არის, თუ უმოყვროდ რად ვარ ცოცხალიო. ვირე ესე გული ჩემსა ტანსა შიგან არის, სხეისა მტერისა ბრძოლად არა მკალს. მე თუმცა-სით ვისის ამბავი მესმა, შეპირებებისა ჭირი დამიმოკლდების. ესრე ამითქვამს ღმერთისადა, თუ ვისი ენახო, ერთობით ხელმწიფობასა ჩემსა ხელთა შეგედრებ, მას მივსცემ და მისისა მბობისაგან კიდევე აღარა გამოვალ. რაცა ჩემთვის შეუტოდებია, ყველასა შეუნდობ. ვირე ცოცხალვიყო, არ დავაყუდრებ, არცარას რამინს უზამ ავსა. ძმა არის ჩემი და იყოს აქა ჩემად იმედით და ზურგადო.

რა ესე სიტყვა ესმა დედასა მისსა, მისგან გულსა ცეცხლი მოედვა რაჰინის საქმისათვის. ესრე ატირდა, რომელ უბენი დაისოვლნა, ხელი გამოულო შაჰინ-შას და ეგრე მოახსენა:

— მტკიცედ შემამფიცე, რომელ ავი არა უყო რამინს, არცარა ვისსა და არც-არა ემტერებოდე და რაცა აწ შემომფიცო ყველა გაასრულო, რა აქა მოვიდენ; დია არ გამაწბილო ღმერთსა და კაცთანა და მე მოგახსენო სადაცა არიან და რა ესე შემაჯერო, მაშინლა გამოგიცხადებო.

მოაბადს რა ესე ესმა დედისაგან, სიხარული შექნა და ფერხთა მოეხვია, შეეხვეწა და ათასჯერ ჰირი და ხელნი მოუკოცა. ეგრე მოახსენა ვითა, ვიცი რო-

მელ ჩემი სიციცხლე გინა და მე, ვითა მმართვეს, აგრე შენი მოყვარული და ბრძანებლობისა ქვეშე მყოფი ეყოფილ-ვარ, აწ გამომიყვანე მგ ზებარისა ცეცხლი-

საგან, მეწიე და შენითა სიკეთითა სულნი ჩამიდგენ. მე შენსა მბრძანებლობასა არ გარდავხდები და რასაცა ზედა გწადიან, შემოგფიცავ.

ე

2

მოაბადისაგან შაჰროსა და ვიროს წვევა და ნადიმის ქნა

ზაფხულისა ჟამი იყო, დღე ამო; მინ-დორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა გვანდეს; ხენი ნაყოფიანნი, წყალნი მდინა-რეინი და ფრინველნი ზედა დამღეროდეს; ნარგისნი მწღეთა გვანდის და იანი თავ-ჩამოგდებულობითა — მთვრალთა; შტონი ნაყოფისაგან — ნოშრევანისა გვირგვინსა სიტურფითა; ველნი სინწვანითა ზურ-მუხტთა და მთანი ბეემდესა; ყოველი ქვე-ყანა ყვავილითა, სიტურფითა და სულ-ნელობითა ავსილიყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა.

ჯდა წალკოტსა შიგან შაჰინ-შაჰ და უჯდა გვერდით პირ-მზე ვისი; მარჯვნით უჯდა ვირო, მარცხენსა მხარსა შაჰრო, პირისპირ ჯდა რამინ და წინა სხდეს ხანნი მუტრიბნი, იმღერდეს, სმიდეს და გაიხა-რებდეს. იყო დიდებულთა ჯალაბობა მგო-სანნად სიმღერა თქვა ვისისა და რამინის მიჯნურობასა ზედა, ვინცა კარგად გაი-გონებდა, შეეტყუებოდა ძალი სათქმელ-სა. იამა შაჰან-შასა, ეგრე უბრძანა:

— ამოდ თქვი ეგე სიმღერა. აწ ვისის და რამინის მიჯნურობასა ზედა სხვა სიმ-ღერა თქვი და გამოაცხადე მათი საქმეო. ვისი რა ესე მოისმინა, მუტრიბსა სა-ბომქარი უბოძა და ეგრე უბრძანა:

— რადგან შაჰინ-შას ჩემისა საქმისა გამოცხადება სწადიან, ვისლა უმაღავ, თქვიო.

მუტრიბმან იგივე სიმღერა თქვა ვითა, „ენახე ხე დიდი და თავი მისი ცათამ-დის, ჩრდილსა ქვეშე დაეპყრა ქვეყანა

და მზისაებრ ნათობდა. ქვეშე წყარო კეკლუცი დიოდა და მიდამო ია და ვარ-დი ყვოდა, სუნბული და სოსანი. მისსა სიახლესა მოზვერი იყო მსუქანი, ზოგ-ჯერ სათიბსა მოსძოვს. მიწყითმცა წყა-რო იგი მდინარეა დაულეველნი, სათიბი მწვანედ, მოზვერი მსუქნად და მძოვნე-ლად, ხე ნაყოფიანად!“ ხედ შაჰინ-შა ეთქვა, წყაროდ — ვისი და ლალი მოზვე-რი რამინ იყო. რა ესე სიმღერა გამო-ცხადებთა კარგად გაიგონა, მოაბად ზე აიჭრა საჯდომთაგან და რამინს თმანი შესტაცნა, მოიწვავდა დანა და ეგრე უთ-ხრა:

— შემომფიცე აწვე, რომე ვისის სი-ყვარული აღარ გქონდეს და არცაღა ოდეს დაეკარო, თვარე აწვე ავიღებ თავსა შენსა ტანისა. შენისაგან, რადგან ტანი ჩემი შენისა აუგისაგან უთავო იარებისო.

რამინ ეგრე შეჰფიცა მათითა საფი-ციითა მტკიცედ, — პირველ ღმრთითა, მერმე ცეცხლითა, მზითა და მთვარითა, რომელ „ვირე სულნი მედგან, არცა და-ვაგდებ და არცა მისისა ძებნისაგან მო-ვისვენებ. ჩემთა დღეთა მას შევაწვევ, ასრე არ გაესწირავ. თქვენ სალოცავად მზე გიჩანს ცისა და მე ვისის პირი. იგი სუ-ლი არის ჩემი და თავისა ნებითა კაცი-საგან სულთა ლევა არ ეგებდის. შენ თუ გწადიან, დამარჩინე. მე მისსა სიყვა-რულსა ვერ ველევიო.“

შაჰინ-შას რა ესე ესმა, მეტად გაუ-წყრა და გინება დაუწყო; ქვე დადვა,

თავისა მოკვეთასა ჰლამოდა და სადაცა ეზომ ძნელი სიყვარული სჭირს, მის აღვილისა დანითა გამოკვეთასა. რა რამინ

მოკვლა დაისკენა, ორნივე ხელნი დაუქირნა მოაბადს, ხელთა დანა გამოუღო და წამოვიდა.

3

ვისის და რამინის ერთმანერთის გაყრა.

რამინს მოეწყინა ნიადაგ კირის ნახვა და გაძლა დღე და ღამე ვისისა უკანა დგომისაგან, თვითო წამისა ბადესა შებნისაგან და ყოვლისა კაცისა ყვედრებისაგან. შაჰინ-შას კაცი მიუგზავნა, ევრე მოახსენა:

„ესე აქაური ჰაერი არ დაშაშუნდების, ჟუტროსჯერ თვით ავად ვარ. თუ ბრძანოს მეფობამან შენმან და დიდებასა მაღირსებდე, ერასე წავიდე და გამსახურო მუნაუჰთა ლაშქართა თავადობითა“.

რა მოახსენეს შაჰინ-შას, გაეხარნეს. გაასრულა რამინის მოხსენებული. ვისისა ამისა მსმენელსა, თავი ცოცხლად ალა-

რად უჩნდა, გული უმცირდებოდა და გულისა კენესა შეჭნოდა...

რამინ მივიდა წამავალი ვისის გაძროსათაყვანებლად. ხელი ხელთა დაუქირეს ერთმანერთსა და წალკოტსა შევიდეს მარტოდ, მოეხვივნეს ერთმანერთსა. ნათისა პირისაგან წალკოტი აყვავდა და მათისა თმისაგან ნიაფი გასურნელდა. ვისი პირშეგნებიანი თვალთაგან სისხლსა იდენდა, ლაწენი ოქროსფერ ქონდეს, თვალთაგან ათასისა ღრუბლისა ლეარნი გარდმოსდოლდეს მერმე მოეხვივნეს და აკოცეს ერთმანერთსა და გაიყარნეს.

რამინისაგან გულისათვის გამიჯნურება.

რამინ დაიწყო ყოველგან თავისა ქვეყანათა სიარული საურავად, ნადირობად და თამაზად. დღესა ერთსა ნადირობით მოვიდოდა და, ვითა მზე, ქალი ნახა. გულ ერქვა სახედ და შევნიებით უკლები იყო, გაზაფხულისა ყვავილი იყო გულისა გამამხიარულებელი, კირისა მაქარეებელი, სამართლისა მოქმედი და გულისა წამის ყოფით წამლები, კეკლუცთა ხელმწიფე, მოყმეთა ხელოვნად მიმზიდავი, სნეულისა გამამართლებელი, კირვეულთა მალხენელი. პირი ვარდიანსა წალკოტსა უგვანდა და თმანი შავნი და გრუზნი სიზშირითა შაქრისა ლერწამსა. კოკთამდის თმისა მისისა ყალბი მიჯნურთა ტოილო იყო, ბაგეთა მისთა სიმცროსა ზედა გემო ყანდისა ჰქონდა და ამა

იაგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული. წამწამთა მისთა მშვილდოსნობა აფხაზთაგან ესწავლა, ამბარი ფერსა და სულსა მისგან ისახებდა. ძოწეულისა ყვავილი მისთა ლაწეთა სახე იყო, ტანისა სითეთრე ბროლსა უგვანდა ყასაბ გარდაფენილსა. სიამაყითა ყმაწვილსა ხელმწიფესა გვანდა და საწადლობითა სიკოცხლესა; შევენებითა გაზაფხულისა წალკოტსა და დიდის გემობითა მარტორქასა. რა დაინახა რამინ ნაძვი მავალი და მთვარე სულიერი, რომელ ვითა ნზე კიმციმებითა არ გაიცადებოდა, გული შეუსუსტდა; ვითა რეტი უქვრეტდა, ხელთაგან ისარი დავარდა... რამინს ესრე შეუყვარდა, რომე ვისის გული და სიყვარული დავიწყებოდა.

ქორწილი რამინისა და გულვარდისა

ორმოცსა ეყსა ადვილი შეკაზმული იყო და მკვრეტელნი დგეს ბანთა ზედა. ხელთა ფეროვნისა ლეონისა ქონება ამას უკვანდა, ვითამცა ხელნი ყაყაჩოთა სახენი ყოფილიყვნეს. ლამით სანთლისა სიმღაველითა ქვეყანა ცასა ვარსკვლავიანისა დამზავსებულიყო. ნფრინველნი მუტრიბობდეს, სურნელთა კმევისაგან ჰაერსა ზედა აღმური გასრულიყო. დიაცი და

მამაცი თვესა ერთსა სიხარულისა და სმი-საგან დაშერეს.

ცოლ-ქმარნი მოყვარულნი და მოყმენი შეყრილიყვნეს. რა თვე ერთი გარდახდა, ქორწილობისა ჯალაბი გაიყარა. დადვა რამინ გული ჯამად გულისა შესაგვარად. იხარებდა, ინადირებდა, იასპარეზებდა, სმიდა და თამაშობდა...

წიგნი ვისისი რამინს თანა

ესე წიგნი განხმარისა ნაძვისაგან— აწვეანებულსა მხიარულად მოზრდილსა კვიპაროხსა წინაშე, მთვარისა დაბნელებულისა და მილეულისა— ცათა დამაშვენებელსა ელეარესა მთვარესა, აობრებულისა და გამხმარისა ვენახისა— ახალშენისა სამოთხისაებრსა წალკოტსა, ცარიელისა და ბედითისა სადაფისა— გაუპობელსა თვალ მარგალიტიანსა სადაფსა, მზისა ჩასვლისა დაღრეჯილისა— აღმოსავლეთით ახლა აღმოსრულსა მზესა, დამკენარსა და წახდომილისა ფურკლინისა— ახალ ამოსრულსა წითელსა ვარდსა, დამშრალისა ზღვისა— თვალ-მარგალიტიანსა ჰომანისა ზღვასა, გაუბედურებულისა და დასაწყლებულისა— ყოველთაგან სანატრელსა ბედნიერსა, სიყვარულსა სიკვდილისა დღემდი მიმტანებელისა— გამწირავსა და უხანოსა, პირისა კეკლუც ყოფილისა და აწ დაღუბნიერებულისა— წამის წამ მამატებელსა პირსა წინაშე, და გულისა ცეცხლითა დამწვარისა— ჩინურის სტავრისა მსგავსსა, თვალთა დღე და ღამე უძილოთა ცრემლიანთა— თვალთა ნეპიერათ მხედავთა, კარგისა მოყვარისა საკუთრისა გულ მხურვალისა— ავის

მქნელსა და დამმტერებელსა, დასაწყლებულისა და განეჩარვებულისა— ყოვლისა ქვეყნისა მორკმულსა ხელმწიფესა წინაშე დამიწერია ესეთი წიგნი, ესეთსა ყოფასა შინა მყოფსა, რომელ ტანი სული-საგან და სული ტანისაგან აბეზარ მქნია.

მე კდღევანობისა ცეცხლითა ვიწვი, და შენ სმასა და სიხარულსა შინა ნიშტიანმდ. მე სიყვარულისა საკუტრკლისა მექურკლე ვარ, და შენ მტერობისა ხელისა უფალი. აწ ამას გაფიცებ ჩემსა სიყვარულსა და შეყარასა, და თვით დამბადებელსა ცისა და ქვეყანისა ღმერთსა გაფიცებ, რომელ ესე წიგნი სრულად წაიკითხო, ჩემნი ჰირნი სცნენ და რაცა მომიხსენებია, გაიგონო...

მე იგი წმიდა ვიყავ, რომელ გინახავ ყოველსა ქვეყანასა ზედა, რომელ სიწმიდითა ცისა ცვარსა ვგვანდი და სიტურფითა ვარდისა ფურცელსა; ვერა რომელსა მამაცსა ეპოვნა ჩემთანა გულის ნება და საწუთროსა არ დაედვა ჩემზედა აუგი. კანჯარსა ვგვანდი მიწდორად მავალსა, ყველასაგან გაუვლენელსა; არა რომლისა მონადირისა პირი მენახა. შენ იყავ ჩემი მკლველი და მამაყივებელი,

შენ დამიღვი გზასა უწრფელობისა ბაღე და დამაბი. აწ მარტო ორმოსა შიგან ჩაგიგდივარ და წამსვლიხარ! მამლორევე, მომატოუნე და აწ გამწირო... წახვე ჩემგან შეუცოდებლად და დაუმძიმებლად, და ესეთისა მოყვრისა აუგნი მოსთვალენ, რომელ მას შენგან კიდე არავინ უყის... მე იგი ვისი ვარ. რომელ მზეა ჩემი პირი და თმა მუშკი; მე იგი ვარ, რომელ პირისა სისავსე თხუტმეტისა დღისა მთვარესა მიგავს და ბავე უკედავებასა; მე იგი წყლიანი ვარ, რომელ სიყვარული ჩემი ხანგრძლია; მე ტურფათა დედოფალი ვარ და გრძნეულთა ხელმწიფე. ნე შენგან უკეთესსა ხელმწიფესა დია ეპკოვებ, მაგრა შენ ჩემებრსა ველარავის. მე ოდესცა გამწირო და წამიხვიდე, შენოქცეული გვიანადა მპოვებ.

„ნუ იქმ, რამინ, — რა ინანდე, ვისისგან კიდე წამალსა ვერას პპოვებ; ნუ იქმ რამინ. რა გულისაგან გასძღე, ქაბუკობითა ვისის ველარ მოიხელეებ; ნუ იქმ რამინ, — აწ შენ მთვრალი ხარ და სიმთვრალითა გაგიტეხია ზენაარი; ნუ იქმ რამინ, რა ნოფიზლდე, რომელ უცოლო და უმოყვრო დარჩე! გნახე ესეთსა, რომელ ჩემსა წინა სტიროლდე და პირსა ჩემისა დარბაზისა კარსა დასდებდე; მტერობა სიყვარულად მოაქციო, მე მეძებდე და ველარა მომხვდე.

რაზომცა შენგან მტერობა ვცან, კიდეგანობისა ბორკილითა დამქედე და გულსა ცეცხლი ჩამიგზენ, თვალთა სისხლი მადინე, სისხლისა ტბასა ჩამაგდე და ჯეონსა შიგან ჩამიჩევე. მე გული არცა ეგრე მეტყვის შენსა წყევლასა და შენგან ღმერთსა წინა ჩივილსა. ღმერთმან შენი ქირი მე ნურა მომასმინოს, — მე შენი ქირი შენგან უფრო მეტკივნების.

თუ შეიძინევი ცანი ქალადლად მქონდეს, სრულად ვარსკელავნი მწიგნობრად ნყვეს, ღამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქვიშათა და თევზთაებრ

ხშირად სხდენ, — აღსასრულამდინ იმედი და ნატრა ჩემისა მოყვრისა ნახვისათენ მქონდეს, — შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავსწერ სურვილსა.

„მე შენისა სიშორისაგან კიდე ვერა შემაშინებს, მე უშენობისა კიდე ვერა შემაქირეებს. შენგან შორს დარჩომილსა არა მაქვს გამოსვენება. სიცხესა შიგან ვერავინ დაიძინებს და მე ცეცხლსა შიგან მყოფსა რა გამოვიხვენო?

საწუთრო ესრე ამშფოთებია, ვითამცა ეტლთად შებმულევიყავ; საწუთრო ესრე ამშლია, ვითა უთაეო ლაშქარი; შექირეებასა ქვეშე ესრე შემილამდების დღე, ვითა ველურსა თხასა ავაზისა შიშითა. თუ ესეთისა ყოფისაგან ვტრროდი, ნუ გიკვირს, ნუენ მიალეებთ. მე ვარ უმოყვრო და ქირთაგან მოყვრიანი, მე ვარ უსაქმო და მიჯნურობისა საქმეთაგან დაბნეული, ვერას ვავისვენებ უშენოდ. ნუთუ შენ იყავ ჩემი სიცოცხლე, რომე უშენობითა გულსა შიგან ჩემსა დასთესე შენი სიყვარული და აწ ზენაარ მორწყე სიხარულისა რუთა.

მიუცილებლად ჩემო საგონებელო, რა წახვედ და მოგშორდი, გული და ცნობა ჩემი თანა წავიტანია. მით გვედრებ, გარნა მას ვიკითხავ, რადგან წამიხვე, ჩემგან მძევალი რადლა გინდოდა? მე შენთვის უზიაროდ მომიცემია სული, გული, გამოსვენება და თიობა. მე უამისოდ ღზინისა მძებნელი ვითლა ვარ? ჩემი გული წამსა მოუშორეებელი ესრე შენი მნატრელია, ვითა სნეული სიმრთელისა. მას სხვისა ვისსაცა სიყვარულისა ძებნა არ შეუძლია; რომელსა გულსა სიცოცხლე შენგან უნდა, მას გულსა შენ ვითა დაავიწყდები? რაზომცა შენგან ქირნახულია, ეგრეცა სულთაებრ უყვარ. თუცა შენ ჩემზედა რეგენობითა უღრმთოდ იყავ და გამწირო, მე ვერცა ვერე მოგიშორებ. აწ უფრო მეგონები, აწ უფრო მიყვარ და რაცა ავი გიქნია, ვერ დაგა-

ყვედრებ. მუნამდის გდევ და გემუდარებ-
ბი, ვერე ჩემი სიმართლე და შენი უსა-
მართლობა არა სცნა. მით არ მოეხიკე-
ბის გულისა ჩემისაგან სიყვარული, რო-
ნელ ქვისა და რკინისაებრ მაგრად მაქვს,
და თუ ესრე შეუწონელი არაა, მაშა ვი-
თა გლახ ვაგსძლე ეზომი შენი ჭირი და
ჯავრი, რომელ შენისა უღმრთოობისაგან
სიციცხლე მამწყენია, — ვითავე შენი სი-
შორე; სიყვარულისა ღვინო, შენთა ბა-
გეთაგან რომელ ვსვი, მითცა ესრე მოუ-
ქარებელითა სიმთრავალითა მთრავს.

«რა მზე ანუ მთვარე დავიზახო, შენი
პირი მამეგონების და რა ისარი ანუ სა-
რო დავიზახო, ათასჯერ თაყვანის-ვსცემ
შენისა ნაყეთისა მიზგავესებისათვის. სა-
დაცა ვარდა ვპოვებ, მოვკიცი დაწვმ-
თა შენთა სახებისათვის. ცისკრისა ჟამ-
სა მტირალსა და მკვნესიარესა რა ნიავ-
ბან იისა და ვარდასა სული მომართვას,
ამით მოვილხენ, რომელ ვერე ვიტყვი:
ნუთუ ჩემი საყვარელი მოვა და მისი
სული მეცემის? რა მიმელულნეს, შენსავე
სახესა ვსჭკრეტ; ამით ვიხარებ: ზოგ-
ჯერ შენთა საქმეთაგან შენთანავე ვჩივი,
ზოგჯერ შენისა სიშორისათვის შემო-
გტირ. მძინარესა დამემოყვრები, რა ქი-
რი ჭირსა მომემატოს და გამეღვიძოს,
რადლა დამეტგრები? თუ მძინარესა სი-
ყვარულსა მიჩვენებ, რა გამეღვიძოს
რადლა დამამძიმებ. სიხმარსა შინა მო-
წყალე ხარ; საცხადოდ ვერე უწყალო და
სულთა წაშხმელი რადლა ხარ? ოდიღვან
წასულხარ, ბნელი და ნათელი ჩემთვი
გასწორებულა, დღე და ღამე გამერთებია;
შენგან გულსა შენი სახე ოდენ დამრჩო-
ნია და სიშორისაგან სნეულსა შექირ-
ვება. ესრე დიდად მსურიან, რომე, რა
მეზნანო, მასცა დაესჯერდები და ღმერთ-
სა ვპადლობ.

«მითხარ, ორისა კვირისა მთვარეო,
რად გამწიერე, რომელ ჩემისა მესისხლეო-
ბისათვის მოსწრაფებო? თუცა შენ თა-

ვისა წადილითა ყოველთაცა გშენის, ნე
არა თუმცა ამა საწუთროსა, შენგან კი-
დე ლხინი აღარცაარა მას საუკუნოსა ნო-
მინდების. შენ მზე ხარ და ჩემი დღე
უმზურად არ ნათობს.

ჩემი გლახ საწყალი გული საქარავე-
სა ფუნდუქსა გავს, შენისა სიყვარული-
სა ქარავენი მიწყით შიგან ღვას, და ლე
მან ადგლი არ დასცალოს, სხვა მოქა-
რაგნე ვინ დაეტევის? ვისსა ტანი შექირ-
ვებითა თმისაებრ დამწლობია, გული
ქვისაებრ გამმაგრებია თმობითა. ქვასა
შიგან ნერგსა არავინ დარგავს. მით რო-
მელ ჭირი და ნერგი ორნივე არ გაცულ-
დეს. რაზომცა აწ მაშორავ, ვერეცა სი-
ციცხლისა ჩემისა მიზეზი და თუაღ-
ჩემთა ჩენა შენ ხარ. ნუ ეძებ უმეცრო-
ბითა ჩემსა კიდევანობასა! ჩემგან კიდე
საშენო სხვა აღარავინ იპოების და შენ-
გან კიდე საჩემო. მე მაისი ვარ და ზენ
გაზაფხული. განალა, უერთმანერთოდ არ
ეგების! შენ კაკაბი ხარ და მე მქირნე
კლდე; მე ზღვა ვარ ცრემლთა ღენისა-
გან და შენ თევზი. რადგან ესე უერთა-
ნერთისოდ არ ეგებიან, მიკიერს თუ ეზონ-
სა ხანსა ჩემგან კიდე ყოფა ვით გასძლე?
შენ წითელი ვარდი ხარ და მე ყვითელი.
შენ სიხარულითა გაფურჩენილი და ნე
ქირითა. მრავალ ფერობა ვარდათა მიწ-
ყით ერთსა წალკოტსა შიგან ხამს. მოე,
ჩემო, შენითა სიწყითლითა ჩემი სიყვილი-
ლე დაფერე!

მოყვრისა კიდევანობა და მოლოდნა
მაშინ დიდად ამოა, თუ უხანობა და გან-
წირაობა არ ერთოს; სიმარტოვისა გაძ-
ლება ამოა, თუ შეყრისა იმედი ჰქონდეს.
მიწყით ერთგან ყოფა მოყვარეთა აუგიან
ჰყოფს პირველ თვით სხვათაგანცა შენო-
სახედავად, მერმე ერთმანერთსა თანა რა-
ზომცა უყვარდეს, ცოტა რამე დაუძმინ-
დების ერთმანერთისაგან. ზოგჯერ ეკუწ-
ტიან ერთმანერთსა, ზოგჯერ უწყრებიან,
ზოგჯერ იმღერვიან და ქუშობენ, ზოგ-

ჯერ აყვედრებენ სხვას რასმე და ყველა-საგან უარესი ზნე მიჯნურობასა შიგან ესეა, თუ გაძღენ ერთმანერთისაგან და ბოლო შეექნას მათსა სიყვარულსა. ვირეცა მზე და მთვარე აღმოვალს, მუნამდიცა მე შენგან იმედ გარდაწყვედილი არა ვარ. ჩემსა გულსა შიგან სიყვარული ბზისა ხესა გავს, ზამთარსა და ზაფხულსა მიწყით მწვანეა. „რა გავგა, თუ შენ შენითა თავეთა იქადდე და მე შენითა შენგან უფრო ვიქადდე? რადგან ეკეთი საქადული ხარ, დამემორჩილე, რომელ გმორჩილდებოდე. რაზომცა შენი პირი გაზაფხულია და შენთა დაწვთა ზედა მიწყით წითელი ვარდი ყვავის, ეგრეცა ესე მოიგონე, რომე ზაფხულისა ყვაილი სთელამდი დარჩების. საწუთრო ნიღმართ-მოღმართია, ნუ მოზიდაე მოყვარეთა ზედა მტერობისა მშვილდსა, ნუთუ ანახდა გატყდეს და შენეე გეცეს.

„სულისაებრ საყვარელია წინანდელი მოყვარე; შენ მას ზედან სხვასა ნუვის განაორჩევ; ძველი გზა უფათერაკოა, მას ზედან ნუ დაავდებ. თუ ახალი გყავს, შეინახე; მაგრა ძველსა ნუ გასწირავ. გულითა სიყვარული, თვლითა პატიოსანი თვალი რაზომცა ძველი იყოს, ეგრეცა სჯობს, მით რომელ ახალსა თვალსა ფერი აღრე ექცევის და ფერ ნაქცევი თვალი ქვასა დაემსგავსების. ათასი ვარსკვლავი ერთისა მზისაებრი არაა და არცა კაცისათვის ყოვლნი ასონი ერთისა თავისა ოდნად სახმარნი. ათასი მოყვარე პირველისა მოყვარისა ოდნად სანდომნი არაა კაცისათვის. ვითა მე შენებრსა უხანოსა ვერ ვპოებ, ეგრევე შენ ჩემებრ ხანიერსა მოყვარესა სიყვარულსა. შენ მზე ხარ და მე მთვარე და ესე ორნივე ერთგან ჰხამნან უქუნისამდის.

გული ცეცხლითა სავსე მაქვს და სული კვამლითა, ტანი თმისაებრ დამწვლარი და პირი ოქროსაებრ შეღებული. ყო-

ველთა ღამეთა ღმერთსა წინაშე პირსა მიწასა ზედა დავსდებ და ეგრე ჩემითა ხაქმითა ვჩივი: ზახილი ჩემი ცამდის გავა, კენესა ჩემი ვარსკვლავთა მიესმის, ვტირ, ვითა გაზაფხულისა ღრუბელი, ვყვი, ვითა კლდისა კაკაბი; ცრემლითა ჩამოვრცხი ღამისა სიბნელესა; მიწასა დავსთხრი თევზისა ზურგამდის, რომელსა ზედა ქვეყანა დვას და ვშფოთებ, ვითა ზღვა ქარისაგან; ვთრთი ვითა ტირიფი ნიავისაგან. ეზომსა სულეთქვამ მტკივნეულისა გულითა, რომელ გზასა დაპკარგავს ცასა ზედა მთვარე ჩემითა სიბრაველითა; ეზომი კვამლი ამოვა დაღრეჯილისა გულისა ჩემისაგან, რომელ მითი მთამდის ბნელი კვამლი და ღრუბელი დადგების.

„ესე უპატიო შეფრობილი, ბედითი, შემქირნე, თვალ-ცრემლიანი და პირ დაყვითლებული, ბაგე დამტვერებული და დაღონებული ვექენები და ვიტყვი: ჰე, დამბადებელო, დაუსაბამოო, მოწყალეო, ნებიერო, მაღალო და მდაბალო! შენ ხარ უღონოთა ღონე, შენ ხარ გლახაკთა და პირვეულთა მწე და მარკებელი! ჩემსა ხეაშიადსა შენგან კიდე ვერავის თანა შევიწამებ. შენთვის შემოხვეწილვარ,— იცი თუ ვით დამჭირებია, იცი თუ ვით ენა დამბულვარ. შენ გკადრებ და შენგან ვეძებ ლხინსა. შენ დახსენ სული ჩემი პირთაგან, შენ აიღე კიდევანობისა ბორკილი გულისა ჩემისაგან. შენ დაიცივე, ღმერთო, იგი ყოველთა ფათერაკთაგან და ჩემისა მიჯნურობისაგან კიდე პირსა ნურას მისცემ, საწყინოსა მას ნურას გამოაცდევ და თუ მე მას ველარაოდეს მაჩვენებ, მე აქამდისცა სიცოცხლე მეყ უმისოდ. აწვე დღენი ჩემნი მას შემატენ: სიშორესა შინა მე უსულო ვჯობ და იგი ორითა სულითა.

„ჩემო სასურველო, ვირემდის მოვსთქემიდე, ვირემდის ვკენესოდე საბრა-

ლოდ, ვირემდის ვტიროდე? ველარ გა-
ვსძლებ, ველარ ვსწერ წიგნსა. მე დაუ-
ლევნელი მიძს სათქმელი შენთანა, მაგრა
რაზომცა ვაგრძელებდე, ველარასვინ მა-
ბრალებს, მით რომელ გულ დამწვარი
ვარ შენგან. დუ შენი ნაქმარი კლდეთა
შესჩივლო, ჩემებრვე ტირილსა დაიწყე-
ბენ, ქვათა შევეწყალები და შენსა გულ-
სა არ ვეწყალები; ქვათაცა უფროსი ღმო-
ბიერება აქვს შენისა გულისაგან.

ესეთი გლაზ ჩემი საბრალო გული
ამით გვანდა ქვასა, რომელ შენისა გუ-
ლისა სიბასრემან დაღეწა. ესე სალამსა
მოახსენებს მას კარგ ნაკვეთსა, რომელსა
გული ბასრისა უძს; სალამსა მოახსენებს
მათ იავუნდთა, რომელთა ოცდათორმე-
ტი მარცვალი მარგალიტი დაცმული აქვს,
სალამსა მოახსენებს მათ ნარგისთა, რომელთაგან
მიწყით ძილ-მკრთალი ვარ, სალამსა მოახსენებს მას ხესა კვიპაროხსა,
რომელსა ჩემისა დათმობისა სახელი აუოხ-

რები; სალამსა მოახსენებს მას გაგსე-
ბულსა მთვარესა, რომელსა ჩემისა ბედი-
სა მთვარე დაუბნელებია; სალამსა მო-
ახსენებს მას ნაყოფიანსა ხესა, რომელსა
ჩემისა ბედისა შტო გაუხშია; სალამსა
მოახსენებს მას ვარდსა მოციხარესა, რომლისაგან
მე ნიადავ მტირალი და თვალ-
კრემლიანი ვარ: სალამსა მოახსენებს მას
მორკმულსა ხელმწიფესა, უსამართლოთა
მოქმედსა მზესა; სალამსა მოახსენებს
ცხენოსანთა გვირგვინსა და გმირთა სი-
ქადულსა; სალამსა მოახსენებს ზღვისა
ქვიშათა, ცისა წვიმათა და ყოვლისა
სოფლისა ნიეთთა უმრავლესსა. და შენ
მოახსენე—თუცა ჩემი გამწირავია—შენსა
გულსა, ჩემისა საბრალოსა და მისგან
დაღრევილსა გულისაგან ეზომი სალამი,
სურვილი და თაყვანისცემა. და შენ
ღმერთმან საჩემოსა სიყვარულისა გული
მოგცეს და მე—შენი ნახვა ჩვეულისაებრ-
ვე ჩემისა მოყვარულისა“.

რამინისაგან ვისის მოგონება.

რა რამინ ხანი დაჰყო გულსა თანა,
მისებურად გაძლა; მოახლოებითა მისითა
მოეწყინა, მისებური უხანობა მოუნდა.
რა გაძლა და დაითრო, მათისა სიხარუ-
ლისა ვარდიცა დაქანა; მათისა სიყვარუ-
ლისა ქარი დადგა, მათი ნავი—უტარო-
სობითა. რა სიყვარულისა მათისა მშვილ-
დი გატყდა, მიჯნურობისა მათისა ისა-
რიცა დაიღეწა, მათისა სიხარულისა შე-
სამოსელსა აღმასიცა დაუძველდა, მათი-
სა სიამოვნისა წყარო დაშრა.

გაზაფხულისა პირსა ველსა თამაშად
გავიდა და ნახა ახალ ამოსული ყვავილი
მრავალ ფერი; მიწა, ხენი, ველი და წალ-
კოტნი ყველა აყვავებულყო და დაშვენ-
ებულყო. ერთსა ვისმე კაცსა, მას წი-
ნაშე მყოფსა, იისა კონა ჰქონდა ხელთა
და რამინს მოართვა. რამინ რა იისი
კონა ნახა, იგი დღე მოეგონა, რომელ

როგორითა ფიცითა შეეფიცა ვისისდა
ურთუებლობა, ოდეს შაჰინ-შას ტახტსა
ზედა სხდეს.

რამინს იგი ჟამი და დღე მოეგონა,
ასრე ვახდა, რომელ საწუთრო დაუ-
ბნელდა. გაზაფხულისა ღრუბელი შავია
და ეზომსა აწვიმებს, რომელ ღვართა
ადენს; აგრევე მას, რა გული დაუბნელდა,
ეზომი თვალთაგან კრემლი იდინა, რომელ
ახალნი ზღვანი დააყენნა. რა ნოე-
გონნეს პირველ მისგან ვისისთვის კირ-
გარდახდილობანი, ვისისგან მისი სიყვარული
და მის ჟამისა გულ-გაუტეხლობა
მისთვის და რამინისგან მის ფიცისა გა-
ტეხა, ეგრე თქვა: „რა მიქნია! ღმერთი,
სჯული, ფიცი და სულნი ყველა გამიწი-
რავს ვისის გაყრითა!“

კვლა გაუძნელდა მიჯნურობა და გაუ-
ახლდა სამისო სიყვარული.

რამინის მარაგს მოსვლა.

რამინ შორით მარაგი ქალაქი დინახა, ესრე გაეხარნეს, ვითა თვით ეგრე მიჭირებულისა წესია ნახვისა მომლოდობასა შინა. ღმერთსა მადლი მისცა და ქალაქსა ყვაილი. დაუწყო ქება ვითა: „ამო მარაგო, ხელმწიფეთა საჯდომო, დაღრეჯილთა გამამხიარულებელო, გლახათა გამამდიდრებელო, მჭირებულთა ნუგეშინის-მცემელო, ამო მარაგო, ზამთრისა და ზაფხულისა ყვაილ-დაუღვენელო, რომელთა შენთა მნახაეთაგან უშენოდ სიცოცხლე არ ეგების დამეტად მისგან, ვის ჩემებრ აულისა წამლები აქა ეგონების! ამო მარაგო, ქალაქთა ყოველთა უთავადესო, მტერთაგან შეუფრობელო. გამცდელთაგან სანატრელო, იზისა საყოფო, მთვარისა სადგომო. და ჩემისა ხელ-მქნელ-მომკვლელისა დარბაზო! რამინ უვისობითა და უთავისობითა ესეთსა ყოფასა ყოფილიყო, რომე ხორასნელნი თაყვანი ერაყელად ვარდად უჩნდეს და მარაგული ქვა გორაბულად თვალად. თავისა ქვეყანისაებრ კაცსა სხვა ქვეყანა არ იამების და პირველისა მოყვრისაებრ გულსა ვერავის მისცემს. ესრე იამა მის ქვეყანისა ნახვა, რომელ თოვლი მუნებური ქაფურად უჩნდა, ფურცელი ღლიად, ხენი სამოთხედ და მიწა უკვდავებად. შვალამისა ჟამსა შემოვიდა მარაგს; ვითა მკვდარი გაცოცხლებულიყო, ეგრე გალხინიანდა. რამინ მაშინვე, ვისი სადა იყო, მის კოშკისა ძირსა მივიდა. ვისის გუშაგი დაეყენა რამინის მოსვლისა მჭვრეტელნი. რა გუშაგმან დაინახა და იცნა. მასვე წამსა ჩამოვიდა და ძიძასა აცნობა მან და გაიხარნა და ვისის მოახსენა:

— მოვიდა შენტა ჭირთა მაქარებელი, მოვიდა შენი მიწყით საგონებელი ლამაზი ხელმწიფე, ტახტისა დამაშვენე-

ბელი, აბჯრისა მისახლოვნებელი. შენგან ნიაგი სამახარობლოსა ითხოვეს, გაზაფხული შენი მოვიდა, ნაყოფი გამოილო შენისა სიხარულისა შტომან, შენისა იმედისა სადათმან თვალ-მარგალიტი გაპოვინა სვიანობისა. ხედავ, რომე ღამე განათლებულა, ხედავ რომე შენი ჭირნი არ ცუდ იქმნეს! აწ ნაცვალი სიხარული მიეც გულსა შენსა, აწ შენ ნიერ ქვეყანა სიხარულითა აყვავებულა, ქარი ამბრისა სულსა მისთა მთათაგან აბნევს, თვით შენ შენითა თვლითა ნახე შენი სიხარული და სასურველი. საშენო დარია. აქამდინ ღამე სიბნელითა შენტა თმათა გვანდა და აწ შენისა პირისაებრ განათლებულა. ცამან აღმული მოიხანდა და აწ შენცა გულისა შენისაგან ჯანგი მოიხოცე. მთვარეო, მისისა მოსულისაგან შენებრ მოხარულობენ მთანი და ბარნი. სვიანსა ეტლსა ზედა მოსულა შენი რამინ. შეყრასა ლანიან მზე და მთვარე, მისი ტურფა პირი კარსა ზედა დვას და ბრძანებასა ითხოვეს შენგან, შენისა მწყრომობისაგან ზენარსა მოაჯეობს. შენ ნისგან მღურვით ხარ და იგი შენგან გულგატეხილია. გულისა შენისა კარი გაულე შენისა გულისა განაზხიარულებელსა, იმედიან იქმნენით ერთმანერთისაგან და დაივიწყე აქამდინ დამძიმებულობაო.

ვისმან მოზარულ-ქმნითა, ყოველთა ჭირთაგან ხსნილმან, ეგრე უთხრა:

— შაჰინ-შაჰს ქვე სძინავს, ფათერაკთაგან დაშინებული ვარ, ანაზღვეულ თუ გაელვიძების, იგრძნობს, მე რამინს ველარა ვნახავ და სიცოცხლე გამიკუდლების, თვარე თვით დარჩენასა აღარა მოველი მისსა; თვარა მე რაღა გინდა წამეკიდოს, თუცა ერთხელ რამინ ვნახე. აწ, ზენაარ ღმრთისათვის, შენ რა მარ-

გე, ძილი შეუქარ, რომელ არ გაელვიძოს და ჩვენი საქმე ვერა ცნასო.

ძიძანან სწრაფით შეულოცა რამე ესრე, რომელ თუ ქვეყანაცა დაიქცეოდა ვერ იგრძნობდა, ვირე მათ არ მოსწაღდებოდა. შერმე ვისი მოვიდა მღურვით გკარად, სარკმელთა ზედა დაჯდა.

რა რამინ შორით მნათობთა მზე ვისი დანახა, უზომო რამე სიხარული მიეცა გარნა რა ესე ცნა, რომე სწურებოდა, დია ეწყინა და ათასითა მუდარითა ქენება დაუწყუ, ეგრე უთბრა:

— მზეო, გულისა და გონებისა ჩემისა წანღებო, მთვარეო გავსებულო, მთიებო ცისკრისაო, ლაშქართა სანთლოო. ხელნჭითეთა სანატრელო, კეკლუცთა მანათლომბელო და შვენებაო, ვარდო კოკობო, სოსანო სურნელო! რად ისწრაფი მონისა სისხლთა დაღერასათვის, რად ისწრაფი ჩენისა სიკვდილისათვის. რად მიმალავ პირსა, რად მოგნდომია ჩემი ველად გაქრა, რად არა იქ პირსა ჩემკერძ? მე რამინ ვარ შენი საკუთარი და შენ ვისი ხარ ჩენი სულთაებ სანდომი, მე რამინ ვარ შენი უმცროსი მსახური და ვისი ხარ ჩენი პატრონი, მე რამინ ვარ მიჯნურთა მუფე შენითა მიჯნურობითა და სიყვარულთა ქვეყანათა შიგან არაკად გასრული, შენ ხარ ვისი მზე მზეთა პირისა შენია უებრობითა და თვალთა და თმათა შენთა სიტურფითა, ჩემი ესრე შეხვეწით აქა მომკვენილი. მე იგივე ვარ, რომელ გინახავ და შენ აღარ იგი ხარ? ნუთუ ჩენთა მტურთა სიხარულისათვის იჭირვი? თუ ყველასაცა ჩემსა სიკვდილისა იჭირვი, ნუ მიწყურები, დაიამე გული, დამეზავე, ანოსა ლხინსა ნუ დაიწვარებ, ნუ იქნები ფიკისა გაჩებელი და უზენაარო, ნუ შეერაუბულხართ შენ და ჩემი გული ჩენისა სიკვდილისათვის, ნუ მწყავ უწყალოობისა ცეცხლითა! ვაი ესდენი იმედია ნობა ჩემი, რომელ თავი გაესწირე შენისა მიჯნურობისათვის. დაესთესე მიჯნუ-

რობა სიყმისა ბალსა შიგან, ჩემნი სულნი ვამეზურენ, ჩემთა თვალთა ცრემლითა ვრწყვიდი, ერთსა ლამესა ვერ დავიძინი და ერთსა ღღესა ვერ მოვისვენნი, და დაელიე მისთა უქანა დგომითა. რა გაზაფხული მოვიდა, შიგან ია, ვარდი, სოსანი და ნარგისი აყვავდა, ხეთა ნაყოფი გამოვიდა მრავალი ფერი, ბალი აშენდა ვითა ბედნიერთა ბედი, შიგან მფრინველთა ყივილი დაიწყეს, წყაროსა შიგან იბანებოდიან, ზღუდე აუგე მაგარი. აწ მოვიდა გაწირვისა ზამთარი, უხანობისა ქარი და გვალვისა ღრუბელი, უბედურობისა წელიწადი; აოხრდა იგი წალკოტი: არცალა იგი ნაყოფი, არცა იგი ვარდი, არცა წყარო, არცა სათიბე და არცალა ზღუდე! მტერთა და მეშურნეთა ამოსწყვიდეს, დაგლიჯეს, დაჭრნეს ხენი, დაარღვიენეს ზღუდე და დააფრთხენეს მფრინველნი. ვაი ესეთსა ეამსა, რომელ კეცისა ქურქელსა გავს ჩვენი სიყვარული, არ ოქროსასა, რომელ რა გატყდების, ცუდად წახდების! რა გული გულისაგან მოშორდა და მოყვარე მოყვრისაგან, — სიყვარული მოჰქარდა და ქირი ქირსა მოემატა. აწ გაიხარნენ ჩვენთა მტერთა, რომელ ღმერთმან ჩვენი მტერი ჩემებრ ყოს. აწ მზრახავნი ჩვენნი იხსნეს ქირთაგან, აღარა, საზრახავი უძსთ. ჩვენ არცალა შუა მოციქული გვინა, არცა ხეაშიაღისა შემნახავი, ნუცა ძიძა ქირსა ნახავს და ნუცა შენ, ნუცალა მე გული მტკივის და ნუცა მოაბზდ იმღურვისი. ჩემგან კიდე შეცოდებული არავინა; ამით არავისი ბედია ჩემისა ბედისაებრ, მით ვჩივი ამისგან რომე მიწყით ძაბუნი ვარ. მისგან კიდე თუმცა ესრე უბედური არ ვიყავ, მე გული ესრე ვერ დამიმონებდა და ვერ მომლორებდა. ვინცა ეშმასა მომსმენია, მიწყით ჩემებრ ბრმა და დაღრეჯილი იქნების. აღვისა ნედლისა ნაცვლად ტირიფისა ხე ამოელო და მუშკისა ნაცვლად — ქვიშა, თვალისა პატროსნისა ნაცვ-

ლად, ეტლთა და ფილაქთა მოქცევისაგან კეცისა ნალეწსა დაჯერებულ ვიყავ. აწ შენდობასა ვითხოვ, მოილმობიერე საჭემოდ გული: მე ავი მიქნია და შემიცოდებია; შენ კარგი ქენ და შემინდე! შეტოდებული ვარ და ვინანი. ვირე ცოცხალვარ, შენ პატრონი ხარ და ხელმწიფე, შეგიძლია გარდახდევა ჩემი; თავსავე ზედა დამამძიმებელი ჩემი შენ ხარ და ბოლოსა ნუ ყველასა მე გარდამახდევ! თუ არ შეინდობ, კარსა ზედა მეკრედ დავედვები და მუნამდის მოვიქირვებ სახსახურისათვის, ვირე თავსა არ მოვიკლავ. მე ერთხელ შეგცოდე, არ მე ოდენ ვარ ქვეყანას ზედა მცდარი. აწ მისად ნაცვლად ათასსა შენდობასა ვითხოვ, მუნამდენ გეშუღარები და გექნები, ვირემდი გულსა შენისაგან წყრონა არ გაქარდე. ვირე ცოცხალვარ, ჩემი თავი მიჩნს შეტოდებულად და მას ვებარლობ. ამისისა თქმისაგან არ მოვისვენებ, შეტოდებული ვარ და ჩემსა საქმესა ვინანი ეოე ცოცხალვარ, შეტოდებულსა შემინდე თავისა მანანებელსა ზედა ხელმწიფობა გაქვს და პატრონი ხარ; რაცა გწადიან, გარდამახდევინე; მაგრა სადალაა მოწყალეობა, პატრონობა და შემანდობელობა!?! რა ჩემი შეტოდება მოვიგონო, შენდობისაგან უიმედო ვიქნები და გული დამეღვევის. თუ ჩემი ქენება და მუდარა არ მოისმინო, აქა შენსა კარსა ზედა მოვეკვდები; მუნამდი საბრალოდ ვტირ, ვირე სულნი არ დამელოენენ. სხვაგან წასელა აღარსად შემიძლია. რადგან შენ უწყალო მექმენ, სხვა ვინლა ეძებნო? ნუ მიზამ, მთვარეო, ნუ მომიმატებ კირსა კირზედა! ბერნი სიბერიითა და ფილოსოფოსნი სწავლულობითა მოუტომელნი არ დარჩებიან, მალი ცხენი წაიქცევის, მკვეთი ხრმალი დაბლაგვდების და მე ერთხელ ფათერაკად მოვეცეთ. აწ შენდობასა ვითხოვ, ნუ დამსვამ კიდევანო-

ბისა ბორკილითა. მე მონა ვარ შენი, შეგიძლია ყველასა პატივისა მოპყრობა, მე მოგიტმენ ყველასა კირსა ამისგან კიდე, რომელ აბეზარობასა შინგან ეგრე ქვრეტასა მოვიტმენ, სიბრძმე მირჩევნია შენსა უქვეტლობასა და სიყრუე მირჩევნია საყვედურისა შოსმენასა. მე ლმერთმან უშენოდ წამსა ნუ წყოს და შენ უჩემობისა თმობა ნუ მოგცეს. ოდიდგან ეგრე მიწყრები, სიცოცხლე მომწყენია. თვით მიწყით უსამართლოსა ქნისათვის გულმძიმედ ხარ, ყოველივე ქვა და რკინა საცეცხლესა ზედა მოეხვევის. აწ შენისა გულისა სიმძიმე ჩემისა გულისა ცეცხლიანობასა მოუმატე, რომე თუ ზღვავა დაასხა ჩემსა გულისა ცეცხლიანობასა, ვერცა იგი დაავსებს. ესე ქვეყნისა აღ-მური ჩემისა ცეცხლისა კვამლისაგან დგას, ჰაერმან გულისა შენისა ნადები იცის და მით მტირის, ბედისაგან გაშავებულა, ღამე მით ასრე მოივს, ესრე საკვირულად ტანი ჩემი მიჯნურობისაგან რომე ნახევარი ცეცხლსა გავს და ნახევარი მყინვარსა. კაციმცა რად ეგებოდა ესეთი, გარნა არცა ანგელოზი და არცა ეშმა ესდენ შეუწონელი არვის უნახავს. ვინ ნახა მყინვარი ცეცხლისაგან დაუდნობელი, ანუ ცეცხლი წყლისაგან დაუშრეტელი ჩემგან კიდე? ვისცა ესრე მიჯნურობა სულთა შიგან შეზელია; მისი თოვლთა შიგან მოკვლა აუგია. მე ეგრე ვეპვედი შენგან თუ, ცეცხლისაგან მიხსნასო. არა თუმცა ესე მგონებოდა, თუ თოვლთა შიგან მომკლავს. ნუვის ათქმევე, თუ მეტი მუდარა ძაბუნიაო. მე შენი სტუმარი ვარ, ყოველი კაცი სტუმრისა პატივისათვის მოიქირვებს, არ ესრე ხელსა გასდევნის. და თუ სიკვდილი ჩემი გწადიან და გეადვილებს, ესრე საბრალოდ ნუ მომკლავ, სტუმრისა მოკლე თოვლითა ბილწი საქმეაო.

ვისისგან პასუხი.

ვისმან, ვითა ლომმან განმძვინებულმან წყრომით ევრე უთხრა:

— წაედ, რამინ იმედი გარდაიწყვიდე ჩემგან, გული დაიამე ვითამცა არცა მიცნობ და არაოდეს მარავი ქალაქი გინახავს. ვითამცა ორნივე ეყოფილვართ, — აგრე დაიპირე. მე ოგი მტკივის, რაცა ჩემსა თავსა ზედა შენგან გარდამხდარა; აწ ნულარას მემდურები: ერთხელ მამალორე, მამკალ და მომაყიენე, აწ კვლა ნასვე ჰლამი და აღარ ეგების. წაილე შენი ჯვამი! რადგან ცეცხლი წაგილია, კვამლიცა წაილე; რადგან ზენაარი დაივიწყე და ფიცი გამოიტეხე, ჩემი მოცთუნება აწ აღარა შეგიძლია. წაე, გულსა ეუბნებოდი, მას აღორებდი და მისისა მიჯნურობისათვის ხელობდი. თუ შენ ფრთხილი, გონიერი და ენად კარგი ხარ, არცა მე უნო და რეგვენი ვარ. შენ ეგე გვარი დია იცი კაცისა ღორება და ხლათვა, გიცნობ და მრავალჯერ მომისმენია შენგან ეგე გვარი კქაფვე; გარნა მომწყენია ზენართა შენთა სმენა.

ათასჯერ სიცოცხლისაგან იმედი გარდამიწყდა და ამა ყოვლისა ჭირისა ნაცვლად ბოლოდ შენგან ზენაარისა და ფიცისა გატეხისა, იმედ-გარდაწყვედილობისა და მოყიენებისაგან კიდე არა დამჩრომი. ჩემი პატრონი მომდურავია და ღმერთი დამბადებელი ცისა. და ქვეყნისა განალამცა არათავე მომემდლა!

რაზომსაცა ეუბნობდე, სათქმელი არ დამელევის. ამა ხისაგან ნაყოფი არ მოგხვდებოდის, არცა ამა გზისაგან სიხარული. შეიქეც, წაედ კიდე, ცული ჭირი გინახავს აქა მოსელითა! შუალამე გარდასრულა, ფიცხელი ჭარი ჭრის და ორი ნტკაველი თოვლი დაუძს. ცუდად ნუ ჰრეკ ამა კარსა—რკინასა ცივსა. შეიწყ

ყალე შენი თავი და წაედ კიდე, რომე არ მოჰკვდე ამა თოვლთა შიგან ყოვენი-თა. ძილი გაამოს ღმერთმან და ღამე და დღე სვიანმცაა შენთვის გულ, ვარდ-სახელი და ვარდ-ღვაწი.

გულის ნადები არცა ეგრე გამოაცხადა. სრულსა ღამესა რამინ თოვლთა შიგან ღვა და აერი მისსა თავსა წვიწდა, ღრუბელი მისსა ცხენსა ზედა ქაფურსა თოვდა, ცა ცრემლსა ასხმიდა და ქარი რამინს ზედა სულთქმიდა. ცისკრამდი ეგეთსა ყოფასა იყო, რომე თავით ფერხამდინ რაცა ტანსა ეცვა, ყველა გაჰყინვოდა და თვით ვითა რკინა შექნილიყო.

რა რამინ იმედ-გარდაწყვედილი წავიდა და ვისი ზე უკუმოდვა, შეექნა სინანული და შეჰირუება ვისის რამინისა შინა არ შეშვებისა; ტიროდა, პირსა, თავსა და მკერდსა უწყალოდ იცენდა: მოიტყოდა, ვითა ჭირისა-უფალი მოსთქმიდა, თავსა უმცრობასა ემდურვოდა, თვალთაგან სისხლისა ცრემლთა იდენდა და ნაკადად გასდიოდეს; ქვითა გულსა იცემდა, თვით მასცა გაქვაებულსა პირი განარისფერებოდა, ჩანგისაებრ კვენესოდა და იტყოდა:

რად მოვკალ თავი თავისითა ხელითა? რად ვქენ, რად მოვიწყინე სიცოცხლე ჩემი? რად ვიყიდე თავისა ჭირი ღნეცრობისა ჩემისაგან? აწ ვინლა დაავსებს გულისა ჩემისა ცეცხლსა? რალა მიხსნის მე ჩემთა ჭირთაგან? რასალა ჯამსა მოველოდდე სულთა ჩემთა ღმრისა მიზეზად, რომე ბედისა ჩემისა უსულოსაგან არაოდეს მაქვს გამოსვენება? ვაი და ვაგლაბ მე! რა ვქნა, სხვა ჩემგან კიდე ვინ დამტერებია თავსა თავისა საკლავად, ანუ თავისა ნაქმარსა რა ვისგან ეწამლების? მერმე ძიძასა ეგრე უთხრა:

— ხედავ, თუ რა წამეკიდა!.. ვის ლა-
მართებია ადამისობითგან ესე, რომე კაც-
სა ესრე უცნობო ქმნით და გახელებით
მისთვის სანატრელი საქმე ღმერთსა კა-
ციისათვის მიეცა, და მან თავისითა უბე-
ღურობითა თვით დაიკლო? ვინ დაბადე-
ბულა ჩემსა ეტლსა ზედა სხვა კაცი?
კარსა ზედა მოვიდა სვე-ბედნიერობა ჩე-
მი და უმეტრობითა ჩემითა გავადევნე;
უკვდავებისა კიქა მქონდა და მისგან სი-
ლალითა მთვრალმან ხელთაგან დავაგ-
დე. შავისა ბუქისა გრიგალისაგან მტვე-
რი ადგა ჩემთვის, ლურჯისა ღრუბელი-
საგან ფათერაკი წვიმდა ჩემთვის; რაზო-
მი თოვლი და წვიმა ამას ღამე კისაგან
ჩამოსრულია, ასი ეზომი შექირევება ჩემსა
გულსა ზედა დადგომილა. სიხარულისა-
გან დაველახავდი და თავისა სანთელი
თვით დავაესე. აწ ამისგან კიდე ჩემი
ლონე არა ვიცი, რომე შენვე მიშველე,
ძიძაო, ადევ და სწრაფით მოეწიე, სადა-
ვეთა მოეკიდე, დააყენე ჩემი სულისა წა-
მღებელი, და ეგრე მოახსენე: ჰე გამწ-
ყრალო, რა ხამს მიჯნურობა უნაზო!? კა-
ცი მიწყით იმედისა მომლოდნეა, და მი-
ჯნური კაცი მოყვრისაგან დია ნებიერო-
ბასა გასძლეს. შენ რაცა საჩემოდ ჰქენ,
საგულისო იყო და ჩემგან ესე სათქმელი
შენი სალალობელი და საცდელი იყო. არ
იქნებიათ მიჯნურნი, ესრე თუმცა მათ
შუა ესე-გვარი რამე არ გარდახდეს. ვის
შუეუყვარდების ესეთი მოყვარე, რომე
ერთსა სიტყვასა ნაზსა ვერა გაუძღებ-
დეს? თუ მე საუბრითა დაგამძიმე, შენ
რაზომ ნათქმრითა დამამძიმე, იციცა? თუ
შენგან იგი ნაქმარი სახამსო იყო, ჩემგან
ესე საუბარი რადლა არა? თუ შენგან
მისი ქმნა ხაზდა, ჩემგან თურე სულისა
დაღება ხამს? და თქვა: ვიღრე მე მოვი-
დოდე, შენ დააყენე, ძიძაო, და მერმე
მე ვითხოვ შენდობასაო.

ძიძა წავიდა სწრაფით და ვისი უკანა
წაუღდა, მიჯნურობისა და შექირევებისა-

გან გახელებული და თმობა უქონებელი.
მას მისითა სიყვარულითა არცა ბუქისა
ჰგაოდა და არცა სიცივისა; გზა-გზა თოვ-
ლი ვარდის ფურცლად უჩნდა.

რამინ ძიძასა დაეყენა და ეუბნებოდა:
მერმე ვისი მივიდა, სიცივისაგან თრთო-
და და ტანისა მისისა სითეთრითა თოვ-
ლი დალიბრდა, ღამისა სიბნელე მისისა
პირისაგან განათლდა და თმათა მისო-
გან ქვეყანა გასურჯელდა,—ვითამცა ახ-
ლად რამინისთვის მხე ამოსულიყო. ნო-
ვიდა რამინის წინა, თვალთაგან მარგა-
ლიტსა ჰყრიდა, ვითა ცა თოვლსა. ეგრე
მოახსენა:

— შენ ხარ ჩემისა სიცოცხლისა ნი-
ზეზი, ჩემთა თვალთა ჩენა და გულისა
სიხარული! ვიცი გაგაწყრე და არ კარ-
გი ვქენ: ერთ კერძ ჩემგან სიყვარული
და მეორედ მეფედ საჩენელი, სასახელო
ხელმწიფე! უშენოდ არ მინდა სიცოცხ-
ლე და საწუთროსა შიგან ყოფა. რონელ
გაგაწყრე და ჩემგან ნათქვამითა ეგრე
გამიკუმტდი, მითცა ამისისა ნაღვლისა-
გან ჩემითავე კბილითა გარდამიჭამიან
მკლავნი. ნუ შეძამტყორცნი მტერობისა
ისარსა, ნუ მაწვევ უპატიოდ კიდეგანო-
ბასა. აწ ვეახლნეთ მზიარულნი ორნივე
ერთმანერთსა, გარდასრულსა ნუ ვიხსე-
ნებთ, ნუ გიძიმს ჩემგან მაშინდელი წე-
ნი უპატიობა: ეგრე სწორისა და მტე-
რისაგან დასამძიმებელი არის, არ ჩემგარ
მოყვრისა, რომელ რაზომცა ვინ დიდი
და მორკმული ყოვლისა ქვეყანისა მპყრო-
ბელი ხელმწიფე იყოს და გავისთვის-ნი-
ჯნურდეს, მისთვის ეგრეცა დამდაბლდე-
ბის, რომელ ფერხთა ეგების. მოყვარე-
თა ნაზსა წაკიდებდა ვინ იტყვის? არცა
მათგან დათმობა აუჯად ითქმის.

აწ დასთმე ნაზობა ჩემი: შენვე წავი-
ლია ჩემთვის გული, შენვე დაგილაფე-
ბია. მიმუდარე! შენგან ვარ ესრე უცნო-
ბო ქმნილი; შენ შენსა თავსა აბრალებ-
დი ჩემსა ესრე გასვლასა, თვარა მე წე-

ნი დამძივება არაოდეს მწადებია. რას ჰასუხს გასცემ ღმერთსა ჩემთა სისხლთა მოკიდებისათვის. ანუ მე ამის უარესი რაღა წამეკიდების, რომელ არცაღა გული მქონდეს და არცაღა მოყვარე მყვეს? ვისთვის გული დამეკარგოს, მას ჩემი სიჯარული ასრევე აღარ ჰქონდეს, ვითა მე გული?! მაგრა თუ ღმერთი უფის მსაჯულად სოფელსა, არ დაარჩენს ჩემთა პოლთა. ნეტამცა ჩემი გული ჩემთა საჭმელთა მონებელი იყოს! და თუ გული აა, ბარე მოყვარემცა ჩემი გულსრულად მოყვარე იყო.

თუ შემოიქცევი, ზენაარ შემოიქცე. ნე აქა სიცივემან მავკლა და შენ თუ არ წეოიქცევი, მე თანა წანიტანე, სადაცა წავალ, არსად არ დაგაგდებ. რაზომცა ძნელი გზაა, შენსა ნოახლობასა შიგან მადღვილებს; რაზომცა შენგან უსაფარველ მყო და არ გინდე, თუ ანუ ხელსა არ მოკვეთ, ანუ კალთასა არ მოიკვეთ, ნომიწყვედ ვერა. წამსაცა უშენო სიციცხლე არ შემიძლია. თუ გული ჩემი სიწავრითა კლდეცაა, შენსა კიდევანობასა უარ მოითმენს. აჰა ლამი წასვლასა ჩემთა სულთა სარჩევი, და მე მომცდარსა

რამინისა და ვისის ერთგან შეყრა.

რა გულისა წამლებელი ვისი წამოვიდა რამინის ჯაგრისა და იმედ გარდაწყვედილობისაგან საბრალოდ გულ დადაღული, რანინს თავის ბრალობა შეექნა. შექირვებითა ჰაერი გამწყრალისა ვეშქასაებრ იწვენა, ბუქისაგან ოვალთა წინა აღარა ჩნდა: ჰაერისა სიფიცხესა და ქარსა ესრე ნოემეტა, რომელ პილოსა წააქცევდა. რამინის გზა თოვლმან შექრა, თოვლთა შიგან ოდიდგან მოუსვენებელად დგა, ტანსა ჰყინეიდა და გული ცეცხლთა შიგან ეწოდა, თუ რასათვის გაუქუშტი ჩემსა გულისა წამლე-

და დაღონებულსა ველთა ზედა დამაგდებ! წახვალ და წაიღებ ჩემისა ჰირისაგან ფერსა და ტანისაგან ძალსა, და თმობასა და ცნობასა. რად ხარ საჩემოდ ესდენ უწყალო და გულ მაგარი, რომე ეზომისა ქენებისათვის არ შეგებრალო!

ექენებოდა გულისა წამლებელი ვისი, მაგრა რამინის გული არცა ეგრე მოულბა. ეკიდა ვითა აღმასი სამისო: ვითამცა რამინის უღმობისა გულისა წყრომა, ცათაგან თოვლი და მთათაგან ქარი დანძლევებულიყვენს გაუყრელობისათვის. აგრე გათენებამდის არცა იგი დასცხრა და არცა იგი. ვისმან რამინ ვერ დაიქირა და მისგან უიმედო ქნილნი ვისი და მისი ძიძა გარე შემოიქცეს სიცივისაგან დამძრალნი და მტირალნი.

მოვიდოდა მთვარე, ლამისა დამაშვენებელი; გული მისი უკვამლოსა ცეცხლისაგან იწოდა, თვალნი ცრემლთაგან სისხლად გარდაქცეოდეს, ტანი სიცივისაგან, ვითა ცხროიანსა, უთრთოდა და რამინისაგან იმედ გარდაწყვედილობისათვის ღმრთისაგან ათასჯერ სიკვდილსა იაჯდა.

ბელსა და სიციცხლის წამლებ-მომცემსა ვისსა. ანანდა თავსა და სწყყედა თავისა გონებასა, თვალთაგან ცრემლისა ნაცვლად სისხლსა ადენდა, ხმა მალლად ეზომი იტირა და იზახა, რომე სული ამოსულად მიეწვრნეს. შემოიქცა, გამოაქენა ცხენი, გარდაიქრა, ვისსა წინა დაეცა; მუხლნი ჩაიყარნა, შეიხვეწა, ექენებოდა ზენარსა და შენდობასა ითხოვდა. დაუღუმებელად ტიროდა და გულსა მჯიღითა იცემდა. რაცა რამე ქნილიყო და ერთმანერთისაგან დამძივებოდა კვლავ დაუწყეს ერთმანერთსა საუზარი, და ყვედ-

რება გაგრძელდა ასრე, რომე საწუთ-როსაცა გაუკვირდა მათი საქმე ვისის გული მთასა გვანდა და პირი მისი მაზუნედა ყვავილსა, რომელ რამინის საუბრისაგან მის მთისა თოვლი არ მოლბა და არც მის სიცივისაგან ყვავილი დაქნა.

რა ცისკარმან მისი დროშა გამოაჩინა, ორნიყე შეშინდეს გათენებისა და გამელაუნებისაგან. და სიტყვა დაუმოკლდა ნომცდარი გული მათი გზად გამოვიდა და მტერობისა ეშმაჲმან უკუიოდა. ხელი ერთმანერთსა მოჰკიდეს და ზე კოშკსა გავიდეს. გული შექირვებისაგან ნატანჯი ქირისაგან გაააზატეს. დარბაზისა კარი დახშეს. სიხარულისაგან ახალ აყვავე-

ბულს წალკოტსა დაემსგავსნეს. დაწუნეს მაშერალნი და სიცივისაგან დამზრალნი, ფოცხვერისა უძესა ტყავსა წიგან და ერთსა საგებელსა ზედა. ვითანცა ორსა ტანსა შიგან ერთი სული სდგნოდა, ეგრე შეიერთნეს. იყვნეს ვითაცაღამათ სწადდა. მათი საგებელი ვარდისაგან სასვე და ნათი სასათაული ნხისა და მთვარისაგან ელვარე: მათისა პირისა და თმათაგან სახლი სურნელებითა საცხე იყო. ვითა ორთაგანევე ერთგან შეყრასანატრელი იყო, აგრე დაჟამდა ერთგან ყოფა. თავით ფორხამდის წამსაცა ერთმანეთსა აზ მოეშორებოდეს, არცა მათ შუა ბეწვი გაიარცდა.



მოაბადის ნადირობად წასვლა.

რა გაზაფხული მოვიდა, მათათა და ბართა სიმშენეარე დაიწყეს, მინდორნი აყვავდეს, საწუთრო და ჰაერი სამოთხესა დაემსგავსა, ბერი ქვეყანა გაემდა გარდისა, იისა და მრავალ ფერთა ყვა-ვილთაგან;

ამა ქვეყანისა სიმწვანისაგან შესწრაფებითრე მოუნდა მოაბადს ველსა თამაში და ნადირობა. სწრაფით უხმნა დიდებულთა და აწვივნა ლაშქარნი და უბძანა, ვითა „ჩვენ ნადირობად გურჯანისა ქვეყანასა წავალთ და დაეკაზმენით“.

რამინ უნებლიე გამგზავრდა პირალმასითა ისრითა გულ დაკოდილი და ლხინთაგან აბეზარ ქმნილი. ვისსა მისითა წასე-ლითა თმობა წაუვიდა და უქუი ქვე-იდვა. გული სიხარულისა დაჩვეული ეს-რე გაუხდა, ვითა ქორისა ქანგათგან ხოხობი დანაყილი. სიხარული და ნიშატი მისგან აბეზარ იქნა. მიწყვი ვარდი მზე იყო და აწ გამთვარევედა...

სიშორითა გულ ტკივნეულმან ვისმან

წიგნი მიუწერა რამინს ესრე საბრალო, რომელ ასოთა მისთა სისხლი დიოდა და მელნად მას იხმარებდა: „ჰე მიჯნურო სიყვარულისა მზრდელი და სიშორესა შიგან ლხინთა მნასებელი!..“

რად მომაშორეე მზისა მზგავსი პირი შენი, ჩემი სულთაგანცა უფრო საყვარელი? ქვეყანასა. გულის ნება და სიხარული ვითლა ესძებნო, რადგან ტანსა შიგან არცა გული დამზრჩმია და არცაღამათ სული, ანუ ვით შემეძლოს სიციცხლე. ვინათგან უსულოსა და უგულოსა სიციცხლისა მიცემა ღმრთისაგანცა ურგებია დღისით მზესა ვკურეტ შენისა მზგავსებისათვის და ღამით სიბნელესა შენთავე თმათა სახვებისათვის.

გენახე წინასცა, რომელ მზისაებრ ელვარე ვიყავე, — აწ სისასვე ჩემი დამქნარა და ლაწვისა ჩემისა ფეროვნება გაზაფრანებულა. სული მიბნელდების და გული მინდების შენისა ნატრისა და სურვილისაგან...

წვენიერო ტან-გრძელო, პირ-მთვარეო სულ-ანოო, სურნელო, წყლიანო, თმავლუზო! მე შენი ასეთი უხიარო მოყვარე ვარ საკუთარი! თვით შენ იცი: მე აა თუ ამა ერთსა. მაგრა ათასსა სულსა წენტვის გავსწირავ. ერთი შენი თმა ასრე საყვარელია ჩემთვის, რომელ ათასჯერ სულთა მირჩევია. მოედ, ნახვენ ჩემნი მოწამენი, რომელ შეგაჯერონ ჩემი საქვე! მოედ, გაიცადენ ცრემლნი ჩემნი, გეონისა მზგავსად ნადინებნი და ქვეყანა ჩემი გეონისაგან სისხლითა შეღებულნი!

აუ არ მოისწრაფებ, მე ცოცხალი აღარა დაგხედები ქვე ზი, ზე აღევ. და ზე სდგა, ნულარ დასჯდები. რა ესე წი-

რამინის გახელმწიფება.

...რა რამინ მოსანართლეობა დაიწყო ფათერაკმან დაიძინა ქვეყანასა შიგან, დამშვიდებამან გაიღვიძნა. სითცა ლაშქარნი გაკზაენა, ყოველგნით გამარჯვებულნი შემოიქნეს. ჩინით ბარბარამდის უვლი ქვეყანა დაიქირა, თვითოსა ქალაქსა შიგან თვითო დიდებულნი გაგზაენა და შევედრა: რაცა ქვეყანანი აოხრებულნი იყვენენ, მისითა ბრძანებითა აწინდეს. ავის მოქმედნი ამოსწყვიტნა და დახოცნა. ყოველთა გზათა ზედა თვითო ფუნდუკი საქარაენო ააგო და სოფლები შესწირნა მგზავრთა მადლისათვის. ყოველსა ქვეყანასა დაავიწყდა პირველი კირი და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს. მთხოელნი გამდიდრდეს, მცხვარნი მგელთა თანა ძოვდეს. კვირასა შიგან ერთსა დღესა დარბაზობა შექნის დავედრინს ლაშქართა და ხელისუფალთა მოსაძარტლეობა, შეგაგონებდის და სწვრთიდის. დარბაზისა კართა ზედა კაცნი

გნი წაიკითხო, წამოედ, დღევ და ლამე იარე. შენთა გზათა თვალისა მგებელი ვარ, ვითა გუშავი!! რა დღისა ცეცხლისაგან ლამისა კვამლი დარჩა და ჰაერი დაბნელდა, წამოვიდა თმობა უქონებელი რახსოსანი მზე რამინ ხვარასნისაკენ და ვერავენ ნახა მთვარისა და ვარსკვლავთაგან კიდე. თვით იგი და ვისის მოციქული ორმოცითა დარჩეულითა ყმითა ზოგჯერ ცოროვითა და ზოგჯერ რბევითა მოვიდოდეს სწრაფით...

რამინი მალვით შევიდა ქალაქში, ერთგულ ყმების დახმარებით ციხე აღო და სახელმწიფო ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო. მოაბადმა ეს რომ შეიტყო თავისი ერთგული ლაშქრით გაემართა რამინის წინააღმდეგ, მაგრამ ომის წინ ტყვეში გარეული ლორისგან მოკლულ იქნა.

დააყენა მოჩივართა გამკითხავნი; ბრკობისა ეამსა მას წინაშე სწორად იყვის ხელმწიფე და მთხოელი, მდიდარი და გლახა; სწორად უკერძებდის სამართალსა შიგან ძლიერსა და უსუსურსა. ბერი, დიაცი და მამაცი პატივით დაიჭირნის; მეცნიერთა კაცთა, მლოცავთა და მეღმრთეთთა ერცახე პატივისცის და ეკრძალვოდა, მეცნიერნი და ფრთხილნი კაცნი საახლოდ უყვარდეს. ვითა მზე მოიფინა ქვეყანასა არანისა.

ას და ათი წელიწადი დაჰყო რამინ, ოთხმოც და სამი ხელმწიფეობასა შიგან დაყვეს მან და ვისმან.

რამინისებრ გამარჯვებული ხელმწიფე არ ყოფილა და არცა ეგრე გონიერი. მოხარული ესრე იყო, რომელ პირველ ჩანგი მან მოიგონა. იყო ესრე მორკმით რამინ, რომე არავენ ჩნდა მისი მეუნებლე. რა ვისმან რამინის გვერდით ოთხმოცდა ერთი წელიწადი დაჰყო, სიბერითა ძა-

ლი მოელო, სიკვდილად მიეხარნეს, რომე სხვისა მომლოდებობა აღარასა ჰქონდა. ძისვე ათხდელისა საქმისაგან კიდემწვილდისაებრ მოდრკა და დაქნა და დადუხპირდა. ვისაც მტერი არ ესეას, რა გაიცადოს, მტერად თვით საწუთრო ეუოფის. ამისად შედეგად გალეული მთვარე მოკვდა. რამინის გული მისისა სიკვდილისაგან კირთა სადგომად შეიქნა, .. მოსთქიდა საბრალოდ და ტიროდის და უცბრომელად ვისსა ზედა. სამარხავე ააგო

მისადვე შესაფერად კარგი ოქროსა და ლაქვარდისა და თავისათვისცა. მისსავე სიახლესა საცეცხლე სახლი ააგო სალოცავად, დღე და ღამე მუნ შიგან ლალიასა და სურნელსა აკვამლოდის. თავისა უხუცესი შვილი მეფედ დალოცა. შევედრა თავის გვირგვინი, ტახტი, სამეფო, ლაშქარნი და საჭურჭლენი. იგი ვისის შედეგად სიკვდილისა მისისა სამარხავესაგან არ გამოვიდა და არცალა კარი გაალო, არცავეინ ნახა.

იოანე შავთელი

აბღულ მესია

წემოკრებით ბრძენხო. ათინელთ ძენო, დავითა ვაჟებდეთ შეფედ ცხებულსა, კროტს, ალაბს, მალრიბს. ეგვიპტეს, მაზრიეს, ჩინო მანანესა, თარშის ქებულსა!

ვაწუო ლა ქებად, ძვილ შეკადრებად: ჩამენელთ ვაუწუო ქვეყნის მყრობელი, მანე, ლმობიერი, ქველი. ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი, შარაყანდ-გზირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ჰეესკენლად დამამზობელი, რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეხთა ხედ მსპარანზობელი.

ზზრდულ არს მონათა: ზეცით მონათა იელისის მზემან ზედ ლომთა ჯღომით. ტონნი და ერნი, ყრმანი და ბერნი ადიდებდიან ნებებით და ხლდომით. არიან მზეცნი, მთანი და ბორცენი, მანდარნი, ველნი მისთვის შევრდომით. წემესკარეს. შეფქვავს, თხემსა ვის ვრქვავს ქურად ჩაფხუტი ორგულთ მიწითობით.

დავით შეფესა მტერთ სისხლ-მჭექეფესა, უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა, სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცეფსა, ტანად საროსა, ნზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, ერთგულთა ხსნილ-ჰყოფს, მტერთ ებაროსა. მზნედ ვისთვის ვიყო, სული ვაიყო? უფულსა ჩემა რამც გამყაროსა?

შესამოსელნი, შესამკობელნი გამოსიან ტანსა ოქროვნემსულნი. გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი, ძოწეულთა თანაშექსულნი.

თუ ვეჭო სრანი მე ამას რანი გალავანისა შემეკლობანი, მტილ-სამოთხენი, თუალთ სამოთხენი ზედ ავაზანთა შექმნულობანი, კართა სტოვანი, ერთა სტოლანი, ოპოდრომისა განმწულობანი.

ტ-სტ-საჯდომელნი, მკამკამებელნი, სარდიონითა ხერუზხმ შემეკლნი,

მისაყრდნობელნი, ძნელ საცნობელნი, საშოთხით ნაძენი, თვით უდნობელნი. ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცეცხლებრივ კედელ-ყურენი, ფიქლით ძერწილნი, ბივილიონი, ლიგვილიონი ურთიერთობით შორის შათხილნი.

იაგუნდისა—სხვა რად უნდისა?!—ჯამები იყვის ლალ-ფირუხისა. იყვის ქურქერთა, სხვათ უცხოფერთა სიმრავლით დება თვით ურიცხვისა. ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი ზოდი ოქროსა მისგან თლილისა, ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა. ხმანი ებნისა და წინწილისა.

გუნდ მწყობრი დასი მას ბევრ-ათასი ჰყავს დიდებულთა დიდგვარ თეადთა იოსებს თეადად. დიდ სამფსონს ძალად სჯოკს ნებროთს გულად ნაყოფი მსთეადთა მხირთ სიბორგლით სიფრსით მძაცუადთა. მისთვის მოვწყუდევი, შევირაცხები მსხვერპლად: ვემზავესო ცხოვართა კლეადთა.

ვარდო ფურჩენილო, ცვრით განბანილო, ნერგო სვიანო დავითიანო, ვინ კისკასია, სუნნელ-კასია ბალასნად კმოლავ და ვით იანო, ვინ ქარანთ რაკი, ქვეყნად ანთოაკი უცხოად აგებულ ანაქესიანო. გონება ვრცელი, კვლავ ცნობა გრძელი მოთმინებო იობიანო!

ვზედავ მარტოსა ვაშლით მა რტოსა გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა: კაცთა მყოდისა და მამკოდისა შეიწრებისა არ მომთმინოსა. სწავლის ებგური, უცხოთ სადგური, ნავთ საყუდელთა სწორავ ნილოსა, სიბრძნის უფსკრული, ენა—რიტორი, მსგავს ხარ მთისა მის ეტენისა.

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშვიერთა პური, უსახლთ საართული, მამა ობოლთა, მსაჯული ქვრეთა, შიშველთ სამოსლად მონიკებული. მოხუცებულთა შრონით რებულთა სიტყვის კვერთხად მისაყრდნობელი.

მოგვეყენე სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.

სჯულისა ლარი, ქვეყნისა ლარი,
ჯამდიდრებულნი ფრიად ყოვლითა!
უწყის ყოველნი ეამნი და წესნი,
შეყინვა ნივითა ცით მომრგვლებულთა.

შეგვეფეროდა, გმირო, ქველოდა,
სულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა,
მა ლევეონსა მალე გეონსა
დაანთქმედ უყსა საუფსკრულისა.

შენ, გონიერო, გულისხმიერო,
თვით მეცნიერო, მეფეე ძლიერო,

მიუსდომელო, მიუწოდომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
განათლებულო, განახლებულო,
გაბრწყინებულულო მზეო ციერო,
გალალებულო. გალომბელო,
ქვლავ გოლიათო გულ-ღმობიერო!

მეფეე მალალო. ქიეეე მდაბალო.
ლომისა მსგავსო—ძალად და გულად,
ალვისა რტოო, ყოვლად მარტოო,
მკვერეთთ სასურველო მოსარბეველად.
ეარდზე გაზლილო, ყორნისა ბოლო,
ქმნილო სუნნელთა მოსაფრქვეველად.
შუქთა მეფეებო, თვითგანმეფეებო,
ხედ სამყაროსა, მერმე, ქვე ევლად.

ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე მ

თამარიანი

მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ეაქებდეთ გულის ხმიერსა!
დიონოსისგან, ვით ენოსისგან
სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა!
სოკრატ სიბრძნითა, სარამარგარძნითა

ვიყვანეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა
ფიროს, პლატონ სიტყვა დამატონ
თვით ვერა მიხედენ შესატყვიერსა.
აოისტოტელი, ბრძენთა ტომელი
თუ არ, რა შესძლებს ენა ძლიერსა?

ხელეყოფ კადრებად ქებად დარებად,
მკვერეტთა ვაუწყით გონებიერსა:
ლაწვი მწყახარი—ა მულღახარი!
უგავს ელობა კრონოს ციერსა,
მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლ მსაჯული,
მას რომ უხმობენ ლეთის სახიერსა
უძრწის ავარი, სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა.

თამარ შენ გიმობ! ასული ვ გიცნობ:
მზე დაუვალო, შუქ მომფინარი,
ელვა-ეთერი და სიტყვიერი
დარმანის ველი ედემს მალნარი.
არს ცნობათ მოთხე, ვითა სამოთხე,
წვლად წყალი მრწყველი, მუნეე მდინარი.

სიუხვედ ზღვებრი, სიმაღლით ცებრი.
მდაბლად იოწყალე, კვერეტად ნარნარი,
კაკები გმონება და გიპატრონებს
ეეფთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი.
ეერ მიგვედენ ქეშად, სხედენ თვითვე ენებად
პლატონის ენა, დაუთის ქნარი.

თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ბმა ნარნარი, პირ-მცინარი.
ზზე მცინარი, საჩინარი
წყალი მქნარი, მომდინარი.
მისთვის ქ-ი არ არს? ქნარი
არსით მთესარი, უჩინარი.
ეარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი,
ლაწვი-მწყახარი, შუქ-მფინარი.

გულო, აბა მო! დაუხაბამო
თამარ ვსაქვა ნათლად და ძედა მისად.
მზეებარ საეანე, სულის საეანე
თანგანწყუად ძისა, სწოზად მამისად,
ცად ქმნად უცადი, არს განუცადი
ლეთიე განმბრწყინებეად და კაშკამისად:
მკვერეტელთა ურჩნი-ეარდნი მფურჩნი:
განკლდელთა შეუქს მსგავსად დრამისად.
ხენათ ცხებელი, გმირიე ხებეული,
მეკობი ყოვლისა მხნეთა მამისად.

ანათობს ის ოს. ნილ არ-ცხვენს ისოს
 წუქის კროთმანდა შეუღგამისად—
 ხნედა სჭირს ესა. არ ელყვის მხესა;
 „ამაზარ მელოდე! „სჩან მალღასისად!“
 არ ენა. სული არენ ასული
 ნემწყედ მესიას აღნათქვა მისად,
 ლეთი დგას ეტლითა მსწოაფლ-მომხვეტლითა,
 აჯარის ტოპთა ვულსა მზამისად

თუ არს მთოვარე, რადა მჯობს არე?
 რად არა ოდეს შეიქმნა ბნელი?
 თქვენი სთქვა რიტოს „ხმა ჰყოს, ვინ სჭეროტოს:
 აქვსმკა სუფევეად ათასი წელი“
 წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი,
 მეთეთა სკიპტრა—პორფირთა მცემელი“.

ლეთისაგან ეგე. როს თამარ ეგე
 ნახელოვნებად მისადენალი
 ყოვლითურთ უკლი, ერთგულთა უკლი
 უორთა კვლად ზინდანს შემაყენალი.
 მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა,
 სოფლისა წყალთა დამაშენალი
 მბოროლთა მზარკემან. გძონდა მოხარკებან
 ელიჯათ ოქრო დესატენალი
 არსად არსა რა, არსად არს—არა!—
 შენებერ უკლები და საჩენალი.

ვინა ბრედია? ვინატრე დია
 ძედ ღვთისა შენდა მიმწოდებარე.
 ვის აქვს შენებერი—ვის!—ნაქვს შენებერი,
 ქვევა, გონება, სული მწლფებარე?
 ბერთა საჩენი. ჭაბუკთა მღხენი,
 ძმთა შევებისა ძოუკლებარე,
 მეუჯლითა შინა დიდებულთ შინა
 ლაშქართ სიუხებით მამთვლებარე.

ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ-ვარდ
 შებლად

თამარ შენ გიცნობ განცხადებულად.
 სცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად:
 მთიებანი რად ყვენ განქიქებულად?
 ლელწამ ტანისა საროსა ხისა
 მიმგაჯესბულ ხარ განკვირებულად
 ვის ძოწულ—ვარდ-გაწულ
 ღაწვი უმწყარობს განბრწყინებულად.

მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა
 ეწერეს თქვენი ძლვეა გებულად
 გიწოდდა შენ თვის, როკვიდა შენთვის
 პირველი დავით განცხადებულად.
 თვალად ძე მისი, შენ რა ესმ ისი,
 სოლომონ ჩხომბადა სახელდებულად:
 „ასული ჩემო, მკერეტთა შემჩემო,
 სჩან სიყვითთა განხმევენბულად!“
 ფიციითა სწამა, მისგან იწმა
 ღამე ღლის ფერად განბრწყინებულად
 ოომელმან ღამე-ღლე ჰყო—ესთქვალა-მე
 ჰთვის შექსა მხეებერ გათენებულად
 მოწყალე სული, მშვიდ-წრფელ ასული
 გიცნა გონებით მისა ცხებულად.
 მოუნდა არსთა, მიღთა და სპარსთა
 ერთ სამწყსობა ერთ-უფლებულად,
 მოგყვა, მონებად—შენდა მონებად
 აღძრნა ყოველნი თავედადებულად

შენ ვინი შენნი, შენ მიერ შენნი,
 ერთხმობით ვიტყვით განმარტებულად:
 „რა არს-ქმნა იყოს, ვიერ თვით იყოს
 მღერობანი თქვენცა გაუნეს
 ძიურთა გებულად!“

იკის კარებით: იცი სკარებით
 წინთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნევეად
 ღრუნვილის ფიტრად, მტიკად საფიტრად
 რენი თავი სჩანს შებლ-ნაულევეად.
 ატეერებ თმითა, სულისა თქმითა
 ააატრებ, გნახოს, ვინ განამ ლვეად.
 ეპიკოს პირსა, მზე დანამჭვირსა
 წვეწვის ნარგისთა ვანაცისკრევეად.
 ა გრეღობს ყელი: დაუნაყელი
 სული ვის შერჩა მახვით უარევეად?
 თუ გიყო ტანი, მოწმობს სულტანი,
 არ დამაჩნდების ცულ ნამჭვირევეად.
 ჭაერთა მიენნი თქვენგან ნარცხვენნი
 შენვე გეძებენ ღონისა წვევეად
 იტყვიან მნახნი ხმა მალლად მხახნი:
 ივლი ოს ველსა, ჰგავს ნაჯღუთევეად.
 ღაწვთა არესა შეუნი მთავრესა,
 აელისისა ტბანი დგანან მორევეად.

შენთა მოყვითა რა ქნან, მოძმეთა?
 ღვდა და ენა აღარა სმოდის:
 მონ დანიოტენს. სადა მოტენს,
 ქვეწმის სახელი არ ასმოდის.
 კოსტანტინ პილის ნავნი ადგენ
 ხლვა წყნარად იყოს ტაროსი ქროდის.
 კაბასა მფლობი დიდი ემირი
 ნას შიგან მოხრემოსა თვისად ისობდის,
 შობაღდადენი ბარდაეს მოვიდეს,
 მახარებელი ჩვეთაზა როდის,
 ათი ათასი შართ გაკვეთილი
 ბიბი მოყვანდის მოყვანდის,
 აქლემთა ტურფათ მიძიმედ ტვირთვითა
 მონა მხველები წინა უძობდის.
 შენ გაეგებო—სუნელოთა კმევეად
 მუჯამრი გქონდეს აღვა იწოდის.

გნობ თამარ მხესა, უმხესად ზესა
 მით, რომელ უცხო ხარ სახილველი
 უკლებად სათნი, გიცსკრობენ ღაწვი,
 გრღერობს მონხედსა. ბროლ-ვარდობს ყელი
 განსკვირვრდეს არსნი, ხმა მალლად მხახნი
 ანას იტყვიან: „ჰე საკვირველი!“

ზოთა რუსთველი

ვეფხის ტყაოსანი

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
 ზეგარდმო არსნი სულითა ჰყენა, ზეცით მონაბერითა,
 ზენ, კაცთა. მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა,
 ზისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერთა.

ჰე. ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა!
 შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
 ზომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა,
 კლდეათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ვის ჰშვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა
 ნეფისა, მზის თამარისა, ლაწე-ბადახშ—თმა-გიშერისა, --
 მას, არა ვიცი, შეეკადრო შესხმა ხოტბისა შე რისა;
 ზისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ჰხამს, მართ მიშერისა.

თამარს ვაქებდეთ. მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
 ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,
 მეღნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მენა რხეული;
 ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
 ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
 ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა—
 გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა.

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება!
 ძალი მომეც და შეწეენა შენგნით მაქვს,—მიეცე გონება;
 მით შევეწიენეთ ტარიელს. ტურფადცა უნდა ხსენება,—
 მათ სამთა გმირთა მნათობთა სკირთ ერთმანერთის შონება.

მო, დაესხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი.
 ნისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი!
 დაესჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
 აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მათ ვითა მზეობა,
 სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,

ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სკირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვა, შუა უზის დიდი ზღვარი:
ნურვინ გარევეთ ერთმანერთსა, გესმათ ჩემი ნაუბარი.

ჰხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააგეროს, კუშტი მიჰხედეს, თუნდა ქუში.
ძძულს უგულოდ სიყვარული, ხევენა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა
ეუ მღერასა ბეღისა, ჰგავს ვაჟთა უმაწვილობასა.
კარგი მიჯნური ივია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.

არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა, ქირთა, მალვა;
თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა;
დასთმოს წყრომა მოყვრსაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ჰხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამელანებდეს,
არ ბეღითად ჰაი ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს;
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
ნისთვის ქირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამელანოს?
ამის ნეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს!
რადამცალა ასახელა, რა სიტყვითა მოაყიენოს?
რა გავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატყიენოს!

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი.
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი:
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი:
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ასე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოქმანები.
ჩემძნან ხელ-მქნელმან დამმართოს, ლაღმა და ლამაზმა, ნებო.

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხდოჰია ველთა რბენა!
მიაჯეთ, ვინ ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა!;
სამთა ფერთა საქებელთა ჰლამის ლექსთა უნდა ვლენა.

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუნა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს;
კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწყუნოს, არცა სხვათა უწყუნობდეს.

შიაირობა პირველდავე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.
ვრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

ვითა ცბენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
ნობურთაღსა—მოიდანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსეთა საუბართა ტკბილთა ფრქვევა,
რა მისპირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,

მაშინლა ჰნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიჰხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვა ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
ვანალა ჰსთქვას ერთი, ორი, უმგზავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“; უცილობლობს ვითა ჯორი.

მეორე: ლექსი ცოტაი ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უძს სრულ-ქენა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,—
ვანგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვსთ ზოცა ნადირთა მცირეთა.

მესამე: ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააშოკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სართეველად;
ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოდენ სთქვან ნათელად:—
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ჰხამს მელექსე ნაპირვებსა მისსა ცუდად არ აბრკვობდეს.
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკობდეს,
ყოვლსა მისთვის ჰხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
რვია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია;
ნისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ეთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია-საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა კეციანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან,
ვთქვენ ხელობანი ქეენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხდომისა წყენითა:
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლავ ზოგთა ქვე-უძს ბუნება კეკლუცთა ზედან ფრფენითა.

I

ამბავი როსტევან არაბთა მეფისა.

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი,
მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი.

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული:
მან მისთა მკვრეტთა წაულის გული, გონება და სული:
ბრძენი ჰხაშს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.

მისი სახელი თინათინ,—არს ესე საცოდნარია—
რა გაიზარდა, გაიესო, მზე მისგან საწუნარია.
მეფემან იხმნა ეეზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.

უბრძანა: „გკითხავთ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:—
რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამკნაროსა,
იგი წაევა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა,—
მზე ჩაგვისეენდა, ბნელსა ვკვრეტთ ლამესა უთენაროსა.

მე გარდასრულვარ, სიბერე მკირს, კირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა! ვარდი თუ გაჰხმეს, ეგრეცა გემართებს რაზომცა ჯეოობა, მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტუფა ფერობა,— მთიარესა მცხრალსა ვარსკვლავნან ვითამცა ჰკადრა მტერობა!

მაგას ნუ ჰბრძანებ, მეფეო. ჯერ ვარდი არ დაგქინობია, თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია; ჰხამს განაღამცა საქმელად, რაცა თქვენ გულსა გლობობია. ჰსჯობს, და მას მიეც მეუობა, ვისგან მზე შენაულობია.

თუმცა ქალია, ხელმწიფედ მართ ლეთისა დანაბადია; არ გათნვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლავ დია; შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხეაღია“.

აეთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა, საროსა მჯობი ნაზარდი, მზგაესი შზისა და მთიარისა, ჯერ უწვევრული, სადარო ბროლ—მინა საცნობარისა: მას თინათინის შეენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად: რა მოჰპორდის, ვერ მკვერეტელმან ვარდი შექქმნის ფერ-ნაკლულად: ნახის, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად. საბრალთა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად.

რა მეფედ დასმა მეფემან ჰბრძანა მისისო ქალისა, აეთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სკიორს მი სოქალისა. თქვა: „ზედაზედა მომხედების ნახეა მის ბროლ-ფიქალისა, ნუ თუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა“.

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან: „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან; მან განანთონეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან! მოდიოთ და ჰნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“.

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდეს ხასისა. აეთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა, ვაზირი სოგრატ—მოახლე მეფისა დასთა დასისა. მათ რომე დასდგეს საჯდომი, თქვეს:—„უთქმელია ფასისა!“

თინათინ მიჰყავს მამსა პირითა მით ნათელითა, დაჰსვა და თაესა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა, მისცა სკიპტრა და შეჰმოსა მეფეთა სამოსელითა. ქალი მზებრ უქვერეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა.

უკუ სდგეს და თაყვანის სცეს მეფეთა და მისთა სპათა, დაპლოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა, პუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდნეს ტუბილთა ხმათა; ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყოჩინისა ბოლო ფრთათა.

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა. ავად სტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა, მეფე სწერთნის: „მამა ყოველი ძისაგან ითაყვებოდა, ამისად ქნამდის დამწველი ცეცხლი არ დამეუსებოდა“.

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი, დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი, აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონდობილი, ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა; იყავ წყნარი და ცნობილი.

ვარდთა და ნეხეთა ვინადგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების; უბვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების, უხვად გასცემდი, ზღუათაცა შესდის და გაედინების.

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია. უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია. სმა-კამა— დიდად შესარგი, დება რა საეარგულია!“ რასაცა გასცემ, შენია რაც არა,—დაეარგულია!

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა; ყურსა უპყრობდა, ისმენდა წვრთნასა არ მოიწყინებდა; მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა; თინათინ მხესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი, უბრძანა: „ჩემი საკურკლე, შენგან დანაბექდულევი, ნოართვით ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“. ნოართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

მას დღე გასცემს ყველაქასა სივაჟისა მოგებულსა, რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა. ნერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა, ჩენსა ნუვინ ნუ დაჰმალავს. საკურკლესა დადებულსა“.

უბრძანა: „წადით გახსენით, რაცა სად საკურკლენია! ამილოხორო, მოახსი რემა, ჯოგი და ცხენია!“
ნოილეს; გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია, ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ალაფობდეს საქურქულესა მისსა, ვითა ნათურქალსა.
 მას ტაიქსა არაბულსა, ქვენაბამსა, ნასუქალსა,
 რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
 არ დაარჩენს ცარიელსა, არ ყმასა და არცა ქალსა.

დღე ერთ გარდახდა; პურობა, სმა-ქამა იყო, ხილობა;
 ნადიმად მჯდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა,
 მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დარეჯილობა
 „ნეტარ რა უმძიმს, რა სკირსო?“ შეჰქმნეს ამისი ცილობა.

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენართა,
 თვითო აივსეს კიქები, მიელენ ქვევითა წყნართა,
 შინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინართა,
 ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნართა:

„დაგიღრეჯიად, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!
 მართალ ხარ, წაჰხთა საქურქული თქვენი მძიმე და ძვირიო:
 ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ—ზშირიო.
 ყოლამცა მეფედ ნუ დაჰსვი, თავსა რად უგდე კირიო!“

ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა რომე მწყენია:
 სიბერე მახლავს, დაელიევენ სიყმაწვილისა დღენია,
 კაცი არ არის, სითგანცა საპრძანებელი ჩვენია,
 რომე მას ჩემგან ესწავლეს სამამაცონი ზენია.

ერთაი, მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა:
 ღმერთმან არ მომცა ყმა—შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა.
 ანუშცა გვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;
 ცოტასა შემწვეს ავთანდილ, ჩემგანვე ნაზარდობითა“.

ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,
 თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,
 აუთრთა კბილთათ გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
 მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდა?“

მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია:
 ნაძლევი დადევათ, მოვასხნეთ, მოწმად თქვენივე სპანია:
 მოასპარეზედ ვინ მგავსო!?—ცუდილა უკუთქმანია,
 გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“!

„მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მავისა დაცალებასა,
 ჰბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,
 კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა“!
 მერმე გამოყმარჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდეს ქებასა“!

ავთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი გარდაწვევიდეს,
იციზოდეს, უმაწვილობდეს, საყვარლად და კარვად ჰზმიდეს,
ნადღევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკენიდეს:
„ჭინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ-დღე ვლიდეს“.

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი,
პირს-ოქრო რიდე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასვლად აწვევდა, ნოდგა თეთრ-ტაიკოსანი.

შეეკაზმა მეფე, შესჯდა, ნადირობას გამოვიდეს;
მრგვლოვ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად გარე შემოჰკერიდეს;
ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაჰფარვიდეს;
ნადღევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან ჰრვიდეს

უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩემთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკარვსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“.
დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოვლგნით მინდორთა კილითა.

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს;
ნოჰოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მიასხმიდეს;
რა ისარნი დაელივნეს, მონანივე მოართმიდეს;
მხეცნი, მათგან დაკოდილნი. წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დაჰოცეს და ამოწვევიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,
ველნი წითლად შეელებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს;
ავთანდილის შემხედველთა: „ჰგაესო ალვას, ედემის ხეს“.

იგი მინდორი დალივეს, მართ მათგან განარბენია,
მინდორსა იქათ წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია,
ნადირნი ტუესა შეესწრნეს, სადა ვერა ჰრბის ცხენია;
იგი მაშვრალნი ორნივე მოწყდეს, რაზომცა მხენნია.

ერთმანერთსა, „თუ მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქათ დგებოდეს;
მერმე მოვიდეს მონანი, რომე მას ჰყუებოდეს.
უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს“.

მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით,
მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით,
აწვეცა დაგვოც, ვერა ჰგავ, ვერად ვერ მოგვხმარებით;
ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი ვერ წალმა წარებით.

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოციითა უფროსი დაუზოცია,
არ დასცდომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიხოცია“.

მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა.
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა.

იგი ორნივე საგრილად გარდაჰხდეს ძირთა ხეთასა;
ლაშქართა შეჰქმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი მზეთასა,
ახლოს უთეს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა;
თამაშობდეს და უპვრეტდეს წყალსა და პირსა კლდეთასა.

II

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსნისა

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგრისა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდღურად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა.
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა.
ხელთა ნაჭერი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა.
ჰნახეს და ნახვა მოუნდა უცხოთა სანახავისა.

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდღურისად,
თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ კვრეტით მოლიზღარისად;
მუნვე ჰსწვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ლარი სად;
ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.

ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,
დიღბანს უპვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაგარდა,
მოახსენა: „გიბრძანებსო,“ ახლოს მიდგა, დაუწყნარდა;
იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა.

მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი,
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი,
უცხოდ რამე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი;
ცრემლსა სისხლი ერეოდა—გასდის, ვითა ნაგუბარი.

რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა;
როსტანს ჰკადრა: "შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა;
თვლანი მზებერ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრნწულა;
ვერ ვასინე საუბარი; მით დაეყოვნე ხანი მუნდა".

მეფე გაკვირდა, გაცასწყრა, გული უძს მისთვის მწყრომარე;
ვაჭზაუნა მონა თორმეტი, მისი წინაშე მდგომარე,
ბრძანა: "ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
ზილით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე".

მონანი მიდგეს, მივიდეს, გაჰხდა აბჯრისა ჩხარია;
მაშინდა შეჰკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულ-მდულარია,
თვლანი მოარნა ყოველგან, ჰნახა ლაშქართა ჯარია,
ერთხელ ესე სთქვა: "ვა მეო!" სხვად არას მოუბარია.

თვალთა ხელნი უკუ-ივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ამალ-კაპრაჟი მოიმაგრა, მკლავნი გიამამაცურნა,
უხენსა შეეჯდა,—მონათამცა საუბარნი რად იყურნა!—
სივასა მხარსა გაემართა, მათნი ჰირნი არ განკურნა.

მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად;
ზან, გლახ, იგინი დაჰხადნა მტერთაცა საწყალობელად,
ჰკრა ერთმანერთსა, დაჰხიცნა, თავის ხელ—აღუპყრობელად,
ზოგსა გარდაჰკრის მათრახი, მკერდამდის გასაპობელად.

მეფე გაწყრა, გაგულისდა, მონანიცა შეუზახნა.
ზან მდევართა მიწვენამდის არ უქვირტნა, არცა ნახნა;
რაზომნიცა მიეწიენეს, ყოვლნი მკედართა დაასახნა;
კაცი კაცსა შემოსტყორცნა,—როსტან ამიდ ივაგლახნა.

შესხდენ მეფე და აეთანდილ მის ყმისა მისაწველად;
იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხვევლად;
ტაიქი მიუგს მერანსა, მიეფინების მზე ველად;
წიგნა მისვლა მეფისა მისად უკანა მდეველად.

რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა უხენსა,
ნასვე წამსა დაიკარგა,—არ უნახავს თვალსა ჩვენსა—
ჰჰვანდა ჰვესენელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანათურენსა:
ეჭებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.

კვალი სძებნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევსა,
აკრე კვალ-წმინდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა;
ლაშქარნი მკედართა სტიროდეს, სწრაფა აქვს წყლულთა ხვევისა.
მეტემან ჰბრძანა: "ენახეო მიზეზი ლხინთა ლევისა".

ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შებება, ამად მიყო სიამისა სიშწარითა დანალღლება. სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალუმს განკურნება: მასვე მადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება“.

თინათინს ესმა მამისა ეგეთი დარღეჯილობა: ადგა და კარსა მივიდა, —ჰქონდა შხისაცა ცილობა მოლარე იხმო, უბრძანა: „ძილია, თუ ლეიძილობა?— მან მოახსენა: „დარღეჯით ჰხის, სჭირსო თერ-შეცვლილობა;

ერთილა ახლავს აეთანდილ, წინაშე უზის სკამითა, უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დარღეჯით ამითა. თინათინ ჰბრძანა: „აწ წავალ, შესელა არ ჩემგან ჟამითა; მიკითხოს, ჰკადრე, იყო-თქო აქა ერთითა წამითა“.

ხანი გამოჰხდა, იკითხა: „ნეტარ რასა იქს ქალიო. ჩემი ლხინი და ჯავრი, ჩემი სოფლისა წყალიო? მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწალა თერ-ნამკრთალიო, დარღეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.

უბრძანა. თუ: „წადი, უხმე, უმისობა ვით გავძლეო! მოახსენე, რად დაჰბრუნდი, ზენ მამისა სიციცხლეო? მოდი, კმუნევა გამიქარევე, გულსა წყლუსა მეწამლეო, გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო“.

თინათინ ადგა, მოვიდა. მოჰყვა მამისა ნებასა; უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა; მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება ნებასა, უბრძანა: „მოხვალ რად არა, მელი მე მოყვანებასა?—

ქალმან ჰკადრა: „ხელმწიფეო, დარღეჯილსა ვინცა გცნობდეს, ვინმცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს, თქვენი აგრე დარღეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს. კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეკე, კმუნევასა ესე სჯობდეს“.

უბრძანა: „შეილო, რაზომცა მკირს საქმე სეავგლახია. შენი ჰვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია, მომაქარევი სეედისა, მართ ვითა მუფარახია. ვეკე, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთ-თქმა და ახია.

უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეციდე! ნისმან შუქმან განანათლა სამუარო და ხმელთა კიდე. რა უმძიმდა, არ ვიციოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე; ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე.

მე რა მნახა. ცხენსა შეგდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა; შესაპყრობლად შევეუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა, ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა. გერდცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა.

ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს, დამაფიწულა, რაცა დღენი მზიარულსა წამეარნეს, ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ მინეტარნეს; სადამდისცა დღენი მესხნეს, ველარამან გამახარნეს!*

ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა: ჰე, ზეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა ანუ ბედსა, რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა: ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!

მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედან მფლობელი, შორს არის თქვენი სამზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი, გაჰზავენე კაცი ყოველგან მისთა ამათა მცნობელი, აღრე სცნობ, არას იგი ყმა წობილი თუ უწობელი“.

მოახსენეს კაცნი, გაჰზავენეს ოთხთავე ცისა კიდეთა; უბრძანეს: „წადით, პატიეთა თავიმცა რად დაპრიდეთა! მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცილიდეთა, მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა“.

კაცნი წავიდეს, იარეს მათ ერთი წელიწადია, მოჰნახეს, სძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლავ და კვლა დია, ვერცა თუ ნახეს მნახველი ღვთისაგან დანაზადია; ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია.

აეთანდილ სჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი, იძღვრდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი, შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი, მოახსენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.

აეთანდილს მიჰხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა, ადგა და კაბა ჩაიცვა, მგობი ყოვლისა კრელისა; უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა,— ამოა კვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!

აეთანდილ ლალი, უკადრი, მივა, არვისგან ჰრცხვენოდა, მას ჰნახავს. ვისთა ვამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა. იგი უებრო ქუშად სჯდა, ელვისა მსგავსად ჰშვენოდა, მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა.

გაძრევილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
 ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად გასაჭირონი,
 შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგპირონი,
 მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს გრძელ თმანი არ უხშირონი

დაღრეჯით იყო მედღემარე ძოწეულითა რიდითა;
 ავთანდილს უთბრა დაჯიქოწ წყნარად, ცნობითა მშვიდითა.
 მონამან სელნი დაჯდგა; დასჯდა კრძალვით და რიდითა,
 პირის-პირ პირსა შეჭრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა.

ქალმან უთხრა საუბარი კეკოუც-სიტყვა, არ ღუხვირად:
 - ზუგის: "თუჲ აქანამდის, ჩემგან შორს ხარ დანამქირად,
 ვეკირს, მოგხვდა წამის-ყოფით საქმე შენგან საეკვი რად,
 მაგრა გითხრობ პირველ ხვალზე სენი მე მკირს რაცა კირად.

გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდოუს მხეცი დაგეხოცა,
 მა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა,
 მასუკანით გონებამან მისმან პრე დამამხოცა, —
 შენ გენუკვი მონახვასჲ; კილით კიდე მოლახოცა.

აქანამდის ნაუბარსა თუნცა ვერაჲს ვერ გეტყვიან;
 მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვიან,
 ვიცი, რომე გაუწყვეტლად თვალთათ ღაწვი ზისეტყვიან.
 შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვიან.

ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ოოდად:
 პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გეავს შენად სწორად.
 მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაქორად;
 წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად.

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გამაყარე,
 რომე დამხსნა შექვიერება, ეშმა ბილწი ასაპყარე,
 გულსა აგრე საიმედო ია მოპრგე, ვარდი ჰყარე,
 მერმე მოდი, ლომო: მხესჲ შეგეყრები, შემეყარე.

სამსა სძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი;
 ჰპოეო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბარი;
 ვერა ჰპოებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი;
 კოკობი და დაუფრქვენელი ვარდი დაგვხვდე, დაუმქნარი.

ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევიერთო რაცა ქმარი,
 მხეცა მამხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
 სრულად მოეწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიგულ დასანთქმარი;
 შენი მკლევდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.

ყმამან ჰკადრა: „აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა, მით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა; ზე რომ თქვენგან მოვისმინე წყალობანი, მეფადა; ვარდი ჩემი არ დაქნების, შუქი შენი, იეფადა“.

კვლავ შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი, გასალდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ზშირი, — გაადვილდა, აქანამდის გარდებდა რცა ჭირი — თეთრთა კბილთა გამოკრთების თეთრი ელვა ვითა კვირი“.

ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასად აგეს; ბოლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს; ყმა ეტყვის თუ: „შენთა მკვრეტთა თავი, ხელი ასად აგეს, ცეცხლთა, მანდით მოდებულთა გული ჩემი ასადაგეს“.

ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძღებდა; უკულმავე იხედვიდა, თვალთა რიტად აყოლებდა ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მკვერსა ათრთოლებდა? გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა.

საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების. ვითა ვერხვი ქარისაგან ირხევის და იკეცების: რა მიჰლუნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების, შეჰკრთის, დიდი დაიზახის, მით პატიყი ეოცების.

მოშორებდა საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ლაზოდ; ცრემლსა. ვითა მარგალიტსა, ჰურის ვარდისა დასანაზოდ; რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მკვრეტთა სალამაზოდ, ცხენსა შესჯდა; გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.

დარბაზს ეჯიბი შეჰგზავნა, მართ მისგან შენარონია, შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია: ყოველი პირი მიწისა თქვენ ხმლითა დაგიმონია, აწ თუ სჯობს, ესე ამბავი ცნან, რაცა გარემონია.“

მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო, თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა კულსა ვკვამირო, მორჩილ-ქმნილი გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო, ძლევნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო“.

მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა, ებრძანა: „ლომო, არა გკირს შენ ომთა გარდუხდელიობა, აწ ნავა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა; წა, ნავრა მამხვედეს, რალა ვქმნა, თუ სიშორისა გრძელიობა!“

ყმა შევიდა, თაყვანის-სცა, მაღლი რამე მოახსენა:
 „ხელმწიფეო, მიკვირს, ქება რად იკადრეთ ჩემი თქვენა,
 აწ ნუთუ კვლა სიშორისა ღმერთმან ბნელი გამითენა,
 პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კვლა მიჩვენა“.

მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაჰკოცნა ვითა შვილი,—
 სხვა მათებრი არ ყოფილა, არ გამზრდელი, არ გაზრდილი;—
 ყმა ადგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი:
 როსტან მისთვის აატირა გონიერი, გული ღბილი.

III.

წასვლა ავთანდილისა ძებნად ტარიელისა.

ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა,
 დაავდო მზლვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
 მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;
 თქვა: „თუ მე მასმცა ვეახილ, აწ ცხელსა ცრემლსა ეღერი არა“.

ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო კნებოდა,
 გულსა უთხრის თუ: „დასთმეო, ამაღ არ დია ბნდებოდა.
 უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა,
 მკზაერთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა ემოყვებოდა.“

ყოელი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
 ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა;
 მაგრა იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხედარა.
 ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა.

მობრუნება დააპირა, სულთ-თქნა, მერმე ივგალახა,
 მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოჰსახა;
 თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა;
 მხეცნი იყვნეს საშინელნი, მაგრა არა შეუზახა

თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოსკენით და კენესითა,
 ეგრეცა ჰამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა,
 ისრითა მოჰკლის ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა,
 შამბისა პირსა გარდაჰხდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

ცხენსა მისცა საძოვარი, ვირემ მწვადი შეიწოღეს;
 ექესი რამე ცხენოსანნი ჰნახა, მისკენ მოვიდოდეს;
 თქვა: „თუ ჰგვანან მეკობრეთა, თვარე კარგი რამც იცოდეს!
 აქა კაცი ხორციელი კვლავ ყოფილი არაოდეს“.

ხელთა ჰქონდა მშვილდ-ისარი, მათკენ მივა მხიარული,
 ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვეროული;
 ძავსა იყო დაკოდლილი, შეებნიდა სისხლსა გული;
 ტიროდეს და იჭიროდეს, ცოტა ედგა მას გლახ სული.

უყვილა თუ: „ძანო, ვინ ხართ, მეკობრეთა დაგამზავესე“!
 ნათ მიუჯეს: „დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლი ავსე;
 ვერა გვარგო, მოგვიმტკიცენე, ჭირი ჭიოით მოგვისავსე,
 სატირელნი ნოგვიტირენ, ლაწვი შენცა დაიხავსე“.

ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ-მდულარეთა;
 ნათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:
 „ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდრეთ ცრემლთა მწარეთა,
 ღია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა.“

კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით;
 გვეყვს ლაშქარნი უთვალაენი: წყლისა პირსა გარდაუხედით,
 სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ წავედით;
 ვბოცეთ მხეცი უსაზომო მინდორით და მით და ქედით.

ჩვენ სამთა ძმთა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,
 მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით:
 „შე უყეთ მოვქალავ, მე გჯობო“, სიტყუანი ვავაქილენით;
 ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.

დღეს ავეყარნით ლაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა,
 ვაქვით: „გავაჩინოთ მართალი, ვინ ეჯობთ თავისა მკლავითა,
 თავსა ვიახლნეთ მარტონი, დაედგეთ თავისა თავითა,
 თვით დანახულსა ნოვქკლეიდეთ, ნუ ვესერით დამნახავითა“.

ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია,
 ლაშქართა წასულა უბრძანეთ,—მით არას მოაზრენია —
 მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია;
 დავბოცეთ მხეცი, მფურინველი არცა ზე გარდაგვერენია.

ანაზღად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშავია;
 ზედა სჯდა შავსა ტაიქსა,—მერანი რამე შავია —
 თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავია.—
 ჯეროთ მისი მზგავსი შეენება კაცთაგან უნახავია.

უქვრიტეთ მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით;
 ვაქვით თუ: „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებთ ცად ენით!“
 მისი ნოგვინდა შეპყრობა, ვკადრეთ და შევეცადენით,
 ასრე სულთ-თქმით და ვაებით მით ვართ ცრემლისა წადენით.

მე ხუცესმან უმცროსთა კაცი დავთხოვე ქენებით
ჩემმან შედეგმან ტაიქი მისი მით აქო ხსენებით;
ანან მართ ოდენ მორეენა გვთხოვა, უვალეთ ჩვენ ნებით;
ნიკმართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შევნებით.

ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა,
იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გააყუნა,
არ აგვიხვნა, არცა დაგვხვნა, ყოლე არად ამოგვეკრიფნა,
ნისნი მკეახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!

უმცროსსა ძმასა მივეცით, უფროსსა დავეზიდენით;
ხელი მოჰქიდა, „დადეგო!“ ესეცა ჰკადრა კიდ ენით;
ნან ხმალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამათ დავეკრიდენით,
თავსა გარდაჰკრა მათრახი, ენახეთ სისხლისა კი დენით.

მით ერთითა მათრახითა თავი ასე გარდაჰფრიწა,
ვიჯა მკედარი უსულო ჰქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
ნისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წა!

ალარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად და აუჩქარებლად;
აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად;
შორს უჩვენებდეს ავთანდილს მტირალნი გაუხარებლად;
ოდენ ჩნდა შავი ტაიქი მისი მის მზისა მარებლად.

აჰა მიჰხვდა ავთანდილსა ლაწვთა ცრემლით არ დათოვნა,
რადგან ცუდად არ წაუხდა მას ეზომი გარედ ყოფნა;
კაცსა მიჰხვდეს საწადელი, — რას ეძებდეს, უნდა პოვნა—
მაშინ მისგან აღარა ჰხამს გარდა ასრულთა კირთა ხსოვნა.

უთხრა თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა
ნე იმა ყმისა საძებრად მოეშორდი საგაზრდილოსა,
აწ თქვენგან მივხვდი საქმესა, ყოლა არ საადვილოსა!
ღმერთიმცა ნურას ნულარ იქმს თქვენსა დასაღრეჯილოსა!

ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაჰქუსლა ღეზითა,
ვითა გავაზი გაფრინდა, არ გაშვებული ხეზითა
ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა.
დაივსო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზეზითა.

მიეწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს:
საუბარმან უმეტარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!
ჰხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ სიწყნარე გონებისა მოიძელოს, მოიძაგოს.

რადგან ისი არის სადმე უცნობო და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშეებს საუბრად და მისად ჰკრეტად,
მივეწევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ჟღეტად;
ანუ მომკლავს ანუ მოვკლავ, დაიმაღვის ნეტის-მეტად.

ღლისით ვლეს და სალამო-ჟამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,
კლდეთა შიგან ქვაბნი იყენეს, ძირსა წყალი ჩანადენი,
წყლისა პირსა არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,
ბე დიდრონი, თვალ-უწთომი, მალლა კლდემდის ანაყრდენი.

მან ყმამან ქვაბსა მიჰმართა, გავლნა წყალნი და კლდენია:
ავთანდილ ცხენსა გარდაჰხდა, მოჰნახა დიდნი ხენია,
მას ზედან ჰკრეტად გავიდა,— ძირსა დააბა ცხენია—
მუნით უჰკრეტდა. იგი ყმა მივა ცრემლ-მინადენია.

რა ტყენი გავლნა მან ყმამან, მოსილმან ვეფხის ტყავითა,
ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა,
ატირდა მალლა ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა;
იგი ყმა ცხენსა გარდაჰხდა, ყელსა მოეკლო მკლავითა.

ავთანდილს უკვირს,—ამბავი ისი თუ ვცნაო მე რითა?
გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერთა;
შავსა აუდგა ლაგამი, სწმენდღი რიდისა წვერითა:
შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერთა.

ავთანდილ ახლოს კვლავ ჰნახა სახე მისივე კაცისა,
ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო, „ნუთუ მზეაო“, სთქვა, „ცისა-“?
ეყნოსა სუნი ალვისა, ქართავან მონატაცისა;
ასრე უჩნს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაცისა.

მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა;
შამბი გავლო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა;
ავთანდილ სკვრეტს გაკვირვებით, მალვით ხესა მოეფარა;
თქვა თუ: „ღმერთმან ესე საქმე მეტად კარგათ მომიგვარა

ჩამოვიდა, ცხენი ახსნა, მისგან ხესა გამომბული,
ზედა შესჯდა. გაემართა, ქვაბი იყო კარ-განხმული.
მუნით ქალი გამოიჭრა გულ-მდულარე, ცრემლ-დასხმული;
ეგონა თუ, დაბრუნდაო პირი-ვარდი, ბროლ-ბაკმული.

ვერ იცნა სახე. არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა;
ფიცხლა გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა.
ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა;
ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ-სახესა.

ეტყოდა: „ჰსულე, რამე გიყავ, კაცი ვარ, ადამიანი, უფერო ქმნილი მინახვან ვარდნი და ისი იანი; მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი, სხედ არას გიზამ, ნუგეშის, ნუ ყოვი აგრე ხმიანი“.

ქალი ეტყოდა ტირილით:—სარჩელი უგავს ბქობასა—
-თუ არ შმაგი ხარ, დამეხსნენ. შმაგი ხარ, ზოდი ცნობასა—
აწ მეტად ძნელსა საქმესა მნუკავ ადვილად თხრობასა:
ცუდად ნუ სცდები, ნუ ელი მაგა ამბისა მბობასა“.

კვლავცა ჰკითხა ზენარობით, მიუყარნა მუხლნი წინა,
მაგრამ ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა,
პირსა ზედან გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა,
ადგა, თმითა წამოზინდა, ყელსა დანა დააბრჯინა.

ეგრე უთხრა: „მე ეზომი ჯაერი ვითა შეგარჩინო?
რავარა თუ ამატრო. ცრემლი ცუდად დამადინო!
გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო,
თვარა ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვდინო!“

ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოგკედები, მრთელი ვარ და მოუკლავი;
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ქირთა უნახავი;
კვლა თუ მომკლა, სასაუბროდ აღარ მედგას ზედან თავი.“

ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატივად ნურად გგონია,
მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია:
ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისთვისსე შემიწონია,
ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრა სიტყვანი მისანდონია“.

ყმამან სთქვა: „თუ არ ეგების აწ იმისი ასრე თქმევა,
სხვასა რასმე მოვიგონებ, სჯობს საქმისა გამორჩევა“.
გაუშვა და ცალკე დასჯდა, ტირს, დაუწყო ცრემლთა ფრქვევა;
ქალსა უთხრა: „გაგარისხე, აწ არ ვიცვი, ვით დავრჩე, ვა“!

ქალი დაუჯდა კუშტ-გვარად, ქუშობს, ჯეროთ არ დამტკბარია;
ავთანდილ ქვე ჰზის ტირილად, აღარას მოუბარია;
ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია;
კვლა იქათ ქალი ატირდა, მისთვის გულ-ნალმობარია.

ყმა მტირალი შეებრაღა, ამად ცხელნი ცრემლნი ჰლვარნა,
მაკრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა;
ყმამან სცნა, თუ.—გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა,—
ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა.

უთხრა: ვიცი, აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემდა დასანდობლად; გაგარისხე, დაგრჩომირვარ ლარიბად და ამად ობლად; აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიძს შენთვის დასანდობლად, ამად რომე შეცოდება შეიდ-გზის თქმულა შესანდობლად.

თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე, მიჯნურისა შებრალემა ჰხამს, ესეცა გაიგონე; სხვაგნით ყოვლგნით ულონო ვარ, არვინ არის ჩემი ღონე, სულთა მოგცემ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე!-

რა ქალსა მიჰხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება, გულ-ამოხეინჩვით დაიწყო ას-კეტთა ცრემლთა დინება, კვლავ გაამალლა ზახილთ ტირილი, არ გაცინება. ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა, გულისა ღხინება.

იტყვის თუ: „ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალეზის, კვლავ უთხრა: „დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალეზის, ვისთვისმე ცხელი უცილოდ, მას ცრემლი ემალალების. ესეცა იცი, სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალების

ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად; ჩემმან მზემან გამომგზავნა საქებარად იმა ყმისად; ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე მისულვარ სად ამისად; გული თქვენი მიპოვნია, მისი შენად, შენი მისად.

მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოეხატე, მისთვის ხელმან, გამოჰკრილმან, ღხინი ჩემი ვაალაქატე; ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე მქმენ, ანუ მახატე, ან მაცოცხლე, ანუ მამკალ, კირი კირსა მამიმატე“.

ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისგან უამესი! „ეგე ღონე მოიგონე დია რამე უკეთესი, წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთვის, აწ მოყვარე გიპოვნევარ, დისაგანცა უფრო დესი.

გითხრობ, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა, ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა, მე ასწათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა, სულ-თქმა სულ-თქმისა ბევრისა. მაშა თუ არ ერთხელისა.

ამას გვედრებ, მოიცადო, თავი სხვაგან არსად არო; რა მოვიდეს, შევეხეწო, ნუთუ ვით რა მოვაგვარო; ერთმანერთსა შეგამეცნე, თავი შენი შევაყვარო; თვით გიამბოს საქმე მისი, საყვარელსა გაახარო“.

ქალსა ყმამან მოუსმინა, დაჰმორჩილდა, დაპრთო ნება.
ამას ზედა მოიხედეს, ხეით ესმა ჩხაჰუნება;
მთვარე წყალსა გამოსული ჰნახეს, შუქთა მოფინება;
უქურიდეს, აღარა ჰქმნეს მუნ ხანისა დაყოვნება.

ქალმან უთხრა: „ყმაო, ლმერთმან მოგცა ჟამად, რაცა გინა.
მაგრამ თავი უჩინო ჰქმენ, დამალული იყავ შინა;
იმა ყმისა მეუნებლე ხორციელი არავენა;
ნუთუ ვით რა მოვაგვარო, შენი ნახვა არ ეწყინა“.

ავთანდილ ქებასა დაჰმალა ქალმან მალეითა მალითა,
იგი ყმა ცხენსა გარდაჰხდა, ჰშვენოდა კაპარჰ-ხრმალითა;
ატარდეს მალლად ცრემლითა, ზღვათაცა შესაწალითა.
ავთანდილ სარკმლით უქვერეტდა ქვერეტითა იღუმალითა.

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან.
დიღხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან:
შეჰხსნა, შეილო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;
დალუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიჰრისა დანამან.

ავთანდილ სარკმლით უქვერეტდა, ტყვე, საკნით ნააზატები.
ჰან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყუვისა ნატები;
მას ზედა დასჯდა იგი ყმა, სულთ-თქემს ჰირ-მონამატები, —
სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიჰრისა სატები.

ქალსა ცრემლნი გარდმოსცივდეს ას-ნაკეცი ბევრის-ბევრად;
მოახსენა: „მხეტთა თანა იარები მარტო ტევრად,
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად,
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ჰლევ რად“

ყოელი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?
გიახლოს და არ გაშმაგდი, თუცა პირი არ გაკლია;
შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია!“

უბრძანა: „დაო, ეგეა მზგავსი შენისა გულისა,
მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!
ვის ძალ-აქეს პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ მოსულისა?
ჩემი ლხინია სიკვდილი, გაურა ხორცთა და სულისა.

ლმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა საღმცა კაცი რად დაჰბადა.
სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მეწადა!
ვინმცა გასძლნა პირნი ჩემნი, ანუ ვინმცა შეეცადა?
შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა“.

ქალმან ჰკადრა: “არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია;
რადგან ლმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია,
ვერ დავენალავ უკეთესსა, რაცა საქმე გამიცდია;
არა ვარგა უსაზომო, ზომსა თავი გარდგინდია”.

ყმამან უთხრა: “რას მენუკვი, არა ვიცი, გამიცხადე.
კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე?
ლპერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!
ვალანამცა გაენადირდი, თავი ასრე გავიხადე”.

ქალმან კვლავ ჰკადრა: “გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,—
ნაგრა თუ კაცი მოგვევარო, მოგუყვეს თავისა ნებითა,
იგი გიახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა,—
ჰუიცე არ მოჰკლა, არ იყო, არ საენებლისა ვნებითა”.

ყმამან უთხრა: “თუ მაჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ,
სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მიხდრორს თავსა ვარებ!
არას ვუზამ უგენურსა, არად ოდეს გავემწარებ;
რაცა ჩემგან იამების, ვაამებ და შევიყვარებ”.

ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად;
არ ეწყინაო, უამბობს, არს მისად მაგულვანებლად*.
ხელი მოჰკიდა, მოყვანდა, ვით მთვარე მოსაყვანებლად;
იგი რა ჰნახა ტარიელ, თქვა, „მზისა დასაყვანებლად”.

გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღურბლოდ შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათ-თანა აღვისა ხეცა ვარგუიოს ხედ არად,—
ჰვეანდეს შვილთავე მნათობთა, სხვადმცა რისა ვთქვი მე დარად!

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს;
ვარღსა ჰხლერდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსკვირდეს;
ყული ყელსა გარდააჰკედეს, ერთმანერთსა აუტირდეს!
ჰარვად შეჰქმნეს იავუნდი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

IV

**ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ოდეს ავთანდილს უამბო
პირველი.**

ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სენასა,
საუბართა და საქმეთა, ვითა ძლივ ვათქმევ ენასა;
იგი, ვინ ხელ-მქნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
ვისგან შევეუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

ინდოეთს შვილთა მეფეთა. ყოვლი კაცი ხართ მცნობელი:
 ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
 უბვი მდიდარი, უკადრი, ნეფეთა ზედა მფლობელი,
 ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.

შამა ჩემი სჯდა მეშვიდე, მეუფე, მებრძოლთა მზარავი,
 საირიდან ერქვა სახელი, მტერთა სრვად დაუფარავი;
 ვერვინ ჰკადრებდა წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მზარავი;
 ნადირობდის და იშვიბდის საწუთრო-გაუმწარავი.

ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კეშანთა ჯარები,
 თქვა: „წამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,
 ყოვლგნით გამიხსნან, მორქმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები“;
 ჰბრძნა: „წაველ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები“.

ფარსადანს წინა დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა.
 შესთვალა: „შენ გაქვ? მეფობა ინდოეთისა სრულისა,
 ანუ მე მწაფს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა!
 სახელი დარჩეს ჩემისა ერთჯულად სამსახურისა“.

ფარსადან შეჰქმნა ზეიმი. ამა აზბისა მცნობელმან.
 შესთვალა: „ლპერთისა მადლობა შევწიოვ ხველთა მფლობელმან,
 რადგან ეგე ჰქმენ მეფეზან, ჩემებრ ინდოეთს მგდომელმან.
 ანუ ზოდო, ასრე პატრივ-გცე. ვითა ძჰამან და მშობელმან“.

ერთი სამეფო, საკარგ-ყმო, უბოძა ამირბარობა,
 — თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა —
 ვიფე რა დასჯდა, არა სკირს ხელისა მიუმცდარობა,
 სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კვისარობა.

თვით მეფემან მამა-ჩემი დაიქირა სწორად თავესა.
 თქვა: „ჩემებრივ ამირბარი. ნაძლევი ვარ, ეისცა ჰყაყსა“!
 ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლედიან მტერნი ზავსა,
 მას არა ვჰგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა.

ძე არ ესეა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,
 ქმუნვა ჰქონდა, ეამი იყო, მით აეხენეს სპანი ზარსა;
 ვაი კრული დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!
 მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“.

მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
 საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
 ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;
 მოვიწიფე, დავემზავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკეთად.

მე ხუთისა წლისა ვიყავ. დაორსულდა დედოფალი“.
ესე რა თქვა, ყმამან სულთ-თქნა, ცრემლით ჰბრძანა: „შობა ქალი“
დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი,
თქვა: მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი!

მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმობილი.
შვილისა წლისა შეიქმნა ქალი წყანარი და ცნობილი,
მთვარისა მზგავსი, მზისაგან შეენებით არ შეფერობილი.
წისსა ვით გასძლებს გაყურასა გული აღმასი, წდობილი!

მეფემან კოშკი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა;
ქვად ფაზარი სხდა, კუბოდგა იაგუნდისა, ლალისა,
ძირსა და ბაღსა საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა:
იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი აღისა!

დღე და ღამე მუჯამრითა ექმეოდის აღვა თლილი;
ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღსა ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი.
დავარ იყო და შეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,—
მას სიბრძნისა სასწაულებლად თვით მეფემან მისცა შვილი.

სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შადითა;
კვრევი ვხედვდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა;
ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა;
მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს, განაზარდითა.

V

ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა პირველ რომ გაუმიჯნურდა.

კვლა დაიწყო თქმ ამბისა მან, რა ხანნი მოიტირა:
- ღლესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით, გვენადირა:
ნიბრძანა თუ: „ქალი ვნახოთ“, ხელი ხელსა დამიჭირა...
წის ეამისა მხსენებელი მე სულდგმული არ გიკვირა?!

ბაღსა ვნახე უტურფესი ყოვლისავე საღბინოსა;
ნფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა:
ნრაველად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა;
კარსა ზედა მოჭთარეიდა ფარდაგები ოქსინოსა.

მეფემან ახმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა:
გამოუხვევენ და წავედით ჩემად სადებლად აღისა;
მაწინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა,—
აღმანისა ჰხამს ლახევარი ლახერად გულისა სალისა!

ვიცი, სწადა არვისგან ნახე მის, მზისა დარისა,—
 მე გარედ ვდევ და მეფემან შევლო ფარდავი კარისა;
 ვერას ვხედვიდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა.
 ასმათს უბრძანა გამობმა ღურაჯთა ამირბარისა.

ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარედ ვდევ მოფარდაგულსა:
 ქალსა შევხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა
 მოვიდა, მიეცნე ღურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა,
 ვამე, მას აქათ სახმილსა დაუწევავ ნიადაგულსა!“...

VI

**წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელისათანა მიწერილი პირ-
 ველი.**

წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა;
 მოეწეოა მზისა შექსა: „ნუ დაიჩნევ, ლომო, წყულულსა;
 მე შენი ვარ, ნუ მოჰკედები, მაგრა ბნელა ცული მძულსა;
 აწ ასმათი მოგახსენებს ყველაქასა ჩემგან თქმულსა.

ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
 სჯობს, საყვარელსა ჴჩეინენე საქმენი საგმირონია:
 ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
 აწ მათი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია.

შენგან ჩემისა კმრობისა წინასაც ვიყავ მდომია,
 მაგრამ აქამდი საუბრად კვლა ეამი არ მამხდომია;
 ძულან ხელ-ქმნილსა გიქვერუტდი კუბოსა შიგან მჯდომია,
 მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია.

მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
 წა, შეები ხატაელთა, თავი კარვად გამაჩვენე;
 გიჯობს, ცულად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე!
 მზემან მეტი რალა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე“.

VII

**ტარიელის დარბაზს ხმობა და მასთან თათბირი ხვარაზმშა
 მეფის ძის სასიძოდ მოყვანის შესახებ.**

დილასა აღრე სრას მიხმეს, დღე რა ჰქნნა მწუბრმან ეამითა,
 აედევ, ვცან მათი ამბავი, წასვლა ექმენ მითვე წამითა;
 ვნახე ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ საძითა:
 რა მიველ, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავეკე სკამითა.

გვიბრძანეს თუ: ღმერთმან ასრე დაგვაბერა. დაცაგელია;
 უპი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;
 სმა არ მოგვეცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია;
 უნისა არ სმა არად გვაგვა, ამად ზედან წაგვითვლია.

აწ ქალისა ჩენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
 რომე მივსკეთ ტახტი ჩენი, სახელ ჩვენად გამოვსახოთ,
 საპეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
 არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩენთა ხმალი ჩენთვის არ ვამახოთ“!

• ვთქვი: „თქვენის ძისა არა სმა გულსა ვით მიფარების,
 ნავრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების;
 ვისცა სთხოვთ შეილსა სასიძოდ, მას ღიდად გაეხარების:
 სავამცა რა გკადრე! თვით იცით, მაგას რა მოგვეარების“.

დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული უძს, თუცა მელია;
 ვუთქვი: „ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ საქმნელია!“
 ვეფემან ჰბრძანა; „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
 აუ მოგვეცემს შეილსა საჩვენოდ, მისებრივ არ რომელია“.

დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორკებით მჯდომელი;
 ნათსამცა შეილსა სასიძოდ ჩენთვის სხვა სჯობდა რომელი!“
 ვეცილებამცა ვით ვვკადრე, რადგან თვით იყო მდომელი!
 ვიწმობა დაურთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა-მხდომელი.

გაჰგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შეილისა მთხოველი;
 ვესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩენი ყოველი;
 არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე გასათხოველი,
 აუ მოგვეცემს შეილსა სამისოდ, სხეასა ნულარას მოელი“.

მეტმან სევდამან მიწურა გულსა დაცემად დანისად;
 ასმათის მონა შემოდგა, მე ვჯე ლალი და ჯანისად;
 წიგნი მომართვა, ეწერა: „ვინ სჩან ალვისა ტანისად,
 აღრე მოდიო, გიბრძანებს დაუყოვნებლად ხანისად“.

შეველე, წაველ, ბაღას მიველ, ვითა სცნობდე, ლხინთა ზომით;
 ბაღა შეველე, კოშკი დამხედა, ასმათ ენახე ძირსა დგომით;
 ვნახე. ვკურეტდი ნატირებად, ცრემლი აჩნდა ლაწევა წთომით;
 ჯამიძმინდა, არა ვკითხე, ჩემი სკირდა მისვლა ნდომით.

იგი ენახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიძმინდა;
 ვითა წინას შემონციხის, არაღა ეგრე გამილიმდა;
 უოლე სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა;
 ანით უფრო დამაწყულულა, არა წყულულთა მიაქიმდა!

ჩემნი ერთი გონებანი მეტად შორად გამოიქნა,
 შინა კოშკად შემიყვანა, ფარდაგასა ამიზინდა;
 შეველ, ვნახე იგი მთვარე; ქირმან ყოველმან უკუ მრიონა,
 გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიონა.

იყო არ ნათლად ნათელი, ფარდაგა შემომდგომელი;
 ებურა მოშლით პირ-ოქრო, მე მივეც რიდე რომელი;
 მითვე მწვანითა უებრო მიწოლთ ტახტსა მჯდომელი,
 ცრემლისა ღვარსა მოეცა, პირი ელვათა მკრთომელი.

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პარ-გამეხებული,
 არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
 ასმათმან დამსვა შორს გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
 მერმე წამოსჯდა წარბ-შერკმით, გამწყრალი, განრისხებული.

მიბრძანა: „ნიკვირს, რად მოხველ მშლელი პირისა მტკიცისა,
 გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა;
 მაგრა ნაცვალსა პასუხსა მიცემსო ზენა მის ცისა!-
 ეკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მართ უიცისა?-

შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
 შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,
 შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცენება;
 ღწერთმან ჰქმნას და დაგარჩინო ცუდად შენი ხელოვნება!

ცოცხალ ვიყო. შენ ინდოეთს, ლმერთო. ხანი ვერა დაჰყო;
 თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
 სხვა ჩემებრივ ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“
 ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულ-ჰთქმა, აჰ-ჰყო.

თქვა: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად,
 კვლავ მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ვერე ქერეტად;
 აწ დავკარგე: რად არ გიკვირ, რად ეცოცხალვარ, რად ვარ რეტად?
 ვა, სოფელო უხანოო, რად ჰჭი სისხლთა ჩემთა ხერეტად!

შეეხედენ, ვნახენ სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,
 ავიღე, დავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე,
 ეკადრე თუ: „მზეო, დაგიწვაე. ჩემიცა დაწვა მზე ბარე;
 რადგან არ მომკლავ, პასუხი ეროთი გკადრო მე ბარე:

რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია.
 ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყველა ჩემთვის ნუ შუქნია!
 თუ მალიოსებ გაკითხვასა, ავი არა არ მიქნია“.
 მან მიბრძანა: „რაცა იცი, თქვიო“, თავი დამიქნია.

მე მეფეთა დარბაზს მიხმებს, შეჰქმნეს დიდი ვაზირობა;
 ნათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა;
 დაჰეშალა, — ვერ დაეშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;
 თავსა უთხარ, — მიეყოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა.

მემცა დაშლა ვითა ვკადრე, რადგან იგი ვერ მიმხვდარა,
 არ თუ იცის. ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა!
 ურთი მე ვარ მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა;
 ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მამცდარა.

ეტქვი, — ამითა ველარას ვიქმ, ლონე სხვა რამ მოვავგარო;
 თავსა უთხარ, — ნუ მოგიცავ, გონებთა მრავალ გვარო!
 ნელდა გული მხეცისამებრ, ათასჯერცა მინდორს ეარო;
 ვისმცა მივეც თავი შენი, შენვე რად მე არ წამგვარო?!

სულთა ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა;
 იგი წვიმა დარენელდა, რომე პირველ ვარდი აზრა;
 ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფა მოემაზრა;
 მიბრძანა თუ: „ეგე საქმე მემცა მართლად რად მიაზრა?!

არ დავიჯვრებ მე შენსა ლალატსა, ორგულობასა,
 ჟარის-ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ მადლობასა;
 იაჯდი თავსა ჩემსა და მორკმით ინდოეთს ფლობასა,
 ნე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა!“

მე ღმობიერად მომიტება გამწყურალი, გამქისებული;
 ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული;
 ახლოს დამისეა, დამიტება — აქამდის არ ღირსებული,
 ნეუბნებოდა: „დამივსო ცეცხლი ამითა გზებული!“

მიბრძანა თუ: „გონიერი, ჰხამს, აროდეს არ აჩქარდეს,
 რაცა სჯობდეს, მოავგაროს, საწუთროსა დაუწყუნარდეს;
 თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
 შენ და ისი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაჰქარდეს;

მიბრძანა თუ: „ჰხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
 ღიღსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კელლად;
 რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ, მათთა სპათა აუწყევტლად;
 ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა, მამასა;
 ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ქამასა,
 ჩემია მკვიდრი მამული, არ მივეცემ არცა დრამასა,
 არ დამეხსენები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა!“

ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა,
 ანთა უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა:
 ჰქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკლომა,—
 ხელთა მოგცე თავი ჩემი, შეგვფეროდეს ერთგან სხდომა.“

ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა.
 ჩემთა მტერთა დავაქადე დასახოცლად ხრმლისა ქნევა;
 ნერზე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვე-ქვე წვევა;
 ნჟადლა, მაგრა ვერ შეემაართე შემოკლომა, შემოხვევა.

მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა;
 მოვიდა სიძე, გარდაჰადა,— დღე ჰკვანდა არ ალესებისა—
 ნიქენა გასვლა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა:
 დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.

ასსა ვუბრძანე მონასა: „საომრად დავმზადენით“.
 შევსხედით, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.
 კარავსა შეველ; სასიძო ვითა წვა, ზარმცა თქმად ენით.
 უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუცა ჰხმდა სისხლისა დენით.

კარვის კალთა ჩაზღაბული ჩავქურ, ჩავაკარაბაკე.
 ყნასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევეუტაკე;
 წინა-მწოლთა დაიძახეს, გლოვა მიჰხვდათ საარაკე,
 ცხენსა შევჯე. წამოცაველ; ჯაქვი მეცვა საკურტაკე

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწივარი;
 წამოველ, წევნა დამიწყეს, დავხოცენ ჩემი მდევარი;
 ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
 ნუნ შიგან შეველ მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი.

კაცი გავგზავნი, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
 „აქა მომმართეთ ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შევლასა“.
 არ გაწყდა მოსვლა მდევართა ლამესა დია ბნელასა,
 ჩენი რა სცნიან, სცივიდიან თავებსა მათსა მრათელასა.

ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ლამე დილად:
 ვნახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად;
 ებრძანა თუ: „ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
 ჩენი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმლილად?“

ხვარაზმვას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე,
 თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემეგებინე?
 ნე ბერსა შენსა გამზრდელსა სიცოცხლე მაარმებინე,
 დღედ სიკვდილამდი შენიცა თავი არ მაახლებინე!“

მე შეუთვალე: -მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სიკვდილთა აღისა!
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ჰხამს მკმნელი სამართალისა
მე თქვენმან მზემან მაშოროს ნღონა თქვენისა ქალისა.

იცი, ინდოთა სამეფო რაჴომი სრა-საჯდომია!
ერთილა მე ვარ მემკვიდრე; ყველაი თქვენ მოგხდომია,
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
სანართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია!

ვერ გათნევ. თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ მართალია:
ლმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა. დაჰსეა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალა?
სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს, ჩერტყას მე ჩემი ხმალია?!

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე;
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცემ ჩემგან კიდე
ვინცა ჩემსა დამეცოლოს, მისით მასცა აღმოვეფხვრიდე;
სხვად მეშველსა გარეგანსა, მოძკალ, ვისცა ვინატრიდე!*

VIII

ამბისა ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯნის დაკარგვისა.

ესე კაცნი გამეგზავნენეს. გონებასა გავეშმაგე;
რომე მისი ვერა მეცა, ამას უფრო დავედაგე;
მას ზღუდესა გარდაედეგ, მინდოროთაქე რომე ვაგე,
მესმა საქმე საშინელი. თუცა თავი ვერ წავუგე.

გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, მე მივეგებე წინარე;
ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანმცა, თუ მოლმა ვინ არე;
თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირ-სისხლი-ჩამომოდანარე;
ალარ მიყიელა ღიმილით, არცალა გამიცინა-რე.

იგი ვნახე, დავებნივე, გონებანი გამიშმაგანა;
შორით უხმე: -რაშიგან ვართთ, ანუ ცეცხლმან რად დაგვდაგანა?
მან საბრალოდ შემომტირანა, ძლიე სიტყუანი გამოაგანა;
მითხრა: -ლმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოჰგრაგანა!-

ახლოს მიველ, კვლავცა ვკითხე: -რაშიგან ვართ, სთქვი მართალი!-
კვლავ საბრალოდ ამიტირდა, კვლავ მოედვა ამით ალი,
დიდხანს სიტყუა ვერა მითხრა. მისთა კირთა ნათალი;
მკერდსა წითლად უღებავდა სისხლი, ლაწეთა ნაწვეთალი.

მერე მითხრა: „მოგახსენებ, ესე რადმცა დაგიმაღლე,
მაგრა, ვითა გაგახარნე, შენცა აგრე შემიწყალე:
ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე;
დამხსენ ჩემსა საწუთროსა, ღმერთსა შენსა მიავალე“.

მიამბო: „ოდეს სასიძო მოქალ და ბმა დაგივარდა,
მეფესა ესმა, აიქრა. მართ მისგან გასატკივარდა,
შენ დაგიძახა, მიხმეო, ხმა-მალლა გახმაყივარდა;
მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს, მით მეფე გამოზჩივარდა“.

ჰკადრეს: „აქა აღარ არის, კარნი საღმე გაუელიან“,
ნეფე ჰპრძანებს: „ვიცი, ვიცი, მეტად კარგა შემივიან:
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლი ველთა მოუღვრიან,
რა ჰნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დასთმიან.“

აწ, თაენან ჩენმან, მას მოვეკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა;
ნე ღვთისა ეუთხარ. დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა:
მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს. რა უქაღესა?
თუ დაეარჩინო, ღმერთი ვკნო, მისად პატივად მხად ესა.“

დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღვთისა მტერმან:
„თავი ჰფიცა ძმამან, შენმან, არ დაგარჩენს. იცის ერმან;“
მან აგრე სოქვა: „უბრალო ვარ, იცის. ღმერთმან სახიერმან,
ვისგან მოვეკდე, ვისთვის მოვეკდე, მიიხვედროს ივი ვერ-მან“.

„პატრონი ჩემი აგრეთვე იყო, წამოხვე შენ ოდეს;
შენეულივე რიდენი ებურნეს, ტურფად ჰშეენოდეს;
დავარ მოსთქმიდა სიყუვათა, რომელნი არა მსმენოდეს:
„ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ, ვეკე, შენცა არა გლხენოდეს!“

როსკიპო, ბოზო დიაკო, საქმრო რად მოაკვლევინე,
ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე!
არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი, რა გიყავ, რა გაქმნევინე!
აწ ღმერთსა უნდეს, ვერ მიჰხვდე, ვის ესე დააშლევინე!

ხელი მიჰყო, წამოჰზიდნა. თმანი გრძელნი დაუფუშნა,
დააღება, დაალურჯა, მედგრად ჰიჩინი მოიქუშნა;
მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულ-ჰთქმნა, ოდენ უშნა;
ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა.

რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა.
მათ კიღობანი მოიღეს, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს ივი მზე, ჰვავს, იქმნა დარაჯებითა.

ზღვათაჲს განვლეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა;
დავარ სოქვა: „მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და!
ვირემ მომკლევდეს, მოვევლები! სიციოცხლე გასაწყინარდა“.
დანა დაიცა, მოცავედა. დაეცა გასისხლმძინარდა.

მეტნაჲ ზარანან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა;
თავსა ეუთხარ: „ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა.
ვიჯობს გაჰრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა,
აჰა ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა“.

რომე დაეყავ წელიწადი, თვე თორმეტი, გამოეცა,
მაგრამ მისი მნაბაეიცა სიზმრივ კაცი არ მეოცა;
თანა-მყოლი ყველაკი ამომიწყდა. დამეხოცა;
ეუპევი თუ: „ღაქერთსა ვერას ვკადრებ, რაცა სწადლეს აგრე ეყოცა.“

ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოველ ზღვისა პირსა,
გული სრულად გამიშხეცდა, არ ეუსმენდი არც ვაზირსა;
ყველაკი დანეთანტა, დარჩომოდა რაცა კირსა,—
კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირსა!

ერთთი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი,
ჩემნი გულისა მღებელნი და ჩემნი შემაგონანი.
ნისნი ვერა ვცენენ ამბავნი, ვერცა დრამისა წონანი,
ტირილი მიჩნდის ლხინად და მღინდიან ცრემლთა ფონანი.

IX

**ამბავი ნურადინ-ფრიდონისა ოდეს ტარიელ შემოეყარა
ზღვის პირსა.**

ღანით მეველო, მოვიდოდი ზღვისა პირსა, აჩნდეს ბლანი;
ჰგვანდეს ქალაქს, ვიახლენით, ცალ-კერძ იყენეს კლდეთა ნაღსნი;
არ მიაშის კაცთა ნახვა, მიდაღვიდის გულსა დაღნი;
მუნ გარდავებ მოსვენებად, დამხვდეს რამე ხენი ლაღნი.

ზახილი მესმა, შევებდენ, მოუმე ამაყად ჰყოლა,
შემოირბევედა ზღვის პირ-პირ, მას თურმე წყლული სტკიოდა;
ბნღისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა;
მეტრთა ექადდა, სწყურებოდა, იგინებოდა, სჩიოდა.

ზედა ჯდა შავსა ტაიქსა, ესე აწ მე მყავს რომელი,
ნართ ვითა ქარი მოჰქროდა გაფიცებული, მწყრომელი:
მონა მიეწივე, მისისა შეყრისა ვიყავ მდომელი;
შეეთვალე: „დადებ, მიჩეენე, ლომსა ვინ გაწყენს რომელი“?

მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა;
ფიცხლა შევჯე. ჩავეგებე, მე ჩავეუსწარ, ჩაველ წინა;
ვუთხარ: „დადევ, გამიგონე, შენი საქმე მეცა მინა;“
შეშომედა, მოვეწონე, სიარული დაითმინა.

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთი ხენი ვით ხენ!“
ნერმე მითხრა: „მოგახსენებ, აწ სიტყვანი რომე მკითხენ:
აგი მტერნი გამილომდეს, აქამდისი რომე ვითხენ,
ჯჯაზმავსა მილაღატეს, სუქურველნი გარ ვერ ვითხენ“

მულღაზანზარის ქალაქი ახლოს მე მაქვსო რომელი,
—ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს—მეფე ვარ მუნა მჯღომელი:
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხართ გარდამხდომელი;
ყოტა მაქვს, მაგრა ყოველგან სიკეთე მიუწღომელი.

მამის ძმა და მამა-ჩემი პაპაჩემმან გაპყენა ოდეს,
სღვასა შიგან კუნძულია,—ჩემად წილად მას იტყოდეს—
თვით ბიძასა ჩემსა მიჰხედა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს:
მათკენ დარჩა სანადირო,—არ მიეცემდი, მომერჩოდეს.

ოდეს გამოველ ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე,
მუნა გასვლა მომლომოდა. მით მრეკელი არ ვახშირე:
სპათა ვუთხარ: „მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა ვირე!
ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დავიქირე.

ნავითა ვაველ, ზღვისაგან შტო რამე გამოვიდოდა;
არა მოვკრეფდი გამყოფთა, ვთქვი,—ჩემთა რად დავერიო და!
დამიძაბუნდეს, სიმრავლე მე მათი არ გამეიდოდა,
ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უვიდოდა.

მართლად იჯაერეს,—წუნობა მათი თუ ესე ჰხმდა ვითა!—
გამოაპარეს ლაშქარნი, გზანი შემიკრეს ნავითა,
თვით ბიძა-ძენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,
ჩემთა გაუხდეს ლაშქართა ომად მათითა მკლავითა.

კვლავ სხვანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწეოდეს:
იქით და აქეთ მომიხდეს; ერთგნით ვერ მოშერეოდეს,
არ მომწუროდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს;
ხმალსა მივენდე, გამიტყდა; ისარნი დამელეოდეს“.

მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა;
გამოვეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა,
პირსა იხოკდეს, გაპყრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტასა,
ეხვეოდინან, ჰკოცნიან ხმალსა და სალტე-ყოტასა.

X

**შველა ტარიელისაგან ფრიდონისა და გამარჯვება მათგან
მათს მეომართა ზედა.**

მოსჯობდა, ომი შეეძლო, ხმარება ცხენ-აბჯარისა;
დავკაზმეთ ნავი, კატარლა და რიცხვი სპათა ჯარისა;
კაცი ჰხმდა მისთა მჭვრეტათათვის,—ლონემცა იაჯა რისა!—
აწ გითხრა ომი მოყმისა, მებრძოლბა დამსაჯარისა.

მათი მესმა დაპირება, ჩაბლახთა ჩამობურცა;
ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ რვა;
ფიცხლა ზედა შევეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა:
ქუსლი ვკარ და დაეუქცივე, დაიზახეს ღიაცურ ვა!

კვლავ სხვასა მიველ, მოვკიდე ხელი ნავისა ბაგესა.
ზღვასა დაენთქი, დაეხოცე,—ომიმცა რალა აგესა!
სხვანი გამექცეს, მიჰმართეს მათ მათსა საქულბაგესა;
ვინცა მიჭვრეტდა, უკვირდა, მაქებდეს, არ მაძაგესა.

ზღვა გავიარეთ, გავედით, შემოგვიტივეს ცხენია;
კვლავ შევიბენით შეიქმნა ომისა სიმარცხენია;
ძუნ მომეწონა ფრიდონის სიქველე-სიფიცხენია:
იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია.

თვით ორნივე ბიძა-ძენი მისნი ხმლითა ჩამოჰყარნა,
ხელნი წმინდად გარდეკვეთნეს, იგი ასე ასაჰყარნა,
მოიყვანა მხარ-დაკრულნი, ერთმან ორნი არ დაჰყარნა,
მათნი ყმანი გაამტირნა, მისი ყმანი ამაყარნა.

XI

**ფრიდონის მიერ ნესტან დარეჯანის ამბის მბობა ოდეს ტა-
რიელს უამბო.**

დღესა ერთსა მე და მეფე ნადირობას გამოვედით,
ზღვასა ზედან წაწურვილსა ქელხა რასმე გარდავედით;
ფრიდონ მითხრა: „გითხრობ რასმე, ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით.
ერთი რამე საკვირველი მე ვნახეო ამა ქედით“.

მე ვკითხედი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა:
„დღე ერთ მწადდა ნადირობა, წვეჯე ამა ჩემსა ცხენსა;
ზღვათა შიგან იხესა ჰგვანდა, ხმელთა ზედან შავარდენსა—
აქა ვლეგ და თვალ-უგებდი ქორსა, იქით განაფრენსა.“

ზოგჯერ ზღვითკენ მივიხედნი, წავდგომოდი ამა გორსა;
 ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორსა;
 ეგრე ფიცხლა სიარული არას ძალ-აქვს მისსა სწორსა;
 ვერად ვიცან, გონებასა გავეკვირე ამად ორსა.

ვთქვი,— რა არის, რას ვაშბავესო, მფრინველია ანუ მხეცი?
 ნავი იყო, გარს ეფარა სამოსელი მრავალ-კეცი;
 წინა კაცი მოჰზიდვიდეს, თვალნი ამად დავაცეცი,
 მთვარე უჯდა კილობანსა, ცა მეშვიღე მასცა ვეცი.

ამოძვრნეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი;
 ქალი გარდმოჰსევს, სისხონი ენახე მისისა თმისანი;
 ნას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიცა ჰგევანდეს რისანი!
 მან ჯანანათლოს ქვეყანა. გაცულდეს შუქნი მზისანი!

სიხარულმან ამაჩქარა, ამათორთოლა, დაცამლენწა,
 იგი ვარდი შემიყვარდა, რომე თვალსა იახენწა;
 დაჯანირე შეტევება, ვთქვი,—წავიღე მათკენ მე წა;
 ჩემსა შავსა სულიერი რამცა ვითა გარდებევწა!

ქენი გავექუსლე, იქნოდეს შამბი ხმასა და სრიალისა;
 ველარ მიუსწარ, გამესწრნეს, რაზომცა ვცემდი წრტიალსა;
 ზღვის-პირსა მიველ, შეეხედენ, ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა,
 გაშორებოდეს, წამსელოდეს, ამისთვის დავეწვი აღსა“.

ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე,
 ცხენისაგან გარდავიქერ, თავი სრულად გავიკიცხე,
 ჩემთა ლეაწთა დანადენი, მე ჩემივე სისხლი ვიცხე;
 —ნომკალ, თუცა უჩემოსა ენახოსმცა ვისცა ის-ც-ხე! —

მე ფრიდონს უთხარ: „ესე დღე ვითა მესაზაროების,
 ამისად მოწმად ღმერთი მყავს, სათქმელად ბეუცხოების;
 უშენოდ მყოფსა ღამე და დღეცა მესალამოების,
 დაეხსნილვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ქირსა მოების.

მაშა მე მისსა ამბავსა რადგან აღარას მოველი,
 ველარ ვიქმები. გამიშივი, ვარ თარმანისა მთხოველი!“
 ფრიდონს რა ესმა. ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი;
 ბიობრა თუ: „ძმაო, დღესითგან ცულ ჩემი ლხინი ყოველი“!

ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვე, დევთა შეეკაფნეს;
 შემოვები, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მებაფნეს,
 მათ მონანი დამიხოცნეს, ჯაქენი ავად მოეკაფნეს;
 „აწუთრომან დამაღრიჯნა, ცქაფნი მისნი კვლავ მეცქაფნეს,

აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები;
ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ეტირ და ზოგჯერ ვბნდები;
ესე ქალი არ დამავდებს, არს მისთვისვე ცეცხლ-ნადები;
ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები!

რომე ვეფხი შეენიერი სახელ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;
ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთ-თქვამს, ზოგჯერ ახავს,
რადგან თავი ვერ მომიკლავს, ხმალი ცულად მომიმახავს.

ტარიელ უთხრა აეთანდილს, ასმათის დადუმებულმან;
„შენ ყველაკაი გაამე, მე ვერას ვერ ამებულმან;
გიაშე ჩემი ამბავი სიციცხლე-გაარმებულმან;
აწ წადი, ჰნახე შენი მზე, ნახვისა მოყამებულმან“.

ათანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომემინებია;
თუ გაგყრები, თვალთავან ცრემლიცა დამედინების,
მართალსა გითხრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების:
შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების.“

რა აქიმი დასნეულდეს, რა ზომ გინდა საქებარი.
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი
მან უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

რაცა გითხარ, მომისმინე, ბრძენი გეტყვი, არა ხელი;
ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი,
კარგად ვერას ვერ მოავლენს კაცი აგრე გულ-ფიცხელი:
აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი.

იგი ვნახო, სიყვარული. მისი ჩემთვის დავამტყიცო;
მოვასხნო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო;
შენ განუკვი, შემიჯერო, ღმერთი იღვთო, ცაცა იცო:
ერთმანეთი არ გაეწიროთ, მათიცო და შემომფიცო.

რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემიპირო,
ნეცა ფიცით შეგიჯერებ, არასათვის არ გაეწირო,
კვლავ მოვიდე შენად ნახად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო,
ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ გატირო.

XII

ანდერძი ავთანდილისა როსტევენ მეფის მიმართ, ოდეს
გაიპარა.

დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად:
„ჰე, მეფეო, გავიპარე ძეზნად ჩემგან საძებრისად!
ვერ დაედგები შეუყრულად ჩემთა ცეცხლთა მოზღუბრისად.
შემინდევ და წამატანე მოწყალება ღმრთიებრისად.

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა:
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა:
მე სიტყუასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწაულა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა“.

რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილააფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ ნწყობრთა მწყობრისა.

წაგიკითხავე, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ,
ვით იტყვიან. ვით აქებენ სცან. ცნობანი მიაფერენ;
„სიყვარული აგვამალლებს“, ვით ეყვანნი ამას ჰელერენ:
შენ არ სჯერხარ, უსწაულელნი კაცნი რადმკა შევაჯერენ!

ვინ დამბადა, შეძლებაკა მანვე მომკა ძლევა მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი, შემწე ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ჰზის უკედავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

რ ა ც ა ღ მ ე რ თ ს ა ა რ ა ს წ ა დ დ ე ს , ა რ ა ს ა ქ მ ე ა რ ი ქ ნ ნ ე ბ ი ს .
მზისა შუქთა ვერ მკვრეტელი ია ხმების, ვარდი კნების,
თვალთა ტურთა საკვრეტელი ყველა რამე ეშვედნების.
მე ვით გაეძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

რაზომკა სწყრები. შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა,
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა!
არ წასვლა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა,
სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაკა მქონდეს ნებისა!

ა რ ა ს გ ა რ გ ე ბ ს ს ი მ ძ ი მ ი ლ ი , უ ს ა რ გ ე ბ ლ ო ც რ ე მ ლ თ ა დ ე ნ ა ,
ა რ გ ა რ დ ა ე ვ ა გ ა რ დ უ ლ ა დ მ ო მ ა ე ა ლ ი ს ა ქ მ ე ზ ე ნ ა ;
წ ე ს ი ა რ ი ს მ ა მ ა თ ა გ ა ნ მ ო ქ ი რ ვ ე ბ ა , კ ი რ თ ა თ მ ე ნ ა ;
ა რ ვ ი ს ძ ა ლ - უ ძ ს ხ ო რ ც ი ე ლ ს ა გ ა ნ გ ე ბ ი ს ა გ ა რ დ ა ე ლ ე ნ ა .

რაცა ღმერთსა განუგია, თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამბდეს და შენოვიქე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენვე განახე მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად;
მას არ ვარგო დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.

მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუთუ წასვლამან თქვენ ჩემმან დაგაკმუნოსა?!
ვერ ვეცრუვები, ვერ უხამ საქმესა საზაბუნოსა,
პიროს-პირ მარცხენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

რა შარვა მამაცსა, ომშიგან პიროს მღმეკელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა შექველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხევეკა ყოველსა მოსახვეველსა!

ვერ დაიქირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოს შეჭყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი;
სჯობდ სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

ნერმე ვიშიში, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
ზოგა შემყრელი ყოვლთა—თვინ ერთგან დღისა და ღამისად!
თუ ვერა განახენ ცოცხალმან, სიცოცხლე მქონდეს ჟამისად.

თუ საწუთრომან დამამზოს ყოველთა დამამზობელმან,
ლარიბი მოკვდე ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისინდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე-მშობელმან.

მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საქურკლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას-მქონები:
მიღწიან, მოზიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საქურკლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა გასადებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლათ!
შენგან კიდე არუინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად.

ამას იქით ჩემგან ჩემი ამბაიცა არ გეცნევის,
ანად გვედობ სულსა ჩემსა,—წიგნი გკადრებს, არ გეთნევის,
არას არგებს ეშაკისა საქმეთაგან, დაეძლევის,—
შემინდევ და შემივედრე, მკედარსა რალა გარდმეხდევს!

გვედრებ მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა,
—ნაკად აქვს კირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა—
ნუგეშინის ეც წყალობით ჩემგან წყალობა-ჩეეულსა,
ხუ დაადინებ თვალთაგან ცრემლთა სისხლითა ფრქვეულსა.

გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა;
აჰა, გამზრდელი, მოგშორდი, წაველ გულითა ხელითა!.
ნუ სკმუნავთ ჩემთვის მეფენი. ნუ ხართ მოსილი ბნელითა.
სუფევეთმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალველითა!-

XIII

**წასვლა ავთანდილისაგან მეორედ გაპარვით და ტარიელის
შეყრა.**

აწლა დაეწყებ ამბავსა, მის ყმისა წამაელობასა:
ნუა და მისტირს გულმდღურად. ვერ იტყვის ცრემლთა მცრობასა;
წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე შობბასა,
ღვკერტდის. თვალნი ვერ ნოჰხნის. თუ მოჰხნის, მიჰხდის ცნობასა.

აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე რის ყმისა ნაუბარსა,
ნოღბნობდის, რას მოსთჰნიდის, რას ტურფასა რაზომ გვარსა;
ზოგან თვალნი გაეწითლის ვარდსა, ბრქულითა ნახოკარსა,
ქვაბნი ჰნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა.

რა ასმათმან დაინახა, მოეგება. ცრემლი სწფებდის;
ვით იამა, სიხარულსა მართ ველარას ვერ მიჰხედდის:
ყმა გარდაჰხდა, მოეხვია, აკოცებს და ეუბნებდის.
კაცი კაცსა მოელოდეს, მოსვლა უცხოდ იამებდის.

ყმა ქალსა ეტყვის: „პატრონი ნეტარ სად არის და ვითა“?
ქალი ატირდა ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა,
იტყვის: „რა წახველ, გაიქრა, ქვაბს ყოფა მისქირდა ვითა;
აწ მისი არა არ ვიცი, არ ნახვით, არც ამბავითა“.

ყმა დაქჰუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა:
ქალსა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა,
იგი ფიცი ვით გასტეხა, არ ვეცრუვე. ვით მეცრუა!
ვერ იქმონდა, რად მიქადდა, თუ მიქადდა, რად მიტყუა“!

ამის მეტი აღარა სთქვა, ატირდა და წამოვიდა,
ქვაბი ჩავლო, წყალსა გახდა, შამბი გავლო, ველს გავრდა;
ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის ფერსა ვარდსა ზრვიდა,
„რად მიმეცო ამა კირსა“? ბედსა ამას უზრახვიდა.

მივიდოდა, მიუბნობდა ყმა მტირალი, ფერშეცვლილი,
ქედსა რასმე გადაადგა, ველი აჩნდა მზიან — ჩრდილი;
ნახა, შავი შამბთა პირსა დგას სადავე — უკუყრილი;
სთქვა: უცროდ იგიაო, არად უნდა ამას ცილი“.

ერთკენ უძს ლომი მოკლული და ხმალი სისხლმოცხებული,
კვლავ სხვაგან ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვედანარცხებული,
ვას წყაროსაებრ თვალთაგან ცრემლი სდის გაფიცხებული,
შენ ვგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინეარე, ცხებული.

თვალთა ახმადცა ზარ-ვღვა, სრულად მიჰხლოდა ცნობასა,
მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორებოდა ნობასა,
ყმა სახელ-დებით უყივის, ჰლამის სიტყვითა კრობასა;
ვერა ასმინა, გარდიკრა, ძმა გამოაჩენს ძმობასა.

უთხრა: „ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაცა შემოგფიცე,
გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტყიცე;
აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტყრო და თავსა ვიცე,
მაგრა გვერდებ დამარხვასა, მხეცთ საქმელად არ მივიცე.“

ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა!
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა,
ვის უქნია შენი მსგავსი, სხვათა კაცთა ნათესავსა!
რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?“

თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ჰხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად სტირსა,
კირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვიტკირსა:
თავისისა ცნობისაგან ჩაეარდების კაცი კირსა.

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცა ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
;ისტვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ;
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?

ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან,
ვის არ უნახავს პატიენი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან,
მითხარ, უსახო რა ჰქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან,
არ იცი. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?

ვარდასა ჰკითხეს: „ეგზომ ფურთა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
შიკვირს რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს კირად?“
მან სთქვა: „ტკბილსა მწარით ჰპოვებ, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად:
ოდეს ტურთა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად“.

რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიძიოს, პირველ კირთა უმუშაკო?
უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო,—
რად ემდურვი საწუთროსა, რა უქმნია უარაკო!

ისმინე ჩემი თხრობილი, შეგე, წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა;
ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მექვ რასაცა თნებასა-.

მან უთხრა: „ძმარ, რა გითხრა, ძვრადცა არ ძალ-მიძს ენისა.
ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა,
რად ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?
აწ მიეწურვილვარ სიკედელსა. დრო მომიჩანლა ლხენისა.

მართ გარდაწყვეტით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა:
სიკედელი მახლავს, დამეხსენ, ხანსა-ლა დაეყოფ მცირასა;
არ ცოცხალ-ვიყო რას მაქნევ, რა დაერჩე, ხელსა მხდი რასა!
ღამშლიან ჩემნი კავშირნი. შეპრთვიან სულთა სირასა.

კვლავ ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალ-ფერთათა:
ეტყვის: „არ მოვეკდე, გერგების სიტყვითა რა ოხერთათ!
ნუ იქმ, არა სჯობს საქმითა, ნუ ხარ თავისა მტერთათ;“
ვერ წაიყვანა, ვერა ჰქმნა სიტყვითა ვერა ვერთათ.

მერმე უთხრა: „აჰა, რადგან არ მომისმენ არას არა.
არას გაწყენ, ენა ჩემი აქამდისცა ცუდად მცდარა;
თუ სიკედელი გიჯობს, მოჰკვე, ვარდი დაქნეს, დაცამუნარა;
ერთსა რასმე გაიჯები, მიყავ. ცრემლი ამად ღვარა:

სადა ინდონი ბროლ-ვარდსა ჰსარვენ გიშრისა სარითა,
მას მოვეშორვე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითათ;
ვერ დამიკირა მეფემან მშობლურად საუბარითათ;
შენ არ შემიყრი, გამიყრი, აწ ჩემი ლხინი ეთქვა რითათ!

ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
ერთხელ შეგე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი,
მე წავალ და შენ დაგავდებ, იქმნას შენი საქადელი-.

ებეწებოდა: „შეგეო“, აჯა-ხვეწნითა, არვებდა,
იცოდა, რომე შეგდომა კავშანს მოაქარვებდა,
ლერწმისა სარსა დასდრედკდა, გიშერსა დააკარვებდა,
ღამიორჩილა, იამა, არ ივაგლაბა, არ ვებდა.

ცხადად უთხრა: „შევეჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა;“
 მან მოჰგვარა. წყნარად შეჰსვა, არ სიჩქარით ააქშინა;
 წინდორთაქენ წაიყვანა, ტანი მკვეერი აძერევენა;
 ხანი წარვლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.

რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან,
 ვანათლა პირი ვარდი სიხარულმან დაუსანმან,
 ენობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხვრა-ახმან;
 ენობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზარახმან.

შე-რას-მე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ მალული:
 -ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული:
 ეგე სამხრე ნისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
 რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? სთქვი, დავილო მერმე სული“.

მან უთხრა: „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა!
 ესეა ჩემი სიკოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
 მჯობი ყოელისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
 აო-სასმენლისა მოსვენა არს უმჟავესი წმახისა“.

ავთანდილ უთხრა: -ველმოდი მართ მაგისავე თქმევასა;
 აწ რადგან გითქვამს, პასუხსა გკადრებ და ნუ მექვ თნევასა:
 სჯობს ასნათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა,
 ანად არ გიქებ საქმესა, უარესისა რჩევასა

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრო-მკედლისა დნობილი,
 ლასაკო და უსულო. არ სიტყვიერი, ცნობილი;
 აღარად გინდა ასნათი, ჰნახე მართალი ბქობილი,
 პირველ გლახ მისი ნაქვრეტი, თვით მერმე შენი ღობილი

თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნახზობი დობისა,
 თქვენი შემყრელი მსახური, შენგან ღირს-ქმნილი ხმობისა,
 მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიხდილი ცნობისა,
 გლახ დავიგდია, არ ჰნახავ? შაბაშ მართლისა ბქობისა!“

მან უბრძანა: -რაცა გითქვამს უმართლე ხარ მეტის-მეტად;
 საბრალოა ასნათ მისად ნგონებლად და ჩემად ქვრეჲად;
 მე სიკოცხლე არ მეგონა. შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად;
 რადგან დავრჩი, გვალე, ვნახოთ, თუცავე ვარ ჯერცა რეტად“.

დაჰმორჩილდა, გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი;
 ეურ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი;
 კბილი, ვითა მარგალიტი, ბაგე -ვარდი ნაპობარი;
 ეველსა ხვრელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

XIV

წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას მულღაზარ-ზარს რომ შეეყარა.

ეჲ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გკირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;
სად წაიყვან სადაღრსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა.
აჰა, მზეო, ვიაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა გაამალღებ, მეფობასა მისცენ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ ღლესა.

მო, ზუალო, ნომიმატე ცრემლი ცრემლსა, კირი კირსა.
გული შვად შენიღებე, სიზნელესა მიმეც ხშირსა;
შემოჰყარე კაეშანი, ტვირთი მიჰიჲ, ვითა ვირსა;
ჩას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის სტირსა“.

ჰე, მუშთარო, ვიაჯები შენ, მართალსა, ბრქესა სრულსა,
მო და უყავ სამართალი,—გაებრქობის გული გულსა—
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყჰიდ ამით სულსა!
მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა!

მოდ, მარხო, უწყალოდ დამჰერ ლახვრითა შენითა,
შეცამღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიენი, მას გააგონენ ენითა;
როგვარ გასრულ-ვარ, შენ იცი, გულთა აღარ ლხენითა.

მოდ, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწევა ცეცხლთა დაგითა.
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუტთა დაშვენებითა მაგითა,
ვისმე ჩემებრსა დააგდებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა.

ოტარიდო შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა,
მზე მამარუნებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა;
დასჯე წერად კირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწყობილსა ტანსა წერილსა, ვით ლერწამსა.

მო, მთვარეო. შემობრალე, ვილევი და შენებრ ვმკლდები;
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვმკლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მკირს, ანუ როგორ ვბნდები;
მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ!“ მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

რა ესპოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან;
 ნისვე ყმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან;
 ისმენდიან, გაჰყვირდიან, რა ატირდის, ატირდიან:
 იზღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

XV

**წასვლა ავთანდილისა ფრიდონისით ნესტან-დარეჯნის
 საძებრად.**

ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონითა,
 წამალსა ტარიელისსა ეძებს ყოვლისა ღონითა,
 დღისით და ღამით მტირალი, იღვრების ცრემლთა ფონითა,
 ჩალათ უჩნს ყოელი ქვეყანა, მისვე ჩალისა წონითა.

სადაცა ჰნახის, ეუბნის, მგზავრნი, ზღვის პირსა რებულნი.
 ჰკითხის მის მზისა ამბავი; დღენი ელნა გაასებულნი,
 ქედსა გარდადგეს,—აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულნი,
 მოქარავენნი ზღვის პირსა დაყრით დგეს შეჰიკრებულნი

მუნ ქარავენი ურიცხვი იდგა მის ზღვისა კიდესა,
 შეიჰიკრებდეს, კმუნეიდეს, ვირცა დგეს, ვერცა ელიდესა,
 ყუამან სალამი უბრძანა, ქებასა შეასხმიდესა;
 ჰკითხა: „ვაქარნო, თუ ვინ ხარო!“ მათ საუბარი ჰკიდესა.

უსმან იყო ქარავენისა უხუცესი, კაცი ბრძენი,
 მოახსენა ხოტბა სრული, დაჰლოცა და უქმნა ზნენი,
 ჰკადრეს: „მზეო, სიცოცხლე და შენა მრახვე ჩვენი მლხენი,
 ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“.

გარდაჰხდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაქარნი.
 მაჰმადის სჯულის მჰირაენი,—აროდეს გვისევამს მაქარნი—
 ზღვათა მეფისა ქალაქსა საეაქროდ გარდმონაქარნი,
 საქონელ-სრულნი, მდიდარნი. არ ლარნი გვაქევან ნაქარნი.

ჩვენ აქა ვპოვეთ ზღვის პირსა კაცი უსულო მღებარე,
 ეუშველეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამომგებარე,
 ვკითხეთ თუ: „ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მძებარე?“
 გვითხარ: „თუ შეხვალთ, დაგზოცენ, კიდე ცოცხალეარ მე ბარე!“

სთქვა: „ქარავენი ეგვიპტით გამოვემართეთ ერითა,
 ზღვასა შევედით ტვირთულნი ლარითა მრავალ-ფერითა,
 მუნ მეკობრეთა დაგვზოცეს ძელის სახნისის წვერითა,
 ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოვსულეარ მე რითა!“

ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა,
 დაბრუნებითა გვეცემის ზიანი ას საზომისა;
 შევიდეთ, ვაჲ თუ დაგებოცნენ, ძალი არა გვაქვს ომისა;
 ვერ ვდგავართ, ვერცა წავსულვართ, ღონე წაგვსლია რჩომისა“.

ყმამან უთხრა: „ვინცა კმუნავს, ცუდია და ცუდად ცთების;
 ოცა მოვა საკმე ზენა, მომავალი არ აგვეცდების;
 მე მივიწოდებ სისხლთა თქვენთა შემოვისხამ, დაცა გვეწოდების;
 ვინცა გებძვის, ხმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცუდების.“

თქვენ, ვაქარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
 შორს ისრითა არ დაგებოცნენ. ჩაიხრჩენით ოანა კარნი;
 მარტო მნახეთ, ვით შეეება. ვით ვიხმარე ღომნი მკლავნი;
 მტკობრისა ნავისანი სისხლნი ნახეთ მონაღვარნი“.

მათ ლაშქართა გულუშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა;
 ნოვნი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ყრიდა შიგან ზღვასა!
 ერთმანეთსა შემოსტყუორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა;
 ვინც რჩენილან, მკვდართა შუა იმაღვიან, მძალევენ ხმასა.

ავთანდილის მაქებელთა ათასიმცა ენა უნდა,
 ვერცა მათ სქევს. ნაომრობა როგორ ტურფად დაუშევენდა,
 ქარავანმან იზრილა. სთქევს: უფალო, მადლი შენდა!
 მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვითენდა“.

ავთანდილს უსამ მოართვა ვაქართა შემოთვლილობა:
 „შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდობა:
 რაცა გვაქვს, იგი შენია. ამას არ უნდა ცილობა,
 რასაცა მოგვეცემ, გვიბოძე. გვიქმნია აქა ყრილობა“.

ყმამან შესთვალა: „ჰე ძმანო, წელანცა მოგისმენია,
 ღმერთსა შეესმა. ნაკადი რაცა ოქვენ თვალთა გდენია;
 მან დაგარჩინა, მე რა ვარ, მე გლახ რა მომილხენია!
 რა განდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!“

მე თუმცა რაცა მინდოდა საქურკლე დასადებელი,
 ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, უსახო ღარ-საგებელი;
 რას ვაქნევ თქვენსა. რა მინდა? ოდენ ვარ თქვენი მხლებელი;
 სხვაგან რამე მიც სხვა საქმე თავისა წასაგებელი.“

აწე რაც აქა ვიშოვე საქურკლე დაუთვალავი.
 რაცა ვის გინდათ. წაიღეთ, არვისი ვიყო მლაღავი;
 ერთსა ვიაჯი, მიაჯეთ სააჯო არ საკრძალავი;
 საქმე რამე მიძს თქვენშიგან თავისა დასამალავი;

„უამამდის ჩემსას ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა;
 „თვით თავდია ჩენი“, სიტყვით, ნუ მიხმობთ ქაბუჯობასა;
 შე სავაქროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა
 თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა.“

ესე საქმე ქარაენსა გაეხარნეს მეტად დია;
 მოვიდეს და თაყვანი სცეს, ჰკადრეს: „ჩენი იმეფია,
 - რაცა აჯა ჩვენ გვმართებდა, იგი თქვენვე გიაჯდია —
 მას ვმსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია“.

XVI

ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისვლისა ზღვის
 პირს რომ გავიდა.

ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მკვერითა,
 ჰნახეს ქალაქი, მოცული გარე ბალისა ტევრითა,
 გვარად უცხონი ყვავილნი, ფერიოთა ბევრის-ბევრითა,
 მის ქვეყანისა სიტუროფე რა გაიგონო, შენ რითა!

მათ ბალთა პირსა დააბეს ნაეი საბლითა სამითა,
 ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვა, დაჯდა სკამითა,
 მოახსენეს კაცნი მზიდავნი, დამზადებულნი ღრამითა.
 იგი ყმა ვაქრობს, თავადობს და თავსა ჰმალავს ამითა

მოვიდა მისი მებაღე, ბალსა იახლნეს რომელსა,
 მას ყმასა უქვერეტს შეფრთხინით პირსა, ელვათა მკრთომელსა,
 ავთანდილ უხმო, ეუბნა კაცსა არ სიტყვის მცთომელსა:
 „ვისნი ხართ, ვინ ხართ. რა ჰქვიან მეფესა, აქა მჯღომელსა“?

„წერილად მითხარ ყველაქაი“. ყმა მას კაცსა ეუბნების,
 „რა ლარია უფრო ძვირად, ან იფად რა იხსნების“?
 ჰკადრა: „უხედავ, პირი შენი მზისა პირად მემცენების,
 რაცა ვიცი, მართლად გკადრებ; მრუდი არა არ გემცენების:

ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,
 თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა,
 აქ მოდის ტურფა ყველაი ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა,
 მელიქ-სურხავი ხელმწიფობს, სრული სეითა და დავლითა.

მე ვარ მებაღე უსენის, ვაქართა უხუცესისა;
 ესეცა გკადრო ამბავი საქმე მისისა წესისა:
 თვით ესე ბალი მისია, თქვენი სადგომი დღესისა;
 პირველ მას ჰმართებს ჩვენება ყოვლისა უტურფესისა.

რა შემოვლენ დიდ-ვაჟარნი, მას ჰნახევენ და ძღვენსა სძღვნიან.
უჩვენებენ, რაცა ჰქონდეს, სხვაგან ლარსა ვერ გახსნიან,
უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან,
მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სწადლეს, დაჰყიდიან.

თქვენებრთა საპატიოთა მას ჰმართებს გამოსვენება;
დამყენებელთა უბრაქანებს, ჰმართებდეს ვით დაყენება,
აწ იგი აქა არ არს, რას მარგებს მისი ხსენება;
გამოგებვა და წაყენა მას ჰმართებს, თქვენი ქენება.

ფატმან-ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,
პურად კარგი მასპინძელი, საყვარელი, არ თუ მქისი;
მას ვაცნობო მოსვლა თქვენი, წაგიყვანოს ვითა თვისი,
წინა კაცსა მოგაგე'ებს, ქალაქს შეხვალ ნათლივ, დღისი".

ავთანდილ უთხრა: „წადიო, აგრე ჰქვენ, რაცა გწადიან“,
მებაღე შირბის, იხარებს, ოფლი მკერდაძღის ჩასდიან,
ხათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამიქადიან,
ყმა მოვა, მისთა მკერეტელთა შუქნი მხედ გაიცადიან.

ვაჟარი ვინმე პატრონი არს ქარავენისა დიდისა,
საროსა მზგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა;
ჰშენის ჯუბა და მოხვეენა ძოწეულისა ოიდისა,
მე მიხზო, მკიოხა ამბავი და ნირი ლართა სყიდვისა“.

ფატმან ხათუნს გაეხარნეს, გააგება მონა ათი,
მოუკაზმა ქარვა-სრანი, დააყენა ბარგი მათი;
შემოვიდა დაწვი-ვარდი, ბროლ-ბალახში, მინა სათი,
მისთა მკერეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა თათი.

XVII

ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება.

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანაზღად გიღალატებს, გაჰკვეთს, რაცა დაესობის,
მით დიაცსა სამალავი არასოდეს არ ეთხრობის.

ფატმან-ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა,
სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა,
დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ქირთა ვერ ჰმალვიდა;
იტყვის: „რა გქნა, რა მერგების“ აწვიმებდა, ცრემლსა ჰღერიდა.

მიღმა უთხრა, ვაჟ თუ გაწყრეს, შეხედვაცა დამიძვირდეს;
 ოუ არა ვთქვა, ველარ გავძლო. ცეცხლი უფრო გამიხშირდეს:
 ვთქვა და მოვკვდე. ანუ დაერჩე, ერთი რამე გამიპირდეს.
 მა. მკურნალმან როგორ ჰკურნოს. თუ არ უთხრას, რაცა სკირდეს”.

დასწერა წიგნი საბრალო. მის ყმისა მისართმეველი,
 მისიხა მიჯნურობისა. მისთა პატიეთა მცნეველი,
 ნისთა მსმენელთა გულისა შემძვრელი, შემარხეველი,
 უსტარი შესანაჯვი. არ ცუდად დასახეველი.

ფარტმან-ხათუნ დაწერა და გაუვზავნა წიგნი ყმისი;
 ყმაზან. ასრე წაიკითხა, და ვინმეა ანუ თვისი;
 სთქვა: -არ იცის გული ჩემი, ვინ მაშკობს ვისსა ვისი-!
 რომე მიმიჩნა სანიჯნურო. რად ვამზავსო მე მას მისი-!

სთქვა: -ყვაგი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერიია
 მაგრა მა ზედა ბულბულსა ჯერ ტკბილად არ უმღერია,
 უნჯავსო საქმე ყოველი მოკლეა, მიო ოხერია,
 რა უთქვანს. რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“!

ესეგვარი საზრახავი დაუზრახავს გულსა შინა;
 მერმე იტყვის: „შენგან კაცი ჩემი შემწე არაფინა;
 რასათვისსა გამოვკრილვარ, მისი ძებნა რადგან შინა,
 რათაცა ვით ვპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა“!

ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
 მოსადგურე და მოყვარე მგზავროთა, ყოველგნით მავალთა;
 მივეყე. მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწევს ალთა,
 ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ეცნო ვალთა”.

ნას ღამითვე საწვეველი რა მიართვეს წიგნი ყმასა,
 შელანდა და წაცავიდა, სხვა ემთხვია მონა გზასა“:
 „ვას ღამე ნუ მოხვალო, ვერა მპოვებ შენთვის მზასა“,
 მას ეწყინა, არ დაპრუნდა: სთქვა თუ: „ჰგავსო ეგე რასა“!

წვეული აღარ დაბრუნდა, კვლავ ზევე უკუ-წვევითა,
 ჭატმან ზის წყენით, შევიდა ავთანდილ მარტო ხე ვითა
 ღიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესვლითა შე-ვითა,
 ვერა დაიჩინა შიშითა და მისითავე თნევითა.

ერთვან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ღალღობა წყლიანი,
 შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკეთიანი,
 შემოელო, ახლოს შემოჰყვა მონა ხმალ-დარაკიანი;
 დაჰკრთა, რა ჰნახა ავთანდილ, ჰგავსო თუ, გზაა კლდიანი.

ფატმან რა ჰნახა, შეშინდა, ძრწის და მიეცა ძრწოლასა,
მან გაკვირვებით უქვრიტა მათსა ლაღობა-წოლასა;
უთხრა: „არ გიშლი. დიაცო, ფერთა მიდამო კრთოლასა.
გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა.

გამეციხე, ბოზო დიაცო, და დამდეგ გასათრეველად.
მაგრა სცნობ ხვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად:
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაქმეველად:
დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელი-ლა ვრბოდე მე ველად“!

ესე სთქვა და კაცმან წვერთა მოიზიდნა, განვლო კარნი;
ფატმან შეჰქმნა თავსა ცემა, ლაწვნი ესხნეს ნახოკარნი;
კრემლთა, მისთა მონაღვართა, წყაროსებრი ისმენს წყარნი;
სთქვა: „დამქოლეთ, მოღით, ქვითა, მომადეგით, მომაყარნი“!

მოსთქვამს: „მოვეკალ, ჰაი ქმარი, ამოვწყვიტენ წვრილნი შვილნი,
ივარ-ვეყავ საქონელნი, უსახონი თვალნი თლილნი,
გავეყარე საყვარელთა, ვაჟ, გამზრდელი, ვაჟ. გაზრდილნი!
ბოლოდ ვექმენ თავსა ჩემსა, სიტყვანი ჩემნი წბილნი“.

ამა ყველასა ავთანდილ ისმენდა გაცბუნებული;
უბრძანა: „რა გკირს, რას იტყვი, რასთვის ხარ ავრე ვებული;
რას დაგექადა იგი ყმა, რა ჰნახა შენგან კლებული?
დადუმდი. მითხარ, ვინ იყო, ანუ რად საქმედ რებული?

დიაცმან უთხრა: „ჰე. ლომო, ხელი ვარ კრემლთა დენითა,
ნურას ნუ მკითხავ ამაღესა, ვერცა რას გითხრობ ენითა;
დავხოცენ შვილნი ხელითა, მით ვარ აღარას ლხენითა.
თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა.

ესე გვარი დია მიჰბედეს სიტყვა-მცდარსა, ენა-მეტსა,
—ხეაშიაღსა ვერ დაჰმალავს—უქეუსოა, შაჰსა, რეტსა;
ვაგლახითა მეწინით, გეტყვი ყოელსა ჩემსა მქვრეტსა,
მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა.

ორისაგან ერთი ჰქმენით, ამის მეტსა ნულარ ჰლამით:
მოვითაჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოჰკალ მალგით ლამით,
მე და სრულა სახლი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით;
მოხვალ. გითხრობ ყველაკასა, მე ვითა ვარ კრემლთა ლამით,

თვარა ლამითვე ტვირთები შენი წაილე ვირითა,
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიჰკრიფე მი-რითა,
ვემე, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჰირითა,
თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაქმევეს ჰირითა.

რა ესე ესმა ავთანდილს ლალსა, ბუნება-ზეარსა,
ადგა და ლახტი აილო; —რა ტურფა რამე მხენ არსა;—
„ამა საქმისა ვერ-ცნობა—სთქვა—ჩემი სიძუნტე არსა;“
ნუ ეკვ სულ-დგმულსა მისებრსა, სხვა არცა მისებრი არსა;

ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც მასწავლელად, წინა-მძღვარად,
გზასა მართლად წამიყვანოს, თვარა მეშვლად მინდა არად:
იმა კაცსა ვერა ვხედავ მეომრად და ჩემად დაარად,
რაცა ვუყო, მოგახსენებ, მომიცადე, იყავ წყნარად“.

მას მისცა მონა დიაცმან წინა-მძღვარად, წაცამყვანელად,
კვლავე შეჰყვილა: „ვინადგა ცეცხლია ცხელი აწნელად,
თუ მოვითაჰკლა იგი ყმა ჩემად გულისა მფხანელად“;
ბეჰედი ჩემი აცვია, მას გვედრებ მოსატანელად“.

ავთანდილ განვლო ქალაქი მით უებროთა ტანითა:
ზღვის პირსა სახლი ნაგები დგეს ქვითა წითელ-მწვანითა,
ქვეშეთკენ სრითა ტურფითა, კვლავ ზედათ ბანის-ბანითა,
დიდროვანითა ტურფითა, მრავლითა თანის-თანითა.

მუნ მიჰყავს პირ-მზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა;
ხმა მდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ეძებ რომელსა“;
ურჩენებს, ეტყვის: ჰხედაო ბანსა ზედა-ქვე მდგომელსა?
იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა“.

კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევს მას, გლახ, ყმასა;
ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე ხმასა;
თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა-ხდასა,
თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა.

რა ფატმანისას შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი;
უბრძანა: „მოკვალ, მან ყმამან დღე ევლარ ჰნახოს მზიანი,
თვით მონა შენი მოწმად მყავს, ფიცი აფიცი ღვთიანი;
აჰა თითი და ბეჰედი და დანა მაქვს სისხლიანი“.

აწ მითხარ თუ რას იტყოდი, რას გაშმაგდი ისრე რეტად,
რას გეჰადლა ისი კაცი? —მესწრაფების მეტის-მეტად;
ფატმან ფერხთა მოესვია: „არა ვლირსვარ პირსა ქვრეტად,
გამიმრთელდა გული წულული, ახლა დავეცე ცეცხლთა შრეტად“.

მე და უსენი შეილითურთ აწ ახლა დავიბადენით:
ლომო, ქებანი შენიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით:
ვინადგან სისხლთა იმისთა დაღვრავე დაეიქადენით,
თავითგან გითხრობ ყველასა, თქვენ სმენად დაეშადენით“.

XVIII

ნესტან-დარეჯანის ამბის მბოზა ფატმანისაგან ავთანდილის
წინაშე.

წესია ამა ქალაქსა, დღესა მას ნაეროზობასა,
არცა ვინ ვაქრობს ვაქარი, არცა ვინ წაეა გზობასა;
ყოველნი სწორედ დაეიწყებთ კაზმასა-ლამაზობასა:
ღიღსა შეიქმენ მეფენი პურობა-დარბაზობასა.

ჩვენ დიდ-ვაქართა ზედა გვაძს დარბაზს მიღება ძღვენისა,
ნათ საბოძერისა ბოძება ჰმართებთ მზგავისისა ჩვენისა:
ათ დღემდინ ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა;
ნოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა ღგენისა.

ქმარი ჩემი დიდ-ვაქართა წაუძღვების უსენ წინა,
ნთთა ცოლთა მე წაფასხამ, მაწვეველი არად შინა;
ღედოფალსა ძღვენსა ვუძღვნით მდიდარი, თუ გლახა ვინა;
უარბაზს ამოდ გაეიხარებთ, მხიარულნი მოვალთ შინა.

დღე მოვიდა, ნავროზობა, დედოფალსა ძღვენი ვძღვენით;
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავაესენით, ავიესენით;
ამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით,
კვლავ დავსხედით გახარებად, მუნებრივი არ ვიყვენით.

ბალსა შიგან თამაშობად სალამოსა გავე ეამსა,
ვაგატანე ხათუნები, — მათი კმევა ჩემგან ჰხამსა —
ნომყებოდეს მომღერალნი, იტყოდინ ტკბილსა ხმასა;
ვიმღერდი და ვემაწვილობდი, ვიცვალებდი რიდე-თმასა

იქ ბალსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი,
მაღალნი, ყოვლნგით მხედველნი, ზღვაზედან წაკიდებულნი,
ნუნ შეეიტანენ ხათუნნი, იგი ჩემთანა ხლებულნი,
კვლავ დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შეებულნი.

ვაქრის ცოლთა მხიარულმან ვუმასპინძლე ამოდ, დურად,
სმასა ზედა უნიზეზოდ გავხე რამე უგემურად,
რა შემატყვეს, გაიყარა, სხდომილ-იყო რაცა პურად,
მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურიდ.

უქმოვახვენ სარკმელი და შევაქციე პირის ზღვასა,
ვიხედავდი, ვიქარეებდი კაეშნისა ჩემგან ზრდასა;
შორს ამიჩნდა ცოტა რამე, მოცურავდა შიგან ზღვასა,
ფრინველად ვეჰვი, ანუ მხეცად, სხვათ ვამზგავსე მემცა რასა!

მე შორილამ ვერა ვიცან; მომეახლა, იყო ნავი;
ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ელგა შავი;
იკით-აქეთ მოსდგომოდეს ახლოს, უჩნდა ოდენ თავი;
გამოვიდეს, გამიკვირდეს იგი უცხო სანახავი.

გამოპზინდეს იგი ნავი, გამოიღეს ბალსა წინა,
მიიხედეს, მოიხედეს, ვინ გვიკერეტსო, სადა ვინა;
ვერა ჰნახეს სულიერი, ვერცა რამან შეაშინა;
მე იღუმალ ვიხედვიდი, სულ-ღებულუ ვიყავ შინა.

მით ნავიდალმე მათ რომე გარდმოსევს კიდობანითა,
ახადეს, ქალი გარდმოპზდა უცხოთა რათმე ტანითა,
თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა;
მზესა სიტურფედ ეყოფის, იყოს მისითა გვანითა.

რა მობრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხივნი კლდესა,
ლაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ხმელთ და ზესა;
დავიწუხენ თვალნი. ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა,
უკმოვიხარჩ კარი ჩემკენ, მათი კვრეტა ვერა ცნესა.

მოვიხმენ ოთხი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი;
ვუჩვენე: „ზხედავთ, ინდოთა ტუვედ ჰყვანან შუქნი რომელნი?
ჩაეპარენით, ჩადითო, წყნარად, ნუ ჩქარად მხლდომელნი;
მოგყიდონ, ფასი მიეცით, რისაცა იყონ მდომელნი.

თუ არ მოგცენ, ნულარ მისცემთ, წაჰგვარენით, დაჰხოცენით,
მოიყვანეთ ისი მთვარე, ჰქმენით კარგად, ეცადენით;“
ჩემნი ყმანი ზედადღამან ჩაეპარნეს, ვითა ფრენით;
დაევაქრნეს, არ მოჰყიდეს; შავნი ვნახენ მეტად წყენით.

მე სარკმელთა გარდავადეგ, რა შევიგენ, არ მოჰყიდეს,
შევეუზახენ: „დაჰხოცენით!“ დაიპყრეს და თავსა სკრიდეს;
იგი ზღვასა შეასრივნეს, შემოადგეს ქალსა, სკვიდეს,
ჩაეეგებე, გამოვგვარე, ზღვის პირს ხანსა არ დაჰპზიდეს.

რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!
ფფიცავ, რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა;
ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინცა ვით ჰქმნას ნახაზობა!
მე თუ დამწვავს, ამა მზა ვარ, აღარ უნდა ამას მზობა!“

ესე სიტყვა დაასრულნა, ფატმან იკრნა პირსა ხელნი;
ავთანდილსცა აეტირნეს, გარდმოპყარნა ცრემლნი ცხელნი;
ერთმანერთი დაავიწყდათ, მისთვის გახდეს ვითა ხელნი;
ღვარმან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელნი..

მოიტრეს. ყმამან უთხრა: „ნულარ გასწყევტ. გაასრულე,“
ფატმან იტყვის: „მივეგებე, გული მისთვის ვაერდგულე.
გარდუქოცნე ყოელი ასო, თაეი ამად მოეაძულე,
ზედან დავსვი ტახტსა ჩემსა, შევეკვეთე. გავესლუე.“

კვადრე: „მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შეილი ვისთა ტომთა.
ამა ზანგთა სით მოჰყვანდი შენ, პატრონი კისა ხომთა?–
მან პასუხი არა მიოთხოა მე სიტყუათა ესეზომთა,
ას-ნაეცი წყარო ვნახე კრემლთა მისთა მონაწთომთა.“

რა მივაჰირეე კითხვითა, მეტისა საუბარითა;
გულ-ამობრჩინვით ატირდა მით რამე ხნითა წყარითა;
ბროლ-ლალსა. ლეარი ნარგისთა მოსდის გიშრისა ლარითა;
მისი მჰვრეტელი დავიწვი, გაეხე გულითა მკედარითა.“

მიოთხრა: „შენ ჩემთვის დედაო ხარ უმჯობესი დედისა,
რას აქნეე ჩემსა ამბავსა, ზლაპარი არის ყბედისა;
ლარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;
თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა!“

მოეყვანე შინა ჩემსა იგი პირ მზე ტანით ალვით;
მოვეუკაზმე სახლი ერთი, შიგან დავსვი მეტად მალვით;
არვის ვუთხარ სულიერსა, შევიწახე თარვით, კრძალვით;
ერთი ზანგი ვამსახურე, მე შევიდი, ვნახი ხალვით

მან ტურფამან სახლსა ჩემსა, ეგრე დაჰყო ხანი დიდი,
ვერ გავანდეე ქმარსა ჩემსა, შესმენისა მქონდა რიდი
ვთქვი: „თუ უთხრობ, ვიცი დარბაზს გამამულავნებს იგი ფლიდი!“
ესე მეყო საგონებლად, კვლა შევედი, კლა გავედი.

ვთქვი: „თუ არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოეგვარების,
არცარა ვიცი, რა უნდა. რა ვისგან მოეხმარების;
ქმარი რა მიგრძნობს, მოცამელავს, ველარა მომეფარების;
ვითა დავმალო წათელი, ვინ მზესა დაედარების!“

მე, გლახ, მარტომან რა უყო, მიმატებს ცეცხლთა დებასა;
მო და გავენდო, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა;
არ გამამულავნოს, ვაფიყო. თუ მომკემს იჰედებასა;
სულსა ვერ წასწყემენდს, ვერა იქმს ფიცისა გაცუდებასა.“

მიველ მარტო. ქმარსა ჩემსა ველალობე, ვალაციე,
მერმე უთხარ: „გიოთრობ რას“ე, მაგრა პირველ შემომფიციე,
არვის უთხრა სულიერსა, საფიცარი მომეც მტკიცე;“
ფიცი ჰფიცა საშინელი: „თავიცაო კლდეთა ვიცი!“

რა გარდაჰხდა ხანი რამე, გამოვიდეს ლამე-დღენი,
უსენ მიოთხრა: „არ მინახავს ძოღანდლითგან მეფე ჩვენნი,
მივაზიარებ, წავალ, ვნახავ; უდარბაზო, უძღვნა ძოღენი“,
მოვახსენე: „ღია, ლმერთო, ბრძანებაა ეგე თქვენი“.

უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და თვალეზი,
დავედრე „დარბაზს დაგვხდების დარბაზის ერი მთვრალეზი;
ანა ქალისა ამბავსა, მომკალ, თუ არ ეკრძალები“.
კვლავ შემონიფიცა: „არ ვიტყვი, თავსაცა მეცეს ხმალები!“.

უსენ მივიდა, ხელმწიფე დაჰხედა ნადომად მჯდომელი;
უსენ, არიფი მეფისა და მეფე მისი მდომელი,
წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი,
აწ ჰნახო მთვრალი ვაქარი, ცქაფი, უწყელი, მსწრომელი.

რა მეფემან უსენს წინა ჰსვა მრავალი დოსტაქანი,
კვლავ შეჰსვეს და კვლავ აივსეს სხვა ფარჩნი და სხვა ქიქანი.
დაავიწყდა იგი ფიცნი,—რა მუსათნი, რა მაქანი!—
მართლა თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდა, ვერსა რქანი“.

რას ვაგრძელებდი, გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა,
უამბო ჰოვნა ქალისა, მკვერტთაგან შზედ სახულისა,
მეფესა მეტად იამა, მიეცა ლხინი გულისა,
უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულ-ქმნა უსენის თქმულისა.

მე აქა ჩემსა ამოდ ვჯე, მუნამდის არ მიკენისია,
შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,
თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია,
მოვიდეს; დია გავკვირდი. ეთქვი: „რამე საქმე ზესია“.

მისალამეს, „ფატმან“, — მითხრეს — „ბრძანებაა მზისა სწორთა:
დღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მზგავსი მზეთა ორთა,
აწ მომგვარე, წავიყვანო, ვლა არ გვინდა გზათა შორთა“,
ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვით ეცა გორა გორთა.

მე გაკვირვებით კვლავ ვკითხე: „რა ქალი გინდათ, რომელი?“
ნათ მითხრეს: „უსენ შემოსძღვნა პირი ელვათა მკრომელი“,
არას მარგებდა, დაესკვნა დღე ჩემი სულთა-მდომელი;
ავთროთოლდი, ავდეგ ვეღარა, ვერცა ქვე ვიყავ მჯდომელი.

შეველ, ვნახე იგი ტურფა მტირალად და ცრემლ-დასხმულად,
ვკადრე: „მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთილა, ჰხედავ სრულად:
ცა მობრუნდა რისხვით ჩემკენ, იავარ-მყო, ამფხვრა სრულად;
შენასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ ამისთვის გულ-მოკლულად“.

მან მითხრა: „დაო, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა ძნელია!
ბელი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქმნელია,
კარგი რამ მქირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვა-და-სხვა ქირი ჩემზედა არ ახალია, ძველია“.

თვალთა, ვითა მარგალიტი, გარდმოჰყარა ცრემლი ხშირი;
 ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი,
 ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრევე ქირად ქირი;
 ნთხოვა, გარე აჯილითა მოიძურა ტანი, პირი.

შევე საქურქლეს; რომელსა ფასი არ დაედებოდა,
 თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა,
 თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა;
 ნივე, მას წელსა შევარტყი, შევ გული ვისთვის კედებოდა

ვარქვი: „ჩემო. განლა სადმე გეხმარების ეს გუჰარი;
 წათ მონათა ხელთა მივეცი იგი პირი, მზისა დარი,
 სკნო მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლასა, გაჰხდა ზარი;
 ივი მივა თავ-მოდრეკით წყნარი, არას მოუბარი

ვით მხემან მისნი მკერეტელნი შეჰქმნა თვალისა მფახველად.
 ნეფემან ჰბრძანა: „განხადა ნახული მე უნახველად;
 ლეთისაგან კიდე ვინმე იყო კაცი ამისად მსახველად!
 ჰნართებს ამისა მიჯნურსა, ხელი თუ რბოდეს, ახ, ველად!“

გვერდსა დაისვა, ეუბნა ტყბილითა საუბარითა;
 „წითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსული ვისთა გვარითა?“
 მან არა გასცა პასუხი პირითა. მზისა დართა,
 თავ-მოდრეკილი დაღრეჯით ქვე ზის ცნობითა წყნარითა.

არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა;
 სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა;
 ვარდნი ერთგან შეეწეჰქნა. მარგალიტსა არ აღებდა.
 მკერეტნი მისნი გააკვირვნა. რასანცა ვინ იაზრებდა!

მეფე ჰბრძანებდა: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იხსნების?
 ამა ორთა კიდევანთა აზრი არა არ იქნების:
 ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,
 მისგან კიდე არვისად სცალს. ველარცა ვის ეუბნების;

ანუ არის ბრძენი ვინმე: მალალი და მალლად მხედი,
 არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ქირი ზედან-ზედი;
 ვით ზღაპარი ასე ესმის უბედობა, თუნდა ბედი;
 სხვაგან არის, სხვაგან ჰფრინავს, გონება უძს, ვითა ტრედი.

ღმერთმან ჰქმნას, შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული,
 მე დავახვედრო ისი მზე და მისთვის დამზადებული;
 მან ათქმევინოს ნუთუ რა, ჩვენცა ვცნოთ გაცხადებული,
 -მუნამდის მთვარე შუქ-კართომით ჯდეს. მზისა მოშორებული“.

ხელმწიფისა შეილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა.
უებროსა ზნედ და თვალად, შეენიერსა პირსა, ტანსა;
მაშინ ლაშქარს წასულ-იყო, მუნ დაჰყოფდა დიდსა ხანსა,
მამა მისთვის ამზადებდა მას, მნათობსა დასაგვანსა.

მოიღეს, ტანსა ჩააცვის შესამოსელი ქალისა,
—მას ზედა შუქი მზავალი ჩნდა მნათობისა თვალისა—
დაადგეს თავსა გვირგვინი ერთობილისა ლალისა,
მუნ ვარდსა ფერი აშეენებს ბროლისა გამჟვირვალისა.

მეფემან ჰბრძანა: „მოჰკაზმეთ საწოლი უფლის-წულისა“,
დაუდგეს ტახტი ოქროსა წითლისა მალრიბულისა;
ადგა თვით დიდი ხელმწიფე, პატრონი სრისა სრულისა,
მას ზედა დაჰსვა იგი მზე, ლხინი მჟვრეტელთა გულისა.

უბრძანა ცხრათა ხადუნთა დადგომა მცველად კარისა,
ხელმწიფე დასჯდა ნადიმად, მზგავსად მათისა გვარისა,
უბოძა უსენს უზომო მუქაფად მის მხის დარისა,
სცემენ ბუქსა და ტაბლაქსა მოსამატებლად ზარისა

გააგრძილეს ნადიმობა, სმა შეიქმნა მეტად გრძელი,
ქალი პირ-მზე ბედსა ეტყვის: „რა ბედი მიძს ჩემი მკვლელი,
სადაური სად მოვსულვარ, ვის მიეხედები, ვისთვის ხელი,
რა ვქნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მპირს მეტად ძნელი!“

ველავცა იტყვის: „ნუ დავაქნობ შეენებასა ვარდის ფერსა;
ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიდოს ჩემსა მტერსა;
სიკვდილამ დის ვის მოუქლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისკირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!“

ხადუნნი უხმნა, უბრძანა: „ისმინეთ, მოდით ცნობასა!
მოლორებულხართ დამცდარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
დამცდარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ჰლამის სძლობასა,
ჩენთვის ბუქსა და ტაბლაქსა ცუდად, გლახ, იცემს ნობასა.

არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდევანია:
მაშოროს ღმერთმან მამაკი, პირად მზე, სარო ტანია!
სხვასა რას მნუკავთ საქმესა, ჩემი საქმენი სხვანია,
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია!

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიციე დანსა,
თქვენ დაგხოცთ თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა:
ესე სჯობს, მოგცეთ საქურქლე, მძიმე მარტყია ტანასა,
მე გამაპარეთ, გამიშვით; თყარე დაიწყებთ ნანასა“.

შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი,
მოიხდა გვირგვინიცა გამჟვირვალი, ერთობ ლალი;
მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გაიჯები გულ-მხურვალი,
მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ დიდი ვალი“.

მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საქურკლისა ძვირისა.
დავიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოჰარება დაასვენეს მის უებროსა პირისა,
ჰნახე. თუ ოქრო რასა იქმს, კერთხი ეშაკათა ძირისა

რა ხაღუმთა აუსრულეს საქმე მისი საწადელი,
ერთმან ტანსა აღიხადა, მისცა მისი ჩასაცემელი,
სხვანი კარნი გამოარნეს, იჯაროდა დარბაზს მსმელი,
დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი.

მონანიცა გარდიხვეწნეს, გაიპარნეს, მასვე თანა,
ქალმან კარსა დამირეკა, ფატმანობა ჩემი ჰბრძანა,
გავე, ვიცან, მოვეხვიე, გამიკვირდა მეცა განა!
შინა ყოლა არ შემომყუა; „რად მაწვევო?“ შემანანა.

მიბრძანა: თავი ვიყიდე მოცემულითა შენითა;
მუქათა ღმერთმან შემოგზლოს მოწყალებითა ზენითა!
ველარ დამმალავ, გამიშვი, ფიცხლავ გამგზავნე ცხენითა,
სადაძდის სცნობდეს ხელმწიფე, კაცთა მომწვედეს რბენითა.

შეველ ფიცხლა საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი,
შევეუკაზმე, ზედან შევსვი მზიარული, არ მომკენესი,
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შესჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი!
წაჰხდა ჩემი ქირნახული; ვერ მოვიმკი, რაცა ვთესი.

ღღე მიიყარა, ხმა გაჰხდა მოვიდა მისი მღევიარი,
მოიცევს შინა ქალაქი, შეიქმნა მოსაწვევარი;
მე მკითხეს, ვარქვი: „თუ ჰპოოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი,
მეფეთა ვიყო შემცოდე და მათთა სისხლთა მზღვევარი?“

მის მთვარისა სადაობა კვლავ გაიმბო საქმე კვლაცი,
აწ უწინა ესე გითხრა, რას მექაღდა ისი კაცი,
მე გლახ ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი,
—კაცსა დაჰსვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი.

მით არ ვჯერებარ ქმარსა ჩემსა, მკლე არის და თვალად ნასი,
ისი კაცი ჩაჩნავირი დარბაზს იყო მეტად ხასი;
ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი,
ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტოს ერთი თასი!

ესე ამბავი მასთანა ვსთქვი დიაცურად, ხელურად:
ჩემსავე მოსილა მის შხისა და გაპარება მელურად;
გამქლავინებასა მექაღდა არ მოყვარულად, მტერულად;
აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვიხსენ მე რულად!

თუნეა ისი არ მოგეკლა, მისულიყო დარბაზს შითა,
შემანნენდა ჯაერიანი. გული ედვა ცეცხლებრ წვითა;
მეფე მწყალი გარდასწმენდა სახლსა ჩემსა გარდავითა,
შვილთა, ლმერთო, დამაჰმევედა, დამქოლვიდა მერმე ჭვითა!

მუქაფა ღმერთმან შემოგზლოს,—მადლსა გკადრებდე მე რასა —
რომელმან დანხსენ მშვიდობით ამა გველისა მზერასა!
აწ ამას იქით ენატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა,
აღარ ვიშიშვი სიკვიდლსა, ჰი, ჰი, ჩაივიკერ მე რასა!“

ავთანდილ უთხრა: „ნუ გემის, წიგნსაჲ აგრე სწერია:
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია,
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია;
ნულარ იშიშვი ინიგან, აწ იგი მკვდართა ფერია.“

იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაჰზაენე შენ ოდეს,
რაცალა გეცნოს ამბავი, ანუ რა მისი გსმენოდეს“.
კვლავ იტყვის ფატმან ტრილით, კვლავ თვალთა ცრემლი სდენოდეს:
„წახდესო შეჭი, რომელი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს“;

XIX

**ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა, ფატმანი-
საგან მბობა ავთანდილთან.**

ვაჲ, საწუთროო, სიცრუევით ოავი სატანას აღარე,
შენი ვერავენ ვერა სცნას, შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?
მით ეხნედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სად არე!

ფატმან იტყვის: „მომეშორა მზე, ნნათობი სრულად ხმელთა,
სიკოცხლე და სულდგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა;
ნასუქანით გაუწყვეტლად დება მკირდის ცეცხლთა ცხელთა,
ვერ გავახზე წყარო ცრემლთა, თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა!“

სახლი და შეილი მომძულდა, ვჯდი უგულოსა გულითა,
მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის რულითა;
უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩნს უსჯულოთა სჯულითა,
ვერ ნიმიახლოს საახლოდ კრულმან პირიდა კრულითა.

დღესა ერთსა, საღამო ეამს, ჩასელა იყო ოდეს მზისა,
წავდებ წინა დარაჯავთა, კარი მიჩნდა ხანაგისა;
ვიგონებდი, სევდა მკლვიდა მისისავე გონებისა;
ვთქვი: „კრულია ზენაარი ყოვლისამცა მამაცისა!“

მოვიდა სითმე ღარიბი მონა მოყვსითა სამითა,
მონა, მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულეზ ხამითა;
სასმელ-საქველი მოილეს, ქალაქს ნაყიდი ღრამითა;
ჰსმიდეს, სქამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარული ამითა.

მე ვუყურებდი, ვუკერეტდი; სთქვეს: „ამოდ გავიხარენით,
მაგრა ჩვენ აქა მოყვანნი უცხონი შევიყარენით,
არცა-რა ვიცით ვინ გინა, ანუ სით მოვიარენით;
ჰხამს, ერთმანერთსა ამბავი ჩვენიცა ვუთხრათ ბარ ენით“.

მათ სხვათა მათი ამბავი სთქვეს, ვითა მგზავრთა წესია;
მონამან უთხრა: „ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია:
მე მარგალიტსა მოგიმიკი, თქვენ ქერიმა დაგითესია;
ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან უკეთესია:

მე ვარო მონა მეფისა მალლისა, ქაჯთა მფლობლისა,
მათ მიჰხვდა ცემა სენისა, მათისა დამამზობლისა:
მოგვიკვდა შე-წე ქერივისა, შემწყნარებელი ობლისა;
აწ შეილთა მისთა და მისი ჰზრდის, უკეთესი მშობლისა.

დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე ვითა ლოდია;
ვისაც არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია;
მას უსხენ წერილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია;
აწ იგი ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე ზის მორკპული წოდია.

გვესმა ამბავი, ზღვით იქით სიკვდილი დისა მათისა,
შეიქირებდეს ვაზირნი, დაჰშალეს ქმნა ხალვათისა.—
ვითა ვკადროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა?
როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრ-ათასისა.

როშაქ ჰბრძანა, მოცა-ვინ-მკლავს, მე ტირილსა არ დაეზვდები,
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, აღაფითა ავიესები,
შინა მოვალ, შოებული, აღრე ზედა მოვესწრები;
მეფე დისა დატირებად წავილოდეს, წაცავეყვები.

გვითხრა მისთა ხელისათა: „წავალ, თანა წამომყევით“!
წავკიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით,
დღისით მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით;
ღია ვლეწეთ ქარავანი, ღარი ჩვენკენ გარდმოვდევით.

მინდორ-მინდორ მოვიდოდით ჩვენ ლამესა დია ბნელსა,
დიდი რამე სინალოენი გამოგვიჩნდა შუა ველსა;
ვთქვით თუ, მზეა ნუსაუ ზეცით ჩამოქრილი ზედა ხმელსა!
დაბნეულნი მივეცენით გონებასა ჩვენსა მსჯელსა.

ზოგთა სთქვეს, არის ცისკარი, ზოგთა სთქვეს, არის მთვარეო;
მას დარაზმულთა მივმართე,—ახლოსცა ვნახე ბარეო—
შორს ზოვუარეთ. მივედით, შემოვადეგით გარეო;
მით ნათლიდალმე გამოჰხდა ხმა, ჩენი მოუბარეო.

გვიხ ხრა: „ვინ ხართ, ცხენოსანო! თქვენ სახელი თქვენი სთქვენიო;
გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით!
ესე გვესმა, მოვადეგით, ალყად გარე მოვერტყენით,
პირ-მზე რიმე ცხენოსანი გავიცადეთ თვალით ჩენით.

ვეუქრიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მოელვარებსა;
მისი ციმციმი ნხისაებრ ეფინებოდა არებსა;
ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებსა;
კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა.

კვლავ ვეუბნით მას მზესა ტკბილ-მოუბრიოა ენითა,
არ მონა იყო, ტყუოდა, ჩვენ ესე შევიგენითა;
როშაქ შეატყო ქალობა, გვეოდსა წაუდგა ცხენითა;
ალარ გაუღვივით, დაქირვა უკადრეთ ხელითა ჩენითა.

კვლავ ვკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა,
ვისი ხარ. ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?“
ნან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა,
რა საბარალო გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა!

არცა-რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი,
არა, არ გვითხრა, ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთალავი;
ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა, კუშტი, თავისა მკრძალავი,
ვითა ასპიტო, მჭვრეტელთა მისით თვალითა მალავი.

როშაქ გვიბრძანა: „ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არ სათქმელია,
იმისი საქმე უცხოა, სამბობლადაცა ძნელია;
ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია;
მით, რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია.

ესე ღმერთსა მისაგერულად მისად ჩვენთვის მოუცდია,
მიეუტანოთ არმალანად, დაგვიმადლებს მეტად დია,
თუ დაველავეთ, დავმელავნდებით, მეფე ჩენი ამაყია;
პირველ მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია“.

მიემოწმებით, თათბირნი არ კიდე გაეკიდნით;
დაებრუნდით, ქაჯეთს მიემართეთ, მას წინა მოვეკიდნით;
არცა-რა ვკადრეთ ხელ-და-ხელ, არცა თუ წავეკიდნით,
იგი სტირს, ლაწესა გულ-მღულლად ჩაპრცხის ცრემლისა კი დენით.

მე როშაქს ვკადრე: გამიშვი, კვლავ აღრე თქვენი მზლებელი;
აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მღებელი,
მან გამომიშვა, აქ სადქე ლარი მიძს წასალებელი;
თანა წაეიტან, წაცავალ მე მათი ზედა მსწოებელი*.

მათ კაცთა დიდად იამათ ესე აშავეი მონისა,
მე გავიგონე, შერეშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა,
შენიშნა, ყოელი ნიშანი ვიცან ჩემისა ლონისა,
ცოტაი ლხენა მომეცა, მზგავსი დრამისა წონისა.

მოვიყვანე იგი მონა, ახლო დავსეი ჩენსა წინა;
ვკითხე: „მითხარ, რას იტყოდი, გაგონება მეცა მინა?“,
მან იგივე კვლავ მიაგზო, რაცა მუნით მომესმინა:
ამ ამბავმან გამაცოცხლა, სულ-მოპრძავი დამარჩინა.

მე ორნი შეენი მონანი მყვანან საეყენი გრძნებითა:
უჩინოდ მივლენ, წამოვლენ მათითა ხელოვნებითა:
მოვასხენ, ქაჯეთს გავგზავნენ, ვარქვი თუ: „ნუ დასდგებითა,
მაცნობეთ მისი ამბავი თქვენითა მოქმედებითა“.

სამ დღე მოვიდეს, მიაგბეს, ფიცხლა ებიჯა გზისადა:
„მოუგვირიო მეფესა ზღვას იქით წაშაელისადა,
ვერვის შეუდგმან საქვრეტლად თვალნი. მართ ვითა მზისადა,
ქვე დაუწინდაეს საცოლედ, როსან ცოტასა ყმისადა“.

როსანს შერეთოთო, — დულარდუხტს, მეფესა უბრძანებია —
ჯერ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია,
შემოვიქცევი, შევისძლობ, ვინ ცისა მზედ ნაქებია“,
ციხეს დაუსვამს, ხადუმი ერთაი უახლებია.

ყოვლნი მცოდნენი გრძნებისა მას თანა წაუტანია
მით, რომე გზა საქიროა, მტერნი საომრად მზანი:;
ქვე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია,
დაეყოვნების, წასრულა ჯერედ ცოტაი ხანია.

ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მალალი და გრძელია,
მას კლდესა შიგან გვირაბი საძრომელი ხვრელია,
მუნ არის შარტო მნათობი, მისთა შემყრელისა მწველია.

გვირახის კარსა ნიადაგ მოყმე სცაენ არ პირ-ნასები,
ათი ათასი ქაბუკი დგის, ყველაკი ხასები;
ქალაქის კართა სამთავე სამ-ათას სამ-ათასები,
გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და გლახ რას ები!-

ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან. მაგრ ავადამან,
რა მოისმინა, იამა, სხედ არა გააცხადა მან.
შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან დანახადამან:
ამბავი ჩემი სალხინო მითხარო კისმან-ლა დამან!*

ავთანდილ ფატმანს ყოველი უთხრა ამბავი თავისა,
ამბავი ტარიელისგან შემოსევა ვეფხის ტყევისა;
უბრძანა: შენ ხარ წამალი ჯერ შენგან უნახავისა,
ღონე წამწმისა გმირისა, ყორნის ფრთებრ ნაფუშავისა.

მოდო და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მისსა რგება!ა,
უშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა,
ვინც სცნობენ კაცნი, ყველანი ჩვენსა იწყებენ ქებასა,
ნუთუ კვლავ მიჰბედენ მიჯნურნი ერთმანეთისა ხლებასა.

მომგვარე, ქაჯეთს გაგგზავნო იგივე მონა გრძნეული.
ქალსა ვაცნობოთ ყველაი ამბავი, ჩვენგან ცნეული;
მანცა გვაცნობოს მართალი, ექმნათ მისი გამორჩეული,
ღმერთმან ჰქმნას, ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძლეული*.

ფატმან სთქვა: «ღმერთსა დიდება, საქმენი მომხედეს მო რანი..
დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!»
მოჰკვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი,
უბრძანა: «ქაჯეთს გაგგზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი.

აჲ გამოჩნდების სახმრობა ჩემი შენისა გრძნებისა,
ფიცხლავ დამიყე სახმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა,
მას მზენა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა;
მან უთხრა: -ხელე მოგართვა ყოელი ამბავი ნებისა*.

XX

წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი-

ფატმან სწერს: «აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორს-მყოფთა ყოველთა დამწველო, ამპარზენაო.
სიტყვა-მკვერო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო,
ბროლო და ლალო, ორივე, კვლავ ერთგან შენათხზენაო!

თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენივ,
მე ეგე ვცანი მართალი, მით გულსა მოვალხენივ,
შენთვის ხელ-ქმნილსა ტარიელს ამბითა მოალხენივ,
ორნივე მიჰხედეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე.

მოსრულა შენად საძებრად მისი ძმად შეფიცებული,
ავთანდილ, მოყმე არაბი, არაბეთშიგან ქებული,
სპასპეტი როსტენ მეფისა, ვერვისგან დაწუნებული:
შენ სწერდი შენსა ამბავსა, ლალი, ბრძნად გაგონებული.

ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოგზავნეთ თქვენსა წინა,
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, — მოსრულანცა ქაჯნი შინა? —
მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა,
ვინ არიან მცველნი შენნი, ან თაყადი მათი ვინა!

რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამწვლავნე,
მე რუმე შენსა საყვარელსა ნიშანი რა გაუგზავნე!
შენი ყველა აქამდისი ქირი ლხინსა გაათავნე,
ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესათერნი შეგაზავნე!*

XXI

წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთან მიწერილი.

„პირ-მზე ეწერ, აჰა, ხათუნო. დედისა მჯობო დედათ: ო
მისგან ტყვევ-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ჰხედაო!
მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჟთა სხვაცა დაპერთო ზედაო:
აწ ენახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო.

შენ ორთა დამსენ გრძნეულთა, განიადვილე ქირები,
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამქირები:
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრი ათასი გმირები:
ავედ მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!

სხვად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგიწერე:
ქაჯთა მეფე არ მოსულა არცა მოელენ ქაჯნი ჯერე,
მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სილღერე,
რასა ჰქვიან ძებნა ჩემი, არ ეგების, დაიჯერე!

ვინცალა ჩემი მძებნელი მოსრულა, ცუდ-მამურალია:
იქირვის, იწვის, ენთების, ჩემი სწევას ცეცხლებრ ალია:
მაგრა მას ენატრი, უნახავს მზე, ამაღ არ დამზრალია,
უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია!

შენ აწბავი არ გიანბე მაშინ, ამად დაგიმალე,
ვერ იტყოდა ენა ჩემი, თავი კირთა გავეკრძალე;
გეფევეწები. საყვარელსა შემახვეწე. შემამბრალე;
ნუ წანოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შეცასთვალე.

მე რომ მპირს, კნარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:
ნას მკვდარსა ენახავ, მოკვედები მე სიკედლითა ორითა;
ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ქორითა;
აო დაგმოჩილდეს, დანქოლე შავისა ქვისა ყორითა!

გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე გაამელაენია,
ნისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია;
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,
თუკა თუ ფერად ბედისა ჩემისა მზგავსად შავნია*.

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი.

-აწ საყვარელსა მიუწერ გულ-ამოსკენილი მტირალი,
ნისნანვე ცრემლმან დაუვის ვის ედებოდა ვის ალი*!
დასწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი;
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჰკვირვალი.

-ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქეს, კალამი ნალეელთა ამონაწები,
ნე გული შენი ქალაღად გულსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დამბულხარ, ნუ აეხსნები. აწ ები!

ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია,
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით მათგან საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიციცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!

შენმან მზემან, აქამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა, გარდასრულდა სიციცხლე და ყოელი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
ჩემი ყველა აქანამდის კირი ლხინსა შევაწონე.

შენი სიციცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულსა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
ნონიგონებზე, გახსოვდე მე შენთვის დაკაოგულისად,
ეზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დახერგულისად.

სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:
 ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების;
 ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების;
 აწ კვლა ჰქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

აწ სოფელმან უარესი კირი კირსა მიმისართა,
 არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიეთა მრავალ-გვართა;
 კვლავცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;
 პედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!

ციხეს ვზი ეზოშ მალალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
 გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა ღვებინან,
 ღლისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან.
 მათთა შეგბელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუთუ ესენნი გეგონეს სხვათა მეგრძოლთა წესითა?!
 ნუცა მე მომკლავ კირითა ამისგან უარესითა;
 შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
 ნოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა.

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხედეს მთვარე შენი,
 შენმან მზემან, ვერვის მიჰხედეს, მოცავიდენ სამნი მზენი:
 აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლივნი დიდი კლდენი;
 სული ჩემი შეავედრე, ზეციით მომხედენ ნუთუ ფრთენი.

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,
 ნავრა შენი სიყვარული ჩაეიტანე, ჩამრჩა გულსა;
 იომეგონოს მოშორებდა. მემატების წყლული წყლულსა;
 ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო ჩემსა სიყვარულსა.

წადი, ინდოეთს ნიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა.
 მტერთაგან შეიწრებულსა, ყოველგნით ხელუპყრობელსა;
 გულსა აღზინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა:
 მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა,
 ვადმიკეთია აღამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
 ესელა დამრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა,
 რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეიდოსა.

XXII

თათბირი ფრიდონისა, ავთანდილისა და ტარიელისა, ქაჯე-
თის ციხეს რომ მოადგეს.

ფრიდონ სთქვა: „ვიტყვი სიტყვასა, ვევე ჩემი არ დამცდარია:
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
პირის-პირ ომი არ ძალ-გვაქვს, არ უამი საკეხარია.
ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვიშხან კარია.

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
ჩასწაულნეს მათნი საქმენი, მახტუნებდიან, მწერთნიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომციდიან;
ვინცა მკვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

აჲ ვინცა იციო უკეთა შეტყორცა საგდებელისა,
ნას ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა,
ნას ზედა გავლა ადვილად მიჩანს მართ ვითა ველისა,
თქვენ კირად გიყო შიგნითა პოვნა კაცისა შრთელისა.

აბჯრითა გავლა არად მჩანს კირად, გატანა ფარისა,
შიგან ჩაებტები კისკასად, ვეცემი მზავესად ქარისა,
ლაშქართა დაეხოც, გავახვამ, ჰნახოთ გაღება კარისა—
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმათ ზრიალი ზარისა.“

ავთანდილ უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან:
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივიან;
სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ჰყივიან!

რა გახვილოდე, გუშაგთა ესმას აბჯრისა ჩხრება.
გიგოდნობენ, თოქსა მოჰკეთენ, ამისი ჰხამს დაჯერება;
წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდი-ლა ფერება;
ეგ თათბირი არ ვარგა, სხვებრ ექმნათ თავისა ტერება;

სჯობს, დადევით დანალულნი თქვენ ადგილსა იღუმალსა.
—ისი კაცი არ იკირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა—
სავაქროდა შევეკაზმი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა,
ერთსა ჯორსა გარდავიციდებ მუზარადსა, ჯაქვსა, ხმალსა.

სამთავე შესვლა არ ვარგა, თუ გეგოდნან არს სათუები.
ნე მარტო შევალ ვაქრულად და კარგად შევეტყუები,
ნაღვით ჩავიცვამ აბჯარსა, გაეჩნდები, გავეცრუები,
ღმერთმან ჰქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები.

შიგნითა მცველთა მოვიცილი მე უნახავად ქირისად,
 თქვენ გარეთ კართა ეცენით, ყოველნი მზგავსად გმირისად;
 კლიტეთა დაველწ. გავახვამ, ჰნახოთ ვალეზა კარისად,
 თუ რა სხვა სჯობდეს. თქვენ ჰბრძანეთ, ვარ მრჩეველად ამა პირისად.“

ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,
 თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა;
 ვიცი, გწადთ ომი ფიცხელი, არ ცუდი ხმალთა ღირობა,
 ქაკიმცა მაშინ თქვენ ვახლავს, რა ომთან ჰქმნას გაქირობა.“

მაგრა იუვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
 ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა,
 თქვენ გქონდეთ ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა!
 ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.“

მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები:
 ვავიყოთ კაცი ას-ასი, რა ლამე ჩნდეს ნათენები;
 სანთავე სანგნით მიემართოთ, ფიცხლავ დავსხლიტოთ ცხენები;
 მოგვეგებოინ, ვემცრობით: ჩვენ ხმალსა მივცეთ მძლე ნები.“

ფიცხლა შევებნეთ, შევეჯარნეთ, ვერ მოგვასწორებენ კარებსა,
 სანთაგან ერთი შეუვალთ. სხვა გარეთ ვცემდეთ ბარებსა,
 მან ერთმან შიგნით შიგანი მივცეთ სისხლისა ღვარებსა,
 ხელი კვლავ ვხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა.“

ფრიდონ უთხრა: „შემიგია. განიგია, ვიცი მე რა?
 მაგა ცხენსა ჩემულსა მოასწრობენ კართა ვერა:
 ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მხერა,
 თვარა ყოლა არ გაძღენიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა.“

ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა,
 ანაზედან გაიცინეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა,
 ერთმანერთსა ელალობნეს ლალობათა, მათთა მშვენთა,
 გარდაჰხდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.“

სამთავე სამად გაიყვეს, თვითონან თვითო კარები;
 თანა ჰყავთ კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
 მას ლამით უქმნეს სადარნო. უცურო, ანაჩქარები:
 ვათენდა, გაჩნდეს; მიჰმართეს, თავის-თავ ჰქონდათ ფარები.“

პირველ ამოდ მოდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად.
 მათ შიგნითა ვერა უგრძნეს, ვერცა დაჰხედეს გულ-ხმიერად;
 ვულსა შიში არა ჰქონდათ, ამოდ ღვას და ნებიერად,
 მიადგეს, გარე მუზარადნი დაიხურეს თამიერად.“

ანაზღად ცხენი გაჰქუსლეს, მათრახმან შეჰქმნა წრიალი,
რა ჰნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გაჰხდა ზრიალი,
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თაესა მით უყვეს რიალი.
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.

ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აფწყვიდნეს, სისხლი მათნი მოელვარნეს,
იყიელეს და ერთმანერთი ჰნახეს, დიდად გაეხარნეს;
თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად კერეტად თვალნი არნეს.

ერთმანცა არა იცოდა, ვერა სცნეს ტარიელისა;
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდათ მტერისა;
მუნ ჰნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხმალთა წვერისა,
ათი ათასი ნობათი, უსულო, მგზავსი მტერისა.

ციხისა მცველი ყველაი იღვა მართ ვითა სნეული,
თავით ფერხამდი დაკრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული;
სცნეს ნაქმრად ტარიელისად, სთქვეს: „საქმე არს მისეული“.

გზანი დაჰხედეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა:
ჰნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეკლო ყელი ყელსა.

მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაქდობილნი,
კვლავ შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდი ბაგეთათ პობილნი;
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,
მას მხესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი.

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მშველელთა ლალმან ცნობითა წყნარითა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა,
ორნივე ერთგან უბნობდეს ტურფითა საუბარითა.

XXIV

ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა.

ტარიელ კაცი გაჰგზავნა წინაშე როსტან მეფისა:
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, სურვილთა სიიფესა;
მე მოვალ ნიფე ინლოთა დარბაზსა ოქვენსა სეფესა,
გაიხვენებ ვარდსა კოკობსა, უფრუკენელსა, მოუყრეფესა.“

მავინ თქვენ ჩემი გეწყინათ ნახუა მიწისა შენისა,
 ცლად შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა;
 მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა,
 დაეხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა.

აწ ამად მოვალ წინაშე დაეყარენ ჩემნი გზანია.
 შემინდოთ, რაცა შეგცოდეთ, ჰქმენთ გაწყრომისა კმანია;
 ძღვენი არა გვაქეს, გვმოწმობენ ფრიდონ და მისი ყმანია:
 ოდენ ძღვნად თქვენი აეთანდილ მე თქვენთვის მომიტანია

რა მიუვიდა შეფესა მახარობელი ჟამისა,
 ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის რნა ერთისა წამისა;
 თინათინს ლაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა;
 ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა.

ტაბლაკსა ჰკრეს და გაისმა სიცილი თქართქარებისა.
 ლაშქარნი რბოდეს მიდამო, კმვა სწადდათ მათკენ რებისა:
 დაიწყეს ზოსხმა ცხენებთა, მოღება რწნაგრებისა;
 შესხდა სიმრავლე მოყმისა მკლავ ფი კხელ-გულ-მაკრებისა.

მეფე შესჯდა, გაეგებნეს თაყადნი და სრულად სპანი:
 ვისცა ესმის, მოვიდიან მას წინაშე სხვაგნით სხვანი:
 ყველაკი ღმერთსა ჰმადლობს, გაამალღნეს მათნი ხმანი:
 თქვეს: „ბოროტსა უმყოფობა, კეთილნია შენტვის მზანი“.

რა ერთმანერთი აუჩნდათ ნიგებულ-მოსაგებავთა,
 აეთანდილ ეტყვის ტარიელს სიტყვათა დანახებავთა:
 „აგერა, ჰხედავთ მინდოროთა, მტვერითა შენაღებავთა?
 ავად მეღების სახმილი, გულსა ეცხება, ებავთა.“

ისია ჩემი გამზრდელა და თქვენდა მოგებებულა:
 იქი ვერ მივალ, მრცხვენიან, გულსა სახმილი ღებულა,
 ჩემად არაკად სულ-ღგმული კაცი არ გაწზიღებულა;
 რასაცა მიზამთ, თქვენ იკათ, ფრიდონ თქვენდავე ხლებულა“.

ტარიელ უთხრა: „კარგსა იქმ შენ პატრონისა კრძალვასა;
 აწ დადევ, იქი ნუ მოხვალ, იქმცა რწემოდ ხალვასა;
 მე მივალ, ვუთხრომ მეფესა შენგან თავისა მალვასა;
 ვეპე, ღვთითა აღრე შეგყარო მზესა მას. ტანად აღვასა“.

მუნ დადგა ლომი აეთანდილ. დაიდგა მცირე კარავი:
 ნესტან-ღარეჯან მუნვე დგას, იგი მკერეტელთა მზარავი,
 მისთა წამწამთა ნიავი ჰქრის, ვითა ქარი არ ავი,
 წავიდა მეფე ინდოთა მისრული, მიუპარავი.

ფრიდონ წაჰყვა, გალანამცა გავლეს ეელი დიდსა ხანსა:
სცნა მეფემან -- ტარიელი მარტო მოვა. მოჰხრის ტანსა,
გარდაჰხდა და თაყვანი სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა,
სდებს პატივსა ინდოთ მეფეს მართ მამისა შესაგავანსა.

ტარიელცა თაყვანი სცა. მივა კოცნად, სასალამოდ,
მეფე ყელსა აკოცებდა მართ ბაგისა დასაამოდ,
გაკვირვებით ეუბნების. არის მისგან სათამამოდ:
„შენ მზე ხარო, შენი გაყრა არის დღისა შესალამოდ“.

გაეკვირვა მეფე ნისსა თვალადობა-სიტურფესა,
პირსა უქვრეტს გაკვირვებით. უქებს მკლავთა სიალფესა:
კვლავ ფრიდონცა უსალამა, თაყვანი სცა მან მეფესა,
მას მეფესა, ავთანდილის ნახვისათვის მოსწრავესა.

მეფე ტარიას ქებასა დაჰკრთების, დაელონების;
ტარიელ ეტყვის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების;
ნიკვირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების:
რადგან ავთანდილ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების!“

ნუ გიკვირს ნისი ვერ-ნახვა და დაყოვნება ხანისა!
ნოდი და დავსხდეთ, მეფეო, ამოა კორდი მწვანისა,
გკადრო მიზეზი მისისა თქვენს წინა ვერ. მოტანისა;
ვიიჯ რასამე, აწ მმართვეს მოთხოვა მე ფარმანისა“.

დასხდეს მეფენი, მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა;
ტარიელს პირსა ცინციმი ათქს, უნათლესი ბაზმისა,
ჭვრეტა ახელებს მქვრეტელთა ყოფა-ქცევისა და ზმისა:
დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა, ბრძნად ნაკაზმისა:

„მეფეო, თავი მენცრობის მე მისად მოსახსენებლად,
ნაგრა მოსული თქვენს წინა ვარ შემომხვეწლად, მქენებლად;
თვით იგი იაჯს, რომელიც ჩანს მზეებრ შუქთა მფენელად;
ვინ არის ჩემად სინათლედ და ჩემად გამათენებლად.

აწ ამას გკადრებთ ორნივე ხვეწნით და შემუდარებით,
ავთანდილ დამღვა წამალი მისგან თავისა დარებით.
დავიწუდეს, რომე პატიუნი სპირდეს ჩვენთავე დარებით,
აწ გაწყენ, გრძელი ამბავი აოს ჩვენგან მიუმხვდარებით.

თქვენთა უყვართ ერთმანერთი, ქალი მას და იგი ქალსა,
ნით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერ-ნამკრთალსა;
ნულ-მოყრილი გეაჯები, ნულარ აწვივ იმათ ალსა,
რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-ფიქალსა.

ამის მეტსა არას გკადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა.
 ამოილო ხელ-მანდილი, მოინასკეა ზედან ყელსა,
 ადგა, მუხლნი დაუყარნა, ეაჯების, ვითა მზრდელსა,
 ვაუქვირდა ყოვლსა კაცსა, მის ამბისა მომხმენელსა.

რა ტარიელ მუხლ-მოყრილი ჰნახა, მეფე შეუზარდა,
 შორს უკუ-დგა, თაყვანი სცა, ქვე მიწამდის დაუარდა,
 მოახსენა: -ხელმწიფეო, ლხინი ყოელი განმიქარდა,
 თქვენმან აგრე სიმდაბლემან ნახეა თქვენი ჩამადარდა.

ვით ეგების, რაცა გწადდეს, რამე კაცი არ მოგიტმინდეს,
 ანუ მშურდეს ქალი ჩემი, საკედავად რა ტყვედცა გინდეს;
 ვებრძანაშკა სახლით თქვენით, ცრემლი არცა მაშინ მდინდეს.
 სავა მისებრივ ვერა ჰპოვოს, ცათამდისცა აღცაფრინდეს!

მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა,
 თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქეს და მას ეფერა;
 ვარდი ახლად იფურჩქნების, მე ყვაელი დამებერა;
 რამცა ვკადრო შეცილება. რასაც იგი ოდენ ჯერა!

თუ შეგერთო ერთი მონა, თქვენთვის არცა მაშინ მშურდა;
 ეინმეა გკადრა შეცილება, უშმაგომცა ვით მოგმდურდა?
 აუ ავთანდილ არ მიყვარდა, ავრე მისთვის რად მომსურდა?
 ღია. ღმერთო, წინაშე ვარ. ესე ჩემგან დადასტურდა.

რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა,
 დადრკა, მდაბლად ეთაყვანა, პირსა ზედან დაეფინა.
 ეკლავ მეფემან თაყვანი-სცა, წამორეელო, წადგა წინა,
 ერთმანეთი ნოიმაღლეს, ნათ ეზოსაცა არ ეწყინა.

ფრიდონ შესჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა,
 —ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა—
 წაეიდა და წარმოუძღვა, მოიყვანა, მოჰყვა თანა,
 ნაგრა ირცხვის მეფისაგან, შუქი ბნელად მოეყანა.

მეფე ადგა, მოეგება: ყმა გარდაჰხდა, რა მივიდა:
 აელთა ჰქონდა ხელ-მანდილი. პირსა მითა იურვიდა,
 მზე ღრუბელსა მოჰფარავდა, ქუშდებოდა, ვარდსა ჰპრვიდა,
 ნაგრა მისსა შეენებასა რამცა ვითა დაჰფარვიდა!

მეფე კოცნასა ჰლანობდა, აღარა ცრემლნი სდენია:
 ავთანდილ ფერხთა ეხვევის. შუქი ქვე დაუფენია:
 ებრძანა: „ადეგ, ნუ ირცხვი. შენ ზნენი გამოაჯენია,
 რადგან მერჩიო, ნუ მერცხვი, ჩემგნ რასალა გრცხენია“.

მეფე ყელსა ეხვევოდა მას ლომსა და ვითა გმირსა,
 ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უქვერეტს პირსა,
 იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიჰხვდა, ვითა ლირს ა,
 მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდნიხდის კაცსა უკისა.

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს.
 ერთმანერთსა ჰნახვიდიან, საწადელი გაუსრულდეს,
 ბრძანებისა შემცილენი მათთა ხმალთად დავეწყულდეს,
 მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორკმულდეს.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
 ობოლ-ქვრიენი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
 ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
 შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა;
 გარდაჰხდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე უამისა!
 ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა;
 ესწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაერსა დაბისა.

ქართველთა ღმრთისა დაეითის, ვის მზე მსახურებს სარებლად.
 ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქ-თა მარ-ებლად,
 ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

დაეითის ქნარი ვითა ვთქვენე, სიჩალხე, სიხაფეთანი!
 ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,
 პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი, მათ მეფეთანი,
 ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
 წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი,
 რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ, — ბედია მაყივნებელი?
 ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
 აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს როველსა,
 დილარგეთ სარგის თმრგველსა, მას ენა დაუშრომელსა,
 ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები¹⁾.

1. იაკობ ხუცესი. (გვ. 3—7)

იაკობ ხუცესი ქრონოლოგიურად პირველი ქართველი მწერალია, ხოლო მისი ნაწარმოები „ცხოვრება წმ. შუშანიკის“, რომელიც პროფ. კ. კეკელიძის გამოკვლევით დაწერილი უნდა იყოს 174—174 წლებში. ე. ი. მეხუთე საუკუნის მიწურულეებში, უძველესი ძეგლია ქართული ორიგინალური მწერლობისა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

თვით იაკობ ხუცესის შესახებ არავითარი ბიოგრაფიული ცნობები არ დარჩენილა.

2. იოანე საბანის ძე. (გვ. 7—8)

იაკობ ხუცესის შემდეგ მეორე საყურადღებო მწერალი არის იოანე საბანის ძე, რომელიც პირველი ქართველი ეროვნული ლოზუნგებით რეგამოვიდა მწერლობაში და თავისი ეროვნულ-ეკლესიური თეორიაც შექმნივინ იყო ეს საბანის ძე, ნამდვილად არ იცის ისტორიამ, ისიც კი არ ვიცით სასულიერო პირი იყო იგი, თუ ხაერო.

3. გიორგი მერჩული. (გვ. 10—12)

გიორგი მერჩული არის ბიოგრაფი. გრიგოლ ხანძთელისა, რომელმაც ტაო-კლარჯეთში ააყვავა სიმონასტრო ცხოვრება და მწიგნობრობა. გიორგი მერჩულმა 91 წელს დაწერა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა. მერჩულის თხზულება აღმოაჩინა და მეცნიერულად გამოსცა აკად. ნ. მარმა.

4. იოანე—ზოსიმე. (გვ. 12)

მეათე საუკუნეში სინას მთაზე მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკუიარაღ ამ ორმაგი სახელის კაცს—ერთი სახელი უნდა იყოს საერის-კაცო. ხოლო მეორე საბერძნულანო. იოანე უბრალო ბერი ყოფილა, ღვდღის ხარისხიც კი მას არა ჰქონია და მთელი თავისი დრო ლიტერატურული მოღვაწეობისთვის შეუწირავს, ცნობილია როგორც მეცნიერი არქეოლოგი. რომელსაც ამავე დროს თვალწინ უდგია თანამედროვე ეროვნული მიზნები და საქართვეანი.

ასეთი ხასიათი იოანეს სამწერლო შრომისა ნათლათ გამოსკვივის მის შრომებში. მის ორიგინალურ ნაწარმოებთა შორის, აღსანიშნავია „ქება ქართლისა ენისა“ და აგრეთვე აკროსტიხი „გეორგი“, რომელშიაც პროფ. ნ. მარმა რედაღვს საერო პოეზიის ჩანასახს.

¹⁾ ეს ცნობები ამოკრებილია პროფესორ კ. კეკელიძის შრომიდან „ქართული ლიტერატურის ისტორია“. ტომი I და II.

ა. იოანე მინჩხი. (გვ. 13)

იოანე მინჩხი ეკუთვნის იმ პირთა ჯგუფს, რომელთაც ხელი შეუწყეს ქართული ჰიმნოგრაფიის აუგვებებს. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოება, ვიცით მხოლოდ რომ ის იყო თანამედროვე აფხაზთა მეფის გიორგისა. პრ. ნ. მარისა და პრ. კ. კეკელიძის სიტყვით იოანე მინჩხის ჰიმნებს ახასიათებს სუბექტივობა, გულწრფელობა და უაღრესი სიმტკიცე.

ბ. იოანე მტბევაძე. (გვ. 14)

მეათე საუკუნის ხაეკლესიო მწერალ-მგოსანთა შორის აღსანიშნავია ტბეთის ეპისკოპოსი იოანე მტბევაძე. ღრმა ღვთის მეტყველება, პოეტური აღმაფრენა, ლამაზი სტილი და დასრულებულ-ჩამოყალიბებული ენა, აი დანახასიათებელი თვისებები მტბევაძისა. ბიოგრაფიული ცნობები ნაკლებად წოიპოვება.

მიქელ მოდრეკილი. (გვ. 15)

უმწერავალესი განმავითარებელი ქართული ორგინალური ჰიმნოგრაფიული შემოქმედებისა არის მიქელ მოდრეკილი. ერთი უდიდესი და უნიჭიერესი ხაეკლესიო მგოსანთაგანი, რომელსაც დაუტოვებია ჩვენთვის არა თუ თავისი შესანიშნავი საგალობლები, არამედ—მთელი უზარ-მაზარი კრებული, სხვა ავტორების როგორც ორგინალური, ისე ნათარგმნი ჰიმნებისაც. ეს კრებული მას შეუდგენია 978—988 წლებში. დღეს იგი ინახება ქართ. უნ. მუზ ხელნაწერი № 42ა).

მიქელ მოდრეკილი (მოდრეკილი უნდა ნიშნავდეს დაყუდებულ ბერს) იყო ოშკის მონასტრის მოღვაწე, მძა ექვთიმე ათონელისა.

მიქელის საგალობლებს თითქმის ყველას აწერია ან პირდაპირ სახელი მიქელი, ან სიმბოლიურათ, რიცხობრივ. მაგალითად, აქ მოთავსებულ აღდგომის საგალობელს აწერია: „თქმულნი ორ-მეოცისა, ათისა, ექვსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდა ათისანი. ეს რიცხვები რომ ასოებით გამოცხატოთ, მივიღებთ: 10—მ, 10—ი, 600—ქ, 6—ე, 30—ლ. ანუ „მიქიელ“. მეორე წარწერა—კი: „ყოველსა მუხლსა ე შეტყვება აქვს ე—ჯერ იბ“ ნიშნავს, რომ თითოეულ მუხლში არის —ე=60 მარცვალი (შეტყვება). თითოეული მუხლი შესდგება ხუთი პწკარისაგან. თითოეულ პწკარში არის 12 შეტყვება, სულ 5×12=60. ბიოგრაფიული ცნობები არა გვაქვს.

ა. ფილიპე. (გვ. 17)

მეჩვიდმეტე გვერდზე დაბეჭდილი ლექსის პირველი ასოები აღნიშნავენ:—ფილიპე. ბეთლემი, ვინ იყო ეს ფილიპე, ჩვენ არაფერი ვიცით. იამბიკო

ადიდებს ღვთის მშობელსა და მისგან ბეთლემის ბაგაში განხორციელებულს. მნიშვნელობა ამ იამბიკოსი უმთავრესად იმაშია, რომ საეკლესიო პოეზიის ღარგში ის წინამორბედია შოთა რუსთველის თექვსმეტ მარცვლოვანი სილაბურ—ტონური საზომისა. პირველად ეს იამბიკო დაბეჭდა პრ. ნ. მარმა. ხოლო მეორედ პ. ინგოროვუვამ: ფილიპე—ბეთლემის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოება.

9. სტეფანე კუონდიდელი, სანანოს ძე. (გვ. 16)

დაწერილებითი ცნობები კუონდიდის ეპისკოპოსის სტეფანე სანანოს ძის შესახებ არ მოგვეპოება. სტეფანე მოღვაწეობდა მეთე საუკუნის მეორე ნახევარში და იყო გამოჩენილი მთარგმნელი და მგოსანი. სტეფანეს ორგინალური ჰიმნები, მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში.

10. გიორგი მთაწმიდელი. (გვ. 17)

გიორგი მთაწმიდელი, ისე როგორც ექვთიმე, რომელმაც აუარება წიგნები გადმოთარგმნა ქართულ ენაზე, მეტად დიდი და თვალსაჩინო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა 1009 წელს და გარდაიცვალა 1063 წელს. ბერძნული ენის ზედმიწევნით მცოდნე გიორგიმ ქართულ ენაზე თარგმნა ჯერ კიდევ არ თარგმნილი წიგნები და შეასწორა იმაზე წინად გადმოთარგმნილები. გარდა ამისა მას აქვს დაწერილი ცხოვრება და მოღვაწეობა იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებისა. გიორგი მთაწმიდელი პოეტიც ყოფილა. ერთი მისი ლექსი, რომლის თარგმანიც მოყვანილია ჩვენ ანთოლოგიაში პროფ. კალინოვსკის სიტყვით გიორგის დაუწერია ბერძნულად და შემდეგეს გადუთარგმნია რუსის პოეტ კოზლოვს. პროფესორი კ. კეკელიძე ამ ცნობას არ ეთანხმება.

11. გიორგი ხუცეს-მონაზონი. (გვ. 18—21)

გიორგი ხუცეს-მონაზონი იყო ბიოგრაფი, მოწაფე და ერთგული მეგობარი გიორგი მთაწმიდელისა; დაწერილებითი ცნობები გიორგი ხუცეს-მონაზონის შესახებ არა გვაქვს, მხოლოდ საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა და უეპყველია თარგმანებიც ექნებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ მათ ვერ ვიცნობთ.

12. დავით აღმაშენებელი. (21—24)

მეფე, პოეტი და შემქნელი საქართველოს პოლიტიკურისა და კულტურული ძლიერებისა. მეფობდა 1089 1125 წლებში. დიდი მოყვარული მწიგნობრობისა და სჯულიერებისა, დავით მეფე თითონაც სწერდა საღვთისმეტყველო შინაარსის ჰიმნებს. დავითის გალობანი სინანულისა, ცხადჰყოფს ავტორის საფუძვლიან საღვთისმეტყველო განათლებას. ეს „გალობანი სინანულისა“. სიტყვა კაზმულობითა, აზრებისა და განცდათა სიღრმით მოგაგონებთ ებრაელთა და წინასწარმეტყველ დავითის ფსალმუნებს.

13. არსენ ბერი. (გვ. 24)

არსენ ბერი თანამედროვე და თანამშრომელი დავით აღმაშენებლისა, იყო მეტად ნიჭიერი და გამოჩენილი მწერალი. ორგინალურ თხზულებათა გარდა, მას აქვს თვალსაჩინო თარგმანებიც.

14. დიმიტრი მეფე. (გვ. 25)

დიმიტრი მეფე—შვილი დავით აღმაშენებლისა, მეფობდა 1125—1134 წ. წ. და ყველაფერში მზადად თავის სახელოვან მამას. თავისი შვილის მიერ ცახტმისილი, ალიკვეცა ბერად და დამიანეს სახელწოდებით, მოღვაწეობდა დავითგარეჯის უდაბნოში.

15. მოსე ხონელი. (გვ. 29—75)

საკითხი ამირან-დარეჯანიანის ორგინალობისა, თუ თარგმანის შესახებ ჩვენ მკვლევართა შორის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. პრობლემატურია აგრეთვე საკითხი თვით ავტორის ვინაობის შესახებაც. დანამდვილებითი ცნობები მოსე ხონელზე არ მოგვეპოება.

16. სარგის თმოგველი.

ქართული „ვისრამიანის“ ავტორის ვინაობაც, გამოურკვეველია. მას მიაწერენ სარგის თმოგველს, რომელიც ზოგიერთების აზრით უნდა ყოფილიყო თანამედროვე თამარისა. პროფ. კეკელიძის სიტყვით, ვისრამიანი არის თარგმანი სპარსულიდან.

17. იოანე შავთელი (გვ. 112).

სახელოვანი მგოსნის იოანე შავთელის შესახებ ისტორიაში ძალიან ცოტა ცნობა მოიპოვება. ზოგიერთ მკვლევართა აზრით ის თამარ მეფის მდივანი, განთქმული საზოგადო მოღვაწე და მწერალი იყო, შემდეგ კი შემდგარა ბერად.

იოანე შავთელი აბდულ მესიაში აქებს თამარ მეფეს და მის მეუღლე—დავით სოსლანს.

მტკიცე ბიოგრაფიული ცნობები შავთელის შესახებ არ მოგვეპოვება.

18. ჩახრუხაძე (გვ. 113).

თამარის ღრობის მეორე დიდი მგოსანი არის ჩახრუხაძე. ვინ იყო ეს ჩახრუხაძე, დანამდვილებით არ ვიცით. ერთ ღრობს ზოგი ჩვენი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ჩახრუხაძე და შოთა ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოსო. ტრადიციით ჩახრუხაძე ითვლება მოხვედლ და დაბადებული უნდა იყოს 1184 წ.

19. შოთა რუსთველი.

— ვინ არის შოთა, დიდი შოთა რუხთაველი? — ეს საკითხი დიდი ხანია სდგას ლიტერატურის ისტორიაში და დღევანდლამდე ზედმიწევნითა და ხთანადოთ არ არის გადაჭრილი. ყველა ის ცნობები, რომელიც კი გაუგონია შოთა რუსთველის შესახებ ქართველ მკითხველს, ხალავო და საკამათოდ გამხდარა ჩვენი მწერლობის მკვლევართა შორის. მაგალითად პროფ. კორნელი კეკელიძეს პრობლემადიურად მიაჩნია, როგორც ხალაურობა, ისე თვით ხახელი პოეტისა. ნიკო მარს ამათ გარდა, ერთ დროს შოთა და ჩახრუხამე იგივეობად მიაჩნდა ე. ი. შოთა და ჩახრუხამე ერთი და იგივე პიროვნებააო, და სხვა.

გამეფებული ტრადიცია ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის ვინაობის შესახებ მომდინარეობს მეჩვიდმეტე საუკუნიდგან, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში ეს აზრი საბოლოოდ გამტკიცდა, ე. ი. რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის მესხეთიდან.

ბოლო დროს გამოვიდა საყურადღებო ნაშრომი პ. ინგვაროყვასის, „რუხთველიანა“, ხალაც ამტკიცებს რომ შოთა უნდა იყოს ჰერეთის რუხთავიდან, ბაგრატიონთა გვარისა. ამგვარად განმტკიცებული ტრადიცია ირღვევა და საკითხი კვლავ საკამათო და ხალავო ხდება.

გარდა ზემოდ ჩამოთვლილ სახელოკან მწერლებისა, ქართული ენისა და მწერლობის დიდი მთამაგენი იყენ. დავით ტბელი, (მკათე ს.) ითანე ბოლნელი (980-1014) დაღა ექვთამე მთაწმიდელი (+998), სტეფანე ათონელი (+1069), ეზრა მთაწმიდელი, ბასილი (ათონელი?) ზოსიმე, ლეონტი მროველი (XI ს.) თეოფილე ზენეს-მონაზონი, ჰროკოპი — მღვდელი. გიორგი ხეც. მონაზონი, ეფრემ მტარე (მესანიშნაეი ფალოლოგი, ისტორიკოსი და მთარგმნელი, ბასილ კათოლიკოსი, არსენ იყალთოელი, ითანე ჰეტრინი (ფილოსოფოსი), ითანე ტარიქის-ძე, ითანე ჭიმჭიმელი, ნიკოლოზ გულამბრას-ძე, (1190 წ.) და მრავალნი სხვანი.

ნათოლოგიის - ლექსიკონი.

ა

ადარბაგანი, ადრბაიყანი, სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილი, კავკასიის მხრის მოსაშლდარი.

ავაზა, ვეფხვი, ზანტურა.

აზატი, თავისუფალი, დასსნილი.

ალამი, დროშა.

ალვა, ალვის ხე.

ალიზი, გამოუმწვარი აგური.

ალმაგი, იალმაგი, -- სამომარ ფაქვის ჰერანგს 'სემოდამ საცმელი.

ამარტა, ძივი, ქვათაგანი; იაშმა, იაშმი, ძვირფასი ქვა.

ანასდა, ანაზდა, ანაზდად: უმირად. მოკლედწელად.

აპნისი, ინვარი ქარაულად.

არტოშანი, ცეცხლის ტაძარი.

ასაბია, ამხანაგი, თანა შეპირძალი.

ასპიტი, გულაანი, შამაანა გუკლი.

აუგი, სირცხვილი, შესარცხვენი.

აფთი, მახვილი ბრტყელი და ტარია. ნი ცელსკაით; აღებარდა.

ახმა, აღმა, -- ახსნა, გახსნა, გაღე.

ბა, ხილვა.

აჯა, ხეწნა, მუღარა.

ბ

ბაზმა, სანაი-ნაკთა.

ბასლამოსი, ბაღაზინი, ხე რომლის მონაკეთთაგან ჩამოიწვეთება სულნელი წვენი.

ბედითი, ცუდა.

ბეჩარა, გაშტერებელი, ბეჩაი.

ბიბი, წარჩინებული ქალი.

ბრკე, მოსამართლე; ბრტკოა გასამართლება, გახსვა.

ბუკი, საყვირი.

გ

გაბაონი, შთა ადგილი.

გაგვა, გგვა, გენაღვლება.

გაგვაზი, შუარდენი.

გამეა, მგამა, მენაღვლება. არ შინაური.

გარცხა, განზანა, გარცხა.

გაწილდება, შერცხვენას დამართება.

გემოობა, ამხარტაენობა, შედიდურობა, თავ-მოშტონობა.

გეონი, თვისება მადალი კაცისა გენიოსობა.

გეხამხების; შეგვერის.

გვალე, წამოღი.

გზება, ანაება.

გრივი, ძველებური წონა, შნ ლიტრაა.

გუარი, გეკვარი, მარგალიტი, თვალმარგალიტი.

გურგანი, ჩრდილოეთ სპარსეთის (ხორასნის) ნაწილი ადრბეიქანთან ახლოს მდებარე.

დ

დაავლება, დავერფლება.
 დაბაკი, ტახაკი, სინა.
 დაზავება: შერიგება.
 დაზმა, დარჩენა, მოცდა.
 დალებება, დაღურება.
 დალიბრება, ჩაღურება.
 დაონავერებელი, აჩუკელი, აკლე-
 ბელი.
 დარაკა, ფარი.
 დარი, დასი, გრავა.
 დარქმა, დახურვა.
 დასტურ, დასტურობითი, სწორად,
 მართლად, ნამდვილად.
 დაუბუნებელი, დაუდგარი, უხა-
 სიათო.
 დაურვება, სრუნვა, გარიგება, აგ-
 რეთვე სდკვვა.

დალება სულისა, დაჩუმიება.
 დაშნა, ხმლის მიკავში სწორი იარა-
 ღი ძველებური, წელზე ჩამოსაკიდი; მახ-
 ხვიალი, დადა დასა; (შაგა).
 დაწინდული, დატირებულნი.
 დაწლობილი, დაწკრილებული, გაშ-
 ხდარი.
 დაწყვევა, დაწყველა.
 დელამი, გილანის ახლოს მდებარე
 ნაწილი სპარსეთისა.
 დიასპანი, დესპანი, მოციქულა.
 დილეგი, საშურობილე.
 დოლაბი, წისქვილი.
 დოსტაქანი, დიდი სასმისი ჭურჭე-
 ლი.
 დრუნგილი, მარმარილო.
 დრაჰკანი, ფული, ძველებური.

ე

ელიჯი, მაღალხარისხოვანა.
 ელობა, ელვარება.
 ერანი, არანი, ირანი — სპარსეთი.
 ერაყი, შუა სპარსეთის ნაწილი ქა-
 ლაქისათვის იხანისათვის და ეფსიანით.
 ერთსახე, ერთხელ, ერთი ბეჭო, ას-
 ლიას მცირე. (გახე, მარცხალი მტკვე-
 რისა).

ეტიკი, გზიწ მცოდნე, გზის მიჰე-
 ნებელი, ბელადი.
 ეტლი. ბედი ვარსკვლავი.
 ეჯი, სამი მილი, ანუ ექვსი ათასი
 ბიჯი
 ეჯიბი, კარის კაცი, ხელჯონანა.

ე

ვაზირობა, რჩევის მიცემა.
 ვალსამო, ბაღსამო, ბაღსინი.

ვექვი, მგონია, ვეჭობ.
 ვირე, ვიდრე

ვ

ვარი, დიდის ყოფით, აკლადიდეით
 გარდახდა, დაკისაწყოლობა; აგრეთვე
 შიშა.
 ვარი, შიშა.

ვატიკი, უქმი, დღესასწაული.
 ვენარი, ვენარა — უმადლესი, სე-
 დიური, ფიცი.
 ვინდანი, საშურობილე.

თ

თაჯი, გვარგვანი.
თერიაყი, თერიაკა, თერაყი, სწამ-
ლაკის წამალი საკურნებელი.
თმობა, მოთმენა, გასლგობა.
თნევა, ვაერობა.

თობა, (თოვბა) — უარობა, ვაენა; ხე-
ლის აღება.
თხემი, სახე.
თურე, თუ, თურმე, თორემ.

ო

იავარი, აკლემული გამარცხელი.
იული, ზეთი.
იასპი, მოწითლო და ჭრელი თვალი.
იედგარი, იადგარი, იედაგარი, სახ-

სოვარი, დამხსომებელი.
ილათი, ღონისძიება, საშუალება.
იაოდრომი, ცხენის სარბილა.

ქ

კაბიწი, კაბიწი, საწყაო სამი კოდი,
ხალვარი, ორი ტომარი.
კანჯარი, გარეული ვირი.
კაპარკი, ისრის ქარქაში; საფრთე.
კაეშანი, მწესარება.
კაჩა, კაჩხა.
კიდე, გარდა.
კიდევანი, შირს, მოშორებით.
კენარი, შნოიანი.
კინენი, ბეჭეგრასთა საბრძოლველი
იარაღი, მსგავსი შუბისტარისა.

კისკისი, კისკისი — მარდი, მარჯვე,
სწრაფი.
კოლაუზი, კულაოზი, კულაომა, წი-
ნამსღვარი, გზათა მცოდნე, ბეღელი.
კუბასტი, ღებჩაქი; ჰერანგი.
კუბო, ტახტრევანი.
კულა, კვლავ, კვლავად, კიდევ.
კუტალი, ხის ხელადა, ლიტრა, ხის
ღუღუინი; აგრეთვე ციტხვი.
კუშტი, მოწყენილი, არა რისხვით
მწყარლი, უმზრანო.

ლ

ლარი, განძი, განსეულობა.
ლამის, აზირებს; ჰლაში — აზირებ.
ლაფანა, ქორწილის შესწირავი
ტანთ-საღმელი.

ლება, დაღურჯება.
ლიბრი, წაღურჯებული.
ლმობიერი, გულ-შემატკივარი.
ლული, თვლემს, თვალის მოტეუება.

მ

მემანი, წვეულობა.
მაზარაყი, მაზრაყი, შუბი.
მამბარი, კვარცხლბეჭი, საღმელი
ძირი, საფეხურა შეფის საჯდომ ტახტისა.

მანშაური, სიგელი, წერილით ბრძა-
ნება.
მუშთარი, იუპიტერი.
მალრიბი, დასაყლეთი.

მაშრიყი, აღმოსავლეთი.
 მანგი, მთვარე.
 მარავი, ისევე ქალაქი თეირანის ქვე-
 ეან:ში, ახალთაქის ახლოს. 1884 წ.
 რუსეთის დანიერს.
 მართ, მართლად, სწორედ; მხოლოდ.
 მარო, მართონის, მატარა.
 მარტვილი, მოწამე, წამებულნი ქრის-
 ტეს მიერ.
 მაშენე, შესარგი.
 მახშურობა, მიფრადობა, მასმურობა.
 მაჯნა, შექთი, უსასიდილო.
 მგბარი, მოხარული.
 მეჭარი, მეჭრა, ურფათი, საცლოლს
 ფასა.
 მინა, მინდა.
 მიხქინი, მიშქინი, არაბულად ძალიან
 ღარიბი. გლახაკი.
 მიწყით, შეუღამ, მარად.
 მკედი, მსხვილი ძაფი.
 მნახებელი, დამნახებელი.
 მოთხე, კოლოფი.
 მოგვი, სექმა; აგრეთვე კერძთა და
 ცეცხლის მსახურთა მღვდელნი, მეც-
 ნიერნი.
 მოკირთული, დატვირთული; კირ-
 თება — მოხებისაკან გამოუხსნელიობა.
 მორკინალი, მოჭიდავე.
 მოქენე, მახვეწავი, ესექმენო.
 მოლორება, მოტყუება.

მოუცინება, შერცხევა, შეურაცხყო-
 ფა, დამცირება.
 მოუმე, ქაბუკი, ახალგაზდა.
 მოშითი, მუშითი, ჯამაზი, გაბ-
 ულ თოჯინე მოთამაშე.
 მწყაზარი, საუკეთესო (ა. დ.).
 მრწემი, უმცროსი.
 მუზარადი, საომარი თავსასურავი
 თითბრისა, ან რეინისა.
 მუნეტიკი, მოამბე.
 მუნეჯიმი, მუნეჯიმი — ასტრონომი,
 ასტროლოგი, ვარსკვლავთ-მრიცხველი.
 მუჯამრი, სცეცხლური.
 მტილი, ბაღი.
 მულაზარი, ყვავილანი.
 მუტრიბი, მომღერალი ქალა, შეჩანგე
 (ჩანგის დამკვირვებელი) ქალი.
 მუქიფა, სამაგიერო, სამასხუხო, სა-
 ნაცვლო.
 მუფარახი, სამკურნალო წყალი.
 მუსაფი, მაჰმადიანთა სჯულის წიგნი.
 მუშეი, სუნელთაქანი ნივთიერება,
 მუსესი.
 მუვარი, ბაყაი; ჯოჯო; ქვეწარმა-
 ვალი.
 მჩხიბავი, გრძნობით მოქმედი.
 მჩხიბაობა, გრძნობით მოქმედება.
 მძივთი, კუპრი.
 მწდე, ღვინის დამსხმელი, მწდე-
 თბდე — ღვინო დაასხი.

ნ

ნატები, მოქნილი ტყავი.
 ნაფროზი, ახალწელიწადი, დღესას-
 წაული მაჰმადიანებისა.
 ნაზუქი, საზი ნარნარი, განებიერე-
 ბული, სათუთი.

ნაკეთი, ტანადობა, სკულტურაში
 შეხედულობა, გამოსახულება; აგრეთვე
 ნაკვეთი, ნათალი, ოღლე.
 ნალიქნი, სათვალთმაცემი.
 ნაკრტი, მფრინველის ბუბული.

ნასი. ვერ კეოილი, ნავსი, გონჯი.
 ნასნებავი, ნასნებარა, დასნეულე-
 ბული
 ნასრანი, თეთრი და წვლილა ვარდი,
 ნასრა—მარონას სულნელი.
 ნატიფი, მისჯენილი, ლამაზი, საზი,

ჩჩვილი, სუფია და კარგი, თლილი, სა-
 თალი (თვალი ანუ ჭიქა).
 ნიშატი, მსიარულება: სასიათი, ძალი
 ბენებიითი, ენურგია; სიმატაანი — მხია-
 რული
 ნობა, საუკირი, დაფდაფი.
 ნები, ხელისკული.

ო

ონავარი, გარეული ფუტკარი, აქე-
 ლეია: ამრევა, ამშლედი.
 ორბი, ანწივი.
 ორძალი, საკრავი, ჩონგურსავით ანუ
 ფანტურსავით ძალუ—სიმა.

ოტება, გაქცევა.
 ოქსინო, ოქრო-ქსოვილი.
 ოტარილი, შერკურა.

ს

საემანი, ვადა, ყავლა: ზირობა.
 სატიუი, რისსკა, სასველი, გაუზა-
 ტორეობა.
 საშტა, ზატარა, მცირე.
 სიტიაზში, სწარსული სამოსკული სა-

ხელი, განაზარა ზროკინციების სამსედრო
 მმართველი, შეფის-საცვალი.
 სოლიტიკი, ზოდეტიკი, რკანის ფეი-
 ცარი, ბრძოლაში შეკრდათა და ღლიათა
 დასაფარავი.

რ

რახსი, შავ-მოწილო ცხენა, წამ-
 ლის ფერი, ქერანა.
 რეცა, ვითამ, თუ

რვალი, ზრინჯაო, კაღანარევა, სწი-
 ლენსი; წმინდა სწილენსი.
 რკენა, ჭილაობა, ჭიდილი.
 რღნობა, წარღვნა.

ს

საგრობა, ზიომიღმა მახდომს საბრ-
 ძოლად: მკსქერობა.
 სადარნო, შესაფერი, სასამსო.
 სარდიონი, ძვირფასი ქვა.
 სათი. შავი ქვა; გიშერი.
 საკანი, საწერობის ძირში მსული
 ხარა: ფსევერ ქვეშ ქვითვირის ნაკები
 საწერობაღუ
 სალუქი. შეკობის, მართულთობის
 მოკეპარე
 სამსალა, საწამლავი

სარა-ფარა, კედელ-ფარდა, დიდი
 ფარდა სასახლეში.
 სარჩელი, საჩივარი.
 საწუთრო, წუთი სოფელი.
 სახამსო, რაც უნდა, შესაფერი, სა-
 ჭირაა.
 სახმილი, ცეცხლი; გახურებული ქუ-
 რა; ვანია დასაწავად, ცეცხლი.
 ხეფე, სწატო, სამეფო: დიდებული.
 ხეფე, ბუდას წერა, ხეჯარი, ბედი
 აუცილებელი, იძულებითი. (ბედი-შემ-
 თხვევითი ხეჯარია).

სვიანი, ბედნიერი.
 სიწლო, სიწვლილე.
 სოქალი, სიკვილილე.
 სპა, ჯარი; დაქარი, მსედრობა.
 სპასალარი, სნასქეტა — ჯარის უფროსა; მსედრო მთავარი.

სრა, შეფის სასხლე, ჰლატი.
 სირა, მწკრივა.
 სრბოლა, სირილია.
 სტავრა, თქრო ქსოვილა ფარჩა.
 სტოლახი, მიკაცშულონა.
 სუმბული, ეკავილი ეროგვარი.

ტ

ტაბარაზი, თუ ტაბრაზადი. შაქარი წითელი გამსხნულია.
 ტრამა, უდაბური მინდორი.

ტალი, კაჟა; კბაღის ანახეთქი ქუქი ქვასავით.
 ტავერა, ეგნეტა.

უ

უმრწემესი, მერსე შობილა, უმინრასია.
 უპე, ქაზა. მიგნეულთა; მუცელი.
 ურვა, მოვლა, გამგეძლობა, მსრენველობა; სევეა, ფიქრა, მწუხარება.

ურჩულო, ურჯულო.
 ულონიოდ, უტკეულად, უთუოდ, უცაღებლად.
 უხანო, უმტკიცა; ცუალებად, ორგული. მოდალატე.

ფ

ფაიქი, ჰაჯა, შიკრივი, შათარი. მალე მოსიარულე.
 ფარმანი, ირძსენა. სიტკეით, ან წერილით.
 ფილაქი, ფილაქა. ფილაკა, მრავალი. კრეიული შეიდთა ვარსკვლავთა ჩრდალკეთის მხარეს.

ფლასი, ძას.
 ფოლორცი, შეიდანი.
 ფრქვევა, დაღვრა, დაურა.
 ფუნდუტი; ეოველთა შემწენარებელი სახლი, სემეზავრო სახლი, ქარვასლა.

ქ

ქენება, სეგუნა, მუდარება.
 ქოსი, თითოფრის დაუდაფი; დოღის, ანუ დიმლინჯატოს მსიგაუსი საკრავი.

ქრთილი, შემადგომის ნათესი ქერა.

ღ

ღალია, სურნელი ზეთი.
 ღაზო, შური.

ღრიანკალი, მორაული.

ყ

ყანდი, შაქარი.
 ყარიბი, უცხოობაში შეიფი კაცი.
 ყარყუმი, თეთრი ბეწვი ქატივისისა (გორნოსტისა).

ყვიროსტვირი, საყვირი, მომცროსკვირი.
 ყოვნა, დარჩენა.

შ

შეფრობა, შეჭირუება.
შთვება, რჩობა, დახრჩობა.
შლუ, ქვეუ-საელები, სულელი.

შმაგი, გონება დაკარგული, თავზე
ხელადღებული.
შუშპარი, სიმაია, ცუკვა, თამაშობა.

ჩ

ჩანგი, არფა, საკრავი.
ჩაუქი, ცქვიტი, შარდი.
ჩაკარბაკება, მრგვადად ჩაქრა.
ჩუმიჩობა, ეპსრობა.

ჩარადი, სახის სიმსივნე (ავადმყოფობა).
ჩორდი, დაბის სახელი არზრუმის მახლობლად.

ც

ციერი, წლანუა.

ცხრო, ციებ-ცხელება, ცხროიანი — ციეიანი.

ძ

ძალი, სიმა სკრაფისა, ან თეია სკრაფი ჩონგურსავია.
ძოწეული, წითელი მარჯნის ფერი,

ბროწეულის ევაგილის ფერი. სამეფო წამოსასხამი, ჰორფირი.
ძიწვი, წითელი მარჯანა.

წ

წალიკა, ბაღახი, უვაგილი.

ჭ

ჭანგი, მონადირე ოთხ ფეხსა და მფრინველსაა ფრჩხლა.

ჭერება, შხერა, ცქერა, ხეღვა.

ხ

ხათუნი, ჰატეცემულის კატის ცოლი.
ხამარი, ხამპარი, სირაცი, შეღვინე.
ხამლი, ფეხსაცმელი ძველებური.
ხამხ, ჰსამხ — უნდა, უნდა იყოს, შეჭფერის, შეშქენის.
ხალვა, პარტოთა.
ხანიერი, მუღმივი, შტაგე, შექცვდელი.
ხანაგა, შათხოვართა თავშესაფარი.
ხარაბათი, საღვინო ადგილი, სალოთო ადგილი.
ხარაჯა, გარდასახადი, ხარკი, ხარკი.

ხასი, სამეფო, კაცი სასახლისა; გამბედავი.
ხელი, გიფი, ქვეუსე შეშლილი.
ხეაიშანი, ხოიშანი — შველა, მოსმარება, შეუაფელობა.
ხეაშიადი, სიდიუმლო, დაფარული, გულის ჰსახესი.
ხოვრიელად, ხეაფრიელად, კრტლად, ბეგრად, ბლომად.
ხორახანი, ხეარახანი — გრცელი ნაწილი ჩრდილოეთ აღმოსავლეთის სპარსეთისა და აგრეთვე ავღანისტანის ჩრდი-

ლოეთის სასდურის ზემოთ მდებარე ადგილი.

ხორტუმი, ხორთუმა — სწაღოს ცხვირი.

ხორშა, მხურვალე მშრალი ქარი.

ხვარაზმი, ხვარაზმი — კასნიის სდვის აღმოსავლეთის ახლოს მდებარე ქვეუანა.

ჟ

ჯაბანი, მოშიშარი, ძაბუნი.

ჯაფარი, ძვირფასის აყლის წყალი, ბრწყინვალეობა და აური.

ჯაფარიანი, წყლიანი, მარილიანი, ტულის წამლები.

ჯამაზი, ჯამაზ, სატანტრეკვანდო აქლემი.

ჯეონი, მდინარეა.

ჯომარდობა, ქველგობა; სიკეთე, მარდობა, სიმარჯვე.

ჯუფთი, ცალი წვევილისა, ტოლი.

ჯუბთევი, სწორე.

ჯუბა, მოსასხამი.

კ

კარილ, ორპირად მოქნილი, მოთელილი ტყავი.

კარირი, აბრეშუმისა, აბრეშუმეული.

კარჯალი, არჯალი, ბედისწერა.

კგოდეს, ზრუნავდეს, ეხადვლეობდეს

კგია, არის

კერეთი — საქართველოს აღმოსავლეთის ერთ-ერთი განაწირა კუთხე, ახლა კარე-კახეთი.

კონები, ანუ ჰუნები — მეომარი ხალხი იყო, რომლებიც თავ-ზარსა სცემდნენ ხმარსებს *

რედაქციისაზან.

ხელის მიმწერლებისა და შეიოსულა სასოგადოების სწეურადღებოთ უნდა განვახადოთ, რომ სუერში შეგვაძალა. ხელი გამოცემის პირველი კოლეგიის შემადგენლობამ: სემთან ერთად, ამ წიგნის გამოცემაზე უნდა ხანს შეუძლიდნ მოქალაქეი თომა ჩიქვანია და იერონიმე არსენიშვილი, რომლებიც სხვადასხვა გარემოებისა გამო, უნდა ჩამომშორებოდნ, თუ მე თვითონ უნდა ჩამომშორებომა. თომა ჩიქვანია ჩამომშორდა 1926 წლის აგვისტოში, სოლო იერონიმე არსენიშვილი ჩამოვიშარე ამა წლის 1 მარტიდან.

ვადრე ვიშოვიდი ამ გამოცემის უფრო გულშემატკივარ ხელმძღვანელის, რომელთან გამოშველობის დარგშიც დამსახურებული ჰქონდათ სასოგადოებან ნდობა, მე იძულებული შევიქნა შემიწერებან ამ წიგნის აწეობისა და დაბეჭდვის საქმე, რამაც დაატეიან თვით წიგნის გამოცემა.

რაც შეეხება „ანთოლოგიას“ გამოცემის ტენსიურ მხარეს, უნდა მოგახსენოთ, რომ დაქვლეული დანოვლებანი შეგვხდა ძველ მწერალთა სურათების ძეხნის დროს. ასეთი სურათები არ მოიპოვება. ამიტომ ზეეს საჭიროდ დავანახეთ „ანთოლოგიაში“ მოგვეთავსებინა სოციური რეპროდუქცია საინინისა „საქრთველოს სათოახადან“ (მეშინიკი, ანო ტფილელი, გიორგი მთაწმინდელი, დავით ალმუხრებელი და სხვა) რაც უფრო გასაგებათა გახდინა ანთოლოგიაში მოთავსებულ ნაწარმოებთა დედა აზრსა და სკანს.

თვით მასლები, ასოების: ა, ბ, გ და დ გამოვლებით, სიტყვა-სიტყვით გადმოწერადნი არიან ჩვენ შეცნაურბთან უვე დაშემაკებულ და გამოცემულ ტექსტებდან, რომელთა დენებიც ინახუბან ჩვენ „სიძველეთა სავებებში“, სოლო დაბეჭდილნი არიან ჰროფესორების ს. მარას, ივანე ჯავახიშვილას, კორნელი ბებელიძის და ჩუენი მწერლობის ცნობილ მკვლევარებან ს. გორგასის, ს. ჯავახიძის, ი. აბულაძის, ზევე ინგოროყვისა, ზ. ჭაჭინაძის და საინინის შრომებში.

დასასრულ, ერთსვე კიდევ მოვლედ უნდა გავიფორმოთ ის, რაც სევიითაც არის სათქმამა: სახელდობრ 1) ჩვენ არ გვქონია არავითარი პრეტენსია შეცნოერას და შეცნოერად სავანასამი მიდგომისა. 2) ევე გარემო, რომ ევე და მასალას ვერ შეგვქვდით. მეგრამ რაც შეგობიეთა, ისიც სავამო მნიშვნელობისა ჩუენი ახალი მწერლობისათვის.

რედაქტორი ია ეკალაძე.

დეკემბერი 1927 წ.
ქ. თბილისი—ქუთაისი

მთავარი კორექტორული შეცდომები.

მეზიდმეტე გვერდზე—ფილიპეს აკროსტიხის პირველი ასოები აწეობილი უნდა იყოს შევად.

ოც და მესამე გვერდზე, მეთექვსმეტე სტრიქონში ზევიდან დაბეჭდილია: „ბრძანდებოლი“ უნდა იყოს „ბრძანებლი“